ჯანრი კაშია

# ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲔ

მხატვრული პროზა

თბილისი 2013



გველის-მჭამელი

შენობა, შესაქმე

ტოტალიტარიზმი

პარისიკონი, მარტორქას თავგადასავალი

პიესები, სცენარები, ლექსები

ფედერალიზმი

ენა, საზრისი, ყოფიერება...

პუბლიცისტური წერილები

უბისი „რენესანსი ურენესანსოდ“

უბისი „რუსთაველი და დანტე“

ДВЕРИ...

ჯანრი კაშია
ტომი II

შენობა (სივრცის შედედება)
შესაქმე (დროის შედედება)

მხატვრული პროზა

რედაქტორები: ხათუნა თოდუა, გუნანა ნიჟარაძე

ყდის დიზაინი: © ალექსანდრე ბერდიშევი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნუგზარ არჩემაშვილი

© ჯანრი კაშია

ყველა უფლება დაცულია
ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2013

© Janri Kashia
Edifice (Condensation of Space)
Creation (Condensation of Time)

All rights reserved
Georgian Biographical Centre, 2013

ISBN 978-9941-444-01-2

# შ Ე Ნ Ო Ბ Ა

## სივრცის შედედება

დილით, როდესაც განათდა და სხვა.... ათასგზის გადაღეჭილი დასაწყისით...

ცხოვრება ჩვეულებრივად დაიწყო... და ა.შ... ყოველდღიურად...

ხმაური... (ის იპოვეს მკვდარი)... იგი იწვება თვალგახელილი... მისჩერებია ჭერს... გააყოლებ თუ არა თვალს მის მზერას... თქვენ ორნი ხართ ოთახში... შენ და ის. სხეული ერთ ოთახში. ამონაკანრებში, რომლებიც არ ეტევა შენი მზერის საზღვრებში. ის კითხულობს იმას, რაც გაურკვეველია იმ მზერისათვის, რომელიც მისჩერებია ჭერს და მას უნდა, დაბრუნდეს დასაწყისთან, რათა დააკავშიროს ეს სივრცე და დრო. ნელი სვლით... განა ეს მან არ გადაწყვიტა? განა თვითონ არ არის აქ, ახლა, შენი მზერის წინ, თეთრ ქაღალდზე, ეს მისი სხეულია, მისი სივრცე, რომელიც მას ეპყრა მანამ, ვიდრე შენ არ შეავსებ ამავე სივრცეს შენი მგრძნობიარე ხელების შეხებით. შენ შეიგრძნობ მის ცივ სხეულს თხელი კანის ქვეშ. შეეცადე, შეიგრძნო ეს... შენი თითებით შეეხე სახეს... ხელს... შეეხე ფურცელს... შეიგრძენი ამ სხეულის სიმძიმე... თუ შენს ოთახში არის საკმაო ადგილი, შენ შეგიძლია, მოსცილდე მას... გამოეყო... დაინახო იგი... იმ დროის განმავლობაში, როდესაც შენ კითხულობ, იგი არ მოსცილდება ამ ოთახს ისევე, როგორც მე და გითვალთვალებს, რადგან ყოველივე ეს მხოლოდ საბაბია... საბაბია... საბაბია... და ის, რასაც ამოიკითხავ აქ, მხოლოდ ჩემია და საინტერესო მხოლოდ ჩემთვის... ნამდვილი კი ახლა იქმნება, ამ წუთში, ამ წამში, ამ თვალსაწიერში... ამ თვალსწრებაში... როდესაც შენ გიჭირავს ეს ფურცლები და

ცდილობ, შეიგრძნო... განიცადო... დაინახო... ჩასწვდე... ყოველივეს, რაც ჩემს კუთვნილებას წარმოადგენს... და ამგვარად შენ თვითონ იქმნები ახლა... აქ... ყოველწამიერად... ჩვენი გაყოფა შეუძლებელია... ჩვენ ერთი ვართ... მე... შენ... ის... ერთი და იგივეა... და ნამდვილ წიგნს მე სწორედ ახლა ვწერ... და წიგნი ესე არს წიგნი შენი ცხოვრებისა და შესახებ იმისა, თუ როგორ შენ კითხულობ ამ წიგნს და რა კავშირები ჩნდება შენს ხილვათა ნამზერში... რა განცდები... შენს თავში... გარემო, რომელიც შენ გარტყია გარს – ამ წიგნის გარემოა... და შენ უნდა დაამყარო კავშირი ამ ხილულსა და ჩემს გარემოს შორის, რომელიც შენა ხარ... ეს არის წიგნი დროის შესაქმის შესახებ და წიგნი სივრცეზე...

და მე ვიძირები...

სხეული ნახევრად დაფარულია და გასული მხედველობის არიდან... თვალები დახურული... თანდათან უჩინარდება ყველა სიტყვა... რომელიც ოდესმე წარმომითქვამს... ან მსმენია... ან მინახავს... ქრება ყველა სანთელი... უქმდება ყველა გზა... ქრება ყველა ნათურა... შენ სხეული ხარ.

ახლა მე წარმოვთქვამ სიტყვას... მე ვხედავ... როგორ მოძრაობენ ტუჩები... განიცდი თუ არა შენ იმ დაძაბვას, რომლითაც იგი ცდილობს, გადალახოს ეს სივრცე... ჩამინული ფანჯრები... ლორწოვანი... მქრელი ნატეხები დასერილ ტუჩებზე... ის გამჭვირვალეა... სისხლსავსე ტუჩებიდან გამოედინება ბგერათა კომპლექსები... ეს სიტყვაა... ეს ხატია... ხილვადი და სმენადი... ვის ეკუთვნის იგი? სად არის იგი? მის მზერაში თუ ჩემს ბაგეებში... ბაგეებში... შობილი სიტყვა... თუ შენს სმენაში? იქნებ ეს სხეულია?... თუმცა, შეიძლება, სხვაც იყოს, მაგალითად, – შენ! სიტყვები... აზრები... ხატები... წინადადებულია თავისთვის და მე... ის... შენ... ვათლით მას... თხელ კანს ჩანგალზე ჩამოკიდებულ ბეკონს... და ვტენით ერთმანეთს შესაძლო მნიშვნელობებს... ახლაც ისმის ხმები... მაგრამ ვინ წარმოსთქვამს მათ... კაცი შენ წინ ამოძრავებს ტუჩებს... თუ არ ამოძრავებს. რხეული იგი ნა... მზერის მხედვაობა... ოდნავ განათებული, ყვითელი სინათლე მის კანზე... ზღვის ქაფში ჩადებული სველი სხეული... ჩუმი ვარსკვლავები

ღამურებით ღამეში და შენი თითები მის სველ ბარძაყებზე... ის ნელა აბრუნებს მზერას და შენ გრძნობ მისი თვალების შეხებას სველი კანის ქვეშ და შენი სხეული ხევდება ზღვის ქაფში განათებული მკრთალი ყვითელი სინათლით... მორი. ორი ნაბიჯი განზე. მას აიძულებენ, ხელები თავზე შემოიწყოს და შებრუნდეს... სხეული ნელა ეშვება ჩემ წინ... გადახერგილი გზა... ძაღლი ნელა მოღოღავს დერეფანში და მოათრევს თავის სველ ბალანს... ის იწევს მარცხნივ... სხეულიდან... ეს ხომ იგია! შენ იცვლი ადგილს. ოთახი, რომელშიდაც შენ იმყოფები, ცარიელია. ამის თაობაზე არის საგანგებო დადგენილება: შემოისაზღვროს შენთვის საჭირო ფართობი იმ სხეულით, რომელიც საჭიროებს ამ ფართობს! ამიტომაც, ახლა მაგიდას უკავია ის ფართობი, რომელიც მას უკავია... მე აღარ გავიმეორებ ამას, დაიმახსოვრე! სივრცის კონფიგურაცია დამოკიდებულია იმ სხეულებზე, რომლებსაც უჭირავთ ეს სივრცე, რომელიც უჭირავთ... ამ დადგენილებიდან გამომდინარეობს კანონი: ყოველი სხეული წარმოადგენს საზღვრულ, მაგრამ უსასრულო სივრცეს. შენი თვალები ეხებიან ამ სივრცულ საზღვრებს... ხელი თხელ აპკზე... მიბმული საკუთარ სხეულზე... გრძელი საბელით... რომლის ბოლო იკარგება დერეფნის სიბნელეში... ვის უკავია იგი?.. საწოლი, რომელზედაც იგი წევს, დგას კედელთან. თუ იგი ახლა აწევს თავს, დაინახავს სხვა საწოლებს, რომლებიც მსუბუქად ირწევიან შენი სუნთქვის რიტმში. შენ თვალწინ გამოჩნდნენ ისინი... შემოვიდნენ და ჩადგნენ რიგში... სამ-სამი... ერთარსება სამება... თუ წამება სამსახა... ის ადგა. გასასვლელი საწოლებს შორის... საწოლსა და მაგიდას შორის... მის ნესტიან ფეხებს გადააქვთ სივრცე ფანჯარასთან... ხედვის გასწვრივ ფანჯარასა და შენს სხეულს შორის ლოგინები... თვალების სიმაღლეზე... მისი მზერა ეძებს გასასვლელს... საწოლებით კონფიგურირებული სივრცე... შენ მიიწევ ფანჯრისაკენ... მუხლები ეყრდნობა რკინის კიდეს მწოლიარის თავზე... ცივი მინა თხელ კანზე... ოდნავ შეორთქლილი... ის ნელა იხდის საბანს თავიდან და მისი თვალები ვიწროვდება გესლიან ღიმილში. წვრილი ხაზი შემრგვალებით... ეს სივრცე... შესასუნთქი სხეული...

შიშველი მუცლიდან ქვევით... გაწვდილი ტუჩებით დასერილი კანი... მოახლოებული სივრცე... თბილი ჟრუანტელი კანზე... ტუჩებით ცივ მინაზე... გწოვს! ფანჯრის იქით ჩანს ქუჩა. ტროტუარის გასწვრივ რკინის ჯებირები... ოქროთი მოვარაყებული ამპირული წნულები... წვენსავსე... ჯებირების ორთავე მხარეს... თეთრი ხელთათმანებით... აპრიალებული ჩექმებით... დგანან! გაქათქათებული სიყვითლე მათი სხეულის... ქუჩის ერთ მხარეს ჩანს წარწერა: „გადასასვლელი" და იქვე, ცოტა ქვევით: „გადასვლა აკრძალულია"... ისინი მიდიან თამამად. ნაბიჯის შეუშლელად... მათი მოძრაობა სწრაფია და გამიზნული. „გაიარეთ, ნუ შეჯგუფდებით!" ხილვადის სმენადობა... აბრები სახლებზე: მზა პური; მზა ტანსაცმელი... მზა ფეხსაცმელი... მზა წინდები... მზა ნემსები... „გაიარეთ! ნუ შეჯგუფდებით!"... მზა ყუთები... მზა წყალი... მზა საათები... მზა მანქანები... მზა სკამები... მზა მაგიდები... მზა საწოლები... მზა წიგნები... მზა სათამაშოები... მზა ტყავები... მზა საქ... არა ჩანს. თვალისმდევნელი ყურადღებით აკვირდებიან ისინი მათ... შენი სუნთქვის რიტმი არ იცვლება... რიგადი მწკრივები... ერთი მეორეზე. თავი დამანებე! შენ კი... შენ კი... ჩაიდე პირში თითი და წარმოსთქვი ეს სიტყვები ხმამაღლა: – მე მიყვარხარ შენ! - სივრცის ახალი ორგანიზება...

აქ მთავარია, შეიგრძნო პროცესის განფენილობა... წარმოსთქვი ეს სიტყვები უფრო ხმამაღლა... ცვალე თითები... მათ მხოლოდ სივრცული შეგრძნებადობის თვისება აქვთ... შეეცადე, შეიგრძნო სიტყვების ხილვადი სტრუქტურები... „მე – მიყვარხარ – შენ"... შეგიძლია, გაიმეორო თავიდან... დილით, როდესაც განათდა... და ა. შ...

ის ჯერ კიდევ არ წამომდგარა თავისი საწოლიდან. იგი ცდილობს, შეიგრძნოს სინათლე სახის კანზე... რბილი... თბილი... ნათელი... ის აღებს თვალებს... უპეები ნელა იხსნება და აჩენს შენს თვალებს... ისინი ჭერშია მიპყრობილი... მზერა მიცოცავს ზედაპირზე... თავი მიყრდნობილი კედელს... სხეული წამოწეული... მისი განათებული სახე ცდილობს, გადაიტანოს სინათლე ოთახის კედლებზე... ერთადერთი სხეული სიბნელეში... მაგრამ ის ვერ ხედავს თავის სახეს... ვერც შენ... ის კი

სახეჭვრეტს ყველას... შენ ცდილობ, მიხვიდე ფანჯარასთან და გააღო... აცურებს ხელს კედელზე... ორივე ხელი ხორკლიან ზედაპირზე... ათი ნაბიჯი განზე... სკამი... მაგიდა... კარადა... სკამი... ოთხკუთხედი მაგიდა... საწოლი... კარადა... კედელი... მრგვალი მაგიდა... სამი ნაბიჯი განზე... მაგიდა... სკამი... საწოლი... კარადა... კედელი... მრგვალი სხეული... კედელი... საწოლი... შეგრძნებათა სრული კომპლექსი... სახეს არ გადააქვს სინათლე... მკრთალად განათებული კანი... მაგრამ ის ვერ უმზერს მას... სველი ხელისგულები სველ ბალანზე... წვიმის შემდეგ... სველ ბალახში წევს იგი. ის იხრება მის სხეულზე... ყელის ირგვლივ შემოჭდობილი საბელი ეხახუნება გასისხლიანებულ ხორცს... ჭრილობა ფერდში... ორი ნატყვიარი... ოთხი გაშეშებული ფეხი... შენ ნელა სცილდები ძაღლის ტანს... სახლთან მიახლოებისას იფერთხავ ტანისამოსს და სველ თმებს... კარი ჭრიალით იღება და შიგნით ჩანს მისაღები დარბაზი, რომლის კუთხეში შემინული ტიხრის იქით ზის იგი. საუბარი გრძელდებოდა ზუსტად იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა მისი წაკითხვისათვის... და ყველაფერი, საერთოდ აქ მომხდარი, მნიშვნელობს პირველადი სტრუქტურების სივრცითი განფენილობის ხანგრძლივობაში... ერთი სხეულებრივი განფენიდან მეორეზე გადასვლის დრო დამოკიდებულია შენი ოპერაციონალური სტრუქტურების დინამიკაზე და ამგვარად დრო იძენს სივრცის თვისებებს... იგი იკეტება თავისთავში და მისი ხანგრძლივობა არის ის განფენილობა, რომელშიც ის მოქმედებს განმავლობაში...

„რა გნებავთ ჩვენს შენობაში?"... ცირკულარული კითხვები... ის კითხულობს ამას მას შემდეგ, რაც შენ უპასუხე კითხვას: „თქვენი მოსვლის მიზანი"...

შენ წინ გაშლილი გარემო წარმოადგენს დიდ ფართო დარბაზს, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია ბრინჯაოს პატარა სფინქსები. მრგვალ მაგიდაზე დგას ვაზა. მასში ყვავილებია ჩადებული. მაგიდის იქით სამი დიდი ფანჯარა, გვერდებზე ჩამოშვებული მძიმე ხავერდის ფარდებით,

რომელთა ქრილში ჩანს ბალი. ფანჯრების გასწვრივ დგას სამი დაბალზურგიანი დივანი. მოჩუქურთმებული გვერდებით. მრგვალი მაგიდის ირგვლივ ოთხი რბილი სავარძელია. იატაკზე აგია დიდი წითელი ხალიჩა. ფანჯრების პირდაპირ – დიდი მარმარილოს კიბეები. რომლის თავებზე დგას ორი ქალი-კანდელაბრი. კედელზე კიდია სურათი. შემოსასვლელი კარები მარმარილოთია მოჩარჩოებული. დარაბები მოჭედილია მრავალგვარი გამოსახულებებით. ფანჯრებს შორის, კედლებზე, საათები კიდია. ისინი ზუსტად ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. მათზე აღინიშნება წლის დრო, ზოდიაქო, და ცარგვალის შემობრუნების პერიოდები. დარბაზის ერთ კუთხეში დგას მაგიდა, რომელთანაც ზის ახალგაზრდა ქალი. იგი მშვიდად ესაუბრება მეორე ქალს. მაგიდაზე დავთარია გაშლილი, რომელშიც ახალგაზრდა ქალი დროდადრო რაღაცას იწერს. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა ქალი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

ქალი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ...

მეორე ქალი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს ქალის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

ქალი (ისწორებს თმებს)– თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც... (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, ილიმება გრძნობამორევით) შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

მეორე ქალი (გადაიხრება წინ და უყურებს ქალის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა ველაპარაკო მას... მინდა ვიყო აქ... მის გვერდით...

ქალი (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის. მან ააგო შენობა. მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში. მან გვიხსნა ჩვენ (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

მეორე ქალი (ჩურჩულით) – მე მინდა ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინ-

და მიხსნას მან... (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

ქალი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია (ახედავს ქალს), – რატომ იცინით?

მეორე ქალი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

ქალი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

მეორე ქალი – თქვენ მართალი ხართ...

ქალი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?

მეორე ქალი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაძრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენც შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს... (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

ქალი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

მეორე ქალი (განაგრძობს კითხვას) – ვერძი... რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

ქალი – რატომ დადიხართ ღამე?

მეორე ქალი – ვერაფერს იზამ...

ქალი – ალბათ დაღლილი იქნებით!

მეორე ქალი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

ქალი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

მეორე ქალი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

ქალი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

მეორე ქალი – ჩემთვის სულერთია...

ქალი – არის კიდევ ერთი ოთახი.

მეორე ქალი – ვნახავ იმ ოთახს...
ქალი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.
მეორე ქალი – მალე დაღამდება...
ქალი – ქალი! არა! კაცი! არა! მკვდარი!
მეორე ქალი – (უყურებს კიბეებს) კარგი...
ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!
მეორე ქალი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...
ქალი – თქვენ გაქვთ საბუთები!
მეორე ქალი – ვიცი...
ქალი – თქვენ რაღაც იცით?!
მეორე ქალი – არა... თქვენ მართალი ხართ...
ქალი – თქვენი მოსვლის მიზანი!
მეორე ქალი – რომელი ოთახია?..
ქალი – რას ეძებთ შენობაში?!
მეორე ქალი – მე მინდა, ვნახო ის...
ქალი – დაელოდეთ მას!
მეორე ქალი - დირექტორს?..
ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!
მეორე ქალი – დაისვენეთ...
ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
მეორე ქალი – ვნახავ იმ ოთახს...
ქალი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!
მეორე ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...
ქალი – ის წევს იმ ოთახში!
მეორე ქალი – რომელი ოთახია?..
ქალი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!
მეორე ქალი – დირექტორი?..
ქალი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!
მეორე ქალი – მე მინდა, შევიდე მასთან...
ქალი – ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარით!
მეორე ქალი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

ქალი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

მეორე ქალი – მინისმზომელს?..

ქალი – არა! მინისმზომელი თავის ოთახშია!

მეორე ქალი – მე მინდა, ველაპარაკო მას...

ქალი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

მეორე ქალი – მე ოთახი მინდა...

ქალი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

მეორე ქალი – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა იწევს დაბლა და ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში ხანშიშესული კაცი ჩანს. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, ქალი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. მეორე ქალი გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. ქალი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. ხანშიშესული კაცი მიდის მაგიდასთან. ჩერდება. ქალი წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. ხანშიშესული კაცი დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს ქალის მუშაობას. ქალი ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ ხანშიშესულ მამაკაცს. მერე ეკითხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა ქალი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

მეორე ქალი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

ხანშიშესული კაცი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს ქალის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

მეორე ქალი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის

ხელს, მხარზე რომ ადევს, ილიმება გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

ხანშიშესული კაცი (გადაიხრება წინ და უყურებს ქალის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

მეორე ქალი (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის. მან ააგო შენობა. მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში. მან გვიხსნა ჩვენ (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

ხანშიშესული კაცი (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა – ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

მეორე ქალი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია (ახედავს ხანშიშესულ კაცს), – რატომ იცინით?

ხანშიშესული კაცი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი ერი დღეა ჩემთვის...

მეორე ქალი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

ხანშიშესული კაცი – თქვენ მართალი ხართ...

მეორე ქალი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

ხანშიშესული კაცი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ, შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს... (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ) ჩვიდმეტი... რა არის ეს?

მეორე ქალი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

ხანშიშესული კაცი (განაგრძობს კითხვას) სასწორი... რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. ოქტომბერი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

მეორე ქალი – რატომ დადიხართ ღამე?

ხანშიშესული კაცი – ვერაფერს იზამ...

მეორე ქალი – ალბათ დაღლილი იქნებით!

ხანშიშესული კაცი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

მეორე ქალი – დაწყნარდით (ხელს ადებს მის მხარს)!

ხანშიშესული კაცი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

მეორე ქალი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნულია!

ხანშიშესული კაცი – ჩემთვის სულერთია...

მეორე ქალი – არის კიდევ ერთი ოთახი.

ხანშიშესული კაცი (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...

მეორე ქალი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

ხანშიშესული კაცი – მალე დაღამდება...

მეორე ქალი – ქალი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

ხანშიშესული კაცი (უყურებს კიბეებს) – კარგი..

მეორე ქალი – გასაღები არ არის!

ხანშიშესული კაცი – უკვე ღამდება...

მეორე ქალი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე?!

ხანშიშესული კაცი – ვნახავ ოთახს...

მეორე ქალი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!

ხანშიშესული კაცი – მე მივიღებ იმ ოთახს...

მეორე ქალი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

ხანშიშესული კაცი – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..

მეორე ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!

ხანშიშესული კაცი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...

მეორე ქალი – თქვენ გაქვთ საბუთები!

ხანშიშესული კაცი – ვიცი...

მეორე ქალი – თქვენ რაღაც იცით?!

ხანშიშესული კაცი – არა... თქვენ მართალი ხართ...

მეორე ქალი – თქვენი მოსვლის მიზანი!
ხანშიშესული კაცი – რომელი ოთახია?..
მეორე ქალი – რას ეძებთ შენობაში?!
ხანშიშესული კაცი (უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..
მეორე ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!
ხანშიშესული კაცი – მე მინდა, ვნახო ის...
მეორე ქალი – დაელოდეთ მას!
ხანშიშესული კაცი – დირექტორს?..
მეორე ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!
ხანშიშესული კაცი – დაისვენეთ...
მეორე ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
ხანშიშესული კაცი – ვნახავ იმ ოთახს...
მეორე ქალი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!
ხანშიშესული კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...
მეორე ქალი – ის წევს იმ ოთახში!
ხანშიშესული კაცი (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამილიმა...
მეორე ქალი – იქ მკვდარია!
ხანშიშესული კაცი – მე მინდა, ვნახო ის...
მეორე ქალი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს.) – რა გნებავთ შენობაში!?
ხანშიშესული კაცი – მე მარტო ვარ...
მეორე ქალი – ჩადექით რიგში!
ხანშიშესული კაცი – გააღვიძეთ დირექტორი...
მეორე ქალი (თანაგრძნობით) მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!
ხანშიშესული კაცი – ვიცი... მე მიყვარს იგი...
მეორე ქალი – შენ რაღაც თქვი!?
ხანშიშესული კაცი – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...
მეორე ქალი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!
ხანშიშესული კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...

მეორე ქალი – ვინ არის მკვდარი!

ხანშისესული კაცი (შეშინებული) – მე მეგონა, რომ...

მეორე ქალი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

ხანშიშესული კაცი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა, პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

მეორე ქალი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

ხანშიშესული კაცი – მე ეს არ მითქვამს...

მეორე ქალი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

ხანშიშესული კაცი – მე მინდა, ვნახო ის...

მეორე ქალი – დაელოდე მას!

ხანშიშესული კაცი (გახარებული) – დირექტორს?..

მეორე ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!

ხანშიშესული კაცი – დაისვენეთ...

მეორე ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

ხანშიშესული კაცი – ვნახავ იმ ოთახს...

მეორე ქალი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

ხანშიშესული კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

მეორე ქალი – ის წევს იმ ოთახში!

ხანშიშესული კაცი – რომელი ოთახია?..

ქალი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

ხანშიშესული კაცი – დირექტორი?..

ქალი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

ხანშიშესული კაცი – მე მინდა, შევიდე მასთან...

ქალი – ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

ხანშიშესული კაცი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

მეორე ქალი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

ხანშიშესული კაცი – მიწისმზომელს?..

მეორე ქალი – არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

ხანშიშესული კაცი – მე მინდა ველაპარაკო მას...

მეორე ქალი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

ხანშიშესული კაცი – მე ოთახი მინდა...

მეორე ქალი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

ხანშიშესული კაცი – ეს დღე – უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა იწევს დაბლა და ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში ხანშიშესული ქალი ჩანს. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, მეორე ქალი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. ხანშიშესული კაცი გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს.დასცქერის ყურადღებით. მეორე ქალი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. ხანშიშესული ქალი მიდის მაგიდასთან. ჩერდება. ხანშიშესული კაცი წერს რაღაცას დავთარში. ჩაძირული თავის საქმეში. ხანშიშესული ქალი დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს ხანშიშესული კაცის მუშაობას. ხანშიშესული კაცი ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ ხანშიშესულ ქალს. მერე ეკითხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი ხანშიშესული კაცი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

ხანშიშესული კაცი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

ხანშიშესული ქალი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს კაცის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

ხანშიშესული კაცი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, იღიმება გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

ხანშიშესული კაცი (გადაიხრება წინ და უყურებს ქალის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

ხანშიშესული ქალი (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის. მან ააგო შენობა. მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში. მან გვიხსნა ჩვენ (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

ხანშიშესული ქალი (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

ხანშიშესული კაცი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია (ახედავს ხანშიშესულ ქალს). რატომ იცინით?

ხანშიშესული ქალი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

ხანშიშესული კაცი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

ხანშიშესული ქალი – თქვენ მართალი ხართ...

ხანშიშესული კაცი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

ხანშიშესული ქალი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

ხანშიშესული კაცი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

ხანშიშესული ქალი (განაგრძობს კითხვას) – კურო.. რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. მაისი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

ხანშიშესული კაცი – რატომ დადიხართ ღამე?

ხანშიშესული ქალი – ვერაფერს იზამ...

ხანშიშესული კაცი – ალბათ დაღლილი იქნებით!

ხანშიშესული ქალი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

ხანშიშეს. კაცი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

ხანშიშეს. ქალი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

ხანშიშეს. კაცი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნულია!

ხანშიშეს. ქალი – ჩემთვის სულერთია...

ხანშიშეს. კაცი – არის კიდევ ერთი ოთახი.

ხანშიშეს. ქალი (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...

ხანშიშეს. კაცი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

ხანშიშეს. ქალი – მალე დაღამდება...

ხანშიშეს. კაცი – ქალი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

ხანშიშეს. ქალი – (უყურებს კიბეებს) კარგი..

ხანშიშეს. კაცი – გასაღები არ არის!

ხანშიშეს. ქალი – უკვე ღამდება...

ხანშიშეს. კაცი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე?!

ხანშიშეს. ქალი – ვნახავ ოთახს...

ხანშიშეს. კაცი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!

ხანშიშეს. ქალი – მე მივიღებ იმ ოთახს...

ხანშიშეს. კაცი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

ხანშიშეს. ქალი – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..
ხანშიშეს. კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!
ხანშიშეს. ქალი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...
ხანშიშეს. კაცი – თქვენ გაქვთ საბუთები!
ხანშიშეს. ქალი – ვიცი...
ხანშიშეს. კაცი – თქვენ რაღაც იცით?!
ხანშიშეს. ქალი – არა... თქვენ მართალი ხართ...
ხანშიშეს. კაცი – თქვენი მოსვლის მიზანი!
ხანშიშეს. ქალი – რომელი ოთახია?..
ხანშიშეს. კაცი – რას ეძებთ შენობაში?!
ხანშიშეს. ქალი (უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..
ხანშიშეს. კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!
ხანშიშეს. ქალი – მე მინდა, ვნახო ის...
ხანშიშეს. კაცი – დაელოდეთ მას!
ხანშიშეს. ქალი – დირექტორს?..
ხანშიშეს. კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!
ხანშიშეს. ქალი – დაისვენეთ...
ხანშიშეს. კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
ხანშიშეს. ქალი – ვნახავ იმ ოთახს...
ხანშიშეს. კაცი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!
ხანშიშეს. ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...
ხანშიშეს. კაცი – ის წევს იმ ოთახში!
ხანშიშეს. ქალი (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამიღიმა...
ხანშიშეს. კაცი – იქ მკვდარია!
ხანშიშეს. ქალი – მე მინდა, ვნახო ის...
ხანშიშეს. კაცი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს) – რა გნებავთ შენობაში?!
ხანშიშეს. ქალი – მე მარტო ვარ...
ხანშიშეს. კაცი – ჩადექით რიგში!
ხანშიშეს. ქალი – გააღვიძეთ დირექტორი...
ხანშიშეს. კაცი (თანაგრძნობით) – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!
ხანშიშეს. ქალი – ვიცი... მე მიყვარს იგი...
ხანშიშეს. კაცი – შენ რაღაც თქვი?!

ხანშიშეს. ქალი – არა... მე გელოდები შენ. თქვენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...

ხანშიშეს. კაცი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!

ხანშიშეს. ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...

ხანშიშეს. კაცი – ვინ არის მკვდარი!

ხანშიშეს. ქალი (შეშინებული) – მე მეგონა, რომ...

ხანშიშეს. კაცი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

ხანშიშეს. ქალი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

ხანშიშეს. ქალი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

ხანშიშეს. ქალი – მე ეს არ მითქვამს...

ხანშიშეს. კაცი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

ხანშიშეს. ქალი – მე მინდა, ვნახო ის...

ხანშიშეს. კაცი – დაელოდე მას!

ხანშიშეს. ქალი (გახარებული) – დირექტორს?..

ხანშიშეს. კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!

ხანშიშეს. ქალი – დაისვენეთ...

ხანშიშეს. კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

ხანშისეს. ქალი – ვნახავ იმ ოთახს...

ხანშიშეს. კაცი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

ხანშიშეს. ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

ხანშიშეს. კაცი – ის წევს იმ ოთახში!

ხანშიშეს. ქალი – რომელი ოთახია?..

ხანშიშეს. კაცი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

ხანშიშეს. ქალი – დირექტორი?..

ხანშიშეს. კაცი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

ხანშიშეს. ქალი – მე მინდა, შევიდე მასთან...

ხანშიშეს. კაცი – ის ადრე მინისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

ხანშიშეს. ქალი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

ხანშიშეს. კაცი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

ხანშიშეს. ქალი – მინისმზომელს?..

ხანშიშეს. კაცი – არა! მინისმზომელი თავის ოთახშია!

ხანშიშეს. ქალი – მე მინდა, ველაპარაკო მას...

ხანშიშეს. კაცი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

ხანშიშეს. ქალი – მე ოთახი მინდა...

ხანშიშეს. კაცი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

ხანშიშეს. ქალი – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა იწევს დაბლა და ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში ახალგაზრდა ქალი ჩანს. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, ხანშიშესული კაცი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. ხანშიშესული ქალი გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. ხანშიშესული კაცი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. ახალგაზრდა ქალი მიდის მაგიდასთან. ჩერდება. ხანშიშესული ქალი წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. ახალგაზრდა ქალი დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს ხანშიშესული ქალის მუშაობას. ხანშიშესული ქალი ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ ახალგაზრდა ქალს. მერე ეკითხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი ხანშიშესული ქალი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

ხანშიშეს. ქალი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

ახალგაზრდა ქალი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს ქალის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

ხანშიშეს. ქალი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, ღიმება გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

ახალგაზრდა ქალი (გადაიხრება წინ და უყურებს ქალის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა ვიყო აქ... მის გვერდით...

ხანშიშეს. ქალი (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

ახალგაზრდა ქალი (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

ხანშიშეს. ქალი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია (ახედავს ხანშიშესულ კაცს). რატომ იცინით?

ახალგაზრდა ქალი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

ხანშიშეს. ქალი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

ახალგაზრდა ქალი – თქვენ მართალი ხართ...

ხანშიშეს. ქალი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

ახალგაზრდა ქალი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ

დავიმახსოვრებ ამ დღეს (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

ხანშიშეს. ქალი – (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

ახალგაზრდა ქალი – (განაგრძობს კითხვას) მერწყული.. რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. თებერვალი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

ხანშიშეს. ქალი – რატომ დადიხართ ღამე?

ახალგაზრდა ქალი – ვერაფერს იზამ...

ხანშიშეს. ქალი – ალბათ დაღლილი იქნებით!

ახალგაზრდა ქალი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

ხანშიშეს. ქალი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

ახალგაზრდა ქალი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

ხანშიშეს. ქალი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

ახალგაზრდა ქალი – ჩემთვის სულერთია...

ხანშიშეს. ქალი – არის კიდევ ერთი ოთახი.

ახალგაზრდა ქალი (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...

ხანშიშეს. ქალი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

ახალგაზრდა ქალი – მალე დაღამდება...

ხანშიშეს. ქალი – ქალი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

ახალგაზრდა ქალი (უყურებს კიბეებს) – კარგი..

ხანშიშეს. ქალი – გასაღები არ არის!

ახალგაზრდა ქალი – უკვე ღამდება...

ხანშიშეს. ქალი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე!?

ახალგაზრდა ქალი – ვნახავ ოთახს...

ხანშიშეს. ქალი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!

ახალგაზრდა ქალი – მე მივიღებ იმ ოთახს...

ხანშიშეს. ქალი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

ახალგაზრდა ქალი – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?...

ხანშიშეს. ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!

ახალგაზრდა ქალი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...

ხანშიშეს. ქალი – თქვენ გაქვთ საბუთები!

ახალგაზრდა ქალი – ვიცი...

ხანშიშეს. ქალი – თქვენ რაღაც იცით?!

ახალგაზრდა ქალი – არა... თქვენ მართალი ხართ...

ხანშიშეს. ქალი – თქვენი მოსვლის მიზანი!

ახალგაზრდა ქალი – რომელი ოთახია?..

ხანშიშეს. ქალი – რას ეძებთ შენობაში?!

ახალგაზრდა ქალი –(უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..

ხანშიშეს. ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!

ახალგაზრდა ქალი – მე მინდა, ვნახო ის...

ხანშიშეს. ქალი – დაელოდეთ მას!

ახალგაზრდა ქალი – დირექტორს?..

ხანშიშეს. ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!

ახალგაზრდა ქალი – დაისვენეთ...

ხანშიშეს. ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

ახალგაზრდა ქალი – ვნახავ იმ ოთახს...

ხანშიშეს. ქალი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!

ახალგაზრდა ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

ხანშიშეს. ქალი – ის წევს იმ ოთახში!

ახალგაზრდა ქალი (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამიღიმა...

ხანშიშეს. ქალი – იქ მკვდარია!

ახალგაზრდა ქალი – მე მინდა, ვნახო ის...

ხანშიშეს. ქალი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს) – რა გნებავთ შენობაში!?

ახალგაზრდა ქალი – მე მარტო ვარ...

ხანშიშეს. ქალი – ჩადექით რიგში!

ახალგაზრდა ქალი – გააღვიძეთ დირექტორი...

ხანშიშეს. ქალი (თანაგრძნობით) – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!

ახალგაზრდა ქალი – ვიცი... მე მიყვარს იგი...

ხანშიშეს. ქალი – შენ რაღაც თქვი?!

ახალგაზრდა ქალი – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...

ხანშიშეს. ქალი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!

ახალგაზრდა ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...

ხანშიშეს. ქალი – ვინ არის მკვდარი!

ახალგაზრდა ქალი – (შეშინებული) მე მეგონა, რომ...

ხანშიშეს. ქალი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

ახალგაზრდა ქალი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა, პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

ხანშიშეს. ქალი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

ახალგაზრდა ქალი – მე ეს არ მითქვამს...

ხანშიშეს. ქალი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

ახალგაზრდა ქალი – მე მინდა, ვნახო ის...

ხანშიშეს. ქალი –დაელოდე მას!

ახალგაზრდა ქალი (გახარებული) – დირექტორს?..

ხანშიშეს. ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!

ახალგაზრდა ქალი – დაისვენეთ...

ხანშიშეს. ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

ახალგაზრდა ქალი – ვნახავ იმ ოთახს...

ხანშიშეს. ქალი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

ახალგაზრდა ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

ხანშიშეს. ქალი – ის წევს იმ ოთახში!

ახალგაზრდა ქალი – რომელი ოთახია?..

ხანშიშეს. ქალი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

ახალგაზრდა ქალი – დირექტორი?..

ხანშიშეს. ქალი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

ახალგაზრდა ქალი – მე მინდა, შევიდე მასთან...

ხანშიშეს. ქალი – ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

ახალგაზრდა ქალი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

ხანშიშეს. ქალი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

ახალგაზრდა ქალი – მიწისმზომელს?..

ხანშიშეს. ქალი – არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

ახალგაზრდა ქალი – მე მინდა, ველაპარაკო მას...

ხანშიშეს. ქალი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

ახალგაზრდა ქალი – მე ოთახი მინდა...

ხანშიშეს. ქალი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

კარის სახელური ნელა ბრუნავს. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში ახალგაზრდა კაცი ჩანს. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, ხანშიშესული ქალი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. ახალგაზრდა ქალი გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. ხანშიშესული ქალი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. ახალგაზრდა კაცი მიდის მაგიდასთან. ჩერდება. ახალგაზრდა ქალი წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. ახალგაზრდა კაცი დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს ახალგაზრდა ქალის მუშაობას. ახალგაზრდა ქალი ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ ახალგაზრდა კაცს. მერე ეკი-

თხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა ქალი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

ახალგაზრდა ქალი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

ახალგაზრდა კაცი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს ქალის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

ახალგაზრდა ქალი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, ილიმება გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

ახალგაზრდა კაცი (გადაიხრება წინ და უყურებს ქალის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

ახალგაზრდა ქალი – (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

ახალგაზრდა კაცი (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან... (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

ახალგაზრდა ქალი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს, წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! (ახედავს ახალგაზრდა კაცს) რატომ იცინით?

ახალგაზრდა კაცი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

ახალგაზრდა ქალი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

ახალგაზრდა კაცი – თქვენ მართალი ხართ...

ახალგაზრდა ქალი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

ახალგაზრდა კაცი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

ახალგაზრდა ქალი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

ახალგაზრდა კაცი (განაგრძობს კითხვას) თხის რქა... რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. იანვარი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

ახალგაზრდა ქალი – რატომ დადიხართ ღამე?!

ახალგაზრდა კაცი – ვერაფერს იზამ...

ახალგაზრდა ქალი – ალბათ დაღლილი იქნებით!

ახალგაზრდა კაცი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

ახალგაზრდა ქალი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

ახალგაზრდა კაცი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

ახალგაზრდა ქალი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

ახალგაზრდა კაცი – ჩემთვის სულერთია...

ახალგაზრდა ქალი – არის კიდევ ერთი ოთახი.

ახალგაზრდა კაცი (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...

ახალგაზრდა ქალი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

ახალგაზრდა კაცი – მალე დაღამდება...

ახალგაზრდა ქალი – ქალი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

ახალგაზრდა კაცი – (უყურებს კიბეებს) კარგი..

ახალგაზრდა ქალი – გასაღები არ არის!

ახალგაზრდა კაცი – უკვე ღამდება...

ახალგაზრდა ქალი – (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე?!

ახალგაზრდა კაცი – ვნახავ ოთახს...

ახალგაზრდა ქალი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!

ახალგაზრდა კაცი – მე მივიღებ იმ ოთახს...

ახალგაზრდა ქალი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

ახალგაზრდა კაცი – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..

ახალგაზრდა ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!

ახალგაზრდა კაცი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...

ახალგაზრდა ქალი – თქვენ გაქვთ საბუთები!

ახალგაზრდა კაცი – ვიცი...

ახალგაზრდა ქალი – თქვენ რაღაც იცით?!

ახალგაზრდა კაცი – არა... თქვენ მართალი ხართ...

ახალგაზრდა ქალი – თქვენი მოსვლის მიზანი!

ახალგაზრდა კაცი – რომელი ოთახია?..

ახალგაზრდა ქალი – რას ეძებთ შენობაში?!

ახალგაზრდა კაცი (უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..

ახალგაზრდა ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!

ახალგაზრდა კაცი – მე მინდა ვნახო ის...

ახალგაზრდა ქალი – დაელოდეთ მას!

ახალგაზრდა კაცი – დირექტორს?..

ახალგაზრდა ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!

ახალგაზრდა კაცი – დაისვენეთ...

ახალგაზრდა ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

ახალგაზრდა კაცი – ვნახავ იმ ოთახს...

ახალგაზრდა ქალი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!

ახალგაზრდა კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

ახალგაზრდა ქალი – ის წევს იმ ოთახში!

ახალგაზრდა კაცი (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამილიმა...

ახალგაზრდა ქალი – იქ მკვდარია!

ახალგაზრდა კაცი – მე მინდა, ვნახო ის...

ახალგაზრდა ქალი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს) – რა გნებავთ შენობაში!?
ახალგაზრდა კაცი – მე მარტო ვარ...
ახალგაზრდა ქალი – ჩადექით რიგში!
ახალგაზრდა კაცი – გაალვიძეთ დირექტორი...
ახალგაზრდა ქალი (თანაგრძნობით) მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!
ახალგაზრდა კაცი – ვიცი... მე მიყვარს იგი...
ახალგაზრდა ქალი – შენ რაღაც თქვი?!
ახალგაზრდა კაცი – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვი, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...
ახალგაზრდა ქალი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!
ახალგაზრდა კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...
ახალგაზრდა ქალი – ვინ არის მკვდარი!
ახალგაზრდა კაცი (შეშინებული) – მე მეგონა, რომ...
ახალგაზრდა ქალი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!
ახალგაზრდა კაცი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა დავსახლდე შენობაში. მინდა პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.
ახალგაზრდა ქალი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!
ახალგაზრდა კაცი – მე ეს არ მითქვამს...
ახალგაზრდა ქალი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მინისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!
ახალგაზრდა კაცი – მე მინდა, ვნახო ის...
ახალგაზრდა ქალი – დაელოდე მას!
ახალგაზრდა კაცი (გახარებული) – დირექტორს?..
ახალგაზრდა ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!
ახალგაზრდა კაცი – დაისვენეთ...

ახალგაზრდა ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

ახალგაზრდა კაცი – ვნახავ იმ ოთახს...

ახალგაზრდა ქალი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

ახალგაზრდა კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

ახალგაზრდა ქალი – ის წევს იმ ოთახში!

ახალგაზრდა კაცი – რომელი ოთახია?..

ახალგაზრდა ქალი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

ახალგაზრდა კაცი – დირექტორი?..

ახალგაზრდა ქალი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

ახალგაზრდა კაცი – მე მინდა, შევიდე მასთან...

ახალგაზრდა ქალი – ის ადრე მინისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

ახალგაზრდა კაცი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

ახალგაზრდა ქალი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

ახალგაზრდა კაცი – მინისმზომელს?..

ახალგაზრდა ქალი – არა! მინისმზომელი თავის ოთახშია!

ახალგაზრდა კაცი – მე მინდა, ველაპარაკო მას...

ახალგაზრდა ქალი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

ახალგაზრდა კაცი – მე ოთახი მინდა...

ახალგაზრდა ქალი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

ახალგაზრდა კაცი – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

ახალგაზრდა ქალი – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა იწევს ქვევით. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი უხმოდ, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში მოხუცი კაცი ჩანს. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, ახალგაზრდა ქალი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. ახალგაზრდა კაცი

გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. ახალგაზრდა ქალი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. მოხუცი კაცი მიდის მაგიდასთან. ჩერდება. ახალგაზრდა კაცი წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. მოხუცი კაცი დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს ახალგაზრდა კაცის მუშაობას. ახალგაზრდა კაცი ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ მოხუც კაცს. მერე ეკითხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა ქალი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

ახალგაზრდა კაცი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

მოხუცი კაცი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს კაცის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

ახალგაზრდა კაცი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, იღიმება გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

მოხუცი კაცი (გადაიხრება წინ და უყურებს კაცის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

ახალგაზრდა კაცი (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

მოხუცი კაცი (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან... (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

ახალგაზრდა კაცი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! (ახედავს ხანშიშესულ კაცს) რატომ იცინით?!

მოხუცი კაცი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

ახალგაზრდა კაცი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

მოხუცი კაცი – თქვენ მართალი ხართ...

ახალგაზრდა კაცი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

მოხუცი კაცი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

ახალგაზრდა კაცი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

მოხუცი კაცი (განაგრძობს კითხვას) – კირჩხიბი... რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. იანვარი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

ახალგაზრდა კაცი – რატომ დადიხართ ღამე?!

მოხუცი კაცი – ვერაფერს იზამ...

ახალგაზრდა კაცი – ალბათ დაღლილი იქნებით!

მოხუცი კაცი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

ახალგაზრდა კაცი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

მოხუცი კაცი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

ახალგაზრდა კაცი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

მოხუცი კაცი – ჩემთვის სულერთია...

ახალგაზრდა კაცი – არის კიდევ ერთი ოთახი.
მოხუცი კაცი (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...
ახალგაზრდა კაცი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.
მოხუცი კაცი – მალე დაღამდება...
ახალგაზრდა კაცი – კაცი! არა! კაცი! არა! მკვდარი!
მოხუცი კაცი – (უყურებს კიბეებს) კარგი...
ახალგაზრდა კაცი – გასაღები არ არის!
მოხუცი კაცი – უკვე ღამდება...
ახალგაზრდა კაცი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე?!
მოხუცი კაცი – ვნახავ ოთახს...
ახალგაზრდა კაცი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!
მოხუცი კაცი – მე მივიღებ იმ ოთახს...
ახალგაზრდა კაცი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!
მოხუცი კაცი – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..
ახალგაზრდა კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!
მოხუცი კაცი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...
ახალგაზრდა კაცი – თქვენ გაქვთ საბუთები!
მოხუცი კაცი – ვიცი...
ახალგაზრდა კაცი – თქვენ რაღაც იცით?!
მოხუცი კაცი – არა... თქვენ მართალი ხართ...
ახალგაზრდა კაცი – თქვენი მოსვლის მიზანი!
მოხუცი კაცი – რომელი ოთახია?..
ახალგაზრდა კაცი – რას ეძებთ შენობაში?!
მოხუცი კაცი (უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..
ახალგაზრდა კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!
მოხუცი კაცი – მე მინდა ვნახო ის...
ახალგაზრდა კაცი – დაელოდეთ მას!
მოხუცი კაცი – დირექტორს?..
ახალგაზრდა კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!
მოხუცი კაცი – დაისვენეთ...
ახალგაზრდა კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
მოხუცი კაცი – ვნახავ იმ ოთახს...

ახალგაზრდა კაცი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!

მოხუცი კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

ახალგაზრდა კაცი – ის წევს იმ ოთახში!

მოხუცი კაცი (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამიღიმა...

ახალგაზრდა კაცი – იქ მკვდარია!

მოხუცი კაცი – მე მინდა, ვნახო ის...

ახალგაზრდა კაცი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს) – რა გნებავთ შენობაში?!

მოხუცი კაცი – მე მარტო ვარ...

ახალგაზრდა კაცი – ჩადექით რიგში!

მოხუცი კაცი – გაალვიძეთ დირექტორი...

ახალგაზრდა კაცი (თანაგრძნობით) – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!

მოხუცი კაცი – ვიცი... მე მიყვარს იგი...

ახალგაზრდა კაცი – შენ რაღაც თქვი?!

მოხუცი კაცი – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...

ახალგაზრდა კაცი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!

მოხუცი კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...

ახალგაზრდა კაცი – ვინ არის მკვდარი!

მოხუცი კაცი – (შეშინებული) მე მეგონა, რომ...

ახალგაზრდა კაცი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

მოხუცი კაცი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

ახალგაზრდა კაცი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

მოხუცი კაცი – მე ეს არ მითქვამს...

ახალგაზრდა კაცი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

მოხუცი კაცი – მე მინდა, ვნახო ის...

ახალგაზრდა კაცი – დაელოდე მას!

მოხუცი კაცი (გახარებული) – დირექტორს?..

ახალგაზრდა კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!

მოხუცი კაცი – დაისვენეთ...

ახალგაზრდა კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

მოხუცი კაცი – ვნახავ იმ ოთახს...

ახალგაზრდა კაცი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

მოხუცი კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

ახალგაზრდა კაცი – ის წევს იმ ოთახში!

მოხუცი კაცი – რომელი ოთახია?..

ახალგაზრდა კაცი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს), მას არა აქვს ნომერი!

მოხუცი კაცი – დირექტორი?..

ახალგაზრდა კაცი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

მოხუცი კაცი – მე მინდა, შევიდე მასთან...

ახალგაზრდა კაცი – ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

მოხუცი კაცი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

ახალგაზრდა კაცი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

მოხუცი კაცი – მიწისმზომელს?..

ახალგაზრდა კაცი – არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

მოხუცი კაცი – მე მინდა, ველაპარაკო მას...

ახალგაზრდა კაცი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

მოხუცი კაცი – მე ოთახი მინდა...

ახალგაზრდა კაცი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

მოხუცი კაცი – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა ბრუნავს. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში მოხუცი ქალი ჩანს. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, ახალგაზრდა კაცი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. მოხუცი კაცი გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. ახალგაზრდა კაცი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. მოხუცი ქალი მიდის მაგიდასთან. ჩერდება.

მოხუცი კაცი წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. მოხუცი ქალი დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს მოხუცი კაცის მუშაობას. მოხუცი კაცი ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ მოხუც ქალს. მერე ეკითხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

მოხუცი კაცი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

მოხუცი ქალი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს კაცის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

მოხუცი კაცი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, ილიმება გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

მოხუცი ქალი (გადაიხრება წინ და უყურებს კაცის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

მოხუცი კაცი (იღებს ცხვირსახოცს, იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა

შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

მოხუცი ქალი (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

მოხუცი კაცი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! (ახედავს ხანშიშესულ კაცს) რატომ იცინით?

მოხუცი ქალი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

მოხუცი კაცი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

მოხუცი ქალი – თქვენ მართალი ხართ...

მოხუცი კაცი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

მოხუცი ქალი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

მოხუცი კაცი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

მოხუცი ქალი (განაგრძობს კითხვას) – მარჩბივი.. რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. ივნისი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

მოხუცი კაცი – რატომ დადიხართ ღამე?!

მოხუცი ქალი – ვერაფერს იზამ...

მოხუცი კაცი – ალბათ დაღლილი იქნებით!

მოხუცი ქალი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

მოხუცი კაცი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

მოხუცი ქალი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე

ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

მოხუცი კაცი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

მოხუცი ქალი – ჩემთვის სულერთია...

მოხუცი კაცი – არის კიდევ ერთი ოთახი.

მოხუცი ქალი (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...

მოხუცი კაცი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

მოხუცი ქალი – მალე დაღამდება...

მოხუცი კაცი – კაცი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

მოხუცი ქალი (უყურებს კიბეებს) – კარგი..

მოხუცი კაცი – გასაღები არ არის!

მოხუცი ქალი – უკვე ღამდება...

მოხუცი კაცი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე!?

მოხუცი ქალი – ვნახავ ოთახს...

მოხუცი კაცი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!

მოხუცი ქალი – მე მივიღებ იმ ოთახს...

მოხუცი კაცი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

მოხუცი ქალი – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..

მოხუცი კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!

მოხუცი ქალი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...

მოხუცი კაცი – თქვენ გაქვთ საბუთები!

მოხუცი ქალი – ვიცი...

მოხუცი კაცი – თქვენ რაღაც იცით?!

მოხუცი ქალი – არა... თქვენ მართალი ხართ...

მოხუცი კაცი – თქვენი მოსვლის მიზანი!

მოხუცი ქალი – რომელი ოთახია?..

მოხუცი კაცი – რას ეძებთ შენობაში?!

მოხუცი ქალი (უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..

მოხუცი კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!

მოხუცი ქალი – მე მინდა, ვნახო ის...

მოხუცი კაცი – დაელოდეთ მას!

მოხუცი ქალი – დირექტორს?..

მოხუცი ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!
მოხუცი ქალი – დაისვენეთ...
მოხუცი კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
მოხუცი ქალი – ვნახავ იმ ოთახს...
მოხუცი კაცი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!
მოხუცი ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...
მოხუცი კაცი – ის წევს იმ ოთახში!
მოხუცი ქალი (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამიღიმა...
მოხუცი კაცი – იქ მკვდარია!
მოხუცი ქალი – მე მინდა, ვნახო ის...
მოხუცი კაცი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს.) – რა გნებავთ შენობაში?!
მოხუცი ქალი – მე მარტო ვარ...
მოხუცი კაცი – ჩადექით რიგში!
მოხუცი ქალი – გაალვიძეთ დირექტორი...
მოხუცი კაცი (თანაგრძნობით) – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!
მოხუცი ქალი – ვიცი... მე მიყვარს იგი...
მოხუცი კაცი – შენ რაღაც თქვი!?
მოხუცი ქალი – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...
მოხუცი კაცი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!
მოხუცი ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...
მოხუცი კაცი – ვინ არის მკვდარი!
მოხუცი ქალი – (შეშინებული) მე მეგონა, რომ...
მოხუცი კაცი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!
მოხუცი ქალი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.
მოხუცი კაცი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ

ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

მოხუცი ქალი – მე ეს არ მითქვამს...

მოხუცი კაცი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

მოხუცი ქალი – მე მინდა, ვნახო ის...

მოხუცი კაცი – დაელოდე მას!

მოხუცი ქალი (გახარებული) – დირექტორს?..

მოხუცი კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!

მოხუცი ქალი – დაისვენეთ...

მოხუცი კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

მოხუცი ქალი – ვნახავ იმ ოთახს...

მოხუცი კაცი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

მოხუცი ქალი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

მოხუცი კაცი – ის წევს იმ ოთახში!

მოხუცი ქალი – რომელი ოთახია?..

მოხუცი კაცი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

მოხუცი ქალი – დირექტორი?..

მოხუცი კაცი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

მოხუცი ქალი – მე მინდა, შევიდე მასთან...

მოხუცი კაცი – ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

მოხუცი ქალი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

მოხუცი კაცი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

მოხუცი ქალი – მიწისმზომელს?..

მოხუცი კაცი – არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

მოხუცი ქალი – მე მინდა, ველაპარაკო მას...

მოხუცი კაცი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

მოხუცი ქალი – მე ოთახი მინდა...

მოხუცი კაცი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

მოხუცი ქალი – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა ბრუნავს. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში ჩანს მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, მოხუცი კაცი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. მოხუცი ქალი გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. მოხუცი კაცი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში მიდის მაგიდასთან. ჩერდება. მოხუცი ქალი წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს მოხუცი ქალის მუშაობას. მოხუცი ქალი ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ მრგვალთავა ქალს მრგვალთავა ბავშვით ხელში. მერე ეკითხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მოხუცი ქალი სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება!

მოხუცი ქალი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს კაცის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

მოხუცი ქალი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ! თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც! (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, იღიმება გრძნობამორევით) შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ! ისეთი მადლობელი ვარ შენი!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (გადაიხრება წინ და უყურებს კაცის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა ველაპარაკო მას... მინდა ვიყო აქ... მის გვერდით...

მოხუცი ქალი (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

მოხუცი ქალი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! (ახედავს ხანშიშესულ კაცს) რატომ იცინით?!

მოხუცი ქალი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

მოხუცი ქალი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – თქვენ მართალი ხართ...

მოხუცი ქალი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

მოხუცი ქალი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (განაგრძობს კითხვას) – ქალწული... რა არის ეს?... მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. სექტემბერი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

მოხუცი ქალი – რატომ დადიხართ ღამე?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ვერაფერს იზამ...

მოხუცი ქალი – ალბათ დაღლილი იქნებით!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

მოხუცი ქალი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

მოხუცი ქალი (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ჩემთვის სულერთია...

მოხუცი ქალი – არის კიდევ ერთი ოთახი.

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...

მოხუცი ქალი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მალე დაღამდება...

მოხუცი ქალი – კაცი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

მოხუცი ქალი (უყურებს კიბეებს) – კარგი..

მოხუცი ქალი – გასაღები არ არის!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – უკვე ღამდება...

მოხუცი კაცი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ვნახავ ოთახს...

მოხუცი ქალი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მივიღებ იმ ოთახს...

მოხუცი ქალი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..

მოხუცი ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...

მოხუცი ქალი – თქვენ გაქვთ საბუთები!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ვიცი...

მოხუცი ქალი – თქვენ რაღაც იცით?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – არა... თქვენ მართალი ხართ...

მოხუცი ქალი – თქვენი მოსვლის მიზანი!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – რომელი ოთახია?..

მოხუცი ქალი – რას ეძებთ შენობაში?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..

მოხუცი ქალი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მინდა, ვნახო ის...

მოხუცი ქალი – დაელოდეთ მას!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – დირექტორს?..

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – დირექტორი თავის ოთახშია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – დაისვენეთ...

მოხუცი ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ვნახავ იმ ოთახს...

მოხუცი ქალი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

მოხუცი ქალი – ის წევს იმ ოთახში!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამიღიმა...

მოხუცი კაცი – იქ მკვდარია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მინდა, ვნახო ის...

მოხუცი ქალი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს.) – რა გნებავთ შენობაში?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მარტო ვარ...

მოხუცი ქალი – ჩადექით რიგში!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – გააღვიძეთ დირექტორი...

მოხუცი ქალი (თანაგრძნობით) – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ვიცი... მე მიყვარს იგი...

მოხუცი ქალი – შენ რაღაც თქვი?!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...

მოხუცი ქალი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...

მოხუცი ქალი – ვინ არის მკვდარი!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (შეშინებული) – მე მეგონა, რომ...

მოხუცი ქალი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა, პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

მოხუცი ქალი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე ეს არ მითქვამს...

მოხუცი ქალი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მინდა, ვნახო ის...

მოხუცი ქალი – დაელოდე მას!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (გახარებული) – დირექტორს?..

მოხუცი ქალი – დირექტორი თავის ოთახშია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – დაისვენეთ...

მოხუცი ქალი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ვნახავ იმ ოთახს...

მოხუცი ქალი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

მოხუცი ქალი – ის წევს იმ ოთახში!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – რომელი ოთახია?..

მოხუცი ქალი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – დირექტორი?..

მოხუცი ქალი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მინდა, შევიდე მასთან...

მოხუცი ქალი – ის ადრე მინისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

მოხუცი ქალი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მინისმზომელს?..

მოხუცი ქალი – არა! მინისმზომელი თავის ოთახშია!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე მინდა, ველაპარაკო მას...

მოხუცი ქალი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – მე ოთახი მინდა...

მოხუცი ქალი -– კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა ბრუნავს. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში შუახნის კაცი ჩანს. იგი ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავს კარებს. მიდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მივიდოდეს, მოხუცი ქალი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. ახალგაზრდა კაცი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. მოხუცი ქალი მიდის მაგიდასთან. ჩერდება. მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. შუახნის კაცი დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს, მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში ასწევს თავს. ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომ შუახნის კაცს. მერე ეკითხება. გაისმის სიცილი. მოსაუბრეები გულიანად იცინიან. მაგიდასთან მჯდარი მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში სწევს თავს, ყურადღებით ათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ ეკითხება:

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

შუახნის კაცი (უყურებს ასასვლელ კიბეებს. ხელს ადებს კაცის მხარს თანაგრძნობით) – ჩემთვის სულერთია...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, იღიმება გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

შუახნის კაცი (გადაიხრება წინ და უყურებს კაცის აცრემლებულ თვალებს) – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

შუახნის კაცი (ჩურჩულით) – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! (ახედავს ხანშიშესულ კაცს) რატომ იცინით?

მოხუცი ქალი (უყურებს კიბეებს) – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

შუახნის კაცი – თქვენ მართალი ხართ...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

შუახნის კაცი – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშე-

ნოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (ის მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

შუახნის კაცი (განაგრძობს კითხვას) – თევზი.. რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. მარტი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – რატომ დადიხართ ღამე?!

შუახნის კაცი – ვერაფერს იზამ...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ალბათ დაღლილი იქნებით!

შუახნის კაცი – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – დაწყნარდით! (ხელს ადეებს მის მხარს).

შუახნის კაცი – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (ეფერება მას ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

შუახნის კაცი – ჩემთვის სულერთია...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – არის კიდევ ერთი ოთახი.

შუახნის კაცი (გახარებული) – ვნახავ იმ ოთახს...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

შუახნის კაცი – მალე დაღამდება...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – კაცი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით (უყურებს კიბეებს) – კარგი...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – გასაღები არ არის!
შუახნის კაცი – უკვე ღამდება...
მოხუცი ქალი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე?!
შუახნის კაცი – ვნახავ ოთახს...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!
შუახნის კაცი – მე მივიღებ იმ ოთახს...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!
შუახნის კაცი – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!
შუახნის კაცი – ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – თქვენ გაქვთ საბუთები!
შუახნის კაცი – ვიცი...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – თქვენ რაღაც იცით?!
შუახნის კაცი – არა... თქვენ მართალი ხართ...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – თქვენი მოსვლის მიზანი!
შუახნის კაცი – რომელი ოთახია?..
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – რას ეძებთ შენობაში?!
შუახნის კაცი (უყურებს კიბეებს) – რა ნომერია?..
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!
შუახნის კაცი – მე მინდა, ვნახო ის...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – დაელოდეთ მას!
შუახნის კაცი – დირექტორს?..
შუახნის კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!
შუახნის კაცი – დაისვენეთ...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
შუახნის კაცი – ვნახავ იმ ოთახს...
მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!

შუახნის კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ის წევს იმ ოთახში!

შუახნის კაცი (უყურებს კიბეებს) – მე ბედმა გამიღიმა...

მოხუცი კაცი – იქ მკვდარია!

შუახნის კაცი – მე მინდა, ვნახო ის...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს) – რა გნებავთ შენობაში?!

შუახნის კაცი – მე მარტო ვარ...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ჩადექით რიგში!

შუახნის კაცი – გააღვიძეთ დირექტორი...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (თანაგრძნობით) – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!

შუახნის კაცი – ვიცი... მე მიყვარს იგი...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – შენ რაღაც თქვი?!

შუახნის კაცი – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!

შუახნის კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ვინ არის მკვდარი!

შუახნის კაცი (შეშინებული) – მე მეგონა, რომ...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

შუახნის კაცი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

შუახნის კაცი – მე ეს არ მითქვამს...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

შუახნის კაცი – მე მინდა, ვნახო ის...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – დაელოდე მას!

შუახნის კაცი (გახარებული) – დირექტორს?..

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – დირექტორი თავის ოთახშია!

შუახნის კაცი – დაისვენეთ...

მრგვ .ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

შუახნის კაცი – ვნახავ იმ ოთახს...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

შუახნის კაცი – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ის წევს იმ ოთახში!

შუახნის კაცი – რომელი ოთახია?..

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს), მას არა აქვს ნომერი!

შუახნის კაცი – დირექტორი?..

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

შუახნის კაცი – მე მინდა, შევიდე მასთან...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

შუახნის კაცი – არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

შუახნის კაცი – მიწისმზომელს?..

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

შუახნის კაცი – მე მინდა, ველაპარაკო მას...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

შუახნის კაცი – მე ოთახი მინდა...

მრგვ. ქალი მრგვ. ბავშვით ხელში – კარგით! მე შეგიშვებთ მასთან!

შუახნის კაცი – ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ!

კარის სახელური ნელა ბრუნავს. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში მე ვჩანვარ. მე ნელა შემოვდივარ, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ვხურავ კარებს. მივდივარ მაგიდასთან. ვიდრე მე მაგიდამდე მივიდოდე, მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. შუახნის კაცი გარს უვლის მაგიდას, უჯდება მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებს უჯრას. ამოალაგებს დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერის ყურადღებით. მრგვალთავა ქალი მრგვალთავა ბავშვით ხელში ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. მე მივდივარ მაგიდასთან. ვჩერდები. შუახნის კაცი წერს რაღაცას დავთარში, ჩაძირული თავის საქმეში. მე ვდგავარ უხმოდ მაგიდის წინ. ვადევნებ თვალს შუახნის კაცის მუშაობას. შუახნის კაცი ასწევს თავს. ყურადღებით მათვალიერებს, მის წინ მდგომს. მერე მეკითხება. მხიარულად ვიცინით მოსაუბრეები. გულიანად ვიცინით. მაგიდასთან მჯდარი შუახნის კაცი სწევს თავს, ყურადღებით მათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ მეკითხება!

შუახნის კაცი (თვალს ავლებს თავის დავთარს) – ვერაფერს იზამ!

მე ვუყურებ ასასვლელ კიბეებს, ხელს ვადებ შუახნის კაცის მხარს და თანაგრძნობით ვეუბნები – ჩემთვის სულერთია...

შუახნის კაცი (ისწორებს თმებს) – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი ერევა. ხელს ადებს მის ხელს, მხარზე რომ ადევს, იღიმება გრძნობამორევით)... შენ

ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

მე გადავიხრები წინ, და შევხედავ კაცის აცრემლებულ თვალებს – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

შუახნის კაცი (იღებს ცხვირსახოცს. იწმენდს თვალებს) – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! (ის სულ უფრო და უფრო უმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას).

მე ვჩურჩულებ – მე მინდა, ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან (მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა)...

შუახნის კაცი (ჯდება თავის ადგილას. იღებს დავთარს. წერს) – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! (ახედავს ხანშიშესულ კაცს) რატომ იცინით?

მე ვუყურებ კიბეებს – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

შუახნის კაცი (იგივე გამომეტყველებით) – რატომ იცინით?

მე ვამბობ – თქვენ მართალი ხართ...

შუახნის კაცი – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

მე ვამბობ – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (მივდივარ საათთან. ვკითხულობ ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

შუახნის კაცი (ავსებს დავთარს) – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

მე განვაგრძობ კითხვას – ლომი.. რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. აგვისტო.. შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

შუახნის კაცი – რატომ დადიხართ ღამე?!

მე ვამბობ – ვერაფერს იზამ...

შუახნის კაცი – ალბათ დაღლილი იქნებით!

მე ვამბობ – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

შუახნის კაცი – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

მე ვამბობ – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

შუახნის კაცი (მეფერება ვნებიანად) – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

მე ვამბობ – ჩემთვის სულერთია...

შუახნის კაცი – არის კიდევ ერთი ოთახი.

მე გახარებული ვამბობ – ვნახავ იმ ოთახს...

შუახნის კაცი – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

– მალე დაღამდება... – ვამბობ მე.

შუახნის კაცი – კაცი! არა! კაცი! არა! მკვდარი!

მე ვუყურებს კიბეებს და – კარგი.. – ვამბობ მე.

შუახნის კაცი – გასაღები არ არის!

მე ვამბობ – უკვე ღამდება...

შუახნის კაცი (თანაგრძნობით) – რატომ დადიხართ ღამე?!

მე ვამბობ – ვნახავ ოთახს...

შუახნის კაცი (ფურცლავს დავთარს. დუმს) – მას არა აქვს ნომერი!

– მე მივიღებ იმ ოთახს... – ვამბობ მე.

შუახნის კაცი – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

მე ვამბობ – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..

შუახნის კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!

– ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება... – ვამბობ მე

შუახნის კაცი – თქვენ გაქვთ საბუთები!

– ვიცი... – ვამბობ მე.

შუახნის კაცი – თქვენ რაღაც იცით?!

– არა... – ვამბობ მე, – თქვენ მართალი ხართ...

შუახნის კაცი – თქვენი მოსვლის მიზანი!

მე – რომელი ოთახია?..

შუახნის კაცი – რას ეძებთ შენობაში?!
მე ვუყურებს კიბეებს და ვამბობ – რა ნომერია?..
შუახნის კაცი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!
მე ვამბობ – მე მინდა, ვნახო ის...
შუახნის კაცი – დაელოდეთ მას!
მე – დირექტორს?..
შუახნის კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!
მე ვამბობ – დაისვენეთ...
შუახნის კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
– ვნახავ იმ ოთახს... – ვამბობ მე.
შუახნის კაცი – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!
– მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...
შუახნის კაცი – ის წევს იმ ოთახში!
ვუყურებს კიბეებს და ვამბობ – მე ბედმა გამიღიმა...
მოხუცი კაცი – იქ მკვდარია!
- მე მინდა, ვნახო ის...
შუახნის კაცი (იღებს უჯრიდან ქაღალდებს. დებს მაგიდაზე. წერს.) – რა გნებავთ შენობაში?!
– მე მარტო ვარ...
შუახნის კაცი – ჩადექით რიგში!
– გააღვიძეთ დირექტორი... – ვამბობ მე.
შუახნის კაცი (თანაგრძნობით) – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!
– ვიცი... მე მიყვარს იგი...
შუახნის კაცი – შენ რაღაც თქვი?!
მე ვამბობ – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...
შუახნის კაცი – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!
– მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია... – ვთქვი მე.
შუახნის კაცი – ვინ არის მკვდარი!
– მე მეგონა, რომ... – დავიწყე შეშინებულმა.
შუახნის კაცი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

მე ვამბობ – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა, პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

შუახნის კაცი – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

– მე ეს არ მითქვამს... – ვამბობ მე.

შუახნის კაცი (დაყვავებით) – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

– მე მინდა, ვნახო ის...

შუახნის კაცი – დაელოდე მას!

გახარებული ვამბობ – დირექტორს?..

შუახნის კაცი – დირექტორი თავის ოთახშია!

– დაისვენეთ...

შუახნის კაცი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

მე – ვნახავ იმ ოთახს...

შუახნის კაცი – კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

– მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

შუახნის კაცი – ის წევს იმ ოთახში!

– რომელი ოთახია?..

შუახნის კაცი – ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

– დირექტორი?..

შუახნის კაცი – ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

– მე მინდა, შევიდე მასთან...

შუახნის კაცი – ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

– არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

შუახნის კაცი – მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

– მიწისმზომელს?..

შუახნის კაცი – არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

– მე მინდა, ველაპარაკო მას...

შუახნის კაცი – რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

– მე ოთახი მინდა... – ვამბობ მე.

შუახნის კაცი – კარგით! მე შეგიშვებ მასთან!

– ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ! – ვთქვი მე.

კარის სახელური ნელა ბრუნავს. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში შენ ჩანხარ. შენ ნელა შემოდიხარ, გვერდულად, შენობაში. მოკრძალებით ხურავ კარებს. მოდიხარ მაგიდასთან. ვიდრე შენ მაგიდამდე მიხვიდოდე, შუახნის კაცი დგება მაგიდიდან, ალაგებს უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, იღებს გასაღებს და მიდის კიბეებისაკენ. მე გარს ვუვლი მაგიდას, ვუჯდები მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით ვაღებ უჯრას. ამოვალაგებ დავთრებსა და ქაღალდებს. დავცქერი ყურადღებით. შუახნის კაცი ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე. შენ მოდიხარ მაგიდასთან. ჩერდები. მე ვწერ ამას დავთარში, ჩაძირული ჩემს საქმეში. შენ დგახარ უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებ თვალს ჩემს მუშაობას. მე ავწევ თავს. ყურადღებით გათვალიერებ ჩემ წინაშე მდგომს. მერე გეკითხები. მხიარულად ვიცინით მოსაუბრეები. გულიანად ვიცინით. მაგიდასთან მჯდარი სწევს თავს, ყურადღებით გათვალიერებს მის წინ მდგომს. შემდეგ გეკითხება!

მე (თვალს ვავლებ ჩემს დავთარს) – ვერაფერს იზამ!

შენ უყურებ ასასვლელ კიბეებს, ხელს ადებ ჩემს მხარს და თანაგრძნობით მეუბნები – ჩემთვის სულერთია...

მე ვისწორებ თმებს და ვამბობ – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი მერევა. ხელს ვადებ შენს ხელს, მხარზე რომ მადევს, ვიღიმები გრძნობამორევით)... შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ!... ისეთი მადლობელი ვარ შენი!...

შენ გადმოიხრები წინ, და შეხედავ ჩემს აცრემლებულ თვალებს და იტყვი – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

მე ვილებ ცხვირსახოცს და ვიწმენდ თვალებს – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! მე სულ უფრო და უფრო ვუმატებს ხმას. დგება ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას.

შენ ჩურჩულებ – მე მინდა ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან... შენი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა...

მე ვჯდები ჩემს ადგილას. ვილებ დავთარს. ვწერ – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! აგხედავ შენ და გეტყვი – რატომ იცინით?

შენ უყურებ კიბეებს – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

მე იგივე გამომეტყველებით გეუბნები – რატომ იცინით?

შენ ამბობ – თქვენ მართალი ხართ...

მე – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

შენ ამბობ – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... შენ შენობაში და მეც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (მივდივარ საათთან. ვკითხულობ ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

მე ვავსებს დავთარს – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

მე განვაგრძობ კითხვას – მშვილდოსანი. რა არის ეს? მე ვიცი... მე ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. დეკემბერი.. შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... მე მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე... (ბრუნდება მაგიდასთან).

მე – რატომ დადიხართ ღამე?!

შენ ვამბობ – ვერაფერს იზამ...

მე – ალბათ დაღლილი იქნებით!

შენ ამბობ – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

მე – დაწყნარდით! (ხელს ადებს მის მხარს).

შენ ამბობ – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... მე

ვიქნები თქვენი მეგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... მეცხედრე...

მე გეფერები ვნებიანად – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნილია!

შენ ამბობ – ჩემთვის სულერთია...

მე – არის კიდევ ერთი ოთახი.

შენ გახარებული ამბობ – ვნახავ იმ ოთახს...

მე – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

– მალე დაღამდება... – ამბობ შენ.

მე განვაგრძობ – შუახნის კაცი! არა! ქალი! არა! მკვდარი!

შენ უყურებს კიბეებს და – კარგი... – ამბობ შენ.

მე – გასაღები არ არის!

შენ ამბობ – უკვე ღამდება...

მე თანაგრძნობით გეუბნები – რატომ დადიხართ ღამე?!

შენ ამბობ – ვნახავ ოთახს...

მე ვფურცლავ დავთარს. ვდუმვარ. – მას არა აქვს ნომერი!

– მე მივიღებ იმ ოთახს... – ამბობ შენ.

მე – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!

შენ ამბობ – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანებთ?..

მე – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!

– ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება... – ამბობ შენ.

მე ვამბობ – თქვენ გაქვთ საბუთები!

– ვიცი... – ამბობ შენ.

მე ვამბობ – თქვენ რაღაც იცით?!

– არა... – ამბობ შენ, – თქვენ მართალი ხართ...

მე ვამბობ – თქვენი მოსვლის მიზანი!

შენ ამბობ – რომელი ოთახია?..

მე ვიტყვი – რას ეძებთ შენობაში?!

შენ უყურებ კიბეებს და ამბობ – რა ნომერია?..

მე ვიტყვი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!

შენ ამბობ – მე მინდა, ვნახო ის...

მე ვთქვი – დაელოდეთ მას!

შენ – დირექტორს?..

მე ვთქვი – დირექტორი თავის ოთახშია!

შენ ამბობ – დაისვენეთ...

მე გითხარი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

– ვნახავ იმ ოთახს... – ამბობ შენ.

მე – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!

შენ – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

მე – ის წევს იმ ოთახში!

შენ უყურებ კიბეებს და ამბობ – მე ბედმა გამიღიმა...

მე – იქ მკვდარია!

შენ – მე მინდა, ვნახო ის...

მე ვიღებ უჯრიდან ქაღალდებს. ვდებ მაგიდაზე. ვწერ. – რა გნებავთ შენობაში!?

– მე მარტო ვარ...

მე გეტყვი – ჩადექით რიგში!

– გააღვიძეთ დირექტორი... – მეტყვი შენ.

მე თანაგრძნობით გითხარი – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!

– ვიცი... მე მიყვარს იგი... – მითხარი შენ.

მე ვამბობ – შენ რაღაც თქვი?!

შენ ამბობ – არა... მე გელოდები შენ. შენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...

მე – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!

– მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია... – თქვი შენ.

– ვინ არის მკვდარი! – ვთქვი მე.

– მე მეგონა, რომ... – დაიწყე შეშინებულმა.

მე გეტყოდი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

შენ მეტყოდი – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

მე – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

– მე ეს არ მითქვამს... – ამბობ შენ.

მე დაყვავებით – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

– მე მინდა, ვნახო ის...

– დაელოდე მას!

გახარებული ამბობ – დირექტორს?..

– დირექტორი თავის ოთახშია!

– დაისვენეთ...

– თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

– ვნახავ იმ ოთახს...

– კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

– მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

– ის წევს იმ ოთახში!

– რომელი ოთახია?..

– ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერის დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

– დირექტორი?..

– ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

– მე მინდა, შევიდე მასთან...

– ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

– არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

– მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

– მიწისმზომელს?..

– არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

– მე მინდა, ველაპარაკო მას...

– რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარით!

– მე ოთახი მინდა... – ამბობ შენ.

– კარგით! მე შეგიშვებ მასთან! – ვამბობ მე.

– ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ! – თქვი შენ.

კარის სახელური ნელა ბრუნავს. ისმის გასაღების ჩხაკუნი. კარი ნელა, მორიდებით, შეპარვით იღება. ჭრილში ის ჩანს. ის ნელა შემოდის, გვერდულად, შენობაში. მოკრძა-

ლებით ხურავს კარებს. მოდის მაგიდასთან. ვიდრე ის მაგიდამდე მოვიდოდეს, მე ვდგები მაგიდიდან, ვალაგებ უჯრაში დავთრებსა და ქაღალდებს, ვიღებ გასაღებს და მივდივარ კიბეებისაკენ. შენ გარს უვლი მაგიდას, უჯდები მას და ჯიბიდან ამოღებული გასაღებით აღებ უჯრას. ამოალაგებ დავთრებსა და ქაღალდებს. დასცქერი ყურადღებით. მე ავდივარ ფართო მარმარილოს კიბეებზე. ის მოდის მაგიდასთან. ჩერდება. შენ წერ ამას დავთარში, ჩაძირული შენს საქმეში. ის დგას უხმოდ მაგიდის წინ. ადევნებს თვალს შენს მუშაობას. შენ ასწევ თავს. ყურადღებით ათვალიერებ შენ წინაშე მდგომს. მერე ეკითხები. მხიარულად იცინით მოსაუბრეები. გულიანად ვიცინით. მაგიდასთან მჯდარი სწევ თავს, ყურადღებით ათვალიერებ შენ წინ მდგომს. შემდეგ ეკითხები!

შენ (თვალს ავლებ შენს დავთარს) – ვერაფერს იზამ!

ის უყურებს ასასვლელ კიბეებს, ხელს ადებს შენს მხარს და თანაგრძნობით გეუბნება – ჩემთვის სულერთია...

შენ ისწორებ თმებს და ამბობ – თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ეს?.. თქვენ ბედმა გაგიღიმათ... თავი შეაფარო შენობას იმ მომენტში, როდესაც (ცრემლი გერევა. ხელს ადებ მის ხელს, მხარზე რომ გადევს, ვიღიმები გრძნობამორევით) შენ ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ!.. ისეთი მადლობელი ვარ შენი!..

ის გადმოიხრება წინ, და შეხედავს შენს აცრემლებულ თვალებს და იტყვის – მე მინდა, ველაპარაკო მას... მინდა, ვიყო აქ... მის გვერდით...

შენ იღებს ცხვირსახოცს და ინმენდ თვალებს – ჩვენ ყველას გვიყვარს ის! მან ააგო შენობა! მან მოგვიყვანა შენობის სინათლეში! მან გვიხსნა ჩვენ! შენ სულ უფრო და უფრო უმატებ ხმას. დგები ფეხზე სიტყვების წარმოთქმისას.

ის ჩურჩულებს – მე მინდა ვნახო ის... მე მინდა, მიყვარდეს იგი... მე მინდა, ვიყო შენობის სინათლეში... მე მინდა, მიხსნას მან... მისი ხმა ჟღერს შთაგონებულად, მტკიცედ, ხმამაღლა...

შენ ჯდები შენს ადგილას. იღებ დავთარს. წერ – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია! ახედავ მას და ეტყვი – რატომ იცინით?

ის უყურებ კიბეებს – ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემთვის...

შენ იგივე გამომეტყველებით ეუბნები – რატომ იცინით?

ის ამბობს – თქვენ მართალი ხართ...

შენ – და თქვენ მაინც თქვენსას ადგახართ?!

ის ამბობს – უკვე ღამეა... წარმოიდგინეთ ისინი, რომლებიც მარტოდმარტო დადიან... არა, დაწრწიან... არა, დახეტიალებენ... თვითონ... შენობის გარეთ... უშენობოდ... უშენოდ... შენობის უპოვნელად... ჩვენ კი აქა ვართ... მე შენობაში და შენც შენობაში... რა ბედნიერებაა... მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ დღეს (მიდის საათთან. კითხულობს ხმამაღლა, მგზნებარედ)... ჩვიდმეტი... რა არის ეს?

შენ ავსებს დავთარს – ცარგვალის შემობრუნების პერიოდი.

ის განაგრძობს კითხვას – ღრიანკალი. რა არის ეს? შენ ვიცი... შენ ვიცი... ხელს ხომ არ გიშლით?.. ნოემბერი... შვიდი... დღის სამი საათი... ზუსტად... შენ მინდა, სამუდამოდ დავიმახსოვრო ეს დღე (ბრუნდება მაგიდასთან)...

შენ – რატომ დადიხართ ღამე?!

ის ამბობს – ვერაფერს იზამ...

შენ – ალბათ დაღლილი იქნებით!

ის ამბობს – უკვე ღამდება და დასაძინებელი არა მაქვს...

შენ – დაწყნარდით! (ხელს ადებ მის მხარს).

ის ამბობს – აქ სადმე ერთი ოთახი გეგულებათ... შენობაში... პატარა კუთხე... თქვენ შეგიძლიათ... და მაშინ... შენ ვიქნები თქვენი შენგობარი... ამხანაგი... მოსამსახურე... ხელქვეითი... მონა... შენცხედრე...

შენ ეფერები ვნებიანად – მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს. მაგრამ ის დაჯავშნულია!

ის ამბობს – ჩემთვის სულერთია...

შენ – არის კიდევ ერთი ოთახი.

ის გახარებული ამბობს – ვნახავ იმ ოთახს...

შენ – მაგრამ იქ იპოვეს მკვდარი.

– მალე დაღამდება... – ამბობს ის.

შენ განვაგრძობ – მე! არა! შენ! არა! ის! არა! მკვდარი!

ის უყურებს კიბეებს და – კარგი.. - ამბობს ის.
შენ – გასაღები არ არის!
ის ამბობს – უკვე ღამდება...
შენ თანაგრძნობით ეუბნები – რატომ დადიხართ ღამე?!
ის ამბობს – ვნახავ ოთახს...
შენ ფურცლავ დავთარს. დუმხარ. – მას არა აქვს ნომერი!
– მე მივიღებ იმ ოთახს... – ამბობს ის.
შენ – არ არის ოთახი! ყველა ადგილი დაკავებულია!
ის ამბობს – დაგასაჩუქრებთ... რა ბრძანეთ?..
შენ – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს?!
– ნუ სწუხართ... არაფერი არ მოხდება... – ამბობს ის.
შენ ვამბობ – თქვენ გაქვთ საბუთები!
– ვიცი... – ამბობს ის.
შენ ვამბობ – თქვენ რაღაც იცით?!
– არა... – ამბობს ის, – თქვენ მართალი ხართ...
შენ ვამბობ – თქვენი მოსვლის მიზანი!
ის ამბობს – რომელი ოთახია?..
შენ იტყვი – რას ეძებთ შენობაში?!
ის უყურებს კიბეებს და ამბობს – რა ნომერშია?..
შენ ვიტყვი – მაგრამ იქ რომ მკვდარი იპოვეს!
ის ამბობს – მე მინდა, ვნახო ის...
შენ თქვი – დაელოდეთ მას!
ის – დირექტორს?..
შენ ვთქვი – დირექტორი თავის ოთახშია!
ის ამბობს – დაისვენეთ...
შენ უთხარი – თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!
– ვნახავ იმ ოთახს... – ამბობს ის.
შენ – კარგით! მაგრამ იქ მკვდარია!
ის – მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...
შენ – ის წევს იმ ოთახში!
ის უყურებს კიბეებს და ამბობს, – მე ბედმა გამიღიმა...
შენ – იქ მკვდარია!
ის – მე მინდა, ვნახო ის...
შენ იღებ უჯრიდან ქაღალდებს. დებ მაგიდაზე. წერ: – რა გნებავთ შენობაში?!

– მე მარტო ვარ...

შენ ეტყვი – ჩადექით რიგში!

– გაალვიძეთ დირექტორი... – გეტყვის ის.

შენ თანაგრძნობით უთხარი – მას არ სძინავს! მას არასოდეს არ სძინავს!

– ვიცი... შენ მიყვარს იგი... – გითხრა მან.

შენ ამბობ – შენ რაღაც თქვი?!

ის ამბობს – არა... მე გელოდებით თქვენ... თქვენ თქვით, რომ გაქვთ ოთახი შენობაში...

შენ – განა ეს მე ვთქვი! შენ გინდოდა დირექტორის ნახვა! მე გითხარი: მისი ნახვა ყველას უნდა!

– მაგრამ თქვენ თქვით, რომ ის მკვდარია... – თქვა მან.

– ვინ არის მკვდარი! – თქვი შენ.

– მე მეგონა, რომ... – დაიწყო შეშინებულმა.

შენ ეტყოდი – იყო აქ ერთი! იმასაც უნდოდა დირექტორის ნახვა!

ის გეტყოდა – მე მოვედი თქვენთან. მე მინდა, დავსახლდე შენობაში. მინდა პატარა ოთახი შენობაში. კუნჭული. და თქვენ თქვით, რომ ამის გარეშე შეუძლებელია.

შენ – მან ათასამდე განცხადება გააკეთა ამის თაობაზე! მეტად მომზადებული იყო შენობისთვის! მაგრამ ვიდრე ერთი განცხადება მიაღწევდა დანიშნულებისამებრ, ის მეორეს წერდა! დირექტორი აქ არაფერ შუაშია!

– მე ეს არ მითქვამს... – ამბობს ის.

შენ დაყვავებით – მე არ მითქვამს, რომ შენ თქვი ეს! მე ვთქვი, რომ ადრე ის მიწისმზომელად მუშაობდა! ყველას უყვარდა! შენობა მისი მიზანი იყო!

– მე მინდა, ვნახო ის...

– დაელოდე მას!

გახარებული ამბობს – დირექტორს?..

– დირექტორი თავის ოთახშია!

– დაისვენეთ...

– თქვენი საბუთები სრულ წესრიგშია!

– ვნახავ იმ ოთახს...

– კარგი! მაგრამ იქ მკვდარია!

– მაგრამ თქვენ თქვით, რომ მკვდარი სხვა ოთახშია...

– ის წევს იმ ოთახში!

– რომელი ოთახია?..

– ჩვიდმეტი! არა, ოცდაოთხი! არა, ოცდაჩვიდმეტი! (ჩასცქერი დავთარს) მას არა აქვს ნომერი!

– დირექტორი?..

– ის არ გამოაქვთ ოთახიდან!

– მე მინდა, შევიდე მასთან...

– ის ადრე მიწისმზომელად მუშაობდა! მე უკვე გითხარი!

– არა, არ გითქვამთ... თქვენ თქვით, რომ მისი მიზანი იყო შენობაში ყოფნა...

– მას ორი ნატყვიარი აქვს ფერდში!

– მიწისმზომელს?..

– არა! მიწისმზომელი თავის ოთახშია!

– მე მინდა, ველაპარაკო მას...

– რატომ დადიხართ მარტო? მოდით შენობაში! მე ხომ გითხარი!

– მე ოთახი მინდა... - ამბობს ის.

– კარგით! მე შეგიშვებ შენ მასთან! – ამბობ შენ.

– ეს დღე უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში... მე შენობაში ვარ! – თქვა მან.

*

ამ საუბრის განმავლობაში გამოირკვა, რომ დირექტორი მოკლეს. მაგრამ ვის ეხება სიტყვები: „ყველა ცოცხალზე ცოცხალია", ან კიდევ: „მის ოთახს უკავია ოთხასი კვადრატული მეტრი, მაგრამ მასში ეტევა მთელი შენობა". ან იქნებ, მკვდარი – მიწისმზომელია... ის კი ყველა ცოცხალზე ცოცხალია. თუ დირექტორია მიწისმზომელი? ის კი წევს ოთახში. ხოლო დირექტორს სძინავს. შესაძლოა, იგი თვითონაა. მაგრამ მას არასოდეს არ სძინავს... შეიძლება, მკვდარი შენა ხარ... მაგრამ ვინ კითხულობს ახლა ამას?.. ქაღალდზე გამოყვანილ სიტყვას არ შეუძლია, აღნიშნოს იმაზე მეტი, რასაც აღნიშნავს... შეიძლება, ის მე ვარ... ან შენი საკუთარი ოპერაციებია

კითხვის დროს... შეგიძლია, შეაბრუნო პროცესი... ყველაფერი ეს ხდება ქალალდის გარეთ... შენს სივრცეში... იმ დროის განმავლობაში, რომელსაც ქმნიან შენი ოპერაციონალური თვითჩამკეტი სტრუქტურები... შეგიძლია, დაუბრუნდე პირველ სიტყვებს... სულ პირველ ბგერას... პირველ ასოს... დილით, როდესაც განათდა, მან გაიღვიძა ძლიერი სინათლისაგან, რომელიც უზარმაზარი ფანჯრიდან იჭრებოდა მის ოთახში. ის აქ გვიან ღამით მოვიდა: მთვარის ჩასვლამდე დახრაშუნობდა მისი ორი ფეხი ზღვისპირის ქაფში... მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ მოსცილებია გვერდიდან პატარა ბუნჩულა ლეკვი. ის მხიარულად დახტოდა მის ფეხებთან, მაგრამ, როდესაც მან წასვლა დააპირა, სადღაც გაუჩინარდა... შემდეგ ის ნელა მიდიოდა სახლისაკენ ჩამოღამებულ ღამეში ტყით, ვიდრე შორს არ შენიშნა შენობის მკრთალი სინათლე. თვითონ შენობა გარშემორტყმული იყო ბაღით და არ ჩანდა მის სიღრმეში.

ის მოძრაობს მისი მიმართულებით... მოციმციმე სინათლე მსუბუქად ანათებს დიდ ოთხკუთხა ფილებს, რომელთა ღარებში ჩანს მოწითალო ხავსი... ის დგას შესასვლელში. ფეხი, გრძელი, ელასტიური და მოძრავი თითებით მძლავრად ეყრდნობა განათებულ ქვაფენილს. მეორე ფეხი გადგმულია განზე და ოდნავ უკან. სინათლის ყვითელი ლაქები მუხლზე... თეძოზე... ხელის მტევანზე... მკერდზე... და ყვრიმალებზე. მისი თავი მაღლაა აწეული... მარჯვენა ხელი გაწვდილი მთელს სიგრძეზე. ხელში ჩირაღდანი... ანათებს მის ბრინჯაოსფერ სახეს და სხეულის თხელ კანს, რომლის შიგნით ჩანს კუნთების დაძაბული მასები. მისი სხეული მოძრაობს მისი სხეულის მოძრაობის მიმართულებით. ხელი მსუბუქად ეხება მისი ფეხის თითებს... თითების ცივი ბრინჯაო... ხელის შეგრძნების დონეზე... მისი თვალები მიცოცავენ მისი თვალების კვალდაკვალ... უკნიდანაც განათებულია ის მოყვითალო სინათლით... რომლის ბურუსში გახვეული მთელი სხეული გაქვავებულა ერთიან მძლავრ მოძრაობაში... მის წინ არის ის, რაც არის მის უკან... შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი... პალმების შიშველი სხეული... ქოლგებად გადმოკიდული ფოთ-

ლების ქოლგებად გადმოკიდული გამხდარ სხეულზე... ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული მოძრაობს ის მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც ერთიმეორეში გადადიან მის ორივე მხარეს...

ის განათებულია სიმეტრიულად განლაგებული სინათლის ბოძებით... ისინი დგანან ტოტებგადმოცვენილ ტირიფებს შორის და მათი სინათლე ძლივს სწვდება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე... მის გასწვრივ... მონტბრეცია... დაჰლია... პომპონდაჰლია... სამტბლუმი... ლოვენმაული... სტუდენტენბლუმი... შტოკმალვა... შტიფმუტერხენ... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... აურიკელი... პლოქსი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... ტოლკირხე... ჰერბცატლოსე... სტეხაპელი... სტივენბლუმი... შლაფმოჰნ... კლივი... ამარილის... როტკლეე... ბრენენდე ლიებე... რილკებეერე...

ძაღლი ნელა უახლოვდება მას... ის განაგრძობს სვლას მისი მიმართულებით... ფურცლები იპნევა თითებიდან, მაგრამ სიბნელეში ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ის მოათრევს მსხვილ ჯაჭვს გაბურძგნულ კისერზე... ჯაჭვი უხმაუროდ მიცოცავს ბალახებში და ფეხებში ებლანდება... გზა მიიმართება აუზის ირგვლივ და შედის ბამბუკების ხეივანში... ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის ფეხებს და მარჯვნივ შეუხვია... შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა, თავი მოაბრუნა და დიდხანს უყურებდა ხეივანში მიმავალის ზურგს... სინათლე ახლა ფეხებს უნათებდა. მეორე მხრივ, ის ანათებს გზასაც და ჩარიგებული ხეების ფესვებსაც. მიწიდან ამოშვერილი, გადაზნექილი, ერთმანეთში გადახლართული წნულები განათებული ერთგვაროვანი სინათლით. ყველა მხრიდან. უჩრდილოდ. მისი სხეული ეყრდნობა მისი სხეულის სივრცეს მუხლებს ზევით. მრგვალთავა ბავშვი მრგვალთავა ქალის კალთაში. ისინი სხედან მასიურ კუბზე და მისი ფეხები დევს კვარცხლბეკის ხორკლიან ზედაპირზე. მათი მზერა მიმართულია პირდაპირ. სინათლე ისე ეცემა მათ ფიგურებს, რომ მოჩანს მხოლოდ ქალის მრგვალი მუხლები, ხელი, რომელიც მას ბავშვის მხარზე უდევს ფრთხილად, ბავშვის სახე, მხარი

და ფეხები. ის აბრუნებს თავს. თვალის კიდეში იგი ხედავს, როგორ სცილდება თანდათან იქაურობას მისი ტანი, მიდის მარჯვნივ და თანდათან უჩინარდება სიბნელეში. მის წინ არის ის, რაც არის მის უკან. შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი... პალმების შიშველი სხეული... ქოლგებად გადმოკიდული ფოთლების ქოლგებად გადმოკიდული გამელელ სხეულზე... ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული მოძრაობს ის მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც ერთიმეორეში გადადიან მის ორივე მხარეს...

ის განათებულია სიმეტრიულად განლაგებული სინათლის ბოძებით... ისინი დგანან ტოტებგადმოცვენილ ტირიფებს შორის და მათი სინათლე ძლივს სწვდება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე... მისი ხელების გასწვრივ... მონტბრეცია... პომპონდაჰლია... სამტბლუმი... ლოვენმაული... ინფერნალია... სტუდენტენბლუმი... ფლაგელუმ... შტოკმალვა... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... აურიკელი... კორნბლუმი... პლოქსი... ბლუმდედალუსი... მიხაკი... კლივი... როტკლეე... შტიფმუტერხენ... მოლესმანუს დიპლოია... ტოლკირხე... ჰერბცაიტლოსე... სტეხაპელი... სტივენბლუმი... შლაფმოჰნ... ამარილის...ბრენენდე ლიებე... რილკებეერი... იკვლივი... სტივენბლუმი... ლოსტაკო... ძაღლი ნელა უახლოვდება მას... ის განაგრძობს სვლას მისი მიმართულებით... ფურცლები იპნევა თითებიდან, მაგრამ სიბნელეში ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან... ძუნძულით მოჰყვება უკან... ის მოათრევს მსხვილ ჯაჭვს გაბურძგნულ კისერზე... ჯაჭვი უხმაუროდ მიცოცავს ბალახებში და ფეხებში ებლანდება... გზა მიიმართება აუზის ირგვლივ და შედის კიპაროსების ხეივანში... ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის ფეხებს და მარცხნივ შეუხვია... შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა, თავი მოაბრუნა და დიდხანს უყურებდა ხეივანში მიმავალის ზურგს... წითელი სინათლე მის ფეხებთან... გზის ზედაპირზე. ფეხსაცმელის ტყავზე. ლანჩებს ზევით. წვივებზე. ყველა მხრიდან. უჩრდილოდ. მისი სხეული ეყრდნობა მისი სხეულის სივრცეს მუხლებს ზევით. ხელიხელგადაჭდობი-

ლი. წელში ოდნავ მოხრილი. ისინი სხედან მოგრძო სკამზე, ერთმანეთის გვერდით. მისი მარჯვენა ხელის მტევანი დევს სკამის კიდეზე. ჩამოგრძელებული კუთხოვანი თითები ფართო ხელისგულზე. ოთხი ტერფი გამოშვერილი, გრძელი კოჭებამდე კაბიდან, ეყრდნობა კვარცხლბეკის ზედაპირს. მისი მარცხენა ხელი დადებულია სკამზე. თითები მოღუნული. მათი მზერა მიმართულია პირდაპირ. მათი მკვრივი სხეულები წითელი სინათლით ისეა განათებული, რომ მოჩანს მხოლოდ ფეხის ტერფები, ხელები, მკერდი და მუხლები. მისი თვალები მოძრაობენ მისი თვალების მოძრაობის მიმართულებით. ის აბრუნებს თავს. თვალის კიდეში იგი ხედავს, როგორ სცილდება თანდათან იქაურობას მისი ტანი, მიდის მარცხნივ და თანდათან უჩინარდება სიბნელეში. მის წინ არის ის, რაც არის მის უკან. შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი... ხეების შიშველი სხეული... მის თავზე გადმოკიდული გვირგვინებით. ინსუპერაბილის ოსტენტუმოტიოზუს. ფართოფოთლიანი. ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული მისი სხეული მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც ერთიმეორეში გადადიან მისი ორივე მხრიდან..

ის განათებულია სიმეტრიულად განლაგებული მწვანე სინათლით... ბოძებზე... ისინი დგანან ტოტებგადმოყრილი ტირიფების შიგნით და მათი სინათლე ძლივს სწვდება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე... მის მუხლებთან.. მონტბრეცია... ლოვენმაული... ინფერნალია... სამტბლუმი... მიხაკი... პომპონდაჰლია... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... ედელვაისი... ფლაგელუმ მითრაე... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ჰერბცაიტლოსე... სტეხაპელი... ამარილის. ბრენენდე ლიებე. რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... იგი ნელა უახლოვდება მას... ის განაგრძობს სვლას მისი მიმართულებით... ფურცლები იპნევა თითებიდან, მაგრამ სიბნელეში ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფე-

ხებთან. ძაღლი გამოდის სიბნელიდან მწვანე სინათლეში... კისერზე მას მსხვილი ბაწარი აქვს შემორტყმული... ბაწარი მოცოცავს ქვაფენილზე და ჩერდება, როდესაც ის ჩაუვლის გვერდით. ფეხებში ებლანდება... გზა მიიმართება აუზის ირგვლივ და შედის ბამბუკების ხეივანში... ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის წვივებს და გაიქცა... შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა, თავი მოაბრუნა და დიდხანს უყურებდა ხეივანში მიმავალის მწვანედ განათებულ ტანს... მწვანე სინათლე გზის ზედაპირზე... მისი თითების წვერებზე. ლანჩებს ქვეშ. მუხლისთავებზე. მისი სხეული ეყრდნობა მისი სხეულის სივრცეს მუხლებთან. ის დგას დაბალ ოთხკუთხა კვარცხლბეკზე. ხელებჩამოშვებული. ცალი ფეხი წინ აქვს გადადგმული. სავსე თეძოები რბილად გადადიან მრგვალ მუცელში, რომლის თავზე დგას ხორცსავსე მკერდი წინ გამოშვერილი მკვრივი ძუძუებით. მისი სწორი, მრგვალი თითები ეტმასნება მის ბარძაყებს. შეშუპებული ტუჩები მრგვალ სახეზე. აპრეხილი ცხვირი. პატარა დაბერილი ნესტოებით. ქუთუთოდამძიმებული თვალები... მწვანედ განათებული დგას იგი გახევებულ ხესთან... ის აბრუნებს თავს და ხედავს, როგორ სცილდება მისი ტანი მის სხეულს და უჩინარდება სიბნელეში. ის უვლის მას გარშემო და მიდის შენობისაკენ... მის წინ არის ის, რაც არის მის უკან. შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი... ხეების შიშველი სხეული... მის თავზე გადმოკიდული ხშირი სამკუთხა ფოთლებით. დელუდო ფორმიკოზუს ედიფიციუა... ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული მოძრაობს ის მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც ერთიმეორეში გადადიან მის ორივე მხარეს...

ის განათებულია სიმეტრიულად განლაგებული მოცისფრო სინათლით. ნათურები მიმაგრებულია მაღალ ბოძებზე, რომლებიც დგანან ტირიფებს შორის და მათი სინათლე ძლივს სწვდება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე... მის სახესთან... მონტბრეცია... კლივი... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექ-

სილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... იგი ნელა უახლოვდება მას... იგი დგას გაუნძრევლად. აპრეხილი კუდით. სველი ბალანი მჭიდროდ ეკვრის მის სხეულს. მოვარაყებული საკისარიდან მის ფეხებთან ეშვება წვრილი ზონარი და მსუბუქად ეხვევა მის წინა ფეხებს. ის მოძრაობს მისი მიმართულებით... ფურცლები იპნევა თითებიდან, მაგრამ სიბნელეში ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ფეხებში ებლანდება. გზა მიიმართება აუზის ირგვლივ და შედის ნაძვების ხეივანში... ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის სახეს. შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა. ის აბრუნებს თავს და აყოლებს მზერას ხეივანში მიმავალ სხეულს... მოცისფრო სინათლე მის წინ. გზის ზედაპირზე. მის ხელებზე. ლანჩების ძირში. უჩრდილო... მისი სხეული ეყრდნობა მისი სხეულის სივრცეს.. მუხლებთან. ის წევს ბალახში დაგდებულ დიდ ფილაზე. ცალი მუხლი ეყრდნობა მას. მეორე ფეხი მუხლში მოხრილი ოდნავ დაწვენილია. მარცხენა ხელი იდაყვშია მოხრილი და იჭერს წამოწეულ ტანს. მრგვალად დახვეული ნაწნავი მრგვალ თავზე. ნახევრადგაშიშვლებული მასიური მკერდი დაფარული მძიმე ტანსაცმლით. მოცისფრო სინათლით განათებული ცივი სხეულიდან მკაფიოდ ჩანს მარცხენა მხრის გლუვი ზედაპირი და სავსე მკლავი. თავი სწორადაა დადგმული. მზერა მიმართულია. იგი გარს უვლის მას და მიემართება შენობისაკენ... ის აბრუნებს თავს. მისი მზერა მიმართულია მისკენ და იგი ხედავს, როგორ სცილდება იგი მას და უჩინარდება სიბნელეში. მის წინ არის ის, რაც არის მის უკან. შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი... გზის ორივე მხარეს... ხეების შიშველი სხეული... მის თავზე გადმოკიდული ტოტებით. ფას ფალსუს პერსონატუს.. ხშირწინვოვანი. ერთი ფეხიდან მეორეზე გა-

დადგმული. იგი მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც ერთიმეორეში გადადიან მის აქეთ იქიდან...

მისი გზა განათებულია სიმეტრიულად განლაგებული იისფერი ნათურებით, რომლებიც ტირიფებს შორის ჩადგმულ ბოძებზეა მიმაგრებული და მათი სინათლე ძლივს ეხება ყვავილნარს მინის ზედაპირზე... მის თვალებთან... მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა...სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენ- ბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... ის ნელა მიუახლოვდება მას... იგი ზის მშვიდად. დაყრდნობილი უკანა ფეხებს. დახვეული ფაფარი მის მსხვილ კისერზე. სალტეშემოვლებული. წინა ფეხები გაჭიმული. ხახადაძაბული. დრუნჩაპრეხილი. ორლესული ეშვები პირში. ამობურცულ მკერდზე დახვეული მსხვილი ჯაჭვი ეკრობა მის მუცელს და გამობმულია ზურგზეკრულ მძლავრ კუდზე. ის მოძრაობს მისი მიმართულებით... ფურცლები იპნევა თითებიდან, მაგრამ სიბნელეში ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ქვათლილი... ფეხებში ებლანდება. ისინი შეხვდებიან აუზთან... გზა მიიმართება მისკენ და შედის მუხნარში. ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის შუბლს. დაყნოსა. შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა. ის აბრუნებს თავს და ხედავს მუხებში მიმავალის ზურგს... იისფერი სინათლე მის ირგვლივ. მუხის ფესვებზე. მკლავებზე. ლანჩების ძირში. ფეხებშორის. გზის ზედაპირზე. უჩრდილო... მისი სხეული ეყრდნობა მის სხეულს სიღრმეში. ოთხმზეროვანი. მისი სახე მშვიდია და ნეტარი. მსხვილ ტუჩებში ჩაწოლილი კიდეაპრეხილი ღიმილი. უსასრულო. ფართონესტოებიანი ცხვირი მის ლოყებსავსე

სახეზე. მისი თვალების სიმშვიდე დაუსაბამოა. იისფერი სინათლე ოდნავ კრთის ფაქიზ კანზე. ბიბილოჩამოშვებული სმენანაზი ყურის ნიჟარები. მარცხნივ მზერადი მისი სახე მშვიდია და ნეტარი. მსხვილ ტუჩებში ჩაწოლილი კიდეაპრეხილი ღიმილი. უსასრულო. ფართონესტოებიანი ცხვირი მის ლოყებავსილ სახეზე. მისი თვალების სიმშვიდე დაუსაბამოა. იისფერი სინათლე ოდნავ კრთის ფაქიზ კანზე. ბიბილოჩამოშვებული მოშვებული სმენანაზი ყურის ნიჟარები. მსხვილ ტუჩებში ჩაწოლილი ღიმილი. უსასრულო. ფართონესტოებიანი ცხვირი მის ლოყებსავსე სახეზე. მისი თვალების სიმშვიდე დაუსაბამოა. იისფერი სინათლე ოდნავ კრთის ფაქიზ კანზე. ბიბილოჩამოშვებული სმენანაზი ყურის ნიჟარები. მარჯვნივ მზერადი მისი სახე მშვიდია და ნეტარი. მსხვილ ტუჩებში ჩაწოლილი კიდეაპრეხილი ღიმილი. უსასრულო. ფართონესტოებიანი ცხვირი მის ლოყებსრულ სახეზე. მისი თვალების სიმშვიდე დაუსაბამოა. იისფერი სინათლე ოდნავ კრთის ფაქიზ კანზე ბიბილოჩამოშვებული სმენანაზი ყურის ნიჟარები. უკან მზირალი მისი სახე მშვიდია და ნეტარი. მსხვილ ტუჩებში ჩაწოლილი კიდეაპრეხილი ღიმილი. უსასრულო. ფართონესტოებიანი ცხვირი მის ლოყებსავსე სახეზე. მისი თვალების სიმშვიდე დაუსაბამოა. იისფერი სინათლე ოდნავ კრთის ფაქიზ კანზე. ბიბილოჩამოშვებული სმენანაზი ყურის ნიჟარები. მზერადობის და სმენადობის სრულყოფილება. დასაბამი. ქვაშიკვეთილი. იგი გარს უვლის მას და მიიმართება შენობისაკენ... მისი სახე მოძრაობს მისი სხეულის მიმართულებით. მშვიდ მზერაში იგი ხედავს, როგორ სცილდება იგი მას და უჩინარდება სიბნელეში. გადის გაზონების სწორად შეკრეჭილ რიგში. გზის ორივე მხარეს. ხეების შიშველი სხეული. ცაშიაწვდილი. კრეაცია ლეშიფერიუს. ერთი ფეხიდან მეორეზე. იგი მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე. მისი გზა განათებულია სიმეტრიულად განლაგებული ნათურებით, რომლებიც ტირიფებს შორის ჩარიგებულ მაღალ ბოძებზეა მიმაგრებული და მათი სინათლე ძლივს სწვდება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე. მის თავზე. პალმების შიშველი ტანი. ქოლგებად გადმოკიდული გამავალ სხეულზე. გრატუს კრემორ

ტაბეს სუპლიკაციუს. ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული, იგი მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც ერთიმეორეში გადადიან მის აქეთ-იქიდან... ის განათებულია სიმეტრიულად განლაგებული სინათლის ბოძებით. ისინი დგანან ტოტებგადმოკიდულ ტირიფებს შორის და მათი სინათლე ძლივს ეხება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე... შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი. ხეების შიშველი ტანი. პეტრუს უბერის ულცეროზუს. მის თავზე გადმოკიდული. ერთი ფეხიდან მეორეზე გადაგმული მისი სხეული მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც სიმეტრიულად გადადიან ერთიმეორეში. ის განათებულია წითელი სინათლის ბოძებით. ისინი დგანან ტოტებგადმოკიდული ტირიფების გარემოცვაში და მათი სინათლე ძლივს ეხება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე. მისი ხელების გასწვრივ. შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი. ხეების შიშველი ტანი მის თავზე გადმოკიდული გვირგვინებით. ინსუპერაბილის ოსტენტუმ ოტიოზუს. ფართოფოთლიანი. ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული მისი სხეული მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე, რომლებიც ორივე მხრიდან გადადიან ერთიმეორეში. ის განათებულია სიმეტრიულად განლაგებული მწვანე სინათლით. ბოძებზე. ისინი დგანან ტოტებჩამოყრილ ტირიფებს შიგნით და მათი სინათლე ძლივს სწვდება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე. მის მუხლებთან. სწორად შეკრეჭილი გაზონების სწორი რიგი. ხეების შიშველი ტანი.. მის თავზე გადმოკიდული სამკუთხა ფოთლებით. დელუდო ფარმიკოზუს ედიფიციუს. ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული მისი სხეული მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე. მისი გზა განათებულია სიმეტრიულად განლაგებული ცისფერი სინათლით. ნათურები მიმაგრებულია მაღალ ბოძებზე, რომლებიც დგანან ტირიფებს შორის და მათი სინათლე მსუბუქად ეხება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე. მის სახესთან. სწორად შეკრეჭილი გაზონების რიგი. გზის ორივე მხარეს. ხეების შიშველი სხეული. მის თავზე გადმოკიდული ტოტებით. ფას ფალსუს პერსონატუს. ხშირწიწვოვანი. ერთი ფეხიდან მეორეზე გადადგმული იგი მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე. მისი გზა განათებულია სიმეტრიულად გან-

ლაგებული იისფერი ნათურებით, რომლებიც ტირიფებს შორის ჩადგმულ ბოძებზეა მიმაგრებული და მათი სინათლე ძლივს ეხება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე. მის თვალებთან. იგი გადის გაზონების სწორად შეკრეჭილ რიგში. გზის ორივე მხარეს. ხეების შიშველი სხეული. ცაში აწვდილი კრეაცია ლეშიფერიუს. ერთი ფეხიდან მეორეზე. იგი მოძრაობს მოკირწყლულ ბილიკებზე. მისი გზა განათებულია სიმეტრიულად განლაგებული სინათლით, რომელიც ტირიფებში ჩარიგებულ მაღალ ბოძებზეა. სინათლე ძლივს ეხება ყვავილნარს მიწის ზედაპირზე. მის თავზე. მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ.. მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკელივი... ლოსტაკო... მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენ-

ტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტიეენბლუმი... ინფერნალია დიეს... იკვლივი... ლოსტაკო... მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... შაშკვლავი... ტარხონი...ლოსტაკო...მონტმუტერხენკირხებრეციასპონსკალვარიამითრაესენტუსდიესნეკროიდიაფანუმიგნაციუსფალუსფლექსილოგიასტივენმანუსბლუმდიპლოიდიარკანამლოსტაკოძაღლი ნელა უახლოვდება მას. ის განაგრძობს სვლას მისი მიმართულებით. ფურცლები იპნევა თითებიდან. სიბნელეში ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ის მოათრევს მსხვილ ჯაჭვს გაბურძგნულ კისერზე. ჯაჭვი უხმაუროდ მიცოცავს ბალახებში და ფეხებში ებლანდება. გზა მიიმართება აუზის ირგვლივ და შედის ბამბუკების ხეივანში. ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის ფეხებს და მარჯვნივ შეუხვია. შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა. თავი შემოაბრუნა და დიდხანს უყურებდა ხეივანში მიმავალის ზურგს. იგი ნელა უახლოვდება ძაღლს. ის განაგრძობს სვლას მისი მიმართულებით. ფურცლები იპნევა თითებიდან. მაგრამ ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ძუნძულით მიჰყვება უკან. გზა მიიმართება აუზის ირგვლივ და შედის კიპაროსების ხეივანში. ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის ხელებს და მარცხ-

ნივ შეუხვია. შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა. თავი მოაბრუნა და დიდხანს შესცქეროდა ხეივანში მიმავლის წითლად განათებულ ზურგს. იგი ნელა უახლოვდება მას. ის განაგრძობს მოძრაობას მისი მიმართულებით, ფურცლები იპნევა თითებიდან. მაგრამ ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ძაღლი გამოდის სიბნელიდან მწვანე სინათლეში. კისერზე მას მსხვილი ბაწრის წნული აქვს შემორტყმული. ბაწარი მიცურავს ქვაფენილზე და ჩერდება, როდესაც ის ჩაუვლის გვერდით. გზა მიიმართება აუზის ირგვლივ და შედის ალვის ხეების ხეივანში. ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის წვივებს და გაიქცა. შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა. თავი მიაბრუნა და დიდხანს შესცქეროდა ხეივანში მიმავალის მწვანედ განათებულ ზურგს. იგი ნელა უახლოვდება მას. ის დგას გაუნძრევლად. აპრეხილი კუდით. სველი ბალანი მჭიდროდ ეკვრის მის სხეულს. მოვარაყებული საკისრიდან მის ფეხებთან ეშვება წვრილი ზონარი და მსუბუქად ეხვევა მის წინა ფეხებს. ის მოძრაობს მისი მიმართულებით. ფურცლები იპნევა თითებიდან. მაგრამ ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ცისფერ სინათლეში. გზა მიიმართება აუზისაკენ, უვლის გარს და შედის ნაძვების ხეივანში. ის დარჩა აუზთან. სველი დრუნჩი შეახო მის სახეს. შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა. ის აბრუნებს თავს და აყოლებს მზერას ხეივანში მიმავალ სხეულს. ის ნელა უახლოვდება მას. იგი ზის მშვიდად. დაყრდნობილი უკანა ფეხებს. დახვეული ფაფარი მის დიად კისერზე. სალტეშემოვლებული. წინა ფეხები გაჭიმული, ხახადაძაბული, დრუნჩაპრეხილი. ორლესული ეშვები პირში. ამობურცულ მკერდზე დახვეული მსხვილი ჯაჭვი ეკრობა მის მუცელს და გამობმულია ზურგზეკრულ მძლავრ კუდზე. ის მოძრაობს მისი მიმართულებით. ფურცლები იპნევა თითებიდან. მაგრამ ის ვერ ხედავს, როგორ ეფინებიან ისინი მის ფეხებთან. ქვათლილი. ისინი შეხვდებიან ერთმანეთს აუზთან. გზა მიიმართება მისკენ. უვლის გარს და შედის მუხნარში. ის დარჩა აუზ-

თან. სველი დრუნჩი შეახო მის შუბლს. დაყნოსა. შეხებისაგან წყლის ზედაპირი შეირხა და ვიდრე ის შემოუვლიდა გარს, ისევ შედგა. იგი აბრუნებს თავს და ხედავს მუხებში მიმავლის იისფერ ზურგს. იგი ნელა უახლოვდება მას. სინათლე ახლა ფეხებს უნათებდა. მეორე მხრივ ის ანათებს გზასაც და ჩარიგებული ხეების ფესვებსაც. მიწიდან ამოშვერილი, გადაზნექილი, ერთმანეთში გადაგრეხილი, გადახლართული წნულები განათებული ერთგვაროვანი სინათლით, ყველა მხრიდან, უჩრდილოდ. მისი სხეული ეყრდნობა მისი სხეულის სივრცეს, მუხლებს ზევით. წითელი სინათლე მის ფეხქვეშ. გზის ზედაპირზე. ფეხსაცმელის ტყავზე. ლანჩებს ქვევით. წვივებზე. მისი სხეული ეყრდნობა მისი სხეულის სივრცეს მუხლებთან. მწვანე სინათლე გზის ზედაპირზე. მისი თითების წვერებზე. მუხლისთავებზე. ლანჩებს ქვეშ. მოცისფრო სინათლე. მის ხელებზე. გზისპირზე. ლანჩებს ქვეშ. იისფერი სინათლე. მის ირგვლივ. მუხის ფესვებზე. მკლავებზე. ლანჩების ძირში. ფეხებშორის. მისი სხეული ეყრდნობა მისი სხეულის სივრცეს. მის სიღრმეში. მისი ფეხი. გრძელი ელასტიური და მოძრავი თითებით ეყრდნობა განათებულ ქვაფენილს. მეორე ფეხი განზეა გადგმული. ოდნავ უკან. სინათლის ყვითელი ლაქები მუხლზე. თეძოზე. ხელის მტევანზე. მკერდზე. ყვრიმალებზე. თავი მაღლა აწეული. მარჯვენა ხელი გაწვდილი მთელს სიგრძეზე. ხელში ჩირაღდანი. იგი ანათებს მის ბრინჯაოსფერ სახეს და სხეულის თხელ კანს, რომლის შიგნით მოჩანს კუნთების დაძაბული მასები. მისი სხეული მოძრაობს იმ მიმართულებით, რომლითაც მოძრაობს მისი სხეული. ხელი მსუბუქად ეხება ფეხს. თითების ცივი ბრინჯაო. ხელის შეგრძნებების დონეზე. მისი თვალები მიცოცავენ მისი თვალების კვალდაკვალ. უკნიდანაც ის განათებულია თხელი მოყვითალო სინათლით, რომლის ბურუსში გახვეული მთელი სხეული გაქვავებულა ერთიან მძლავრ მოძრაობაში. მრგვალთავა ბავშვი მრგვალთავა ქალის კალთაში. ის ზის მასიურ კუბზე. მისი შიშველი ფეხები დევს კვარცხლბეკის ხორკლიან ზედაპირზე. მზერა მიმართულია პირდაპირ. სინათლე ისე ეცემა მას, რომ მოჩანს ქალის მრგვალი მუხლები. ხელი. ფრთხილად დადე-

ბული ბავშვის მხარზე. ბავშვის სახე. ფეხები. ხელიხელგადაჭდობილნი. ოდნავ წელში მოხრილი. ერთმანეთის გვერდით. ისინი სხედან მოგრძო სკამზე. მისი მარჯვენა ხელის მტევანი დევს სკამის კიდეზე. ჩამოგრძელებული კუთხოვანი თითები ფართო ხელისგულზე. ტერფები გამოშვერილი კოჭებამდე დაშვებული მძიმე სამოსიდან. ეყრდნობა კვარცხლბეკის ხორკლიან ზედაპირს. მისი მარცხენა ხელი დადებულია სკამზე. თითები მოღუნული. მათი მზერა მიმართულია პირდაპირ. მკვრივი სხეულები წითელ სინათლეში. ჩანს მხოლოდ ტერფები. ხელები. მკერდი და მუხლები. ხელებჩამოშვებული. ის დგას ბავშვით მარჯვენა მხარზე. ოდნავდახრილი თავი ეყრდნობა მის ფეხებს. ხელი წინაა გაშვერილი. ბავშვის ერთი ფეხი ებჯინება მის მკლავს. ის დგას სწორად. ცალი ფეხი წინ გადადგმული. სავსე თეძოები რბილად გადადიან მრგვალ მუცელში. ხორცსავსე მკერდით თავზე. წინ გამოშვერილი ძუძუების მკვრივი მთაგრეხილი. სწორი, მრგვალი თითები ბარძაყებზე. შეშუპებული ტუჩები მრგვალ სახეზე. აპრეხილი ცხვირი. პატარა დაბერილი ნესტოები. დამძიმებული თვალები. მწვანედ განათებული დგას იგი გახევებულ ხესთან. ბალახში დაგდებულ დიდ ფილაზე წამოწოლილი. ცალი მუხლი მასზე. თავისუფლად წამოწეული მეორე ფეხი. მუხლში ოდნავ მოხრილი. იდაყვზე დაყრდნობილი მარცხენა ხელი იკავებს წამოწოლილ ტანს. მრგვლად დახვეული ნაწნავი მრგვალ თავზე. ნახევრად შიშველი მასიური მკერდი. მძიმე სამოსი. მოცისფროდ განათებული სხეულიდან ჩანს გლუვი მხარი და მსხვილი მკლავი. სწორად ნაჭერი თავი. მზერაპირდაპირი. მშვიდი და ნეტარი სახე. ტუჩაპრეხილი დაუსაბამო ღიმილი. დასაბამიერი სიმშვიდე თვალების. იისფერი სინათლე ფაქიზ კანზე. კრთის. ბიბილოჩამოგრძელებული სმენანაზი ყურის ნიჟარები. მზერადობისა და სმენადობის სრულყოფილება. მრგვალთავა ბავშვი მრგვალთავა ქალის ხელში აბრუნებს თავს და ხედავს, როგორ გაუჩინარდა მისი სხეული სიბნელეში. ისინი აბრუნებენ თავს და ხედავენ, როგორ უჩინარდება მისი სხეული სიბნელეში... მათ მოაბრუნეს თავი და დაინახეს, როგორ გაუჩინარდა მისი სხეული სიბნელეში... თქვენ მოაბ-

რუნეთ თავი და დაინახავთ, როგორ უჩინარდება მისი სხეული სიბნელეში... შენ მოაბრუნებ თავს და დაინახავ სიბნელეში გაუჩინარებულ მის სხეულს და თუ ის მოაბრუნებს თავს, დაგინახავს შენ, ყვავილთცვენის სიბნელეში გაუჩინარებულს... მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... კრეაცია ლეშიფერიუს. შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ...მიხაკი...ლოვენმაული...ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... გრატუსკრემორ ტაბეს სუპლიკაციუს. ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... პეტრუს უბერის ულცეროზუს... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... იპნევა შენი თითებიდან, მაგრამ სიბნელეში შენ ვერ ხედავ, როგორ ეფინებიან ისინი შენს ფეხებთან. მზერადობის და სმენადობის სრულყოფილება. დასაბამი. ქვაშიკვეთილი. შენ გარს უვლი მას და მიიმართები შენობისაკენ... მისი სახე მოძრაობს მისი სხეულის მიმართულებით... შენი სახე მოძრაობს შენი სახის მიმართულებით... ჩემი სახე მოძრაობს ჩემი სახის მიმართულებით, რადგან თუ შენ მოაბრუნებ თავს, დამინახავ მე, სიბნელეში გაუჩინარებულს. ზურგიდან. ჩემი თითებიდან დაიპნევა ყვავილთცვენის ცისკროვანი ქროლვით მოფანტული მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტვენბლუმი... ვარდი... კრეაცია ლეშიფერიუს. შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... გრატუს კრემორ ტაბეს სუპლიკაციუს. ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლ-

კირხე... ამარილის... პეტრუს უბერის ულცეროზუს... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... და გამოჩნდება ის, მიმავალი შენობისაკენ. ბაღი განათებულია მთვარის მოყვითალო ერთნაირი სინათლით. ეს არის პატარა დეკორატიული ნარგავებით გაფორმებული სწორკუთხედი, რომელსაც დიაგონალურად კვეთს ვიწრო გასასვლელი ბილიკები, მოკირწყლული ნიჟარებითა და ზღვის გაქვავებული მოლუსკებით. დეკორატიულად შეკრეჭილი კლუმბარიუმები წარმოსახავენ სხვადასხვა ფიგურებს, რომელთა შორის ყვავილების რამდენიმე ბუჩქია დარგული. იგი ნელა მიდის ხრაშუნა ბილიკზე. წყვეტს რამდენიმე ყვავილს და მიემართება შენობისაკენ. მთვარის მშვიდი სინათლე უნათებს მას გზას. ეს გარემო ამ ფურცლის მეოხებით ეხება იმ გარემოს, რომელიც შენ გარტყია გარს. ეს შეხება უსასრულოა. თავდაუღწეველი. სივრცული შერთვის უსასრულობასთან კავშირში. თქვენი სხეულები მჭიდროდაა მიტმასნებული. შენ გრძნობ მსუბუქ ჟრჟოლას კანზე, მაგრამ შენ არ შეგიძლია, გაიჩოჩო თქვენი დამთხვევების უსასრულობისა გამო. და ან სად უნდა წახვიდე? ამიტომაც ყოველივე მას გადამხდარი დამოკიდებულია იმისაგან, რაც შენ გადაგხდა. ისევე, როგორც შენი თავგადასავალი იქნება დამოკიდებული ყოველივესგან, რაც მას გადახდება თავს. არსებითად ყველა გრამატიკული გამოსაძრომი უაზროა. არ არის შენ და ის. უვიცობის ნაყოფი. ფიქცია. მით უმეტეს მე! არსებითად მხოლოდ ერთი სახეა. ერთოვანება სამისა. რომლის უკან სიტყვის პირველდგომაა. რამეთუ იგი არს პირველყოფილი საწყისი სიტყვისა, რომელიც იყო დასაწყისში, როდესაც გათენდა. მაგრამ გაურკვეველი რჩება, თუ როგორ იყო იგი აღსანიშნის გარეშე საწყისყოფილი, თუ სიტყვამყოფობა თვითვეა საგანი სიტყვათაღნიშვნისა! თვითონ სიტყვაა საგანი და არაფერს არ აღნიშნავს საკუთარი თავის გარდა... აყოფიერებს თავისთავს თავისთავის აღნიშვნის მეოხებით, როგორც სიტყვათაღნიშვნის საგნობრიობაში მოპირველადე სიტყვასაგანს. ესაა მთავარი... და მთელი აზრი, დატყვევებული ამ სიტყვასაგნის ყოფიერებაში, იხსნება და თავისუფლდება წაკითხვადობად გან-

ფენის პროცესში, რომელიც, ამგვარად, წარმოადგენს პირველ თავისუფალ ყოფას სიტყვადასაბამობის შესაქმისა. შენ კითხვისას ქმნი მე-ს ანუ იქმნები მე-დ, ვითარცა ის, მომავალი შენობისაკენ დაუსაბამო და უსასრულო ბილიკებით სასრულყოფისა. სხვა დანარჩენი განწვლილულია იმ სივრცედ, რომელსაც წარმოვადგენთ მე, შენ, ის... ის... ის... ის... ის... ის ის... მიდის შენობისაკენ... ის მიდის შენობისაკენ და შენც მიდიხარ შენობისაკენ და მეც მივდივარ შენობისაკენ და ის მოდის შენობისაკენ და შენც მოდიხარ შენობისაკენ და მეც მოვდივარ შენობისაკენ და მოვა ის შენობაში და მოხვალ შენ შენობაში და მოვალ მე შენობაში და ის მოვიდა შენობაში და შენ მოხვედი შენობაში და მეც მოვედი შენობაში, ვითარცა სამი განუყოფელი და სასრულდაუსაბამო სიტყვა, ხოლო დილით, როდესაც განათდა, მას მოულოდნელად გაეღვიძა და რამდენიმე წამის განმავლობაში იწვა გაუნძრევლად, თვალახელილი, და შესცქეროდა ჭერს. მას სურდა გარკვეულიყო თავის ადგილსამყოფელში. შეეგრძნო ეს სივრცე. მაგრამ შეგრძნებები დუმდნენ. ჭერში მოპყრობილი თვალები არ ეუბნებოდა იმაზე მეტს, რასაც იგი ხედავდა თეთრი სიბრტყის სითეთრეში. სად იმყოფებოდა იგი?

ღამით, როდესაც ის აქ მოვიდა, ყველაფერი სხვაგვარად იყო. ეს სიჩუმეც. მკვდარი. მას არც კი მიუხედავს მისთვის. ჩუმად აილო გასაღები და ავიდა ფართო კიბეზე. კიბის შუაგულში დაგებული წითელი ხალიჩა ახშობდა მისი ფეხისხმას... ის მოვიდა შენობაში... ის მოვიდა შენობაში... ის მოვიდა შენობაში... ის შემოდის შენობაში... ღამით, როდესაც ის აქ მოვიდა, ყველაფერი სხვაგვარად იყო. ეს სიჩუმეც. მკვდარი. მას არც კი მიუხედავს მისთვის. ჩუმად აილო გასაღები და ავიდა ფართო კიბეზე. კიბის შუაგულში დაგებული წითელი ხალიჩა ახშობდა მისი ფეხის ხმას... ის მოვიდა შენობაში... ის მოვიდა შენობაში... ის მოვიდა შენობაში... ის შემოდის შენობაში... ღამით, როდესაც ის აქ მოვიდა, ყველაფერი სხვაგვარად იყო. ეს სიჩუმეც. მკვდარი. მას არც კი მიუხედავს მისთვის. ჩუმად აილო გასაღები და ავიდა ფართო კიბეზე. კიბის შუაგულში დაგებული წითელი ხალიჩა ახშობდა მისი ფეხის ხმას... ის

მოვიდა შენობაში... ის მოვიდა შენობაში..., ის მოვიდა შენობაში... ის შემოდის შენობაში... მკვდარი. ჩუმად აილო გასაღები და ავიდა ფართო კიბეზე. კიბის შუაგულში დაგებული წითელი ხალიჩა ახშობდა მისი ფეხის ხმას... ის... ის... მკვდარი... ჩუმად აილო გასაღები და ავიდა ფართო კიბეზე. ის... ის... ის... ის... ის... ის... ის...

ის... მიდის შენობისაკენ... ის მიდის შენობისაკენ და შენც მიდიხარ შენობისაკენ და მეც მივდივარ შენობისაკენ და ის მოდის შენობისაკენ და შენც მოდიხარ შენობისაკენ და მეც მოვდივარ შენობისაკენ და მოვა ის შენობაში და მოხვალ შენ შენობაში და მოვალ მე შენობაში და ის მოვიდა შენობაში და შენ მოხვედი შენობაში და მეც მოვედი შენობაში, ვითარცა სამი განუყოფელი და სასრულდაუსაბამო სიტყვა, ხოლო დილით, როდესაც გათენდა, მას მოულოდნელად გაეღვიძა და რამდენიმე წამის განმავლობაში იწვა გაუნძრევლად, თვალახელილი, და შესცქეროდა ჭერს. მას სურდა გარკვეულიყო თავის ადგილსამყოფელში. შეეგრძნო ეს სივრცე. მაგრამ შეგრძნებები დუმდნენ. ჭერში მოპყრობილი თვალები არ ეუბნებოდა იმაზე მეტს, რასაც იგი ხედავდა თეთრი სიბრტყის სითეთრეში. სად იმყოფებოდა იგი? ის... ის... ის... ის... ის...

ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის
სისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისი
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის
სისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის
ენშენშენშენშენშენშენშენშ
ენშენშენშენშენშენშენშ
ნშენშენშენშენშენშე
შენშენშენშენშენ
შენშენშენეშე
შენშენშ
შენშ
შენ
მენ
მე
მენ
შენ
შენშ
ენშეშენშ
შენშენშენეშე
შენშენშენშენშენ
შენშენშენშენშენშენშე
შენშენშენშენშენშენშენშე
შენშენშენშენშენშენშენშენშე
შენშენშენშენშენშენშენშენშენშენ
ისისისისისისისისიისისისისისისისისი
ისისისისისისისისისიისისისისისისისისის
სისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისი
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისი

ღამით, როდესაც ის აქ მოვიდა, ყველაფერი სხვაგვარად იყო. ეს სიჩუმეც. მკვდარი. მას არც კი მიუხედავს მისთვის. ჩუმად აიღო გასაღები და ავიდა ფართო კიბეზე. კიბის შუაგულში დაგებული წითელი ხალიჩა ახშობდა მისი ფეხის ხმას. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები. რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნული ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს, შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები მიჰყვება. ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ამავალი კაცი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ბანტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე

მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს სტილიზებული პალმის ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები – მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნილი სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე, მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი პირამდის. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი, რომელზედაც გამოსახულია მარმარილოს ფართო კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ამავალი ადამიანი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტ-

დაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანილი ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ამავალი ხანშიშესული კაცი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი ხანშიშესული კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული პალმის ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, ნარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი –

ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. სურათზე გამოხატულია ხანშიშესული კაცი. ის აღებს კარებს. მთელ სიგრძეზე გაჭიმული ხელის თითები ებღაუჭება კარის მძიმე სახელურს. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ბროლის ქოთანში ჩადებული ყვავილებით, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს ასეთსავე ქოთანში. ასეთივე მოოქრული ყვავილწნული გირლანდებია კარის მოხარატებულ სიბრტყეებზე, რომელთა შორის, ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. ისინი ასახავენ ხანშიშესულ კაცს, რომელიც მიდის გრძელ დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. დერეფანი ებჯინება ხის კიბეს. ის

ადის კიბეზე, რომელიც მასიური კოლონის ირგვლივაა დახვეული. კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. კოლონის მოხატულ ზედაპირზე ჩანს ახალგაზრდა ქალი. იგი მიდის გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. დერეფანი ებჯინება ხის კიბეს. ის ადის კიბეზე, რომელიც მასიური კოლონის ირგვლივაა დახვეული. კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. კიბის ბოლოში დადგმულია მაღალი სადგამები. მათზე დამაგრებული ნათურები გამოყოფენ კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური პეტრუსუბერუსულცეროზას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე, იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს

ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ამავალი ახალგაზრდა ქალი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული

კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი ხანშიშესული კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული პალმის ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. სურათზე გამოხატულია ახალგაზრდა ქალი. ის აღებს კარებს. მთელ სიგრძეზე გაჭიმული ხელის თითები ებღაუჭება კარის მძიმე სახელურს. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხ-

ლის წნულში ჩადებულ ბროლის ქოთანში ჩადებული ყვავილებით, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს ასეთსავე ქოთანში. ასეთივე მოოქრული ყვავილწნული გირლანდებია კარის მოხარატებულ სიბრტყეებზე, რომელთა შორის, ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. ისინი ასახავენ ახალგაზრდა ქალს, რომელიც მიდის გრძელ დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. დერეფანი ებჯინება ხის კიბეს. ის ადის კიბეზე, რომელიც მასიური კოლონის ირგვლივაა დახვეული. კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. კოლონის მოხატულ ზედაპირზე ჩანს მოხუცი კაცი. იგი მიდის გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. დერეფანი ებჯინება ხის კიბეს. ის ადის კიბეზე, რომელიც მასიური კოლონის ირგვლივაა დახვეული. კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. კიბის ბოლოში დადგმულია მაღალი სადგამები. მათზე დამაგრებული ნათურები გამოყოფენ კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედურ სტილიზებულ ინსუპრაბისოსტენტუმოციოზას ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს ან-

რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე, თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. დერეფანი ებჯინება ხის კიბეს. ის ადის კიბეზე, რომელიც მასიური კოლონის ირგვლივაა დახვეული. კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. კიბის ბოლოში დადგმულია მაღალი სადგამები. მათზე დამაგრებული ნათურები გამოყოფენ კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკერივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედელზე საათები კიდია. ისინი ზუსტად ერთსა და იმავე

დროს უჩვენებენ. გავიდა კიდევ ათი წუთი. ციფრები მწვანედ ანათებენ მრგვალ ციფერბლატებზე. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ჩამავალი შუახნის ქალი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი

მზერა მიმართულია კიბეზე ჩამავალი შუახნის ქალისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედელზე საათები კიდია. ისინი ზუსტად ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გავიდა კიდევ ათი წუთი. ციფრები მწვანედ ანათებენ მრგვალ ციფერბლატებზე. ფანჯრების ორივე მხარეს, მთელ კედელზე, კიდია სურათი. სურათზე გამოხატულია შუახნის ქალი. ის აღებს კარებს. მთელ სიგრძეზე გაჭიმული ხელის თითები ებღაუჭება კარის მძიმე სახელურს. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერ-

ცხლის წნულში ჩადებულ ბროლის ქოთანში ჩადებული ყვავილებით, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს ასეთსავე ქოთანში. ასეთივე მოოქრული ყვავილწნული გირლანდებია კარის მოხარატებულ სიბრტყეებზე, რომელთა შორის, ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე, ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. ისინი ასახავენ შუახნის ქალს, რომელიც მიდის გრძელ დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. დერეფანი ებჯინება ხის შემპალ კიბეს. ის ჩადის კიბეზე, რომელიც მასიური კოლონის ირგვლივაა დახვეული. კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. კოლონის მოხატულ ზედაპირზე ჩანს შუახნის ქალი. იგი მიდის გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე, თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს, მთავრდება ვიწრო შემპალი ხის კიბით, რომელიც იზნიქება და ირყევა მისი სიმძიმის ქვეშ. იგი ნელა ჩაადგამს ფეხს კიბის დამსკდარ საფეხურებს, რომლებიც რკინის სალტეებითაა გადაჭიმული. მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ კიბეზე ჩასვლისას იგი იძულებულია, დაეყრდნოს კედელს, რომლის ზედაპირზე მიმაგრებულია ორნათურიანი ბრა, რომელიც ანათებს კედელზე ამოკაწრულ სურათს შუახნის ქალისა, რომელიც მოდის ვიწრო გრძელ დერეფანში მთელ სიგრძეზე ჩარიგებული კოლონების რიგში, რომლებიც გამოყოფენ წითლადმბჟუტავი ნომრების ქვეშ დატანებულ კარებს. მისი მზერა მისრიალებს კედელზე, თავისი ნომრის ძიებაში. ამავე დერეფნის ბო-

ლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა უახლოეს კოლონას. დერეფანი მთავრდება მაღალ ბოძებზე დაყრდნობილი თეთრი რკინისგისოსებიანი კიბით, რომელზედაც ჩადის შუახნის ქალი. გაქათქათებულ საფეხურებს მსუბუქად ემჩნევა ფეხის ანაბეჭდები. კიბის შუაში დაგებული ხალიჩა ახშობს მისი ფეხის ხმას. ფართო მარმარილოს კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. გრძელი ოქროსფრად მოვარაყებული რკინის სამაგრებით დამაგრებულ მაღალბეწვიან წითელ ხალიჩაზე ამოტვიფრულია ხშირფოთლოვანი ორნამენტი. სამკუთხა ფოთლები გადაწნილი ხვიარებით ქმნიან ჩარჩოს, რომელშიც ოვალურ სამკუთხედში ჩანს ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იცქირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები მიჰყვება, პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებულია გამოსახულებებით მდიდარი ნაჭედი რიკულები. მათზე გამოხატულია კაცი, რომელიც ნელა ადის ფართო მარმარილოს კიბეზე დაგებულ ხალიჩაზე. გრძელი ოქროსფრად მოვარაყებული რკინის სამაგრებით დამაგრებულ მაღალ ბეწვიან წითელ ხალიჩაზე ამოტვიფრულია ხშირფოთლოვანი ორნამენტი. სამკუთხა ფოთლები გადაწნილი ხვიარებით ქმნიან ჩარჩოს, რომელშიც ოვალურ სამკუთხედში ჩანს ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იცქირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები მიჰყვება, პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებულია გამოსახულებებით მდიდარი ნაჭედი რიკულები. მათზე გამოხატულია კაცი, რომელიც ნელა ადის ფართო მარმარილოს კიბეზე დაგებულ ხალიჩაზე. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე

გრძელი წერილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული პალმის ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე, იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ,

სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში.

ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ამავალი ხანშიშესული კაცი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული.

მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები, ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე, იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედელზე საათები კიდია. ისინი ზუსტად ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გავიდა კიდევ ათი წუთი. ციფრები მწვანედ ანათებენ მრგვალ ციფერბლატებზე. ფანჯრების ორივე მხა-

რეს მთელ კედელზე კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ჩამავალი შუახნის ქალი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ჩამავალი შუახნის ქალისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბე-

კებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედელზე საათები კიდია. ისინი ზუსტად ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გავიდა კიდევ ათი წუთი. ციფრები მწვანედ ანათებენ მრგვალ ციფერბლატებზე. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. სურათზე გამოხატულია შუახნის ქალი. ის აღებს კარებს. მთელ სიგრძეზე გაჭიმული ხელის თითები ებღაუჭება კარის მძიმე სახელურს. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ბროლის ქოთანში ჩადებული ყვავილებით, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს ასეთსავე

ქოთანში. ასეთივე მოოქრული ყვავილწნული გირლანდებია კარის მოხარატებულ სიბრტყეებზე, რომელთა შორის, ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე, ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. ისინი ასახავენ შუახნის ქალს, რომელიც მიდის გრძელ დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე, თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. დერეფანი ებჯინება ხის შემპალ კიბეს. ის ჩადის კიბეზე, რომელიც მასიური კოლონის ირგვლივაა დახვეული. კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. კოლონის მოხატულ ზედაპირზე ჩანს შუახნის ქალი. იგი მიდის გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე ანთია წითელი ნათურები. მისი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე თავისი ნომრის ძიებაში. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ ზედაპირს. მთავრდება ვიწრო შემპალი ხის კიბით, რომელიც იზნიქება და ირყევა მისი სიმძიმის ქვეშ. იგი ნელა ჩაადგამს ფეხს კიბის დამსკდარ საფეხურებს, რომლებიც რკინის სალტეებითაა გადაჭიმული. მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ კიბეზე ჩასვლისას იგი იძულებულია, დაეყრდნოს კედელს, რომლის ზედაპირზე მიმაგრებულია ორნათურიანი ბრა, რომელიც ანათებს კედელზე ამოკაწრულ სურათს შუახნის ქალისა, რომელიც მოდის ვიწრო გრძელ დერეფანში მთელ სიგრძეზე ჩარიგებული კოლონების რიგში, რომლებიც გამოყოფენ წითლადმბჟუტავი ნომრების ქვეშ დატანებულ კარებს. მისი მზერა მისრიალებს კედელზე თავისი ნომრის ძიებაში. ამავე დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა უახლოეს კოლონას. დერეფანი მთავრდება მა-

ღალ ბოძებზე დაყრდნობილი თეთრი რკინისგისოსებიანი კიბით, რომელზედაც ჩადის შუახნის ქალი. გაქათქათებულ საფეხურებს მსუბუქად ემჩნევა ფეხის ანაბეჭდები. კიბის შუაში დაგებული ხალიჩა ახშობს მისი ფეხის ხმას ფართო მარმარილოს კიბე განათებულია სპირალურ თავებზე დამაგრებული ნათურებით, რომელთა სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. გრძელი ოქროსფრად მოვარაყებული რკინის სამაგრებით დამაგრებულ მაღალბეწვიან წითელ ხალიჩაზე ამოტვიფრულია ხშირფოთლოვანი ორნამენტი. სამკუთხა ფოთლები გადაწნილი ხვიარებით ქმნიან ჩარჩოს, რომელშიც ოვალურ სამკუთხედში ჩანს ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი, გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იცქირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები მიჰყვება, პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებულია გამოსახულებებით მდიდარი ნაჭედი რიკულები. მათზე გამოხატულია კაცი, რომელიც ნელა ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე. გრძელი ოქროსფრად მოვარაყებული რკინის სამაგრებით დამაგრებულ მაღალბეწვიან წითელ ხალიჩაზე ამოტვიფრულია ხშირფოთლოვანი ორნამენტი. სამკუთხა ფოთლები გადაწნილი ხვიარებით ქმნიან ჩარჩოს, რომელშიც ოვალურ სამკუთხედში ჩანს ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი, გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იცქირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები მიჰყვება, პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებულია გამოსახულებებით მდიდარი ნაჭედი რიკულები. მათზე გამოხატულია კაცი, რომელიც ნელა ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის

ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი, შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები, ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული პალმის ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის

ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი, გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ამავალი ხანშიშესული კაცი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი – შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა, მკერდქვეშ

გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი ხანშიშესული კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს წინვებხშირი სტილიზებული პეტრუსუბერუსულცეროზას სტილიზებული ფოთლები ღეროებზე ჩაჯენილი სფინქსის გამოსახულებიანი პატარა მედალიონებით. სფინქსს მარჯვენა ხელი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მძვინვარებას. ის ქალია. ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავები. მისი ხელის მტევნებში. რბილი სავარძლები მაღალი ზურგით და რბილი მკლავსაყრდენებით. მის იდაყვებქვეშ. მაგიდის ირგვლივ მდგარ სავარძლებზე გადაკრულია მწვანე ფარჩის ქსოვილი. ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. ქოთანი ჩადგმულია მაგიდაზე მდგარ ვერცხლის წნულ სადგამში. ყვავილთა შორის გამოირჩევა ფართოფოთლოვანი მონტბრეცია. მის თითებში, გამჭვირვალე ქოთანში ჩანს ყვავილთა ღეროები, ჩადებული წყალში. წყალი შუამდეა ჩასხული. ცივ შუშაში, მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ფანჯრები ილება ძაღლის ბრინჯაოს თავებში გაყრილი მასიური სახელურებით. ფანჯრების ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდა, რომლის ჭრილში მოჩანს ბაღი და წვიმის წვრილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ მხრებაბუზული ქალი, რომელიც მიაბიჯებს სველ ბილიკზე. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი, მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედლებზე კიდია საათები. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გადის კიდევ ათი წუთი. საათის ისრები ანათებენ მწვანე ციფერბლატს. ფანჯრების ორთავე მხარეს სიმეტრიულად დაკიდულ სურათზე გამოხატული ალებს კარებს. მთელ სიგრძეზე განვდილი ხელის თითები ებღაუჭე-

ბიან მძიმე სახელურს. ხელი სრიალებს სახელურზე. სისხლდაკაწრული. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ქოთანში, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს, ისეთსავე ქოთანში. ასეთივე გირლანდების მოოქრული ყვავილწნულია კარის მოხარატებულ საპირეებზე, რომელთა შორის ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. ის მიდის გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე წითლად ბჟუტავენ ნომრები. მისი მზერა მისრიალებს კედლის პირზე თავისი ნომრის ძიებაში. ის აკაკუნებს კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებს წითელი ნომრების ანარეკლი. ის მიდის კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლიდან მოდენილი სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მიბჯენილია მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ გრძელ, ვიწრო, შემპალ, თხელი სინათლით განათებულ კიბეს. სინათლე რბილად ეფინება ჩემ ფეხქვეშ. მე ჩავდივარ კიბეზე, რომელიც ყანყალებს და იზნიქება ჩემი სიმძიმის ქვეშ, გადასალტული რკინის სარტყელებით. ხელით ვიმაგრებ თავს კედელთან. ხორკლიან ზედაპირზეც მე ვჩანვარ, ვიწრო, გრძელ დერეფანში მიმავალი. ჩემ ირგვლივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებულ კარებს. მბჟუტავი წითელი ნომრებით. ჩემი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე ჩემი ნომრის ძიებაში. მე ვაკაკუნებ კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებენ წითელი ნომრების ანარეკლები. მე ჩავდივარ მაღალ კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მობჯენილია ვიწრო ხის კიბეზე, რომლის შემპალი საფეხურები გადასალტულია რკინის ღვედით. ჩავდივარ კიბეზე. იგი განათებულია სპირალურად დახვეულ თა-

ვებზე მდგარი ნათურებით, რომლებიც გამოყოფენ კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დადგმულია მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და ქარში აფრენილი ფოთლები. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ კაცი, რომელიც ძლივს მიარღვევს ქარს. ცალი ხელით ქუდს იმაგრებს თავზე. პალტოს კალთები უფრიალებს და ცალი მხარი წინ აქვს მიშვერილი – ქარგამპობად. ხეებს შორის მბჟუნავი ნათურები ჭრაჭუნებენ ქარში. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების ორივე მხარეს, სიმეტრიულად კიდია სურათი, რომელზედაც გამოხატულია მარმარილოს ფართო კიბეებზე დაგებულ წითელ ხალიჩაზე ამავალი ხანშიშესული ქალი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია

ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი – შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები, ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული პალმის ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხა-

ვერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და წვიმის მსხვილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ამავალი ხანშიშესული კაცი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები მიმართული სხვადასხვა მხარეს. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი – შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი

მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია კიბეზე ამავალი ხანშიშესული კაცისაკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს სტილიზებული პეტრუსუბერუსულცეროზას სტილიზებული ფოთლები ღეროებზე ჩაჯენილი სფინქსისგამოსახულებიანი პატარა მედალიონებით. სფინქსს მარჯვენა ხელი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მძვინვარებას. ის ქალია. ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავები. მისი ხელის მტევნებში. რბილი სავარძლები მაღალი ზურგით და რბილი მკლავსაყრდენებით. მის იდაყვებქვეშ. მაგიდის ირგვლივ მდგარ სავარძლებზე გადაკრულია მწვანე ფარჩის ქსოვილი. ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. ქოთანი ჩადგმულია მაგიდაზე მდგარ ვერცხლის წნულ სადგამში. ყვავილთა შორის გამოირჩევა ფართოფოთლოვანი მონტბრეცია. მის თითებში. გამჭვირვალე ქოთანში ჩანს ყვავილთა ღეროები, ჩადებული წყალში. წყალი შუამდეა ჩასხული. ცივ შუშაში. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ფანჯრები იღება ძაღლის ბრინჯაოს თავებში გაყრილი მასიური სახელურებით. ფანჯრების ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდა, რომლის ჭრილში მოჩანს ბაღი და წვიმის წვრილი წვეთები. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ მხრებაბუზული ქალი, რომელიც მიაბიჯებს სველ ბილიკზე. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედლებზე კიდია საათები. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გადის კიდევ ათი წუთი. საათის ისრები ანათებენ მწვანე ციფერბლატს. ფანჯრების ორთავე მხარეს სიმეტრიულად დაკიდულ სურათზე გამოხატული, აღებს კარებს. მთელ სიგრძეზე გაწვდილი ხელის თითები ებღაუჭებიან მძიმე სახელურს. ხელი სრი-

ალებს სახელურზე. სისხლდაკანრული. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ქოთანში, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს, ისეთსავე ქოთანში. ასეთივე გირლანდების მოოქრული ყვავილწნულია კარის მოხარატებულ საპირეებზე, რომელთა შორის ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. ის მიდის გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე წითლად ბჟუტავენ ნომრები. მისი მზერა მისრიალებს კედლის პირზე თავისი ნომრის ძიებაში. ის აკაკუნებს კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებს წითელი ნომრების ანარეკლი. ის მიდის კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლიდან მოდენილი სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მიბჯენილია მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ გრძელ, ვიწრო, შემპალ, თხელი სინათლით განათებულ კიბეს. სინათლე რბილად ეფინება ჩემ ფეხქვეშ. მე ჩავდივარ კიბეზე, რომელიც ყანყალებს და იზნიქება ჩემი სიმძიმის ქვეშ, გადასალტული რკინის სარტყელებით. ხელით ვიმაგრებ თავს კედელთან. ხორკლიან ზედაპირზეც მე ვჩანვარ. ვიწრო, გრძელ დერეფანში მიმავალი. ჩემ ირგვლივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებულ კარებს. მბჟუტავი წითელი ნომრებით. ჩემი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე ჩემი ნომრის ძიებაში. მე ვაკაკუნებ კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებენ წითელი ნომრების ანარეკლები. მე ჩავდივარ მაღალ კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მობჯენილია ვიწრო ხის კიბეზე, რომლის შემპალი საფეხურები გადასალტულია რკინის ლვედით. ჩავდივარ კიბეზე. იგი განათებულია სპირალურად დახვეულ თავებზე მდგარი ნათურებით, რომლებიც გამოყოფენ

კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დადგმულია მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე, იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და ქარში აფრენილი ფოთლები. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ კაცი, რომელიც ძლივს მიარღვევს ქარს. ცალი ხელით ქუდს იმაგრებს თავზე. პალტოს კალთები უფრიალებს და ცალი მხარი წინ აქვს მიშვერილი ქარგამპობად. ხეებს შორის მბჟუნავი ნათურები ჭრაჭუნებენ ქარში. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედლის საათებია დამაგრებული. ისინი ზუსტად ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გავიდა კიდევ ათი წუთი. საათის მწვანე ისრები ანათებენ მრგვალ ციფერბლატზე. ფანჯრების ორივე მხარეს სიმეტრიულად კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სა-

მაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადანნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს. მათ შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. მე ნელა ჩავდივარ კიბეებზე, რომლის ორივე მხარეს ჩაჰყვება რკინის მოაჯირები. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მის ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. მე ჩავდივარ კიბეზე. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მომართულია ჩემკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული ინსუპერაბილისოსტენტუოციოზას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, ნარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. ჩემი იდაყვების ქვეშ. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ჩემს თითებში. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭ-

ვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და თოვლით დაფარული ყვავილნარი. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კიდია საათები. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გადის კიდევ ათი წუთი. საათის ისრები მწვანედ ანათებენ მრგვალ ციფერბლატს. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. მე ვაღებ კარებს. მთელ სიგრძეზე გაჭიმული ხელის თითებით ვებღაუჭები კარის მძიმე სახელურს. თითები სრიალებენ და სისხლამდე იკაწრებიან ბრინჯაოს ხორკლიან ზედაპირზე. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ქოთანში, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს, ისეთსავე ქოთანში. ასეთივე გირლანდების მოოქრული ყვავილწნულია კარის მოხარატებულ საპირეებზე, რომელთა შორის ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. მე მივდივარ გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე წითლად ბჟუტავენ ნომრები. ჩემი მზერა მისრიალებს კედლის პირზე ჩემი ნომრის ძიებაში. მე ვაკაკუნებ კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებს წითელი ნომრების ანარეკლი. ის მიდის კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლიდან მოდენილი სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოეარაყებულ თავებს. მე მივდივარ დერეფანში, იგი უხვევს მარჯვნივ და ებჯინება მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ გრძელ, ვიწრო, შემპალ, თხელი სინათლით განათებულ კიბეს. მე ავდივარ კიბეზე. სინათლე რბილად ეფინება ჩემ ფეხქვეშ. კიბე

ყანყალებს და იზნიქება ჩემი სიმძიმის ქვეშ, გადასალტული რკინის სარტყელებით. ხელით ვიმაგრებ თავს კედელზე, რომელზეც დამაგრებულია მბჟუტავი ბრა. ხორკლიან ზედაპირზეც მე ვჩანვარ. ვიწრო, გრძელ დერეფანში მიმავალი. ჩემ ირგვლივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებულ კარებს. მბჟუტავი წითელი ნომრებით. ჩემი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე ჩემი ნომრის ძიებაში. მე ვაკაკუნებ კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებენ წითელი ნომრების ანარეკლები. მე ჩავდივარ მაღალ კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მობჯენილია ვიწრო ხის კიბეზე, რომლის შემპალი საფეხურები გადასალტულია რკინის ღვედით. ჩავდივარ კიბეზე. იგი განათებულია სპირალურად დახვეულ თავებზე მდგარი ნათურებით, რომლებიც გამოყოფენ კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დადგმულია მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული დელუდოფორმიკოზუსედიფიციას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ჩემს თითებში. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. ცივ შუშაში. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი

ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბალი და თოვლის მსხვილი ფანტელები. ბარდნის... ბალი ჩაბნელებულია. ხეებს შორის მბჟუტავი ნათურები მშვიდად ჭრაჭუნებენ ქარში. ფანჯრების გასწვრივ დგას სამი დაბალზურგიანი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის საათები კიდია. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გავა კიდევ ათი წუთი. საათის მწვანე ისრები ანათებენ მრგვალ ციფერბლატებს. ფანჯრების ორთავე მხარეს დაკიდებულ სიმეტრიულ სურათებზე გამოსახულია მარმარილოს დიდი, ფართო კიბეები. კიბეების შუაგულში დაფენილია წითელი ხალიჩა. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. მე ნელა მივაბიჯებ კიბეზე. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, მათზე ჩანს, როგორ ავდივარ მე ფართო მარმარილოს კიბეებზე დაგებულ ხალიჩაზე. ხშირფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები მჭიდროდ ეკვრის კიბის საფეხურებს წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებუ-

ლია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია ჩემკენ. მე ავდივარ კიბეებზე. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ნიწვებხშირი სტილიზებული პეტრუსუბერუსულცეროზას სტილიზებული ფოთლები ღეროებზე ჩაჯენილი სფინქსისგამოსახულებიანი პატარა მედალიონებით. სფინქსს მარჯვენა ხელი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მძვინვარებას. ის ქალია. ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავები. ჩემი ხელის მტევნებში. რბილი სავარძლები მაღალი ზურგით და რბილი მკლავსაყრდენებით. ჩემს იდაყვებქვეშ. მაგიდის ირგვლივ მდგარ სავარძლებზე გადაკრულია მწვანე ფარჩის ქსოვილი. ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. ქოთანი ჩადგმულია მაგიდაზე მდგარ ვერცხლის წნულ სადგამში. ყვავილთა შორის გამოირჩევა ფართოფოთლოვანი მონტბრეცია. ჩემს თითებში. გამჭვირვალე ქოთანში ჩანს ყვავილთა ღეროები ჩადებული წყალში. წყალი შუამდეა ჩასული. ცივ შუშაში. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ფანჯრები იღება ძაღლის ბრინჯაოს თავებში გაყრილი მასიური სახელურებით. ფანჯრების ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდა, რომლის ჭრილში მოჩანს ბაღი და თოვლით დაფარული მოხუცი კაცი. წელში მოხრილი, იგი ნელა მიაბიჯებს დათოვლილ ბილიკზე. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ მხრებაბუზული ქალი, რომელიც მიაბიჯებს სველ ბილიკზე. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედლებზე კიდია საათები. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გადის კიდევ ათი წუთი. საათის ისრები ანათებენ მწვა-

ნე ციფერბლატს. ფანჯრების ორთავე მხარეს სიმეტრიულად დაკიდულ სურათზე გამოხატული აღებს კარებს. მე ვაღებ კარებს. ხელი სრიალებს სახელურზე. სისხლდაკანრული, მოსრიალებული თითები ძლივს აღებენ კარებს. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ქოთანში, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს, ისეთსავე ქოთანში. ასეთივე გირლანდების მოოქრული ყვავილწნულია კარის მოხარატებულ საპირეებზე, რომელთა შორის ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია ჩემი ყოველდღიური ცხოვრების სურათები, როგორ მივდივარ მე გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე წითლად ბჟუტავენ ნომრები. ჩემი მზერა მიხოხავს კედლის პირზე ჩემი ნომრის ძიებაში. მე მივდივარ კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლიდან მოდენილი სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მიბჯენილია მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ გრძელ, ვიწრო, შემპალ, თხელი სინათლით განათებულ კიბეს. სინათლე რბილად ეფინება ჩემ ფეხქვეშ. მე ავდივარ ხის შემპალ კიბეზე, რომელიც ყანყალებს და იზნიქება ჩემი სიმძიმის ქვეშ, გადასალტული რკინის სარტყელებით. მე ნელა ვადგამ ფეხს შემსკდარ საფეხურებს. ხელით ვიმაგრებ თავს კედელთან. ხორკლიან ზედაპირზეც მე ვჩანვარ. მე ავდივარ ფართო მარმარილოს კიბეებზე დაგებულ სისხლისფერ ხალიჩაზე, შევდივარ ჰოლში, მივდივარ მაგიდასთან, ვიცქირები ფანჯრებზე ჩამოკიდებული ფარდების ჭრილში, რომელშიც ჩანს ბაღი და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ბაღის ბილიკები მთვარის ერთნაირი, უჩრდილო სინათლითაა განათებული. სინათლე აფენია ხეების შეფოთლილ გვირგვინებსაც. კედლებზე სიმეტრიულად კიდია სურათი. მე მივდივარ კარებთან. ვაღებ კარებს და შევდივარ ვიწრო გრძელ დერეფანში. კედლების გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელ-

თა თავზე წითელი ნომრები ბჟუტავენ. მათი სინათლე ძლივს სწვდება კოლონების ზედაპირს. მე ვაკაკუნებ კარებზე. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია ვიწრო გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების თავებს. მე მივდივარ კოლონებს შორის. დერეფანი მთავრდება თეთრი, რკინისგისოსებიანი კიბით, რომელიც მაღალ ბოძებს ეყრდნობა. გაქათქათებულ საფეხურებს ემჩნევა ფეხის ანაბეჭდები. შენ ადიხარ კიბეზე. ფრთხილად ადგამ ფეხს საფეხურების თხელ გისოსებს, რომლებშიც ამობზნილია ყვავილოვანი ორნამენტი. საფეხურების ვერტიკალურ კედლებზე ამოკაწრულია სურათი. ჩანხარ შენ. შენ მოდიხარ ვიწრო გრძელ დერეფანში. მაღალ კოლონებს შორის, რომლებიც გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს. კარების თავზე ბჟუტავენ წითელი ნომრები. მათი სინათლე ძლივს სწვდება კოლონების ძირებს. შენ აკაკუნებ კარებზე. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს. შენ მიდიხარ კოლონებს შორის და ადიხარ კიბეზე, რომლის თხელ გისოსებს მკრთალად ემჩნევა შენი ნაფეხურები. კიბე მთავრდება სახელურის თავზე დამაგრებული ჩუმი ნათურებით, რომლებიც გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დადგმულია მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული ფასფალსუსპერსონატას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. შენი ხელის მტევნებში. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. შენი იდაყვების ქვეშ. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ

შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. შენს თითებში. ქოთანი დგას მაგიდაზე იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და თოვლით დაფარული ქანდაკებები. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ კაცი, რომელიც ძლივს მიარღვევს ქარს. ცალი ხელით ქუდს იმაგრებს თავზე. პალტოს კალთები უფრიალებს და ცალი მხარი წინ აქვს მიშვერილი – ქარგამპობად. ხეებს შორის მბჟუტავი ნათურები ჭრაჭუნებენ ქარში. ბაღი ჩაბნელებული. ფანჯრებთან მიდგმულია მდიდრულად მოჩუქურთმებული რბილი ტახტრევანები. დაბალზურგიანი. ფანჯრებშორის დაკიდებული საათების მწვანე ისრები ერთნაირად ანათებენ მრგვალ ციფერბლატებს. ზუსტად იგივე დროა. გავიდა კიდევ ათი წუთი. ფანჯრების ორივე მხარეს, სიმეტრიულად კიდია სურათები. მათზე მარმარილოს ფართო კიბეებია გამოხატული. კიბის შუაგულში დაფენილია სისხლისფერი ხალიჩა. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები მიმართული სხვადასხვა მხარეს. შენ ნელა მიაბიჯებ კიბეზე. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან შენ ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა

მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია შენკენ. შენ ადიხარ კიბეზე. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული ფასფალსუსპერსონატას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია სფინქსის გამოსახულებები. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. შენი ხელის მტევნებში. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე, იგი ჩადგმულია ვერცხლის ნნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და ქარში აფენილი ყვითელი ფოთლები. ქალი მიდის გახევებულ ბილიკებზე. ორივე ხელით იჭერს აფრიალებული კაბის კალთებს. თმებაწეწილი თავი დაბლა აქვს დახრილი და მთელი ტანი წინ გადაწეული. ქარგამყოფად. ხელში მას მრგვალთავა ბავშვი უჭირავს, რომელიც ქალის გრძელ თავშალშია გახვეული. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედელზე ჩამოკიდებული საა-

თები ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ მწვანედ განათებული ისრებით მრგვალ ციფერბლატებზე. გადის კიდევ ათი წუთი. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. ფანჯრების ორთავე მხარეს სიმეტრიულად დაკიდულ სურათზე გამოხატული, აღებ კარებს. მთელ სიგრძეზე გაწვდილი შენი ხელის თითები ებღაუჭებიან მძიმე სახელურს. ხელი სრიალებს სახელურზე. სისხლდაკაწრული. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ქოთანში, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს, ისეთსავე ქოთანში. ასეთივე გირლანდების მოოქრული ყვავილწნულია კარის მოხარატებულ საპირეებზე, რომელთა შორის ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია შენი ყოველდღიური ცხოვრების სურათები. შენ მიდიხარ გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე წითლად ბჟუტავენ ნომრები. შენი მზერა მისრიალებს კედლის პირზე თავისი ნომრის ძიებაში. ის აკაკუნებს კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებს წითელი ნომრების ანარეკლი. ის მიდის კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლიდან მოდენილი სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მიბჯენილია მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ გრძელ, ვიწრო, შემპალ, თხელი სინათლით განათებულ კიბეს. სინათლე რბილად ეფინება ჩემ ფეხქვეშ. შენ ჩადიხარ კიბეზე, რომელიც ყანყალებს და იზნიქება შენი სიმძიმის ქვეშ, გადასალტული რკინის სარტყელებით. ხელით იმაგრებ თავს კედელთან. ხორკლიან ზედაპირზეც შენ ჩანხარ. ვიწრო, გრძელ დერეფანში მიმავალი. შენ ირგვლივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებულ კარებს. მბჟუტავი წითელი ნომრებით. შენი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე შენი ნომრის ძიებაში. შენ აკაკუნებ კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებენ წითელი ნომრების ანარეკლები. შენ ჩავდივარ მაღალ კოლონებს შო-

რის. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მობჯენილია ვიწრო ხის კიბეზე, რომლის შემპალი საფეხურები გადასალტულია რკინის ლვედით. ჩავდივარ კიბეზე. იგი განათებულია სპირალურად დახვეულ თავებზე მდგარი ნათურებით, რომლებიც გამოყოფენ კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დადგმულია მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, ნარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკერივი ძუძუსთავებით. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ, სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და ქარში აფრენილი ფოთლები. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ კაცი, რომელიც ძლივს მიარღვევს ქარს. ცალი ხელით ქუდს იმაგრებს თავზე. პალტოს კალთები უფრიალებს და ცალი მხარი წინ აქვს მიშვერილი – ქარგამპობად. ხეებს შორის მბჟუტავი ნათურები ჭრაჭუნებენ ქარში. ბაღი ჩაბნელებულია. შენ ხედავ მხოლოდ ბაღს და დათოვლილ ბილიკებს. აბუზული, ბეწვაბურძგნილი სველი ძაღლი ძუნძულით მიათრევს გრძელ ჯაჭვს. ხშირი

წვრილი თოვლის ძაფები ჩალმად ეხვევა გახევებული ხეების თავებს. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედლის საათებია დამაგრებული. ისინი ზუსტად ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გავიდა კიდევ ათი წუთი. საათის მწვანე ისრები ანათებენ მრგვალ ციფერბლატზე. ფანჯრების ორივე მხარეს სიმეტრიულად კიდია სურათი. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს. მათ შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები მიმართული, სხვადასხვა მხარეს. შენ ნელა ჩადიხარ კიბეებზე, რომლის ორივე მხარეს ჩაჰყვება რკინის მოაჯირები. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან შენს ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი შემდგომი საფეხურის კიდეში. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. მე ჩავდივარ კიბეზე. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მომართულია ჩემკენ. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული კრეაციალეშიფერიას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხე-

ული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი – ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. შენი ხელის მტევნებში. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. შენი იდაყვების ქვეშ. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ჩემს თითებში. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი იღება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და თოვლით დაფარული ყვავილნარი. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კიდია საათები. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გადის კიდევ ათი წუთი. საათის ისრები მწვანედ ანათებენ მრგვალ ციფერბლატს. ფანჯრების ორივე მხარეს მთელ კედელზე კიდია სურათი. შენ აღებ კარებს. მთელ სიგრძეზე გაჭიმული ხელის თითებით ვებღაუჭები კარის მძიმე სახელურს. თითები სრიალებენ და სისხლამდე იკაწრებიან ბრინჯაოს ხორკლიან ზედაპირზე. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ქოთანში, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს, ისეთსავე ქოთანში. ასეთივე გირლანდების მოოქრული ყვავილწნულია კარის მოხარატებულ საპირეებზე, რომელთა შორის ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია ყოველდღიური ცხოვრების სურათები. შენ მიდიხარ გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელ-

თა თავზე წითლად ბჟუტავენ ნომრები. შენი მზერა მისრიალებს კედლის პირზე შენი ნომრის ძიებაში. შენ ვაკაკუნებ კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებს წითელი ნომრების ანარეკლი. ის მიდის კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლიდან მოდენილი სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ თავებს. შენ მივდივარ დერეფანში იგი უხვევს მარჯვნივ და ებჯინება მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ გრძელ, ვიწრო, შემპალ, თხელი სინათლით განათებულ კიბეს. მე ავდივარ კიბეზე. სინათლე რბილად ეფინება ჩემ ფეხქვეშ. კიბე ყანყალებს და იზნიქება შენი სიმძიმის ქვეშ, გადასალტული რკინის სარტყელებით. ხელით ვიმაგრებ თავს კედელზე, რომელზეც დამაგრებულია მბჟუტავი ბრა. ხორკლიან ზედაპირზეც შენ ჩანხარ. ვიწრო, გრძელ დერეფანში მიმავალი. შენ ირგვლივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებულ კარებს. მბჟუტავი წითელი ნომრებით. ჩემი მზერა მისრიალებს კედლის ზედაპირზე ჩემი ნომრის ძიებაში. შენ აკაკუნებ კარებზე. მაღალი კოლონების ძირებს მკრთალად ანათებენ წითელი ნომრების ანარეკლები. ის ჩავდივარ მაღალ კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მობჯენილია ვიწრო ხის კიბეზე, რომლის შემპალი საფეხურები გადასალტულია რკინის ლვედით. ჩადიხარ კიბეზე. იგი განათებულია სპირალურად დახვეულ თავებზე მდგარი ნათურებით, რომლებიც გამოყოფენ კიბეს ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დადგმულია მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული დელუდოფორმიკოზუსედიფიციას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი — ორი კოკორივით ნაზი

მკვრივი ძუძუსთავებით. შენი ხელის მტევნებში. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. შენს თითებში. ქოთანი დგას მაგიდაზე. იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. ცივ შუშაში. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და თოვლის მსხვილი ფანტელები. ბარდნის. ბაღი ჩაბნელებულია. ხეებს შორის მბჟუტავი ნათურები მშვიდად ჭრაჭუნებენ ქარში. ბაღი ჩაბნელებულია. შორს მოჩანს მთვარით განათებულ ბილიკზე მიმავალი ქალი. მთვარის მკრთალი სინათლე ანათებს ქალის ხორცსავსე მკერდს და შიშველი მხრის გლუვ ზედაპირს. იგი ნელა მიდის სწორად შეკრეჭილი გაზონების რიგში. ფანჯრების გასწვრივ დგას სამი დაბალზურგიანი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის საათები კიდია. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გავა კიდევ ათი წუთი. საათის მწვანე ისრები ანათებენ მრგვალ ციფერბლატებს. ფანჯრების ორთავე მხარეს დაკიდებულ სიმეტრიულ სურათებზე გამოსახულია მარმარილოს დიდი ფართო კიბე. კიბეების შუაგულში დაფენილია წითელი ხალიჩა. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ის მშვიდად მიაბიჯებს

კიბეზე. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, მათზე ჩანს, როგორ ადის ის ფართო მარმარილოს კიბეზე დაგებულ ხალიჩაზე. ხშირფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები მჭიდროდ ეკვრის კიბის საფეხურებს წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით, რომელთა მოძრაობას იმეორებენ ფრინველის ნისკარტდაღებული თავები, მიმართული სხვადასხვა მხარეს. კიბის თავები სპირალურადაა დახვეული. მათზე დამაგრებულია კანდელები ხელაპყრობილი ქალის სახით. მას აცვია გრძელი, სწორად დანაოჭებული კაბა მკერდქვეშ გადასალტული ფართო ოქრონაქარგი მუარის ლენტით. ჩამოცურებული სახელოებიდან მას მოუჩანს ხორცსავსე მკლავები. იგივე ქალი დგას მარცხნივაც. მათი მზერა მიმართულია ჩემკენ. მე ავდივარ კიბეებზე. კიბის ბოლოშიც კანდელებია დამაგრებული, მაგრამ მასიურ კვარცხლბეკებზე. ისინი ასრულებენ კიბეს და გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დგას მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს სტილიზებული პეტრუსუბერუსულცეროზას სტილიზებული ფოთლები ღეროებზე ჩაჯენილი სფინქსისგამოსახულებიანი პატარა მედალიონებით. სფინქსს მარჯვენა ხელი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული ნარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მძვინვარებას. ის ქალია. ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავები. მისი ხელის მტევნებში. რბილი სავარძლები მაღალი ზურგით და რბილი მკლავსაყრდენებით. ჩემს იდაყვებქვეშ. მაგიდის ირგვლივ მდგარ სავარძლებზე გადაკრულია მწვანე ფარჩის ქსოვილი. ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. ქოთანი ჩადგმულია მაგიდაზე მდგარ ვერცხლის წნულ სადგამ-

ში. ყვავილთა შორის გამოირჩევა ფართოფოთლოვანი მონტ-ბრეცია. მის თითებში. გამჭვირვალე ქოთანში ჩანს ყვავილთა ღეროები ჩადებული წყალში. წყალი შუამდეა ჩასული. ცივ შუშაში. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ფანჯრები ილება ძაღლის ბრინჯაოს თავებში გაყრილი მასიური სახელურებით. ფანჯრების ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდა, რომლის ჭრილში მოჩანს ბაღი და თოვლით დაფარული მოხუცი კაცი. წელშიმოხრილი, იგი ნელა მიაბიჯებს დათოვლილ ბილიკზე. ბაღი ჩაბნელებულია. ჩანს მხოლოდ მხრებაბუზული ქალი, რომელიც მიაბიჯებს სველ ბილიკზე. ბაღი ჩაბნელებულია. ქარში აფენილ ყვითელ ფოთლებში მიმავალი მრგვალთავა ქალი შეუპოვრად მიარღვევს ფოთოლქარის კედელს თავისი გრძელ თავშალში გახვეული მრგვალთავა ბავშვით. ბაღი ჩაბნელებულია. ფანჯრების გასწვრივ დადგმულია სამი დაბალზურგიანი რბილი ტახტრევანი მდიდრულად მოჩუქურთმებული გვერდებით. ფანჯრებს შორის კედლებზე კიდია საათები. ისინი ერთსა და იმავე დროს უჩვენებენ. გადის კიდევ ათი წუთი. საათის ისრები ანათებენ მწვანე ციფერბლატს. ფანჯრების ორთავე მხარეს სიმეტრიულად დაკიდებულ სურათზე გამოხატული აღებს კარებს. ის აღებს კარებს. ხელი სრიალებს სახელურზე. სისხლდაკანრული, მოსრიალებული თითები ძლივს აღებენ კარებს. კარი მოჩარჩოებულია მარმარილოს სწორკუთხედით და შემკულია ყვავილწნული გირლანდებით, რომელიც იწყება ვერცხლის წნულში ჩადებულ ქოთანში, მიჰყვება ჩარჩოს სწორკუთხედს და ეშვება ძირს, ისეთსავე ქოთანში. ასეთივე გირლანდების მოოქრული ყვავილწნულია კარის მოხარატებულ საპირეებზე, რომელთა შორის ოთხკუთხა ოქროჭედილ დარაბებზე ამოძერწილია მისი ყოველდღიური ცხოვრების სურათები, როგორ მიდის ის გრძელ ვიწრო დერეფანში. ორივე კედლის გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე წითლად ბჟუტავენ ნომრები. ჩემი მზერა მიხოხავს კედლის პირზე თავისი ნომრის ძიებაში. ის მიდის კოლონებს შორის. დერეფნის ბოლოს, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლიდან მოდე-

ნილი სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების მოვარაყებულ თავებს. დერეფანი მიბჯენილია მასიური კოლონის ირგვლივ დახვეულ გრძელ, ვიწრო, შემპალ, თხელი სინათლით განათებულ კიბეს. სინათლე რბილად ეფინება მის ფეხქვეშ. ის ადის ხის შემპალ კიბეზე, რომელიც ყანყალებს და იზნიქება ჩემი სიმძიმის ქვეშ, გადასალტული რკინის სარტყელებით. ის ნელა ადგამს ფეხს შემსკდარ საფეხურებს. ხელით იმაგრებს თავს კედელთან. ხორკლიან ზედაპირზეც ის ჩანს. ის ადის ფართო მარმარილოს კიბეზე დაგებულ სისხლისფერ ხალიჩაზე, შედის ჰოლში, მიდის მაგიდასთან, იცქირება ფანჯრებზე ჩამოკიდებული ფარდების ჭრილში, რომელშიც ჩანს ბაღი და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ბაღის ბილიკები მთვარის ერთნაირი, უჩრდილო სინათლითაა განათებული. სინათლე აფენია ხეების შეფოთლილ გვირგვინებსაც. ბაღი ჩაბნელებულია. კედლებზე სიმეტრიულად კიდია სურათი. ის მიდის კარებთან. აღებს კარებს და შედის ვიწრო გრძელ დერეფანში. კედლების გასწვრივ ჩარიგებული კოლონები გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს, რომელთა თავზე წითელი ნომრები ბჟუტავენ. მათი სინათლე ძლივს სწვდება კოლონების ზედაპირს. ის აკაკუნებს კარებზე. დერეფნის ბოლოს ჭერქვეშ გაჭრილია ვიწრო გრძელი ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლომდებარე კოლონების თავებს. ის მიდის კოლონებს შორის. დერეფანი მთავრდება თეთრი, რკინისგისოსებიანი კიბით, რომელიც მაღალ ბოძებს ეყრდნობა. გაქათქათებულ საფეხურებს ემჩნევა ფეხის ანაბეჭდები. შენ ადიხარ კიბეზე. ფრთხილად ადგამ ფეხს საფეხურების თხელ გისოსებს, რომლებშიც ამოწნილია ყვავილოვანი ორნამენტი. საფეხურების ვერტიკალურ კედლებზე ამოკაწრულია სურათი. ჩანხარ შენ. შენ მოდიხარ ვიწრო გრძელ დერეფანში, მაღალ კოლონებს შორის, რომლებიც გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს. კარების თავზე ბჟუტავენ წითელი ნომრები. მათი სინათლე ძლივს სწვდება კოლონების ძირებს. შენ აკაკუნებ კარებზე. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს.

შენ მიდიხარ კოლონებს შორის და ადიხარ კიბეზე, რომლის თხელ გისოსებს მკრთალად ემჩნევა შენი ნაფეხურები. შენ ადიხარ კიბეზე. ფრთხილად ადგამ ფეხს საფეხურების თხელ გისოსებს, რომლებშიც ამოჭრილია ყვავილოვანი ორნამენტი. საფეხურების ვერტიკალურ კედლებზე ამოკაწრულია სურათი. ჩანს ის. ის მოდის ვიწრო გრძელ დერეფანში, მაღალ კოლონებს შორის, რომლებიც გამოყოფენ კედელში ჩატანებულ კარებს. კარების თავზე ბჟუტავენ წითელი ნომრები. მათი სინათლე ძლივს სწვდება კოლონების ძირებს. შენ აკაკუნებ კარებზე. დერეფნის ბოლოში, ჭერქვეშ, გაჭრილია გრძელი ვიწრო ფანჯარა, რომლის სინათლე ირიბად ეცემა ახლოგამავალი კოლონების მოვარაყებულ თავებს. ის მიდის კოლონებს შორის და ადის კიბეზე, რომლის თხელ გისოსებს მკრთალად ემჩნევა მისი ნაფეხურები. კიბე მთავრდება სახელურის თავზე დამაგრებული ჩუმი ნათურებით, რომლებიც გამოყოფენ მას ფართო ჰოლისაგან, რომლის შუაში დადგმულია მრგვალი მაგიდა. მაგიდის ამოზნექილ ფეხებზე დამაგრებულია მოოქრული ბრინჯაოს ჭედური სტილიზებული ფასფალსუსპერსონატას სტილიზებული ფოთლები, რომელთა ღეროებზე ჩაჯენილია პატარა მედალიონები. მედალიონებზე სფინქსის გამოსახულებებია. მარჯვენა ფეხი მბრძანებლურად აქვს აწეული და მთელი სხეული გაზნექილი. დაძაბული, წარბშეჭმუხნული სახე გამოხატავს მრისხანებას. ის ქალია. მკერდი — ორი კოკორივით ნაზი მკვრივი ძუძუსთავებით. მისი ხელის მტევნებში. მაგიდის გარშემო დგას ოთხი სკამი. ისინიც იმავე სტილშია ნაკვეთი. რბილი სავარძლები ამოზნექილ ფეხებზე მაღალი ზურგითა და რბილი მკლავსაყრდენებით. ჩემი იდაყვების ქვეშ. სავარძელზე გადაკრულია მომწვანო ფარჩის ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგულია ყვავილები მუცელგაბერილ ქოთანში. მათ შორის გამოირჩევა ფართოფურცლიანი მონტბრეცია. ჩემს თითებში. ქოთანი დგას მაგიდაზე, იგი ჩადგმულია ვერცხლის წნულ სადგამში. გამჭვირვალე შუშაში ჩანს წყალში ჩადებული ყვავილების ღეროები. წყალი ნახევარზეა ჩასული. მაგიდის იქით, კიბის პირდაპირ სამი დიდი ფანჯარაა. ისინი ილება მასიური სახელურებით, რომლებიც

გაყრილია ბრინჯაოს ძაღლის თავებში. ფანჯრის ორივე მხარეს ეშვება მძიმე ხავერდის ფარდები, რომელთა ჭრილში ჩანს ბაღი და ბაღი ჩაბნელებულია. თოვლით დაფარულ ქანდაკებებში ჩანს მხოლოდ კაცი, რომელიც ძლივს მიარღვევს ქარს. ცალი ხელით ქუდს იმაგრებს თავზე. პალტოს კალთები უფრიალებს და ცალი მხარი წინ აქვს მიშვერილი – ქარგამპობად. ხეებს შორის მბჟუტავი ნათურები ჭრაჭუნებენ ქარში. ბაღი ჩაბნელებულია. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ბაღის ბილიკები მთვარის ერთნაირი, უჩრდილო სინათლითაა განათებული. სინათლე აფენია ხეების შეფოთლილ გვირგვინებსაც. ბაღი ჩაბნელებულია. გადის კიდევ ათი წუთი. ფანჯრების ორთავე მხარეს, სიმეტრიულად დაკიდულ სურათებზე გამოსახული ადის ფართო მარმარილოს კიბეებზე დაგებულ წითელ ხალიჩაზე... უსვამს ხელს კანდელად მდგარი ქალის ხორცსავსე მკლავებს... მიდის მაგიდასთან... ჯდება სავარძელში და ჰკიდებს ხელს სფინქსის კოკორივით ნაზსა და მკვრივ ძუძუსთავებს... ადებს ხელს ქოთნის ცივ შუშას... თითებით ეხება მონტბრეციას ფართო ფურცლებს... მიდის ფანჯარასთან... სწევს მძიმე ხავერდის ფარდებს... ხსნის ძაღლისთავებიან ბრინჯაოს საკეტებს... აღებს ფანჯარას და იხედება ბაღში. კაშკაშა მზის თვალისმომჭრელ ხვატში ბაღის ბილიკებს ალმური ასდის... ტანშიშველი ფართოფოთლიანი ხეების ძირში დაზაფრულ ყვავილებში წევს მცონარე ძაღლი, თვალმილულული. ის კეტავს ფანჯარას და უყურებს კედლებზე სიმეტრიულად ჩამოკიდებულ საათებს. გადის კიდევ ათი წუთი. ისინი ერთსა და იმავე დროს აჩვენებენ. ის მიდის კარებთან, რომელიც კედელზე სიმეტრიულად განლაგებული სურათებისაგან მარმარილოს ჩარჩოთია გამოყოფილი. მას უნდა გააღოს კარები. ძლივს სწვდება კარის სახელურს, რომელიც უსრიალებს ხელიდან და სისხლამდე უკაწრავს თითებს. ის აღებს კარებს და შედის გრძელ ვიწრო დერეფანში. ის აკაკუნებს კარებზე. ის მიდის კოლონებს შორის და აკაკუნებს კარებზე, რომელთა თავზე ჩამოკიდებულია წითელი ნომრები. მათი სინათლე ძლივს სწვდება კოლონების მასიურ ძირებს. ჩაბნელებულ დერეფანში მიდის ის და აკაკუნებს კარებზე. მისი მზერა

მიხოხავს კედლის ზედაპირზე მიმაგრებულ ნომრებზე თავისი ოთახის ძიებაში. დახედეთ თქვენს საათს. გადის კიდევ ათი წუთი. აღნიშნული დრო ზუსტად თანხვდება კითხვის პროცესის დროს, რომელიც დაკავშირებულია მის მოძრაობასთან შენობაში თავისი ოთახის ძიებაში. შესაძლოა, იგი უკავშირდება იმ დროს, რომლის განმავლობაშიც მე ვწერდი მისი მოძრაობის შესახებ ან იმას, რომელიც იქმნება შენ მიერ. ეს არის წმინდა დრო, დაკავშირებული იმ უსასრულობასთან, რომელიც წარმოდგენილია შენი სივრცობრივი განფენით, რაც აბსოლუტურად აკავშირებს ერთმანეთთან დროსა და სივრცეს, რის გამოც ისინი იძენენ იგივეობრივ თვისებებს. სივრცე იწყებს მდინარებას, ხდება განმავლობად, მაშინ, როდესაც დრო განეფინება. იგი ჩაკეტილია თავისთავში და უძრავი. საერთოდ კი ეს შეიძლება იყოს ის დროც, რომლის განმავლობაში მან იპოვა თავისი ოთახი, როგორც ეს იყო აღწერილი, რადგან დილით, როდესაც განათდა, მან გაიღვიძა მოულოდნელი გრძნობისაგან, რომ ოთახში ვიღაც არის. ის გამუდმებულად გრძნობდა მის მზერას თავის სახეზე და შეეცადა, მოევლო თვალი ოთახისათვის, მაგრამ ვერაფერი საეჭვო ვერ შენიშნა. მაშინ ის წამოდგა და სწრაფად მიმოიხედა. ყველა ნივთი იდო თავის ადგილას. საწოლთან დადგმულ სკამზე გადაკიდებულია მისი ახალგაუთავებული შარვალი, რომლის ჯიბეში მან დაინახა ყუნწამოჩრილი ქვითარი და ესიამოვნა, ასე სწრაფად და კეთილსინდისიერად რომ შეუსრულეს თხოვნა. ოთახი დალაგებული და დასუფთავებული იყო. საწერ მაგიდაზე ეწყო მისი ყოველდღიური სამუშაო. ამ რამდენიმე ხნის წინ შენობის ადმინისტრაციამ მას ნება დართო, გადაუდებელი სამუშაო სახლში წაეღო და სამსახურიდან თავისუფალ დროს შეესრულებინა. ახლა მას გაახსენდა ეს ნდობა და სასიამოვნოდ გასცრა ტანში. რამდენ ხანს არწმუნებდა იგი მათ, რომ ეს არავითარ უხერხულობას არ შეუქმნიდა და კიდეც პირიქით, სავსებით დააკმაყოფილებდა შრომისადმი მის დაუოკებელ მისწრაფებას; რომ მას მუშაობის მოთხოვნილება ჰქონდა. მას არ შეეძლო ამის გარეშე ცხოვრება, რომ ეს მისი არსია... საოცარიც კი იყო, შენ ამის მტკიცება გიხდებოდა

შენი ცხოვრების იმ საშინელი წლების შემდეგ, რომელიც, მადლობა ღმერთს, გადაიტანე, როდესაც მარტოდმარტო დახეტიალებდი ტყეში და ღრეში, უგზოუკვლოდ და უმისამართოდ, და უპატრონოდ, როდესაც აღამებდი, ლურჯი ზღვის პირად შემყურე, შორით მიმცურავ თეთრი გემებისა და მზის მომაჯადოებელი ჩასვლისა ან, მთაში ასული ხედავდი, როგორ სკდებოდა ზვავი კლდის პირიდან, გრიალებდა, აწყდებოდა ვიწრო ხეობის კედლებს და ავსებდა იქაურობას გამაყრუებელი და ალმაფრთოვანებელი ხმაურით და ფრთხებოდნენ შურთხები ამ ხმის გამოძახილზე... მადლობა ღმერთს, რომ მან აიცილა უკვე ეს კოშმარი თავისი ადრინდელი ცხოვრებისა, ესოდენ შესაზარი დღეს. ჩემთვის დრო არ არსებობდა. მე თვითონ ვიყავი დრო. სულ ერთი იყო, ავდგებოდი დილის შვიდ საათზე თუ ვიძინებდი დაღამებამდე, — კითხვაში ან ქეიფში ღამენათევი. დავიბანდი, გავიპარსავდი, დავივარცხნიდი, გავიუთოებდი, ყელსაბამს შევიბამდი და შევიდოდი სუფთა, ნათელ ოთახში, რომელშიც იდგმებოდა ლამაზი, გაკრიალებული მაგიდა, ჩემი მაგიდა, სხვა მაგიდების რიგში, თუ ვიგორავებდი ბალახში ფეხშიშველი, ავჭენდებოდი მთის წვერზე უბელო ცხენის ზურგზე ან შევცურავდი ზღვაში დასაკარგავად... როგორ შეეძლო მას, თრეულიყო ასე საწყალობლად, უჯამაგიროდ, უსამსახუროდ. ამის მოგონებამ უსიამოდ აბურძგნა და სწრაფად მოიშორა თავიდან ეს უეცარი ქროლვა შავბნელ დღეთა ათინათების. ჯანსაღად შეისხურა სახეზე ცივი წყალი, გამოიხეხა კბილები. შემობრუნდა. სწრაფადვე ჩაიცვა გაუთავებული შარვალი, გადმოიცვა გაქათქათებული პერანგი. შეიკრა ჯერ ფეხსაცმელის თასმები, შემდეგ სარკესთან მოხდენილად გამოინასკვა ყელზე საბამი და კმაყოფილმა შეათვალიერა თავი. გამსახურდი?! ა! უბედნიერესი დღე მის ცხოვრებაში. შენობის მსახურთა რიგში! შენ ვერასოდეს ვერ მიაღწევდი ამას, რომ ერთ დღეს... როდის იყო ეს? იცოდა მან. ეს ის დღეა, როდესაც უეცრად, ყოველგვარი მომზადების გარეშე გრძნობ შენ მთელ სინამდვილეს. ცხადად ხედავ მას და უკვე ველარ იფარავს შენს თავს სიფრიფანა ნიჟარა, აქამდე რომ ურყევ ჯავშნად გადგა გარს. უკვე-

ღა არსებობ მასში შეყუჟული და ყოველივე, რაც მანამდე იყო, უეცრად გადადის ზღვარს იქით. სცილდება და იბურება. დრო ერთვება. და ის ხდება ბატონი და მეუფე ცხოვრების. გამსახურდია! დასაწყისიდან მან რამდენიმე ღამე გაათია დიდ ოთახში. იგი სრულიად მარტო იყო და ერთ დილით, როდესაც გაიღვიძა, აღმოაჩინა, რომ მისი ოთახის კარები მაგრად იყო ჩაკეტილი. ოთახში საწოლები იდგა, რომელთა შორის გრძელი ფარდაგები იყო დაგებული. ამ ფარდაგების გარეშე ოთახში სიარული არ შეიძლებოდა, რადგან, როგორც კედელზე ლამაზ ჩარჩოში ჩამოკიდებულ განაწესში ამოიკითხა, იატაკი დაისვრებოდა და მისი გაწმენდა შეუძლებელი იქნებოდა არსებული სამუშაო ძალით, ხოლო ახლის მოსაყვანი დრო კი არ იყო. საწოლებზე მშვიდად ეძინათ და იგი რამდენიმე ხანს დადიოდა საწოლებს შორის, მოფარდაგებულ გზებზე, ვიდრე მისი ყურადღება არ მიიქცია კედელზე ჩამოკიდებულმა ჩარჩომ. სწორედ მაშინ ამოიკითხა მან განაწესი. ჩარჩო ლამაზად იყო მოვარაყებული ბრინჯაოს სტილიზებული ფოთლებით, რომელთა შუაში პატარა მედალიონებზე მბრძანებლურად ფეხაწეული სფინქსის ბარელიეფები იყო ჩასმული. განაწესი მას ეხებოდა. შენ გევალება წესისამებრ გამსახურებისა, დაწერო თხოვნა ადმინისტრაციის სახელზე, შენი გაშვების შესახებ. მეტი არაფერი. სხვაფრივ, ყოველივე, რაც საჭირო იყო მისი არსებობისათვის, მოიპოვებოდა მის ოთახში. მას არაფერი არ აკლდა. ეს მშვიდად მძინარე ხალხიც საგანგებოდ იყო შერჩეული ადრე ჩატარებული გამოკვლევების შედეგად და სავსებით შეეფერებოდა მის მოთხოვნილებებს. შენ არ შეგეძლო, რაიმე პრეტენზიები გქონოდა ვინმეს მიმართ, რადგან შენობის განაწესი სრულიად ბუნებრივი ჩანდა შენთვის. რადგანაც შენ გაიღვიძე, ამიტომ გადაწყვიტე, არ დაგეკარგა დრო და შეუდექი ნაბრძანები თხოვნის შედგენას. ამ საქმეში იგი ისე გაერთო, რომ ველარ შენიშნა, როგორ გაიღვიძა ყველამ და როდესაც იგი მაგიდიდან წამოდგა, ოთახი გამოღვიძებული ხალხით იყო გაჭედილი, ისე, რომ მან ძლივს მოახერხა მათში გაძვრომა და კარამდე მისვლა. ყველანი მშვიდად საუბრობდნენ ერთმანეთში, ულიმოდნენ მას, ესალმებოდნენ,

გზას უთმობდნენ მხრის ოდნავი შექცევით და უკნიდან ნაბიძგებით და ასე მიძვრებოდა იგი კარებისკენ და კიდეც მიაღწევდი, რომ უეცრად გიშრის ტბაში არ დაგეყვინთა და არ ჩაძირულიყავი საამო სითბოში გაღვრილი ჟრუანტელისა. მან გვერდზე გაწევა სცადა, მაგრამ თვალები კიდევ უფრო მიუახლოვდა მას და გიშრის ტალღამ დაუსველა ტანი. ხორცი დაებერა. მას უყვარდა იგი. თავდავიწყებით. უყვარდა მთელი ცხოვრება. ის კოცნიდა მას. მის სახეს. ეწაფებოდა გიშრის ტბას. წოვდა ნექტარს მისი სიტკბოსი. ტუჩებს. მკერდს. მრგვალ მუცელს. თეძოებს. ტუჩებით ნაზ კანზე. კოკორივით ნაზ მკერდზე. მკვრივი ძუძუსთავებით. იძირებოდა მასში. ავსებდა მის ტანს. მის პირს. როგორ გადმოვცე მე შენი ამწუთიერი ნეტარება, როდესაც განთავისუფლებული თავისი თავიდან, იგი შეერთვა მის ირგვლივ შემომდგარ ხალხს ყურადღებით რომ ადევნებდა თვალს. ო, ეს წუთები სავსე ნეტარებითა და სათუთი თრთოლვით. შენობის უსასრულო და დაუსაბამო თავისუფლება. საბოლოოდ აკოცა რა, ქალი წამოდგა, თავი მიანება მას, თმები გაისწორა და თქვა: „მე შენ მიყვარხარ". ის მივიდა კართან. მოსწია სახელურს, მაგრამ... კარი არ დაემორჩილება. იგი რამდენიმეჯერ სცდის კარის გაღებას, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ეუბნება: „შენ გიჭირს ამის გაკეთება. ჩვენ კი მხოლოდ იმისათვის ვართ აქ, რომ შეგიმსუბუქოთ გაჭირვება. შემოგვხედე ჩვენ. განა ჩვენ რაიმეთი განვსხვავდებით შენგან და ან შენ განსხვავდები ჩვენგან რაიმეთი? განა არ განიცადე შენ უდიდესი ნეტარება და განა ყოველი ჩვენგანის ნეტარება არ არის იგი? შენ და ისინი, ჩვენ ყველანი – განუყოფელია, ერთი და იგივე. ტოლი და სრული..." იგი შეყოვნდა. და შემდეგ განაგრძო: „ჩვენ მოვედით შენს ჩუმ ძახილზე. შენ შველა გჭირდებოდა და, აი, ჩვენ მოვედით. შენ გინდა, გახვიდე აქედან უკვე. შენი თხოვნა დიდი ხანია, გადაგზავნილია და შენ არ უნდა აჩქარდე. შენ შეგიძლია, გახვიდე ახლავე, მაგრამ იცოდე, რომ მთავარი შემოსასვლელი საიმედოდაა ჩაკეტილი, ხოლო იქიდან დაბრუნებული კი შენ დაკარგავ შენობას... და არც არავინ გვინახავს იქიდან დაბრუნებული..." ის მიუახლოვდა მას, დაიჩოქა და თქვა: „მე მიყვარხარ შენ." რამ-

დენიმე ხნის შემდეგ, რომლის განმავლობაში მისი ცხოვრება იდეალურად მოწესრიგებულ პირობებში წარიმართებოდა, იგი მიწვეულ იქნა მისი თხოვნის განსახილველად. ამ ხნის განმავლობაში ოთახში მყოფნი მუშაობდნენ დადგენილი განრიგის მიხედვით, ხოლო თავისუფალ დროს ატარებდნენ ჭადრაკის, კარტის, ნარდის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ცხენბურთის, ფეხბურთის, ჩოგბურთის და საოთახო თამაშობებში, უყურებდნენ ტელეგადაცემებს და მსჯელობდნენ მათ განსახილველ კოლოქვიუმებზე, ატარებდნენ კონფერენციას წაკითხული წიგნების შესახებ, რომლებიც თვეში ერთხელ ეძლეოდათ პატარა სარკმლიდან, რომელიც კარების ქვეშ იყო გაჭრილი, სეირნობდნენ, თევზაობდნენ, სრიალებდნენ თხილამურებით და მან კინაღამ ფეხი არ მოიტეხა, რის გამოც თითქმის ვერ მიიღო მონაწილეობა ალპინიზმში და კლდეზე ცოცვაში გამართულ შეჯიბრებებში, სადაც მან საბოლოოდ საპატიო მეორე ადგილი მოიპოვა, რაც საგანგებოდ აღინიშნა ტელევიზიით და გამოქვეყნდა გაზეთებში მის მხსნელთა ინტერვიუებთან ერთად. კარები მაშინვე გაიღო, როგორც კი მას გამოუძახეს და ყველა გაიწია, რომ მისთვის გზა მიეცათ. იგი შევიდა გრძელ დერეფანში, რომლის მთელ სიგრძეზე ჩარიგებული კარების გვერდით სკამები იყო ჩამწკვრივებული. თავდაპირველად შენ ყურადღებას არ აქცევდი მათ, მაგრამ როდესაც ერთი მათგანი დაიხარა და ხელზე გაკოცა, შენ გამოერკვიე და ხელი სწრაფად დამალე, რითაც დიდი გაკვირვება და შეშფოთება გამოიწვიე კედლის გასწვრივ მსხდომებში. გავა კიდევ რამდენიმე ხანი და იგი გაიგებს, რომ ეს შენობის მკვიდრთა ჩვეულებრივი მისალმებაა. შენც შეიშნოვებ ამას. იგი შედის დერეფნის ბოლოში გაჭრილ კარებში, რომლებიც უხმოდ და სამუდამოდ იხურება მის უკან. ახლა ის ზის მათ წინ. ისინი შემოვიდნენ ახლახან და მას ჰქონდა საშუალება, კარგად გაერჩია მათი სახეები, ასეთი ნაცნობი და ახლობელი ყველასათვის, შენთვის, ჩემთვის, მისთვის და თვით მათთვისაც. ისინი თითქმის არ განსხვავდებოდნენ და რომ დაკვირვებოდი თავის დროზე, შენიშნავდი საკუთარ სახის ნაკვთებს. ასეთი ჩვეულებრივი და ყოველ-

დლიური შემთხვევისათვის, ცხადია, მათ არავითარი განსაკუთრებული ზომები არ მიუღიათ და არც გამომეტყველება შეუცვლიათ. ისინი წყნარად შემოუსხდნენ გარს მრგვალ მაგიდას, გადასერეს რა ოთახის სივრცე ერთი კუთხიდან მეორემდის. შუახნის კაცი, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, იღებს ქაღალდს და სანდომიანი ღიმილით ამბობს: „აი, უკვე რამდენიმე წელია, თქვენ წერთ თხოვნას იმის შესახებ, რომ მოგცენ უფლება, გახვიდეთ საკუთარი შენობიდან. ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ ეს თხოვნა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, – აქ ყველამ ერთბაშად გაიღიმა და ერთმანეთს კმაყოფილებით გადაუსუნთქა, – რომ ეს თხოვნა გარკვეულწილად ნაკარნახევი იყო ჩვენი საბჭოს მიერვე და იმ თავისუფლების პირობებში, რომელიც თქვენ გქონდათ, თქვენ სავსებით ზუსტად შეასრულეთ ეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ თქვენს ახლანდელს თხოვნაზე ჩვენ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იძულებული ვართ, უარი ვთქვათ, ისევე, როგორც დანარჩენებზე. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ყოველ მიზეზს თავისი უმიზეზობა ახლავს და ამიტომ, ეს უარი ნამდვილი უარი არ არის. ეს ტექნიკური უარია, ისე, უმიზეზო მიზეზით, და თქვენ შეგიძლიათ, ამ უარს, რომელიც მაინც უარია, ცხადია, აუცილებლად შეეპასუხოთ ახალი თხოვნით, რომელსაც თქვენ უეჭველად შემოიტანთ უახლოეს ხანში და, აი, მაშინ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყოველივე ბუნდოვანი გაცისკროვნდება და სიმართლით მოსილი სამართალი მოგიტანთ დადებით პასუხს. შეიძლება, ეს ყოველივე გაუგებარი იყოს თქვენთვის ამჟამად, რაც კიდეც არის მიზეზი იმისა, რომ თქვენს მზადყოფნას სიმწიფე აკლია, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ ყოველივე მეტისმეტად მარტივია. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩვენი ერთადერთი საზრუნავი შენა ხარ. და შენი შენობაში ყოფნაა. განა ამდენი წლის განმავლობაში არ გქონდა შესაძლებლობა, ჩასწვდომოდი ამ უდიადეს მიზანს, რომელსაც შენობა ისახავს სრულიად უმიზეზოდ, რადგან მიზანი, რომელსაც მიზეზი განაპირობებს, მხოლოდ მრუდე გზაზე მიგმართავს, ხოლო უმიზეზო მიზანს კი თავისი განსახორციელებელი საშუალებები ყოველთვის თავის უმიზეზობაში

აქვს. მე შემეძლო, განმემარტა შენთვის ამ საქმის მთელი შინაარსი, მისი მოქმედების მექანიზმი, მაგრამ შენ ამას მაინც ვერ გაიგებ ამ წიგნით ხელში. არც ასახსნელი საშუალებები მოიპოვება, ამის იქით, რადგან ეს პროცესია, მოქმედება, რომელშიც გასასრულებელი და გასრულებული გასრულებადობის განფენაში ფორმდება კითხვის შეგრძნობის მიხედვით. სიტყვებისათვის ეს საიდუმლოა, მაგრამ მოქმედებათა საწყისი და მიზანი შენთვის მიუწვდომელი ხდება, რადგან შენ სიტყვებს ითხოვ, სიტყვებს! არა! შენ თვითონ უნდა ჩაება ამ მოქმედებაში, ჩაენნა ამ პროცესს, კითხვადობის ამოსაქარგავ ყვავილნარში უნდა კრეფდე ნაზ ფურცლებს ფარული აზრისა, რომლის საიდუმლოც მხოლოდ კითხვის პროცესით იხსნება. მანამდე კი მხოლოდ ამ მოქმედებათა და სიტყვათა შუა რიგს ხედავ და გგონია, რომ ეს არის თავი და ბოლო. სინამდვილეში ყოველივე კანონზომიერად ხდება და შენ ამ წუთში, კითხვის პროცესში აღმოჩნდი ამ კანონზომიერების ერთ-ერთ რგოლი... ერთ-ერთი რგოლი... შენ არცა ხარ საინტერესო ამ წუთში; ეს პროცესი არ არის შენზე გამიზნული, მაგრამ შენ შეცდომით გგონია, რომ მიზანი შენ ხარ, მაშინ, როდესაც კითხვის პროცესი დაგარწმუნებდა, რომ მიზანი სრულიად სხვაა. ხოლო ის კი განაგრძობდა: სწორედ ამიტომ, ახლანდელი ჩვენი უარი, ყველა ადრინდელი უარისაგან განსხვავებით, არ არის უარი, თუმცა, იგი ოფიციალურია. და თუ შენ კიდევ შემოიტან ახალ თხოვნას და მე გირჩევ, რომ შემოიტანო უსათუოდ, მაშინ მათ იმედი ექნებათ, რომ დადებითი პასუხი იქნება". რამდენიმე ხნის შემდეგ, მართლაც, ახალი თხოვნის შედგენისას მე უეცრად გამახსენდა, რომ მსგავსი სიტუაცია ჰქონდა ჩემს მეზობელს, მიწისმზომელ კ-ს, თუმცა საპირისპირო, რადგან მისი მოსწრაფება შენობისაკენ, რომელსაც იგი მოუთმენლად „კოშკს" ეძახდა, მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა მკითხველის მხრიდან, რომელიც გაუგებრობის ჯაჭვებით ბორკავდა საბრალო მიწისმზომელი კ-ს შიგშეღწევის სურვილს. მისი თხოვნა ამას შეეხებოდა მხოლოდ. „მიმიშვით მე შენობაში, შემიშვი შიგნით", – კვნესოდა ხოლმე იგი, ბალიშებში თავჩარგული შენ გვერდით მწოლარე ჩვენი ოთახის გა-

ნაპირას. მას უნდოდა, გაერღვია მისი თავისთავში ჩაკეტილი სხეულის სივრცე. გასულიყო მისი საზღვრის გარეთ, მოქცეულიყო შენობის დაუსაბამო ნათელის ქვეშ და ამით გაენთავისუფლებინა თავი იმ ჯაჭვებისაგან, რომელსაც შენ ადებდი მას კითხვის პროცესში. გამხდარიყო ყოვლისმომცველი შენ! ახლანდელი სიტუაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მან შეძლო, მიეღწია თავისი მიზნისათვის (მე ეჭვი ხანშიშესულ კაცზე მაქვს, რომელსაც ძალინ ვამსგავსებდი საცოდავ მიწისმზომელ კ-ს). ბედნიერი კ. ის ამბობს, რომ შენობაში ყოფნა არის ის უმაღლესი ყოფიერება, რომელსაც შეიძლება მიაღწიოს საგანმა, ნივთმა, არსებამ. რამდენიმე ხნის შემდეგ აღწერილი ამბებიდან, შენი თხოვნა კვლავ იქნება განხილული, ახლა უკვე უმაღლეს ადმინისტრაციულ ინსტანციაში, რომელსაც ერთადერთს შეეძლო გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, ამას შენ ფიქრობ ასე, თორემ ადრე იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი თხოვნა თავიდანვე უმაღლეს ადმინისტრაციულ ინსტანციაში განიხილებოდა და რომ შუახნის კაცი, რომელიც მე საბრალო მიწისმზომელ კ-ს მივამგვანე ახლახან, ერთ-ერთი მთავარი მომქმედი პირი იყო ამ გრანდიოზული ეპოპეისა, რომელსაც შენ ახლა კითხულობ. თუმცაღა, არც ისაა გამორიცხული, რომ, შესაძლოა, ეს ყოველივე მართლაც ასე იყო... მოკლედ, ერთ დღეს, როდესაც იგი უკვე აღარ ელოდებოდა პასუხს ჩვეულებრივად დაწყებული ცხოვრების ყოველდღიურ ფერხულში ჩაბმული მას შემდეგ, რაც განათდა და იგი იმ მორევში გადაეშვა, რომელსაც განაწესით ცხოვრებას ეძახდა, და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უარი, რომელიც მან ტექნიკური მიზეზით მიიღო უმიზეზო ვითარებაში, უკანასკნელი იყო, მას მოაკითხავს ახალგაზრდა გიშრისთვალება ქალი და სთხოვს, გაჰყვეს მის გვერდითმწოლარე ორ კაცს, რომელთა სიახლოვით სულდგმულობდა იგი ამდენი ხნის განმავლობაში. მათ აქეთ-იქიდან გაუყარეს ხელი მკლავებში და გაიყვანეს დერეფანში, გაატარეს დერეფნის გასწვრივ ჩარიგებული კოლონების რიგში და ჩაიყვანეს ფართო მარმარილოს კიბეზე დაფენილი ალისფერი ხალიჩით ფართო შემოსასვლელ ჰოლში, რომლის ერთ კუთხეში იდგა საწერი მაგი-

და. მაგიდას შუახნის კაცი უჯდა და მხიარულად ესაუბრებოდა ახალშემოსულს. მოსაუბრენი იცინოდნენ. შენ იცანი იგი. ერთ-ერთი გამყოლი მოუბრუნდება მას და ეტყვის: „შენ ოდესმე გიცდია კარის გაღება?" რაზედაც შენ პასუხობ: „არა, არასოდეს!" ხოლო მან თქვა: „ჩვენთან, შენობაში კარები არასოდეს არ იხურება. შეიძლება ითქვას, რომ შენობას არა აქვს კარები. შენ ეს ვერ გაიგე, ჩემო ძმაო". ამ სიტყვებით ისინი გამომემშვიდობნენ და ავიდნენ ფართო მარმარილოს კიბეზე დაგებულ ხალიჩაზე. ეს არის ხშირი ფოთლოვანი ორნამენტით მორთული მაღალბეწვიანი საგები, რომელიც დამაგრებულია კიბის საფეხურების კუთხეებზე გრძელი წვრილი მოვარაყებული რკინის სამაგრებით. ისინი მჭიდროდ აკრავენ ხალიჩას კიბის ზედაპირს. სამკუთხა ფოთლები მის ზედაპირზე გადაწნილია ხვიარებით და ქმნიან ჩარჩოებს, რომელთა შორის, ოვალურ სამკუთხედებში, ამოქარგულია ფრთებგაშლილი ორთავიანი ფრინველი გაფარჩხული კლანჭებით. ნისკარტდაღებული თავები იმზირებიან სხვადასხვა მხარეს. შედედებული სისხლის ნაკადი ნელა მოცოცავს თეთრმარმარილოვან საფეხურებზე, რომლის ორივე მხარეს რკინის მოაჯირები გაჰყვება, ზედ დამაგრებული პოლირებული სახელურებით. მოაჯირებში ჩატანებული ოთხკუთხა რიკულები შემკულია გამოსახულებებით, რომლებზედაც გამოსახულია მარმარილოს კიბეზე დაგებულ ხალიჩაზე ნელა ჩამავალი მამაკაცები, მისი გამყოლები. ეს მოტივი მეორდება უწყვეტად ისე, რომ ფრინველის თავები ხან მათ ფეხქვეშაა საფეხურის ვერტიკალურ კედელზე, ხან კი – შემდგომი საფეხურის კიდეში... ის მივიდა კარებთან. ძალადაუტანებლად ჩამოსწია სახელურს და თავისუფლად გააღო კარი. ნელა გადადგა ფეხი. გადააბიჯა ზღურბლს. გავიდა გარეთ და კარები მოხურა. თავდაპირველად იგი უნდა მისჩვეოდა თავის მდგომარეობას. იგი ხუჭავს თვალებს, გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, მიდის წინ, კიდევ წინ, მიისწრაფვის. ჩერდება. ისევ გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს თავდავიწყებით და ხელს უსვამს სურნელოვან ყვავილებს გზისპირა ბუჩქნარში. ფურცლები ნაზად ედება თითებს და ვიდრე შეიგრძნობდეს მათ ხავერდოვან სხეულს,

ახელს თვალებს. ყვავილნარი მინის ზედაპირზე. მის თავზე. მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... ბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდელიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... ლოსტაკო... მონტბრეცია.. კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლა ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი... კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... ინფერნალია დიეს... იკვლივი... ლოსტაკო... მონტბრეცია... კლივი... გვირილა... პომპონდაჰლია... ტულიპი... ინფერნალია... ფლაგელუმ მითრაე... სამტბლუმი...

კალვარია სენტუს... სტივენბლუმი... ვარდი... შტოკმალვა... ნარცისი... იგნაციუს ფლექსილოგია... შტიფმუტერხენ... მიხაკი... ლოვენმაული... ქრიზანტემა... სტუდენტენბლუმი... ყაყაჩო... მოლესმანუს დიპლოია... როტკლეე... პლოქსი... სპონს ნეკროიდია... ედელვაისი... შლაფმოჰნ... კონტიფალუ... ზამბახი... რინგელბლუმი... გლოკენბლუმი... კორნბლუმი... ბლუმდედალუსი... კლივი... როტკლეე... ტოლკირხე... ამარილის... ბრენენდე ლიებე.... გვირილა... რილკებეერი... სტივენბლუმი... იკვლივი... შაშკვლავი... ტარხონი... ლოსტაკო... მონტმუტერხენკირხებრეციასპონსკალვარიამითრაესენტუსდიესნეკროიდიაფანუმიგნაციუსფალუსფლექსილოგისტივენმანუსბლუმდიპლოიდიარკანამლოსტაკო... მის თითებში და მის წინ არის ის, რაც არის მის უკან. კოლონების გრძელი ხეივანი მიჰყვება მათ უკან კედელში ჩატანებულ მასიურ კარებს. კარების თავზე მბჟუტავი წითელი ნათურებია. ქარი არხევს თითებიდან დაცვენილ ფოთოლთა ჯარს. ხეივნის ბოლოს გაჭრილი კარებიდან შედის იგი ფართო ჰოლში. რბილი მოყვითალო სინათლე მშვიდად ანათებს ჰოლის შუაში მდგარ მრგვალ მაგიდას და კუთხეში მჯდარ შუახნის კაცს, რომელიც რაღაცას წერს თავის დავთარში. „ის არის", – გაიფიქრებ შენ გახარებული. მიუახლოვდები მას და ერთხანს შეჩერდები აღფრთოვანებით. შუახნის კაცი სწევს თავს და ყურადღებით გაკვირდება მის წინ მდგომს. მერე იგი ამბობს: „ვერაფერს იზამ..." შენ კი, გახარებული ამბობ: „მე შენობიდან გამოვედი". შუახნის კაცი (მიწისმზომელი კ?) სევდიანად აქნევს თავს და ამბობს: „ ვერაფერს იზამ, ეს ჩვენი ბედია..."

ეს იყო უბედნიერესი დღე მის ცხოვრებაში. მან მოიპოვა თავისუფლება!

ახლა კი, დილით, როდესაც განათდა და მან თვალები გაახილა, იგი იდგა სარკის წინ და იზომებდა თავის ახალთახალ კოსტიუმს, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის შეიძინა მას შემდეგ, რაც თავისი მოგზაურობა დაამთავრა და საბოლოოდ დასახლდა იმ ოთახში, რომელიც არაფრით არ განსხვავდება იმ ოთახისაგან, რომელშიც შენ ზიხარ ახლა და კითხულობ. თუ, წევხარ. ყურადღებით მოავლე თვალი აქა-

ურობას. იგივე სივრცე, იგივე მოცულობა, შემოსაზღვრული ოთხი კედლით, რომლებშიც კარია და ფანჯარა, რომელიც ქუჩას გადაჰყურებს, იქნებ ბაღსაც, ან ეზოს. ყოველ შემთხვევაში, ფანჯრები გარეთ გადის და მათში იღვრება სწორედ ის სინათლე, რომელმაც გაანათა ღამე და გამოაღვიძა ამ ნათელი დილით, ხოლო ღამით კი ჩანს მოპირდაპირე შენობის განათებული ფანჯრები. იგივე მაგიდა დგას ოთახში, იგივე სკამები. და ჭერიდანაც იგივე თაღია ჩამოკიდებული, რომელსაც ნახავ უახლოესი მაღაზიის ვიტრინაში ან საგანგებო გამოფენაზე, სადაც იშვიათი ნივთები იყიდება სიბრძნისმოყვარულთათვის. იგი შენსავით კითხულობს წიგნს, ან სძინავს. მისი წიგნები – შენი წიგნებია. იგივე საწიგნურიდან. ხომ ცნობ შენს მაგიდას? რამდენჯერ მჯდარხარ ამ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებთან. შენც ხომ ისევე აალაგებდი ამ ქაღალდებს, როგორც იგი ალაგებს. და თუ ისევ გაიხედავ ფანჯარაში, დაინახავ კიდეც მას. იგი მიდის ხალხის განუწყვეტელ ნაკადში. ფარული კოლონების რიგში. ის ცდილობს, არ ჩამორჩეს მათ. ფეხი აგიწყოთ. მთელ გზაზე დროშებია დაკიდებული. ეს არის შენი მოქალაქეობის დროშები. ისინი ლაღად ფრიალებენ ხალხის ნაკადებით შერხეული ჰაერის ქროლვით და კოლონა მიემართება შუაგულისაკენ. ის ხედავს მას. დიად სიმბოლოს და მიზანს მისი არსებობისა. ის შუაშია. მის ირგვლივ მოფენილი ყვავილების ხალიჩის დამათრობელ სურნელში ჩაბრუებული შეიგრძნობს მათგან უსაყვარლეს მონტბრეციას, ფლაგელუმ მითრაეს, იგნაციუს ფლექსილოგიას, ინფერნალია დიეს, დიპლოია მოლესმანუს, სპონს ნეკროიდიას, კონტიფალუსსა და კალვარია სენტუსს გადაწნილებს კრეაცია ლეშიფერიას და პეტრუს უბერუს ულცეროზას მძლავრი და ნატიფი ტოტებით. რამდენჯერ დამთვრალხართ თქვენ მათი გამაბრუებელი და ნეტარად ამამაღლებელი სურნელებით. კოლონები შეუწყვეტელ ნაკადად მიედინება თქვენ ირგვლივ, ოთხივე მხრით შემოსაზღვრული კოხტადთლილი გრანიტის კედლები მაღლდება საფეხურებად ოთხ მეტრზე ფეხის სიმაღლიდან და იკვრება თქვენს თავზე დიდებულ თაღად წამის გადმოუცემი სიდიადით. გალაღებული, ნათელი და მოცინა-

რი სახეების ტყეში იფრქვევა მანათობელი ღიმილი თქვენ წინ მწოლარე ახლა შენს ოთახში უხილავად და უჩუმრად, შეყინული ცვილისფერ სახეს, ტუჩშეხსნილი, გახსნილი მზერაცივი თვალებითა და დამჭკნარი ხელებით. სახე სუფთადაა გაპარსული. ნიკაპი სწორად შეკრეჭილი. მზერა განმენდილი. ეს მისი ნასაქმია. იგი მოდის აქ, შენობაში, ყოველ დილით, როდესაც ინათებს, კარების გახსნამდე წმინდავს მტვერს, პარსავს, კრიჭავს, უცვლის წინდებსა და საცვლებს მაშინ, როდესაც უკვე გაისმის ყრუ ნაბიჯები შემცვლელი ყარაულისა შენობის გარეთ, მოდიან ისინი, ლარივით გაჭიმულნი, თავაწეული და სახენათელი მზერით. მათი საზეიმო ფორმის ბრწყინვალებას ბუზიც ვერ გაჰკარებია და ეს ნაბიჯები, როგორც მისი გულის ძგერა ჩემი გულის ძგერიდან შენი გულის ძგერაში გაისმის შენობაში და უკუიცემა მათ გულებში..... ჩვენს გულებში... შენს გულებში... სხვის გულებში... მის გულებში... ჩემს გულებში... ვიდრე გადიოდა დრო... ვიდრე გადის დრო... ვიდრე გაივლის დრო... ნაბიჯთა ძგერაში... გულში...

ასე გაუვლია დროს... ასე გაივლის დრო... ასე გაიარა დრომ... დროს... დროის... დროით... დროდ... გადის... ასე... მიდის... მიედინება... უკუნისდება... დრო... შენობაში... დრო!

ისისისისისისისისისისისისისისისისისისის<br>
ისისისისისისისისისისისისისისისისისი<br>
ისისისისისისისისისისისისისისის<br>
სისისისისისისისისისისისისის<br>
ენშენშენშენშენშენშენშენშ<br>
ენშენშენშენშენშენშენშ<br>
ნშენშენშენშენშენშე<br>
შენშენშენშენშენ<br>
შენშენშენეშე<br>
შენშენშ<br>
შენშ<br>
შენ<br>
მენ<br>
მე<br>
მენ<br>
შენ<br>
შენშ<br>
ენშეშენშ<br>
შენშენშენეშე<br>
შენშენშენშენშენ<br>
შენშენშენშენშენშენშე<br>
შენშენშენშენშენშენშენშე<br>
შენშენშენშენშენშენშენშენშე<br>
შენშენშენშენშენშენშენშენშენშენ<br>
ისისისისისისისისიისისისისისისისისი<br>
ისისისისისისისისისიისისისისისისისისისი<br>
სისისისისისისისისისისისისისისისისისისისი<br>
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისი<br>
სისისისისისისისისისისისისისისისისისიისისისისისისისის<br>
ისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისისის

თბილისი. 1967

## მკითხველისა და ავტორის ცოცხალი გასაუბრება ინტერნეტით

**(შე)მკითხველი:** კითხვა და შეკითხვა – ერთი და იგივეა.

მე თქვენ არ გიცნობთ, არ მინახავს თქვენი სახე, არ მომისმენია თქვენი ხმა, არ შეგხებივართ. ჩემ წინ არის მხოლოდ მოციმციმე, ცოცხალი ეკრანი. ჩემკენ მოედინება, მონანწკარებს საოცრება. მე ვივსები, ვივსები, მიპყრობს ბედნიერების მძაფრი შეგრძნება. თქვენ მესაუბრებით: „ის, რასაც ამოიკითხავ აქ, მხოლოდ ჩემია და საინტერესო მხოლოდ ჩემთვის... ნამდვილი კი ახლა იქმნება, ამ წუთში, ამ წამში, ამ თვალსაწიერში... ამ თვალსწრებაში... როდესაც შენ... ცდილობ, შეიგრძნო... განიცადო... დაინახო... ჩასწვდე... ყოველივეს, რაც ჩემს კუთვნილებას წარმოადგენს. და ამგვარად შენ თვითონ იქმნები ახლა. აქ... ყოველნაირად... ჩვენი გაყოფა შეუძლებელია... ჩვენ ერთი ვართ მე...შენ... ის... ერთი და იგივეა...

წიგნი ესე არს წიგნი შენი ცხოვრებისა და შესახებ იმისა, თუ როგორ კითხულობ შენ ამ წიგნს და რა კავშირები ჩნდება შენ ხილვათა ნამზერში... ეს არის წიგნი დროის შესახებ და წიგნი სივრცეზე...

და მე ვიძირები..."

მეც ჩავიძირე. ამის შემდეგ მოგმართეთ „შენ-ობით." „შენობას" ხომ ორი სხვადასხვა გასვლით მოიაზრებთ!

**გეკითხები: თუ ასე მომმართავ, ე.ი. გიყვარვარ, წინასწარ გიყვარვარ, მენდობი, გეიმედები?!**

**ავტორი:** კარგად დასმული (შე)კითხვაა: არსებობს თუ არა სიყვარული გარეშე იმისა, რასაც ჰქვია „შენ". თუ „შენ" არ არის, არც სიყვარულია, რადგან *სიყვარულში ყოფნა* უკვე გულისხმობს მთელი შენი (ანუ ჩემი) არსების მიმართებას იმისაკენ, ვისგანაც მომართებას ელოდები, ვითარცა მზის პირველ სხივს, რომელიც გაჰკვეთს ბნელს (გაჰკვეთს, თუნდ ღრუბლებით იყოს ცა მოფენილი). აქ მე არ ვამბობ მეტაფორულად – „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია" და ან

პირიქით, რასაც „არ ახლავს" (ასეთიც თქმულა), არამედ სავსებით ფიზიკურ განცდას ვგულისხმობ. *სიყვარულში ყოფნა* სწორედ ეს ფიზიკური მდგომარეობაა. ვამბობ, *სიყვარულში ყოფნა* და არა „შეყვარება". სიტყვა „შეყვარებული" ბუნდოვანია: რას ნიშნავს „ყვარებული"?: იმას „ვუყვარვარ" მე, თუ მე „მიყვარს" ის? მხოლოდ *სიყვარულში ყოფნა* არის „სიყვარული შენი", ამიტომ გამოთქმა „მიყვარხარ" ერთადერთია, რომელიც გამოხატავს ამ „ყოფნას სიყვარულში". არა „შეყვარებულობას", არამედ სწორედ „უკვე ყოფნას". გენიალური ქართული ენა (ცხადია, ყველა ენა გენიალურია, თუ მთქმელი მოეძებნა, ქართულს – მოეძებნა უკვე და ახლა ვხარობთ მისით!) **ყოფნას** „დებად" კი არ ხედავს, არამედ **ქმედებად**! ამგვარად, „შენდამი სიყვარულში ყოფნა" ნიშნავს ისეთ **ქმედითობაში ყოფნას**, როდესაც ყველა წერტილი და კვანძი ჩემი არსებისა გადაბმულია უხილავი ძაფებით შენთან და ამიტომ უსაზღვრო ენერგიის ველს ქმნის. სიყვარულში მყოფი ადამიანის გამოცნობა ძალზე ადვილია, ისეთი ველი–აურა აქვს შემორტყმული. ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს ჩემი პასუხიც: რა თქმა უნდა, როდესაც „შენ" ჩნდება, ყოფიერება იძენს დასრულებულობას. მგონი, ქრისტეს უდიდესი შეგონება „გიყვარდეს მოყვასი (მეზობელი, გვერდზემყოფი) შენი" (დააკვირდი, ორი „შენისაგან" შედგება ეს შეგონება: *შენ გიყვარდეს შენი მეზობელი*, (რომელიც „ის" კი არ არის („ის" სიყვარულის გარეშეა, „მას" სიყვარული არ მიემართება და სიყვარულში ვერ იქნები „მის" მიმართ), რომლის მიმართ ყოველთვის **პირისპირ ხარ**, რომელსაც ყოველთვის ენდობი, რომელიც ყოველთვის გეიმედება.. სხვაც არის, „შენ" არასოდეს არ არის უპიროვნო... უპიროვნო არის „ის-ობა".

**(შე)მკითხველი:** ჩემთვის „მე", „შენ": „ის" (ზოგჯერ: უხ, მაგათი!) სამყაროს ჭეშმარიტი ღერძია. ეს ყველაზე ზოგადი და ამავე დროს ყველაზე ინტიმური, სიღრმული, „შენი" (ანუ „თავისი") სიტყვებია.

როდესაც შენ მითხარი „შენ!" – წიგნის პირველივე გვერდზე – მითხარი: **შენ!** თითქოს ახლიდან დავიბადე, ისეთი სითბო გადმოიღვარა ეკრანიდან.

მოთხრობაშიც, გულისგამაწვრილებელი, მომაკვდინებელი თხრობის ფონზე, შენი „შენ!" გამაოგნებელია, აცოცხლებს სამყაროს, ჩნდება იმედი, რომ შემოვიდა ახალი რიტმი, ახალი სუნთქვა: აი, ახლა შეძლებ მომაბეზრებელი, მონოტონური კოსმიური ნესრიგის გარღვევას შენ-თან ერთად: „შენობის" შემხუთველი, შემბოჭველი შედედებული სივრცისაგან თავის დაღწევას, განთავისუფლებას.

**გეკითხები:** რატომ ააგე დროის საათი ნაცვალსახელებისაგან?

**ავტორი:** ასეთი (შე)მკითხველის წინაშე უნდა დადუმდე და თავიდან იფიქრო, „მართლაც, რატომ გავაკეთე ასე?" შეიძლება, მართლაც არ ვიცოდი, ისე, თავისთავად „შინაგანი ლოგიკით" ითქვა ანუ დაიხატა (ხატის გაგებით) სათქმელი. აქ მთავარი იყო „ის", რომელიც მე-სა და შენ-ს „ხუთავს" და გაშლის საშუალებას არ აძლევს. ისევ მინდა, ქრისტესეულ გახსნილობას მივუბრუნდე. „მე" და „შენ" ის კვანძია, რომელიც მართლა ქმნის სამყაროს ღერძს სწორედ *სიყვარულში ყოფნით* (რაც ალვნიშნე ზევით), „ის" აქ შემოდის, როგორც გაუპიროვნებელი „სხვა", მასთან განაწილება რაიმესი შეუძლებელია. მაგრამ სამყაროს წყობა სწორედ ამ სამ „სახელის ნაცვალზე" აიგო. რას ნიშნავს „ნაცვალსახელი", რატომ უნდა შეიცვალოს სახელი, თუ იგი *არსებას* გამოხატავს? „სახელი ხომ იმავ დროს „არსებითი სახელია": ადამის მიერ „სახელდება" ღვთის მიერ *თქმაქმნილ* არსთა, ამ არსთა *არსის* გამომხატველიც არის. *სახელის ნაცვლობა* კი შეფარვით *დამალვას* აღნიშნავს და დამალვა კი რაღაც „ბოროტ თვალს", გინდა „განზრახვას" ავლენს, ანუ *შიშს*. როგორია შესაქმის რიგი: მე (ღმერთი) გქმნი შენ (ადამს). შენ, ადამი, *ნაწილდები* ევაში ანუ შენიდან იქმნება ევა, რომელიც „შენი" „შენ" არის. ე.ი. თვით „მე"-ს „მეობა" გაპირობებულია ამ „შენ"-ით (ეს ყველა მითოსშია დასიმბოლოებული, თუმცა „ნეკნი" ყველგან არაა). ამგვა-

რად ამ „მე-შენ"-ში *დრო* არ „მდინარებს". დრო იწყებს მდინარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება ამ „მე-შენ" კვანძის მესამე პირით *შესივრცება*. დააკვირდი, რა ხდება სამოთხეში (ეს სიმბოლო არაჩვეულებრივად იხსნება ამ ბრწყინვალე მითოსში: არაფერი არ ხდება მანამ, სანამ გველი (რომელიც მერე გახდება სწორედ „ის"!) არ მოიმოქმედებს იმას, რასაც „ცდუნება" ეწოდება. ახლა ცდუნებას სექსუალურ მნიშვნელობას აძლევენ და, რადგან ლეღვის ფოთოლი აიფარეს *შეცდომილებმა*, (ფროიდის კვალზე, რაც „იდიოტიზმთა" იმ სერიას ეკუთვნის, რომელიც „ისობის" ფორმით ვლინდება მხოლოდ), ამიტომ ყველამ გადაწყვიტა, რომ სწორედ „სიძვისა გამო" გააძევა ისინი ღმერთმა სამოთხიდან. *სამოთხეში დრო არ არის* (სამოთხის საიდუმლო რიცხვი არის „სამი"–„ოთხი" ანუ შვიდი). სამოთხეში, სანამ „მე-შენ" (ადამი და ევა) სრულ „სიყვარულში ყოფნაშია" (მათ შორის ფიზიკურშიც, ცხადია), დრო არ არსებობს. *დრო ერთვება*, გინდა, *„ვლინდება"* მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩნდება „ის": ნახე, რა ხდება: მესამე პირი, რომელსაც ასახელებს ეს მითი (ღმერთი, ცხადია, ამ შემთხვევაში „პირი" არ არის, და არც იქნება მანამ, სანამ ლოგოსი ანუ ძე–სიტყვა არ იქნება გაპიროვნებულ–გასახიერებული მისით-და-მასში) არის *გველი*, რომელიც არაჩვეულებრივად არის დახასიათებული „უგონიერეს უფროის ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა... ხოლო მაცდუნებელი", რადგან „მესამე" პირია, „ის", რომელსაც ადამსა და ევაში *წილი* არა აქვს და, ასე ვთქვათ, „ეტენება" მათში. და... როდესაც ცდუნების შემდგომ, უკვე ფოთოლაფარებულებს, ეკითხება ღმერთი, „რა დაგემართათო", აი, აქ ისევ ჩნდება მეტად საინტერესო რამ: ღმერთი გველს *შენობით* მიმართავს: „რამეთუ ჰყავ ეს, წყეულიმც იყავ *შენ*" და სხვა. აი, ამ გადასვლებში ისახება ის, რაც ფაქტობრივად გამოიხატა სახელთა შენაცვლებაში და *მესამე პირის დროისმაპირობებელ მოვლენად* დადგენაში. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის ყოფიერება, როგორც დროში არსებულობა, ამ დროს პირობად შეიცავს. ადამიანის შიგნითმყოფობიდან დრო (გახსოვს: „დრო ეს მე ვარ") ხდება გარეთ მყოფი და იწყებს მდინარებას. ის მდინარეა, რომელ-

შიც ორჯერ ველარ შეხვალ იმავე წერტილში. ამგვარად, დრო *ადამიანური ყოფიერების პირობაა*, ხოლო ეს კი ნიშნავს, სწორედ ამ „ნაცვალსახელური" (ან სახელის ნაცვალი) ღერძის შემოტანას ყოფიერებაში. მაგრამ, ყოველივე ეს, შესაძლებელია, არც იყოს ისე მნიშვნელოვანი თვით ტექსტის მხატვრული სახიერების თვალსაზრისით, რადგან „ნახატი დრო" ანუ „შესივრცული ნაცვალსახელური დრო" *ნამდვილი დრო* არ არის. და ამას გამოხატავს, ყოველივესთან ერთად, ეს „დროის ნაცვალსახელური ქვიშის საათი". ეს ხატი, წმინდა სახილველი ტექსტი, ამ ნაცვალსახელური ქვიშის საათის გაჩერებულობას გამოხატავს, მის შევსებულობას „ის"-ობით ანუ შეუძლებლობას, გამოათავისუფლო მე, რომელიც მხოლოდ შენში და შენით თავისუფლდება. მაგრამ ის აწვება ყოველი მხრიდან და „გუდავს, აქვავებს მე-შენის მათავისუფლებელ, რადგან „სიყვარულში მყოფ", კვანძს. დააკვირდი, „მე" საათის ყელშია გაჩხერილი, „შენ" ორივე მხრიდან *ეხმარება* ამ გასვლას სიმეტრიულ სამყაროში, მაგრამ „ის" ავსებს მთელ სივრცეს და განძრევის საშუალებას არ აძლევს. ხოლო ეს ყოველივე კი ჩაკეტილია მატერიალურ გარსში, რომელიც ჩარჩო ანუ კედელი კი არ არის, არამედ სწორედ ეს „ის-ობითი აპკი". *შენობის* მეორე მნიშვნელობაც აქ არის: ამ *შენობაში* დრო გაქვავებულია და მე და შენ"დატყვევებული". დრო იქცევა სივრცედ.

**შემკითხველი:** როცა შეწყდა ეკრანის ციმციმი და წავიკითხე:

„ასე გაუვლია დროს... ასე გაივლის დრო... ასე გაიარა დრომ...

დროს... დროის... დროით... გადის... ასე... მიდის... მიედინება...

უკუნისდება... დრო... შენობაში... დრო!" სასოწარკვეთის, შეურაცხყოფის, სიცარიელის გრძნობამ შემიპყრო. სადღაც გაქრა სითბოც, სიახლოვეც. აღვშფოთდი, გულის რევა დამეწყო. მერე მივხვდი, რომ შენი მოთხრობები ორჯერ მაინც უნდა წაიკითხო, რომ ავტორი აღმოაჩინო, მის გულისტკივილს მიუხვდე. „შენობა" არის უაღრესად ტრაგიკული, გადა-

ულახავი ტკივილი, სასოწარკვეთილი ყვირილი-მცდელობა, გადალახო კოსმოსის თითქოს ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული წესრიგი განმეორებადი, შედედებული, მკვდარი მოვლენებისა, რომლებიც დროს მიაქვს და ისევ იგივე დრო უკან გვიბრუნებს შეუცვლელად... შენობაში.

**გეკითხები:** შესაძლებელია კი შენობიდან თავის დაღწევა?

**ავტორი:** თუ *„ის"აშენებს ამ შენობას, თავის დაღწევა შეუძლებელია.* შენობა – *შენებასთან* არის კავშირში. და იმდენად, რამდენადაც შენ ანუ მე არ ვიღებთ მონაწილეობას ამ *შენებაში*, თავის დაღწევა შეუძლებელია. მშენებელი ყოველთვის მე და შენ ვართ, რადგან ერთადერთი გაპირობებულობა ყოფიერებისა და ერთადერთი კვანძი მხოლოდ *მე–შენ* არის. თუ ის, რაც შენდება, ჩემ ანუ შენ *მონაწილეობას* არ ითხოვს, თუ მე ანუ შენ „შეცვლადია" ამ შენებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მე არც ვარსებობ ანუ არც არასოდეს ვლინდები. იქ არის მომენტი, როდესაც მე ანუ შენ გამოდიხარ შენობიდან და გადადიხარ სხვა შენობაში, მაგრამ ზუსტად სიმეტრიულში, რადგან ამ გადასვლას არავითარი აზრი არა აქვს სწორედ იმის გამო, რომ ის, ახალი შენობაც სხვისი აშენებულია. ხსნის აზრი ყოველთვის ინდივიდუალურია, პიროვნული, პერსონიფიცირებული. ხსნა მიემართება მხოლოდ „მე"-ს. ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მითითება იყო ეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საკუთარი „მე"-ს მიმართ და კოლექტივიზმიდან განთავისუფლება. „ისობა" უპიროვნობის ფორმაა, თავისუფლებას მოკლებული. თავისუფლება მხოლოდ „მე–შენ" კვანძში ისახება, როგორც ურთიერთგაპირობებულობაში: *მე არსებობს შენით და შენში* ანუ სიყვარულში ანუ თავისუფლებაში. და მხოლოდ. კოლექტივიზმი ხომ „ისობის", სხვაგვარად „ყველაობის" დიქტატურაა, კოლექტივიზმში „შეცვლადობაა" გამეფებული, რადგან უპიროვნო შეცვლადი „ის", „კოლექტივი", „მთავრობა", „პრეზიდენტი" და ა.შ. შეუყვარებადი არ არის. ღმერთიც, მხოლოდ თავის ძე-ში გაპიროვნებულ-გაკაცებული, ხდება შეყვარებადი. მანამდე სრულიად სხვა რამ გვაქვს. *ხსნილობის* („ხსნა" და „გახსნა") თემაც აქ

შემოდის. ეს ყოველივე კოსმოსის შენებასაც ეხება, რადგანაც ენაში ვართ.

**შემკითხველი:** მოთხრობაში ყვავილებიც გამოჩნდებიან, მაგრამ?!

ეს ყვავილებიც განმეორებად სამყაროში ისევ უბრუნდებიან თავის თავს, სურნელებაც არა აქვთ. ეგ არაფერი! სამაგიეროდ, აქ იკითხება ავტორის აწყვეტის, იუმორით სავსე გადაქანების უნარი. კაშიასთვის დამახასიათებელი აბრუნდები; სტილიო, ვერ ვიტყვი, უფრო ხასიათია, მოულოდნელი, დაუდგრომელი...

**თხოვნა:** ეგებ ზოგიერთი ყვავილის სახელი ახსნა!

**ავტორი:** ყვავილის მეტაფორული დატვირთვები ცნობილია. მაგრამ შენობაში სწორედ იმის საწინააღმდეგო რამ ხდება, რასაც ეს მეტაფორა გვეუბნებოდა ყოველთვის. „ყვავილნარი" გარკვეული აზრით „სამოთხის" მეტაფორაცაა. და, აი, ამ სამოთხეში, ამ ყვავილნარში შენობისა ასეთი ჰიბრიდული ყვავილებია, შედგენილი სხვადასხვა ენებიდან (ერთგვარი „შერევა ენათა და არსთა"): პეტრუს უბერუს ულცეროზის – „უბერუს" არის ყურძნის მტევანი, ჯიქანი, მაგრამ ამავე დროს, არის „იბერიც", „პეტრუს"– პეტრე-ქვა, „ულცეროზუს" წყლულებით დაფარულს ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს, ხატოვნად, დაჭრილს, ვნებათაგან დაწყლულებულს (დაჭრილი გული, მაგ.) რა გამოდის? „პეტრე იბერის წყლულებიანი ჯიქანი", ასევე... „ვნებათაგან დაწყლულებული ან დაჭრილი", ან კიდევ ქვის მტევანი წყლულებით სავსე და ა.შ... არის „სტივენ-ბლუმი" (ჯოისის ორი პერსონაჟის იგივეობის გამომხატველი), იგივე „ბლუმდედალუსი", მაგრამ აქ დედალუსის მნიშვნელობაც ემატება, რომელიც ქართულად „დედალს", „ლაჩარს" უკავშირდება. „მონტბრეცია", „მონპარნასის" აბრუნდიცაა, ყვავილიც არის და „ბრეცია მთაც" (მონტ – მთაა ფრანგ.) და სხვა. ცოტა მკითხველმაც უნდა იმუშაოს, თავისივე ფანტაზიით რასაც შემატებს... წიგნი ხომ კითხვის პროცესში იქმნება.

**შემკითხველი:** თითქოს ერთფეროვანი, ეკონომიური, ნაკლებად განშლადი და გახსნილია შენი ენა, მაგრამ საოცარ შედეგს აღწევს, რადგან ის სრულიად დაცლილია აღწერითი, გარე საგნებთან და მოვლენებთან მიმართების ფუნქციისაგან. შენობის სამყარო ამ ენის გარეშე არ არსებობს, მოთხრობაში ყველაფერი ამ ენით იქმნება, მისი საზრისით ხორციელდება. ის თითქოს ბიბლიური შესაქმის გამოწვევაა, პირველადი და უცნაური სიტყვაა, მაგრამ შედედებული, მკვდრადქცეული, მუდმივ წრებრუნვაში გაჩერებული.

ჩემი აზრით, არავის, გარდა ბიბლიური ეპიზოდებისა, ასე მძაფრად და ცხოველად არ გამოუხატავს ქალისა და კაცის პირველი შეხვედრა. შენ გიპყრობს თრთოლვა, ყოველი უჯრედი შენი არსებისა ტოკავს, აღტაცებით. მაგრამ მოულოდნელად აქაც „შენობა" შენობას გაკარგვინებს. ერთი ხელის მოსმით, ერთი წინადადებით: ქალის ერთი უნიათო, ცივი და არაფრისმთქმელი ჟესტით.

საერთოდ, ყველა შენი მოთხრობა იწვევს მძაფრ და მოულოდნელ გრძნობას: ზიზღის, სიყვარულის, სიცილის, განცვიფრების... გარეგანი რაციონალიზმისა და კონსტრუქტივიზმის მიუხედავად. ყველგან არის შიგნით, ღრმად მოთავსებული გამოწვევა, რაღაც გამოუცნობი ინტრიგა. შენი კითხვა კრიპტოგრამების ამოკითხვას ჰგავს.

**გეკითხები:** რა არის შენთვის ენა? არა მეტაფიზიკურ-თეოლოგიური, არამედ ქმედითმწერლური გაგებით?

**ავტორი:** და ენა არ არის არც „ინსტრუმენტი" და არც ფუნქცია. შენ თქვი: ქმედითმწერლური. ენა არის სწორედ ეს ქმედითობა, როგორც არსებისგამოთქმულობა და შემოქმედება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით შესაქმის შესაძლებლობისა. ისევე, როგორც სიყვარულში ყოფნა, ენაში ყოფნაც განთავისუფლებაა შემოქმედებისათვის. ენა მაძლევს იმას, რასაც მე ვახორციელებ ამ ენისავე შესაძლებლობების უსასრულობაში. ამიტომ, შეუძლებელია „სხვა" ენაზე შემოქმედება – ენა ყოველთვის შენი უნდა იყოს. რადგან შენი ენის შესაძლებლობებში არის შესაძლებელი შენთვის საზრისების

შექმნა და გავრცობა. ეს საზრისშემოქმედება, თუ შენ ენაში ხარ, არსთაშემოქმედებას უტოლდება და ამიტომაც, რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო ამგვარი „ენობრივი" სინამდვილე ანუ ტექსტი, ყოველთვის რაღაც გაგეხსნება კითხვისავე პროცესში, რადგან ამ პროცესში შენი თანამონაწილეობა არის ჩემი შემოქმედების არსება. აქ სწორედ თანაქმნადობასთან გვაქვს საქმე. ტრადიციული ლიტერატურა ამბავს ანუ რეალობას იღებდა გარედან და აღწერდა მას, ქმნიდა ერთგვარ პარალელურ ტექსტს: რეალისტურს ან სიმბოლურს, სულერთია, მაგრამ ეს ტექსტი არ იყო დამოუკიდებელი სინამდვილე, არამედ ასლი, ნიშანი: ამ ნიშნის ამოკითხვა სავსებით შესაძლებელი იყო მისი მისამართის დადგენით „სინამდვილეში". ამ თვალსაზრისით, ტრადიციული ლიტერატურა სავსებით ერთჯერადად წაკითხვადია. ახალი ლიტერატურა ან, უფრო ზუსტად, ტექსტი, ფაქტობრივად წაუკითხვადია (იმავე ტრადიციული კრიტერიუმებით, რაც სრულიადაც არ ნიშნავს კარგობას ან ცუდობას და ან რაიმე უპირატესობას. ეს ორი სხვადასხვა ტიპის პრინციპია). მაგალითად, ჯოისის „ფინეგანის" ტექსტი (მე მას „ფინეგანის ვაკეს" ვუწოდებ, „ვაკის" ათასნაირი გაგებით, მათ შორის, თბილისურისაც), ან, ვთქვათ, კაფკას ტექსტები, ამ კრიტერიუმებით აბსოლუტურად წაუკითხვადია; და შესაბამისად, გაგებადიც. ცდა მისი ინტერპრეტირებისა ტრადიციული ხერხებით და მიმართებით „რეალობისადმი", საკმაოდ უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ, საკმარისია, „ჩაიძირო" ტექსტში ანუ შიგნით აღმოჩნდე, რომ ყოველივე გასაგები და ნათელია. ეს არის ტექსტში თანამყოფობის პრინციპი, რომელიც სრულიად განსხვავებულია ტრადიციულისაგან. ძნელი კი არ არის, არამედ ითხოვს ამ „ჩაძირვას" და ტექსტთან „შიგნიდან შეხვედრას", რის შესაძლებლობას იძლევა სწორედ ენა, რომელიც ასევე ითხოვს ამ ჩაძირვას მასში და შიგნიდან ქმნას. ამ ენის გარეთ არაფერი არ არსებობს. და თუ ეს იქნა გაგებული, მაშინ ლიტერატურული შემოქმედების შესაძლებლობები უსასრულოდ უფრო მდიდარი გახდება. მე ამიტომაც ვუწოდებ ჩემს ტექსტებს „ყდიდან-ყდამდე" სინამდვილეს. არა გარეთ, არამედ

შიგნით და შიგნით და შიგნით... შენში შეჭრით და შენი შემოჭრით, ისევე, როგორც ენაში, და გახსნით. მდგომარეობა-სათქმელი კი არ აღიწერება, არამედ იქმნება და შენ მასში ხდები. ამიტომაც ტექსტი სულ უფრო და უფრო კომპაქტური და „დატენილი" ხდება. რამდენად არის ეს მიღწეული ჩემი შესაფასებელი და სამტკიცებელი, ცხადია, ვერ იქნება.

**შემკითხველი:** შენობა ჩემში იწვევს ცნობილი გრაფიკოსის და მოაზროვნის – ეშერის შემოქმედებასთან ასოციაციას, აკი წიგნის ყდაც მისი ხედვით-მათემატიკური კონსტრუქციით არის გაფორმებული. თუმცა მგონია, რომ ეშერი მაინც, შენგან განსხვავებით, წმინდა კონსტრუქტივისტია.

**გეკითხები:** რაში ხედავ მსგავსებას? რატომ გიყვარს ეშერი?

**ავტორი:** ეშერი მერე ვიპოვე, როდესაც „შენობაც" და „შესაქმეც" უკვე დასრულებული მქონდა, წმინდა ფიზიკურად (ხილვადად) გადმოცემულ კონსტრუქციაში სწორედ იგივე პრინციპია გატარებული, რადგან თუ ვერ შეძელი ეშერის ნახატებში შესვლა და იმავე კიბეებზე ასვლა-ჩასვლა (რადგან ორივე ერთდროულად ხორციელდება, რაც აბსურდის ვითარებას ქმნის) ან ტრანსფორმაციებში ჩართვა, ისე მას ვერც აღიქვამ და ვერც გაიგებ, რისი თქმა უნდა ამ კონსტრუქციებით. როგორც „დასავლელი", შესაძლოა, ეშერი უფრო რაციონალურ-კონსტრუქტივისტულია, მაგრამ მე ვფიქრობ, ის დიდი განცდით იყო დამძიმებული და ეს განცდა არ იყო „სახუმარო". მისი ტექსტები ასევე დრამატიული და ტრაგიკული განცდით დატვირთული და გამომწვევია. ხუმრობაც და იუმორიც, ცხადია, მასთანვე არის. მათ გარეშე ტრაგედიაც არ არსებობს!

**შემკითხველი:** ხომ არ გადაგღალე? მაინც უნდა გკითხო ერთი, ჩემი აზრით, გამჭოლი განცდის, თუ ფიქრის შესახებ, რომელიც მთელ შენ შემოქმედებას გასდევს. ეს არის სიტყვა „მკვდარი". „შენობაშიც" თხრობის ცენტრში (რომელიც ამოძრავებს ყველა მომსვლელს, თუ წამსვლელს, რომელიც შენო-

ბისკენ მიისწრაფვის, ეძებს პატარა კუნჭულს, მზადაა, იყოს მონა, მხევალი, საყვარელი...) არის მხოლოდ ერთი თავისუფალი ოთახი, რომელსაც ნომერი არა აქვს. ეს ცნობა ყველას აღაფრთოვანებს, ისინი თავმდაბლურად, ბოდიშის მოხდით, მონიწებით სთხოვენ ოთახების გამრიგეს, რომ შეუშვან იქ, იმ თავისუფალ ოთახში. უცებ ირკვევა, რომ ამ „მისტიურ“ ოთახში, რომელიც ასტროლოგიურ ნიშნებთან ყოფილა რაღაც ძაფებით დაკავშირებული, ყოველთვის „მკვდარია“. ქალი? კაცი? ბავშვი? არა! *მკვდარი!*

გასაცოდავებული, მარტოობით და მიუსაფრობით გატანჯული ადამიანები აღარაფერს დაეძებენ: არა უშავს რა, იყოს, ჩვენ მაინც გვინდა იქ! და უშვებენ კიდეც იქ! სხვა გამოსავალი ხომ არ არსებობს! თითქოს თითოეულმა მკვდრის ადგილი უნდა დაიკავოს, რადგანაც თვითონაც იქნება დასვენებული იქ, იმ ოთახში, მკვდარი. მოთხრობაც ხომ ასე ინყება: მკვდართან ყოფნით.

**გეკითხები**: რა არის შენთვის სიცოცხლე, მართლაც მკვდრებად ვართ დაბადებულები, მართლაც მკვდრობაა ჩვენთვის ერთადერთი მომავალი?! მართლაც მკვდრების, მილიარდობით მკვდარის ადგილს ვიკავებთ?

**ავტორი**: არსებობს უძველესი რელიგიური განცდა, რომელიც ეგვიპტურ „მკვდართა წიგნში" გვხვდება. ასეთივე მიმართებით არის ტიბეტური „მკვდართა წიგნიც“. მათში გადმოცემულია გზა ტრანსფორმაციისა, რომლის შედეგად ხდება ცოცხალის გადასვლა მკვდარში და ისევ აღდგენა. ამ გაგებით ცოცხალი და მკვდარი ურთიერთშეცვლადი მდგომარეობაა ყოფიერებისა. მაგრამ ამ ურთიერთშეცვლადობას მხოლოდ მაშინ აქვს საზრისი, როდესაც *მკვდარი არ არის შენობაში*, ანუ „აქ დებაში“. ეგვიპტელები უზარმაზარ პირამიდებში ათავსებდნენ მუმიას, რომელიც უკვე სამ სარკოფაგში იყო მოთავსებული. დამარხვის წესიც აქედანაა. მკვდარი უნდა „გაიყვანო გზაზე", რომ მან შეძლოს გასრულება თავისი ყოფიერებისა და აღდგომა. მაგრამ თუ მკვდარი აქ არის, ანუ „გაუყვანელია“, ის ავსებს მთელ სივრცეს ყოფიერებისა და შეუძლებელს ხდის

მას. მე უკვე ცოცხალი კი აღარა ვარ, არამედ ამ მკვდრის ატრიბუტი, მისი თანამყოფი, რაც შეუძლებელს ხდის ჩემს არსებობას და მკეტავს შენობაში, რომელშიც არაფერი სხვა აღარ არის, გარდა ამ მკვდრობისა. გახსოვს, სიზიფემ ითხოვა, რომ მისი გვამი არ დაემარხათ (მოატყუა ღმერთები) – შეუძლებელი გახდა არა მხოლოდ ადამიანების, არამედ თვით ღმერთების არსებობაც... ვაჟა-ფშაველას ნათქვამი, ხოლო ღრმად ქართული განცდა-გაგება სიკვდილი-სიცოცხლისა ასე ჟღერს: „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა, და შენც სიკვდილო, ფასი გძე, სიცოცხლის ნაკლებობითა", – ქართულ რელიგიურ უღრმეს განცდაში სიკვდილ-სიცოცხლე იმავე „ეგვიპტური" სიღრმით გვევლინება, როგორც ურთიერთცვლადი აქ-და-იქ ყოფნა ანუ თანამყოფობა განუწყვეტელი. ამას აღნიშნავს ქართული „გარდაცვალება", „მიცვალება" (მიცვალებული) და სხვა. ჩვენი რიტუალებიც ამის დასტურია. მაგრამ აქაც: აუცილებელია „გზაზე შეყენება" ანუ დამარხვა (ზოროასტრიელები არ მარხავდნენ, მაგრამ იქაც არის ეს „გზაზე შეყენება" – ცხედარს ანუ მატერიალურ გარსს ფრინველების საკორტნად ტოვებენ ხეებზე, რათა ამ გზით „ააფრინონ" ზეცას ის, რაც „აუფრენადია", მატერიალური, ნივთიერი, მძიმე...). „შენობაში" სწორედ ეს აზრია: სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც შენობა შეუვსებელია მკვდრით ანუ მკვდარი გზაზეა დამდგარი. ჩემი ყოფიერება, ყოველთვის ახალი და ქმედითი, შეუძლებელია ამ შევსებულობის პირობებში. კონკრეტული აზრით, ამგვარ არსებობას მე „ნეკროკრატია" ვუწოდე. ნეკროკრატიაში კი ყოველივე „ვითომ" ხდება, რადგან ხდომას გზა და მიზანი არა აქვს მკვდრით შევსებულობის გამო. და ის შეუძლებელი ხდება.

სიცოცხლეში ყოფნა გულისხმობს „მკვდრობიდან" გამოხსნას. რაც შენობაში შენებას (და არა „დებას") ნიშნავს. რადგან შენობით არსდება მხოლოდ სიყვარული, რაც არის სიცოცხლე. ან როგორც პავლე ამბობს: „ღმერთი სიყვარული არს".

**შემკითხველი:** და ბოლოს! „შენობა" ახალგაზრდობის პერიოდის მოთხრობაა, თუმცა მაშინ უკვე დაწერილი იყო „მარ-

ტორქა". იწერებოდა „გველისმჭამელი" და „შესაქმე – დროის შედედება".

მაინტერესებს: როგორ მოხდა, რომ ერთდროულად იქმნებოდა საოცარი ენერგიით, ნებისყოფით, მდუღარე მაგმით აღალვებული, ულამაზესი ხატებითა და ფილოსოფიური განცდით, განშლადი და ცხოველმყოფელი ენით დაწერილი ვაჟას სადიდებელი და „შენობა".

ავტორი: ორი სხვადასხვა დონეა. მაგრამ პრინციპი იგივეა: ვაჟასთან მე „მკითხველ-შემკითხველი" ვიყავი, რადგან იდიოტობად მიმაჩნია ვაჟას შესახებ განმარტებითი ხასიათის კვლევის ჩატარება. აქ უნდა ყოფილიყო სწორედ ეს *ჩაძირვა ვაჟას შემოქმედებასა და პიროვნებაში* (ცხადია, ჩემი შესაძლებლობებით) და გადმოცემა იმისა, რაც მე „იქ" *ვიხილე*. ეს ხილვა იქცა ჯერ გრძნობად და გაფორმდა გონებად ზუსტად იმავე ფორმით, როგორც თვით ვაჟა აღნიშნავს: გრძნობა-გონება. აქ მე იმდენად არ ვიყავი შემოქმედი, რამდენადაც ვაჟა „ჰქროდა". ცხადია, ახალგაზრდული ენერგია გაცილებით გახსნილი იყო ამგვარი იმპულსების მისაღებად ანუ გრძნობიდან გონებისაკენ ასამაღლებლად (ხანში რომ შედიხარ, უფრო ზევიდან ქვევით, გონებიდან გრძნობისაკენ ხდები მომართული).

ახალგაზრდობის და ენერგიის შენარჩუნება სწორედ იმას აღნიშნავს, რომ ადამიანი ჯერაც გრძნობიდან გონებისკენ არის მიმართული; ეს ბედნიერებაა. ბუნებრივია, რომ ენობრივადაც მე იმ შესაძლებლობებში ვიყავი, რომელიც ვაჟამ გახსნა ქართულ ენაში. მე ჯერ არ დამიმთავრებია ვაჟასთან ურთიერთობა და არ ვიცი, იმავე ენერგიით შევძლებ თუ არა, მაგრამ აუცილებლად უნდა დავასრულო დანარჩენი წიგნებიც, რადგან ჩემი ახალგაზრდობის წინაშე მაქვს დიდი ვალი (ანუ იმის წინაშე, რაც მაშინ მივიღე ვაჟასგან).

ჩემი ტექსტები კი, ეს ჩემი შემოქმედებაა იმ აზრით, რომ „წყარო" აქ მე თვითონ ვიყავი. გრძნობა-გონება ჩემი იყო და არაფერთან არ იყო „მობმული". ამიტომ აქ უკვე ქართული ენის შესაძლებლობები მაძლევდა მხოლოდ იმის საშუალებას,

რაც ჩემს შესაძლებლობებს შეესატყვისებოდა. აქ სრულიად თავისუფალი ვიყავი და ეს თავისუფლება ენობრივი ქსოვილის სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობდა. „შენობის" წერისას დროის შედედება დამემართა მე თვითონ, მგონი, მოგიყევი: ორმოცდარვა საათში დაიწერა (მანამდე ბევრს ვფიქრობდი და სწორედ ვაჟაზე ვმუშაობდი გამუდმებით). წერა რომ დავიწყე, ჩვეულებრივ მუშაობას მიმგვანებულად, „მახარაძის კლუბში" კინოებს უჩვენებდნენ და არ მახსოვს ვინ, დამპატიჟა, ბილეთი მაქვსო. ორი საათი მქონდა და რადგან იქვე ვცხოვრობდი ჯაფარიძის ქუჩაზე, ჩამოვალ-მეთქი, ვუთხარი. როდესაც დავამთავრე, ავდექი და ჩავედი კინოს სანახავად... ორი დღე გასულიყო! ახლა, როგორც გინდა, ისე გაიგე ეს!

**მკითხველი:** მშვენიერი პასუხებია. შენი ქმნილება, მიუხედავად შედედებულობისა, სწორედ სიცოცხლეს ამკვიდრებს. სიკეთე განფენილია, იგი ფარავს სამყაროს ღმერთის, შემოქმედის ძალით. ბოროტება ყოველთვის კონცენტრირებულია, ერთ მუშტად შეკრული, იქნება ეს კლანი, ბოროტმოქმედთა ელიტა, სხვადასხვა დაჯგუფებები, პარტიები, ფრაქციები... მარტომყოფი ბოროტი სუსტია, უნაყოფო, არაფრის მაქნისი, რადგან მას შეუძლია დარტყმის მიყენება მხოლოდ კოლექტიურად, მარტორქულად, სტანდარტული, უსახო, სხვის მოიმედე სიტუაციის შექმნით.

სიკეთე იმარჯვებს ინდივიდუალურად, პიროვნულად: ნიჭის, გაქანების, გადაქანების, იუმორის, გახსნილობის, ეშხის, სიბრძნის წყალობით.

ღმერთმა მოგცეს ძალა, ღრმა და სახიერი ხედვა და ენა, მის გამოსახატავად.

ულრმესი მადლობა დიალოგისათვის.

ზოგი რამ სხვა მკითხველსაც დავუტოვოთ განსჯისა და სიამოვნებისათვის.

**პარიზი-თბილისი. 1999**

# შ ე ს ა ქ მ ე
## დროის შედედება

ახლა გიორგი უნდა გამოვიდეს ქუჩაში. უნდა მოსცილდეს ამ ხალხს. გრძელი, ნახევრადბნელი დერეფნის სიგრძეზე ჩამწკრივებული კარების გასწვრივ მდუმარედ იდგებიან მისი არყოფილი მეგობრის შესაძლო მეზობლები. სახეგაყინულები გააყოლებენ დაეჭვებულ მის სვლას. მოყურადენი. მას უნდა ჩაევლო ოცდათხუთმეტი საფეხური და მიახლოებოდა ყრუ კარებს. გადაებიჯებინა ზღურბლზე და მოხვედრილიყო ქუჩაში. აქ დადგინდება ყოველივე. თავისუფალ დროში, რომელიც მის განკარგულებაში აღმოჩნდა. ორი საათი იმ რამდენიმე წუთის გამოკლებით, რომელიც მან უაზრო ლაპარაკში გაატარა სრულიად უცხო ხალხთან. არაცნობიერი განცდა რაღაც უჩვეულოსი ნისლივით მოედება მის სხეულს და ააფორიაქებს ამ ტანსრულ, ყოველთვის მოწესრიგებულ, გაწონასწორებულ და მშვიდ კაცს. დამყარდა კავშირი იმ ახალ ვითარებასთან, რომელშიც გიორგი აღმოჩნდა. ეს არის დროის ვითარება. ამას გრძნობს იგი ქვეშეცნეულად, არც ფიქრობს და არც იცის, რა უნდა მოხდეს, მაგრამ შიგნით რაღაც შეიკუმშა და კუჭი დაეძაბა. ჯერ კიდევ ზევით, დერეფანში გასვლისას ხვდებოდა იგი, რომ ირღვეოდა რაღაც კავშირები. სუსტდებოდა კვანძები და ირყეოდა საძირკველი მისი ცხოვრების მყარად ნაგები შენობისა. იფშვნებოდა ყოფიერების მონოლითი, სახლი, რომელსაც მისი არსებობა ერქვა. არც ახლა დაჰკარგვია მას ჯერ ამ ცხოვრების სათავისო განცდა, მაგრამ რაღაც ახალი, უჩვეულო და შემაშინებელი. ხოლო, ვიდრე ამ შიშს გააცნობიერებდა, შეეცადა, ყოველივე ეს წარმოედგინა

სიზმარეულ, შეუცნობელ და გამოუცნობ ხილვად. მას არ შეეძლო დაჯერება იმისა, რისი მოწმეც გახდა. არ შეეძლო... არ უნდოდა... უარს ამბობდა...

თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემდეგ სახლისკენ მიმავალი გიორგი ჩვეულებისამებრ მიადგა თავისი ძველი მეგობრის კარებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ ბინაში სრულიად სხვა ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც მას აქამდე არასოდეს ენახა აქ, მიუხედავად თავისი ყოველდღიური სტუმრობისა უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში. იმათ კი არაფერი იცოდნენ მეგობრის არსებობის შესახებ. თავდაპირველად მას უნდოდა, თვითონ გაეღო კარი თავისი გასაღებით, მაგრამ რატომღაც შეფერხდა, გასაღები აჩხრიალდა ერთხანს, მერე კარის თავზე მბჟუტავ წითელ ნათურას თვალი ჩაუკრა და ზარი დარეკა. კარი უხმაუროდ და თითქმის იმწამსვე გაიღო და გიორგი გრძელ ნახევრადბნელ დერეფანში შევიდა. ისინი ღია კარის ჭრილში იდგნენ. ხანშიშესული ქალი და კაცი გაკვირვებულნი ადევნებდნენ თვალს. თითქოს მიხვდა, რომ სხვაგან იყო და უხერხულობისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. დანარჩენი გიორგის ბუნდოვნად ახსოვდა. მან რაღაც იკითხა... უეჭველია, თავისი მეგობარი ახსენა... მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და შემობრუნდა. უცხო მამაკაცი, რომელიც მოურიდებლად შევიდა მათ ბინაში და უეცრად შედგა, მცირე დუმილის შემდეგ, ბინდბუნდში ურთიერთმოჩერებულები ხანშიშესული კაცის დაეჭვებულმა ხმამ გამოაფხიზლა:

– დიდი ხანია, ასე ეძებთ თქვენს მეგობარს? – უცნაური კითხვა. უკეთესს ვერაფერს იკითხავს კაცი ახლა. შიგ სახეში მომახალა და გაშტერდა. რა უნდა მოიტანოს პასუხმა? ჩემთვის – „გამოხატე და განთავისუფლდი". მათთვის... მათთვის სულერთია... მათთვის ხომ არაფერი შეცვლილა... არავითარი გადახრა... ახლა კი... რას უნდა ნიშნავდეს ეს? უპასუხოდ.

გიორგი წამოენთო:

– მე მას არ ვეძებ! ჩვენ ყოველდღე ვხვდებით აქ ერთმანეთს. სამსახურის შემდეგ მე მოვდივარ მასთან და იგი მიღებს კარს, როგორ... როგორც თქვენ ახლა... მიძღვება თავის ოთახში, და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ვსაუბ-

რობთ... ორი საათის... ვსვამთ ყავას და ვსაუბრობთ... ხოლო გუშინ კი...

– უკაცრავად... გ უ შ ი ნ წ ი ნ?!..

– როგორ?.. გუშინ...

– გუშინ?!

– გუშინ ერთად ვიყავით ამ ოთახში... იქ, ტახტზე ვიჯექი მე, ასე, ფეხმორთხული... ძველი ჩვევაა, ნუ გაგიკვირდებათ... იცით ალბათ, ჩვენ ორივენი ზღვისპირზე გავიზარდეთ... ოოო! რა ყავას ადუღებენ იქ... და ისიც რა ყავას ადუღებდა... დიდოსტატი იყო პირდაპირ... ხომ გაგიგონიათ ბრძნული ანდაზა: „კაცის ნიჭი მის უნარზეა დამოკიდებულიო"... ჰოდა... უკაცრავად... რას ვამბობდი... გ უ შ ი ნ მისი ხელნაწერის კითხვა დავიწყეთ, თუმცა, დრო, გესმის, დრო! არასოდეს გვყოფნიდა, რადგან ორი საათის შემდეგ მე სხვები მელოდნენ, ხოლო მას კი თავისი განრიგი ჰქონდა... ჩვეულებრივ...

– არ ვიცი, – გაბრაზდა მოხუცი, – ვერაფერს გეტყვით... აქ რაღაც გაუგებრობაა. მოხუცი ქალი თვალს არ აშორებდა გიორგის...

– როგორი შესახედავი იყო ის თქვენი... „მეგობარი"?.. – იკითხა მან შემპარავი სირბილით, მაგრამ მოხუცი მრისხანედ მოუბრუნდა და იმანაც ხმა ჩაკმინდა. მოხუცი გიორგის მიუბრუნდა:

– კარგი, დავუშვათ... თქვენ ამბობთ, რომ ის... ვიღაც... თქვენი მეგობარი... აქ უნდა ცხოვრობდეს... ამ ბინაში... ამ სამზარეულოში... ამ ოთახებში... ამ სავარძლებში... ამ კანდელებში... ამ მაგიდასთან...... და ამ დერეფანში... უკაცრავად... მე არ ვიცი, ვინა ხართ თქვენ... საიდან ხართ... და რა მიზანი გაქვთ... ან სად მიდიხართ... მაგრამ მე და ჩემმა მეუღლემაც კარგად ვიცით, რომ აქ ვცხოვრობთ უკვე ათი?.. ოცი?.. ორმოცი წელია. გამოუსვლელად... ჩვენ გარდა აღარავინ ცხოვრობს აქ... ბავშვები დაიზარდნენ და თავიანთ ბინებში სახლობენ... ოჯახები ჰყავთ... ცოლ-შვილი... და არავის უნდა, ეჭვი შეიტანოს ჩვენს კეთილსინდისიერებაში, – ამოიღო ხმა ხანშიშესულმა ქალმა, – იმას კი... არ ვიცნობთ... სადმე შევხვედრივართ ალბათ... გესმით!..

– თქვენ კი გაქვთ ნაცნობი სახე – ისევ...
– არა, არა, არსად, არასოდეს არ მინახიხართ თქვენ... გეშლებათ, ალბათ...
– ხდება ხოლმე, – თქვა ხანშიშესულმა კაცმა, – თუ დიდი ხანია, იცნობთ მას... ხდება ხოლმე... სისულელეა ყოველივე ეს... ხომ არ შეიძლება, ადამიანი გამქრალიყო ისე, რომ მისი კვალიც არ დარჩენილიყო მისსავე ოთახში... თანაც, ამის შესახებ რომ არაფერი იცოდნენ იმათ, ვინც მასთან ერთად ცხოვრობდა... ერთ ოთახში... ერთსა და იმავე სკამზე იჯდა... ლოგინში იწვა... ჰაერით სუნთქავდა... არა... არა... მე ისინი არასოდეს მინახავს აქ... ფაქტია ეს... ფ ა ქ ტ ი ! არც ახლა მაინტერესებს მათი ყოფნა, ოღონდ...

შენობის კედლები თანდათან ილვენთებოდა და იშლებოდა მტერის თავბრუდამხვევ ბუღად... მას უნდოდა, შეჩერებულიყო... დაბრუნებულიყო... დარჩენილიყო იქ... მათთან... თუნდაც ცოტა ხნით... თავი შეეფარებინა... თუნდაც იმ ორი საათის განმავლობაში... იგი შეეცადა კიდეც თითქოს შემობრუნებას, მაგრამ მოხუცებმა სწრაფად მიხურეს კარები და იგი მიხვდა, რომ დრო დაიძრა... მერე იდგა ერთხანს გაურკვევლობაში, თითქოს შესაძლებელი იყო სხვა რამ გამოსავლის პოვნა. სიბნელესაც მიეჩვია, გამეფებულ უკუნს, უცნაურად დამშვიდდა კიდეც... მაგრამ მეტის გაკეთება ველარ შესძლო და მძიმედ დაეშვა ფართო მარმარილოს კიბეებზე... გასასვლელისაკენ...

... სისულელეა ყოველივე ეს... ან რისი დასაწყისია... ისინი ირწმუნებიან, რომ დაბადებიდან აქ ცხოვრობენ და მე უფრო ვეცნობი, ვიდრე ის ადამიანი, რომელიც აქ, მათთან ცხოვრობდა მთელი ამ ხნის განმავლობაში... მე ვამბობ, რომ გუშინაც აქ ვიყავი... მასთან... მ ა ს თ ა ნ ვიყავი. გუშინ... გუშინწინ... გუშლამ... იმის სწორს... შარშან... ხუთი წლის წინ... ხუთჯერ ხუთის წინ... ყოველდღე... ხუთიდან შვიდამდე დავდივარ მე მასთან და ის მელოდება მე... ხუთიდან შვიდამდე... მესაუბრება... მიკითხავს... ეს ხომ ფ ა ქ ტ ი ა! ჩემი ფაქტი! ჩემი ცხოვრების სინამდვილე! რომელი ჩვენგანია მართალი? ისიც ხომ ი მ ა თ ი ფ ა ქ ტ ი ა?! ისინი არ სტყუიან... მაგრამ მეც ხომ

მ ა რ თ ა ლ ი ვარ! მე ვიცი, რომ მე მართალი ვარ... მაგრამ იმათაც ხომ ასევე იციან, რომ მართალნი არიან და არ სტყუიან... თავისი ფაქტის მიმართ... ის კი არ არის და არც სინამდვილის დადგენის რაიმე საშუალება მოიპოვება უკვე... არა, არა... შეუძლებელია... სისულელეა ეს... გამოდის, რომ ყველანი მართლები ვართ... ჭეშმარიტება კი ერთია... ე რ თ ი! ყ ვ ე ლ ა ნ ი მართალნი... „ვინაც შენი სიმართლე უარყოს, იგი შენი მტერია!"... მესამე ჭეშმარიტება... ესე იგი მტყუანია... წყნარად... დამშვიდდი და დაუკვირდი... ნერვიულობით ახლა ვერაფერს უშველი და არც იმათი ბრალი უნდა იყოს... ასე ჩანს... აქ რაღაც სხვაა... რაღაც ს ხ ვ ა... მთავარია, როგორმე დავადგინო, იყო თუ არა იგი? აქ... როდის?.. გუშინ?.. თუ დღეს... ჩემს მოსვლამდე... მაგრამ გუშინ ხომ იყო... მე ხომ ვიცი ეს... ვიცი! თუ არ ვიცი... არა.... არა... თავბრუ მეხვევა... არა... თავიდან... კმარა, საკმარისია დასაწყისისათვის...

– ხდება ხოლმე... – გაიგონა მან შორიდან ხანშიშესული ქალის დამცინავი ხმა. ახლაღა შეავლო მათ თვალი. ჩაეცინა... რომ დამჭირდეს, ხომ უნდა ვიცოდე, როგორ გამოიყურებოდნენ... მაგრამ ველარ გაართვა თავი, იმდენად აერია გონება... და ხელი ჩაიქნია. ისღა დაიმახსოვრა, რომ ორივენი რაღაცით ჰგვანდნენ ერთმანეთს, ერთი სიმაღლისანი იყვნენ და თმათეთრნი. ხელებიც უცნაურად მოკლე ჰქონდათ... ეს იყო და ეს. სახის არც ერთი ნაკვთი არ შერჩა მეხსიერებაში...

– ...ჰო... არა... ნახვამდის... ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს! – დაიძრა იგი გასასვლელისაკენ.

უჩვეულო იყო მისი სვლა ამ გაუთავებელ ნახევრადბნელ დერეფანში... უჩვეულო იყო მისი სხეულის მოძრაობა... უჩვეულო იყო მისი ხელების მდგომარეობაც: ისინი ახლა მუხლის თავებს უნდა ეყრდნობოდნენ და ხელში ყავის ნატიფი ფაიფურის ფინჯანი ეჭიროთ... მარჯვენა ხელის მოძრაობის ვექტორი პირისაკენ უნდა იყოს მიმართული. მარცხენა – ნულოვანი... პირში ყავის გემო უნდა ჰქონდეს... დროდადრო სახეზეც რაღაც ამაალმებელ შეგრძნებას უნდა გრძნობდეს, რომლის წარმოშობაც ყოველთვის ასე აინტერესებდა და რომელიც ვერავინ ვერ გამოიცნო... უჩვეულო იყო ეს მდგომარე-

ობა მისი ფეხებისათვის. ტახტზე მორთხმულებს რომ უნდა განესვენათ მყუდრო ოთახში... კეფისათვის... ზურგისათვის... დუნდულებისათვის... ყურებისათვის... რომელშიც მეგობრის დინჯი საუბარი უნდა ჟღერდეს... თვალებისათვის... ახლა რომ წრიალებენ სიმშვიდედაკარგულნი... ცნობიერებისათვის... რომელსაც მხოლოდ ის უნდა მიეღო, რაც გათვალისწინებული იყო... გარკვეული და ცნობილი პარამეტრების ინფორმაცია უნდა გადაემუშავებინა და ნათელი დასკვნები მიეღო... საკრალური გაურკვევლობა... გიორგი ერთი წამით შეყოვნდა, კიბის საფეხურზე ჩაიმუხლა, ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და დაწერა: „ვიყავი შენთან. გეძებე. შენ კი არა ხარ! შემეხმიანე!“ მერე ხელი მსხვილად მოაწერა... მერე წაშალა ხელმოწერა და დაკეცილი ბარათი საფოსტო ყუთში ჩაუშვა. მხრები აიჩეჩა და მძიმედ დაეშვა ფართო მარმარილოს კიბეებზე, რომლებზედაც წითელი სქელბეწვიანი, რაღაც გამოსახულებებით მორთული ხალიჩა იყო დაგებული. გამოსახულებებით, რომლებიც მხოლოდ ახლა შენიშნა, მაგრამ სიბნელეში ვერ გაარჩია, რა იყო გამოსახული ზედ...

წმინდა სარეცელი... წარმოსთქვამს იგი... შეპარვით ახელს თვალებს და, უეცრად გამოფხიზლებული მკვეთრი სინათლისაგან, ჯდება საწოლზე. ასე დაიწყო ეს დილაც... მსუბუქად, ლაღად და ფხიზლად... წამიერად ისევ დახუჭა თვალები და მიეგდო ბალიშზე... ეს მომენტი იზიდავდა ყველაზე მეტად... ეს ხიდი, მთვლემარე ლვიძილიდან სიფხიზლემდე... რა იყო ხიდს გადაღმა... საიდუმლოებით მოცულ მის არსებობაში, რომლის განუყოფელობას თავისი ცხოვრებიდან იგი ღრმად განიცდიდა... მაგრამ ვერ იხელთებდა... ვერ ასახიერებდა, ვერ აცნობიერებდა... რა იყო ეს ხილვები... ეს კავშირები... ეს ღამეული გამონათება... მან არ იცოდა... საიდან ჩნდება ყოველივე ეს? მან არ იცოდა, მართლა ხედავდა ყოველივე ამას თუ არა? რა ყაისნაღი ქარგავდა ამ საოცარ განცდებსა და თავგადასავალს იმ ცხოვრებისას?.. ვისი ხელი ერია ამაში?... მან ყოველივე იცოდა იქ ყოფნის შესახებ, რასაც მეცნიერება ასწავლიდა მას... მაგრამ იცოდა კი? ს ი ზ მ ა რ ი უწოდა ვიღაცამ (იმის ტვინში ჩამახედა ერთი!) ამ ყოფას და მას შემდეგ ყოველი

ადამიანი თავისი შინაარსით ავსებს მას... კითხულობს თავის დამალულ ყოფიერებას... მოძღვრებას ქმნის... რას უნდა ნიშნავდეს ეს?.. სი-ზმა-რი! ზმა არის იგი... ზმა-ნება!.. არაფერი გამოდის... მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ხიდზე უკან გავლა შეუძლებელი ჩანდა და მან ვერასოდეს ვერ მოახერხა, შებრუნებულიყო იმ საოცარ სივრცეში... იმავე წერტილში... ჩაძირულიყო იქ არსებობის ნეტარებაში... აქ, ახლა... ცხადად და ფხიზლად... მეხსიერება ინარჩუნებდა რაღაც ნაგლეჯებს იმ სამყაროსი და განცდებიც ინარჩუნებდნენ მის კვალს... მაგრამ გონება დუმდა... სული ჩუმარებდა... თვალებს ხუჭავს... რაზე ფიქრობდი?.. იქნებ, იქ არის კავშირი... შეუვალი... მოუხელთებელი... კავშირი უპირობო... შენი შენთან... შენს არსებობასთან... მერე მეორე თვალი გაახილა. აი, კავშირები! კარებს აქეთ: საწოლი... კარადა... სკამი... სარკე... ცხოვრებასთან... ყოფასთან... რომელთანაც შეხვედრა ნამიერი ზმანებით შეიძლება მხოლოდ...

— უცნაურია... — წარმოსთქვა მან და თვალი მოავლო ოთახს, სიმართლის მაძიებელი... სულის. ვინ შეიძლება იყოს აქ?.. სუფთა... სწორი... უბიწო... წმინდა სისხლდაუღვრელი სარეცელი... აბრაკადაბრა. უნდა ჩამოეიკიდო ლოგინის თავზე... სარკეში კარადა... ნახევარკარადა... გიორგი. ნახე... აგერ ნახე, ვარ გიორგი... ნახევარი ღამეშია, სიზმარში... ნახევარგიორგი... ამიტომაც არ არის აქ... მოუხელთებელი... რაზე ფიქრობდი?.. ღმერთო, რა სისუფთავეა!.. „ო! დიდებულო სუფთებო! ჩემო მბრძანებელნო! მე თუ რითიმე შეგეხეთ თქვენ, სიტყვით, მოქმედებით, ფიქრით, საქმით, ნებით თუ უნებლიეთ, — მომიტევეთ მე! კვლავაც გადიდებთ დიდებულნო!" დიდ სარკეში ლოცვა ასუფთავებს კბილებს. გაზმორებითა შენითა... და ადგა იგი, ვითარცა ლომი უდაბნოისა და დაბზრიალდა, ვითარცა ქარაშოტი... ლოგინი გაასწორე... ოთახის ზედაპირს მსუბუქად გაუსვი ჩვარი და სტვენით გადალახე სივრცე შენი ყოფისა... ყველაფერი რიგზეა... აბაზანაში გავიდა და წყალი მოუშვა. კიდევ ერთი წუთი... წაივარჯიშა... მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის! სპორტი ხალხისათვის! ანტიოპიუმია... უკანასკნელი ცნობები ჩვენი გამარ-

ჯვებებისა... უწყვეტი კავშირები... მუდმივი წონასწორობა... ჩვენ! პროფესიონალი კბილისმხეხავი... დიახ! ჩვენ უარვყავით პროფესიონალიზმი და განვამტკიცეთ თვითმოქმედება, მასიურობა და კოლექტივიზმი! მე ვიხეხავ კბილებს... მე გიხეხავ კბილებს... ჩვენ ვიხეხავთ კბილებს... თქვენ გიხეხავთ კბილებს... ისინი გიხეხავენ კბილებს... და ვიქცევით საყოველთაო კბილისმხეხავებად ჯერ არნახული და ჯერ არგაგონილი მომავლისაკენ მიმავალ გზაზე... დღევანდელი ჯანსაღი კბილი ხვალინდელი ჯანსაღი სულის საწინდარია! დაიკრიჭე! ნახე, რა კბილები აქვს... ცხენიც ამას ჰქვია, ვირი! დაილოცა მაგის გამზრდელ-გამხეხავი... გაუმააარჯოოოს! კაბალება. კა-ბა-ლე-ბი. კაბარაბები. კაბალებს ბარები კაკაბებს რაბები არაბებს ბალები კალები... კალები.... კალები... ბები. ინტროვერსიის ორლობეში მიმქროლავი... თვითმოქმედებისმიერ მეცნიერ-აკადემიკოსთა უკანასკნელი აღმოჩენებისებურ პოეტ-აკადემიკოსთანი ისევ და ისევ ადასტურებენ კლასიკოსთა მიერ წინაგანჭვრეტილ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანის განვითარების უმთავრესი და უმუდმივესი რგოლი უჯრედში არის კბილი. რამეთუ მხოლოდ კბილებიანი ყოფიერება განსაზღვრავს უკბილო ცნობიერებას, ვითარცა თავის ფენომენ-ფუნქციას... ხოლო უკბილო ცნობიერება კი თავისთავად არარაა... და ან კი რა არის ეს? დედამიწა სავსე არის ნამარხი კბილებით, ხოლო სადაა ნამარხი ცნობიერება?.. და განა იაზროვნებს ვინმე კბილატკივებული ჭკუასქელი?.. მაგრამ, ბატონო ამხანაგებო, მაგრამ... სამწუხაროდ, ეს უდავო ჭეშმარიტება ამ ბოლო დროს დავიწყებულ იქნა სხვადასხვა ყაიდის კბილდაჭიანებული რევიზიონისტების მიერ, რომელნიც ამ გზით ცდილობენ, დაარღვიონ ჩვენი ყოფიერებისებური ერთიანობა ჩვენსავე ცნობიერებასთან კლასიკოსების მითგნით მის... ღორო, მომეც ჯაგარი!.. ოცდათორმეტი თეთრი კბილი არის წანამძღვარი კაცობრიობის კეთილდღეობისა... უნიო მისტიკა... იყიდეთ... იყიდეთ... იყიდეთ... რამე! ესთეტიკის უკანასკნელი სიტყვა... კბილებიანი ჩონჩხის წარუშლელი სილამაზე... აააა-აა-ა! კბილიმძივიელვისძაფზეგამობმული... და ისიცაა: კოჭლ თემურს კბილის მუდმივი ტკივილი აწუხებდა თურმე

მარტორქას ფალარათივით... ვერავინ ეკარებოდა გამძვინვარებულს და ასე მოკვდა დაუმარცხებელი... ოცდათორმეტი თეთრჩოხოსანი... თეთრმანდილოსანი... თეთრშუბოსანი... თეთრცხენოსანი... რაზე ფიქრობდი მაინც?.. ყოველი კბილი შეესაბამება ყოველ ასოს... აბრაკადაბრა! ყოველი კბილის დალუპვა იწვევს ყოველი ასოს დალუპვას... ყოველი ასოს დალუპვა იწვევს ყოველი სიტყვის დალუპვას. რადგან მანამდე ილუპება მარცვალი... ყოველი სიტყვის დალუპვა იწვევს ყოველი წინადადების დალუპვას და ყოველი წინადადების დალუპვა კი იწვევს ყოველი აზრის დალუპვას... ს ი ტ ყ უ ა ო! მოდი, ვნახოთ კბილი... ჯორო, მომეც ლადარი! დასაბამითგან იყო კბილი!.. და კბილი უტკივარად იყო ღმრთისა თანა და არცარაი იყო, რაიც იყო თვინიერ კბილისა! ანარეკლის აუცილებლობა. ასახვა! კბილგახეხილი და სახედაბანილი გიორგი შემშრალდა სარკეში თმადავარცხნილი. პოლი! კედელზე დამჯდარი ბუზი, რომელიც მანამდე სივრცეს უწესრიგო მრავალწახნაგებად სერავდა, ვიდრე გიორგი სარკეში თავს მოაწესრიგებდა, ჩამოსრიალკედელდა. ბუზიო?! უკანონობას სასტიკი შეურიგებლობა და ბრძოლა! წესრიგის არც ერთი დარღვევის მაგალითი არც პირად და არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში – აი, ჩვენი დევიზი! ო! დიდებულო სუფთებო! დაისაჯოს! დაისაჯოს! დაისაჯოს! ბავშვური უშუალობით, უვიცი გულუბრყვილობით... მიასრისიატკაბუზა... ლომმა მან მძვინვარემ... ნებით თუ უნებლიეთ! საბუზეთი... საბეზეთი... საბოზეთი... მ ო მ ი ტ ე ვ ეთ!

სანერ მაგიდაზე დიდი ნიჟარა თვლემს. გიორგი ნელა მიუახლოვდა... არ გამოაფხიზლო! ხელი შეავლო და აიღო... უკანასკნელი ტალღის შრიალი... გარდუვალობა და უსასრულობა, ჩაჭედილი მომაკვდავი ნიჟარის ხვიარებში... საიდუმლო კავშირები... მოკიაფე მქრთალი სურათები... ქვიშაში კოჭებამდი ეფლობა შიშველი ფეხები: ღმერთო, ღმერთო, მაპოვნინე... მე შენ დედას გაპოვნინებ... ღმერთო, ღმერთო, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ... რას სთხოვდა? ნიჟარაში ჩამწყვდეულ ტალღებს?.. ზღვის დაუსრულებელ სწრაფვას?..

მაგრამ საით?.. წინ?.. და ისევ... ნაპირი... ნაპირი... ვის სთხოვ-და?..

ლ მ ე რ თ ს... ყოველ დილით ესმოდა თვალდახუჭულს სას-თუმალთან ბაბუას ბუტბუტი. არავინ გაიგოს ი მ ი ს მეტმა... ლოგინს უკან. კედლისპირს. ერთი სიტყვა რჩება უცვლელ იდუმალებად: ღმერთი... ისიც რაღაცას სთხოვდა... ღმერ-თო, ღმერთო, მაპოვნინე, მე შენ დედას გაპოვნინებ... ისინი დიდხანს რჩებიან ნაპირზე, ზღვის დაწყნარებისას, როდესაც წყალი უკან იხევს და ქვიშა მოფენილია ათასგვარი იდუმალი არსებებითა და საგნებით... ღმერთო, ღმერთო, მაპოვნინე... ღმერთო, ღმერთო, მაპოვნინე... პატარა ნიჟარები ავსებენ ქუდს ზღვის მიმკვდარი ჩურჩულით... მაგრამ ყველა ეძებს იმ ერთს... ერთადერთს... გადმოგდებულს ნაპირზე... რომელსაც ზღვის დაუსაბამო შრიალი დაჰქონდა თავის გულში... ღმერ-თო, ღმერთო, მაპოვნინე... მკვდარი ზღვა. მკვდარი ბავშვები, — გაიფიქრა მან უეცრად. ისინი სადღაც იქ დარჩნენ — მუდ-მივ მძებნელებად... არავითარი კავშირი აღარ არსებობდა... იყო მხოლოდ ზღვარი, რომლის ორივე მხარეს იდგა ახლა იგი, უცხოდ, ერთმანეთის შემყურე... გაკვირვებული, სველ ქვიშაში წვივებჩაფლული ალოცვილი მძებნელი და მოწეს-რიგებული, გადასვლეპილი — სიღრმიდან... რას ვატარებთ გულში?.. პირველი ნაპირი... უკანასკნელი ტალღა... რა აკავ-შირებს მას ზღვის უსაზღვრო და დაუსრულებელ სწრაფვას-თან? მან გამოაფურთხა იგი ერთხელ ლორწოსთან ერთად და მე ვიპოვე იგი და მე ვიყავი ბედნიერი... ვიყავი... თქვენი ბედ-ნიერებისა იყოს!..

ქუჩაში კანტიკუნტად ჩნდებოდნენ გამვლელები. გიორ-გიმ ფანჯარა მიხურა და თავისი ბინის ერთგვაროვან სიჩუმე-ში ჩაიძირა. მანქანების ხმა, შერეული თანდათან მოწოლილი გამვლელების ხმაურთან, ფანჯრებს იქიდან ავედრებდა სი-ცარიელეს და სისუფთავეს. ნასაუზმევი გიორგი ქუჩაში გა-მოვიდა არც ერთი წერტილი შეუვსებელი... არც ერთი მეტ-რი ასფალტის უსაქმო... არც ერთი ნაბიჯი უქმად. მუდმივი სწორდგომა... გასავსებრივებული სიმსუქნე თავდაუღწევე-ლი დიდი პორტფელით ხელში კოცნის ცოლს კუთხეში. შო-

თა... განაზთვალება ღიმილში... თვალი გააყოლა... ცოლია?! მოდური თეძოებით შალმაზიანი გაირბა საპირისპირო მიმართულებით... სულის შავი სარკეები... თითო კილოგრამიდან ოცდახუთი პროცენტი... იქნებ, ორმოცდაათიც... ან, სულაც ასი! ვაშა გმირებს! აქოშინებულმა მოაცილა თვალი ათამაშებით რხეულ მიმავლობას და გიორგის წინ ჩადგა ჩვეულებისამებრ. ეეი! არავინ ჩამორჩეთ! უკანასკნელი ზარი... გამცილებლებმა დატოვონ ვაგონები... დაიძრა მატარებელი... ფეხის ხმა შეირწყა ერთ უწყვეტ რიტმად და აბაკუნდა ქვაფენილზე... ბაქ-ბაქ-ბაქ-ბაქ-ბუგ-ბუგ-ბუგ... ქაქისბოჩკა. მთელი ცხოვრება მაგის აცუებულ დუმებს უნდა მივყვებოდე... არ ჩამორჩეთ! აბლაბუდას უხილავი ძაფების ხლართი – გამარჯობათ! – „გაგიმარჯოს, შვილო“, – აკანკალებულხელებიანი ბებრის კბილებდაცვენილი ხროტინი. უნდა მიუხვდე სიტყვებს... ბებერი ძაღლი. ძაღლისა და მელიის ბუში... რა უნდა?!

გაბებერმელაძაღლებულმა პოდაგრიკმა წარუმავლად შეავსო სავარძლის ტყავგადაკრული ღრმული. ფრთხილად! არ წაიქცეს! ჯდომისაგან გაცრეცილი ტყავი... გამარჯობა, შვილო! სიცოცხლის უსაზღვრო თავშეყვარება... იგორე ბოლომდე...

მზემ თავი დააღწია სახურავებისა და მავთულების ხლართს და, გიორგის ღილზე არეკლილი, ათამაშდა მის წინ მიმავალი კაცის ზურგზე. დნება მსუქანცილინდრიანი... დნება! უშველეთ... ჩქარა, ტაშტი... არიქა! არც ერთი წვეთი არ უნდა დაიღვაროს უქმად მშრომელი კაცის ოფლის... ყოველი წვეთი ოფლიდან ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივცემთ ორას პროცენტ მსხვილფეხა პირუტყვს... ას ხბოს... ორას ქათამს... მილიონ შვიდასი ათას კვერცხს და სამ აბაზს... დასველდა კაცი... შეუდგით... პირისა ოფლში მოიპოვებ... სხვისი პირის... შეუდგით ტაშტი... შეუდგით...

ძაღლი მარჯვნიდან ერთხანს გაუნძრევლად დგას ტროტუარის კიდესთან და აყოლებს თვალს მანქანებს. მერე თავი ჩაქინდრა და ლასლასით გადაათრია ტანი მოპირდაპირე მხარეს... ხალხს შეერია. დღესაც არავის უჭმევია... ძაღლს ფეხი ერეოდა და ენარცხებოდა კედელს მოპირდაპირე მხარეზე.

მერე ჩაემხო და გაიტრუნა. ყოფიერების ძაღლი... კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებს?.. ბედნიერების მაიორი... ბედბედნიერი... ობობასავით იდო იგი თავის სავარძელში და ადევნებდა თვალს მის ოსტატურად მოქსოვილ ქსელში გაბმულებს. ეს ძალას მატებდა მის გამოფიტულ სხეულს და უბრუნებდა თავისი შესაძლებლობების შეგრძნებას... თუ რწმენას... – გამარჯობათ! ძვალგამთბარი ობობა... დაკითხვის დიდოსტატი... ხმამაღლა: გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა თ! დღეში სამჯერ ჭამა და კბილები მარილიან წყალში. ძილის წინ... არ ესმის?..

– გამარჯობა, გ ი ო რ გ ი! მიცნობს... აი, ასე გამოჰყავთ და დებენ სავარძელში. ღრმად. ერთგული შვილი... გააგდეთ ეს მამაძაღლები! მომაშორეთ! ბედნიერების ყვავილნარის კოკრები... იქნევს ჯოხს, მაგრამ ბავშვები გარბიან სიცილ-ხარხარით... მათ ჯერ არ იციან... მისი დროც დაბრუნდება და მაშინ აჩვენებს სეირს... სრის... კოროპაროკარდიოსკლეროზი... ნაბიჯიც რომ ვერ გადადგა, ისე ჩაძაღლდე... თქვენ ყველანი მოხვალთ ჩემთან... განაჩენგამოტანილები... თარსი. დილის თარსი. კალმარი. მედუზა. ლორწო ნათელი მომავლისა... გაუღიმე... მხოლოდ სძინავს... ო! დიდებულო სუფთებო! ბებერმა თავი გააქნია...

ზეროტაჟ. რადგან გზა ასე წააგავდა გადმობრუნებულ ასო Z-ს. ეს გზა ივსებოდა დღეში ორჯერ და ორჯერვე ცარიელდებოდა. და იდო ასე გზა მისი ცხოვრებისა ჩაჭედილი სახლების ნაცნობ გარემოში და მოღუშული მისჩერებოდა ცას. გზაო დიდებისაო... ხეო ცხოვრებისაო... ის უხვევს მარცხნივ. ხომ არ შებრძანდებით?! როგორ გეკადრებათ... მხოლოდ თქვენ შემდეგ... მომიტევეთ!.. მაპატიეთ! – გამარჯობათ! – შემოიარეთ! ჩვენთან, ზეროტაჟზე... ის უხვევდა მარჯვნივ. გომბეშოსავით იდო იგი თავის ბალიშებზე... გარინდული... არსის მჭვრეტელი... ყოფიერების სიბრძნის შემცნობი. ადგილი არ იყო... ბრძენი. კოჭლი. მარტოხელა მაძიებელი ტოლის! და კიოდნენ მუეძინები: ერიდეთ საყვირს შორით გამკივანს!.. უშიში, ვითარცა უხორცოო! გახურებული შუბით დაილარა დაშანთული კისერი და დაიძრა... აბა ჰე, არ ჩამორჩე... მ ო მ ე

ც ი თ ა ტ ო ლ ! ახლოვდება... ღმერთო, ამაცილე... ყოფიერების სიბრძნის შემცნობი... სიცოცხლე-სიკვდილი... ვიცნობ...

– გამარჯობათ, ბატონო ყაისარ! –თა კეისარო საკეისრო კისრის თავო... არა, თვალო... ვინ დგას შენს ადგილას?..

– გამარჯობა, გიორგი! ხომ ხარ ლომივით?!

– თავად ხომ კარგად... ყაისარ ბატონო... – წადი ახლა, იარე, ლომო უდაბნოისა... შენც გაუღიმე... სარკეა სულის... უშობელო... იკივლონ ახლა მუეძინებმა... – როგორმე შემოგივლით, უეჭველად! რა გაჩქარებს?.. ახ, ადგილი გინდა?.. იქ, წინ, ზევით, დახლთან ახლოს... ვის არ უნდა? მეც მინდა! აბა რატომ ვარ მე აქ?.. მოთმინებითა შენითა მოიპოვებ ალაგსა შენსა... არ გაგიგონია?.. არ წაგიკითხავს? არ მოგისმენია? არ დაგინახავს?.. რაღას იზამ... მიდი, მაშინ, მიდი, დასწერე, ო! დიდებულო სუფთებო!.. სარკეა ცხოვრების... ერთი წავა და სხვა მოვა... მალული იმედით... ყოველ დილით... ზეროტაჟზე... იქნებ ვინმე გამოაკლდა ამ რიგს და მოხდეს სასწაული გადანაცვლებისა... მ ო მ ეც ი თ ტ ო ლ ი! ადგილდაკავებული... იმათ ყველას უჯავშნიან ადგილს და მერე მოდიან... იცოდა მან თავისი ადგილი... შენ კი? ყოფნა-არყოფნის საკითხავში თვალახვეული ბორიალი... მსოფლიოო სევდა... მოვა ახლა კიდევ... შეჩერდი... აარიდე თვალი... ველარ გაექცევი. მოვიდა. ეკვილიბრისტები ზეროტაჟზე! ოჰო! ახალი ფეხსაცმელი?! ახალი ცხოვრებისეული გეგმები?! უახლესი დამოკიდებულება გატკეპნილ ბილიკებთან... ჩვენი ჯერი ახლოვდება, მეგობარო?.. აბრაკადაბრა! რა გინდა შენ, ძმობილო?! რა გაწუხებს?! რას წრიალებ?!..

– გაიგებდი ახალ ამბებს... რაღაც უნდა მოხდეს ნამდვილად... ჰა?!

– რა ამბებს?! მარცხენა მარში: ერთი-ორი, ერთი-ორი... ცნობიერების ალლუმი. შენ ის არ იცი, ძმობილო, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება...

– შენ ჩვენთან არ ხარ?.. ყველა ამას ამბობს...

ფრთხილად, ვანია, მიშა გიზის უბეში...

– ვინ თქვა ეს სისულელე?

ბრიყვობა, მიყვანილი თავდაუღწეველ განწირულებამდე. ჩურჩულით:

– არ ვიცი, არ ვიცი!.. მე ყური მოვკარი მხოლოდ... თვითონ...

– მე მგონი, ყველაფერი ეს ზევიდანაა მოწყობილი. დაფრთხა და გაპარვა უნდა... ცხოვრება გინდა შენ, ბიძია... წინ გინდა წაიწიო... სწორი ხარ, ჩემო ძმაო, სწორი. ეგ გვინდა ყველას... უკეთესი ადგილი...

– აა-ა! მაგი აღარ მიფიქრია... კარგად იყავი აბა...

ბედნიერი კაცი. ღირს კი ამის გულისათვის შეშფოთება? განწესებული მიზნით... ბედნიერი კაცია...

მზერა ეყრდნობა თვალების მავედრებელ სიცარიელეს. მოსევადებული ზიპი. მორჩილების კორძები... ვით არ მიყვარდეს, რამეთუ იყო იგი ძმა ჩემი... იგი ნელა მიცურავდა გიორგის მზერის კიდეში და უჩინარდებოდა. ალლე-ეე-ე! ყირამალა ყოვლისშთანმთქმელი ნების ხახაში... ბედნიერების გარიჟრაჟი... supervenio. delinquo. servitium. ალე! ნერვების მორგვი ანჯამებად... რომ არ იჭრიალონ... ცნობიერების ჯურღმულებში თარეში... ამას ეწოდება არაცნობიერი. აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე... – აამოძრავა ტუჩები და გაიტრუნა. ვინ ხარ შენ? – გამარჯობა... – დაგინახე... – ხელს უქნევს ქუთეისურად და მიქრის... მალაქიტის ლოდში მომჯიღული ვნებები... ბიბი-ხანემის ცაშიგადასულ თაღში დაუტეველი ლოცვა... თვალშეუდგამი... ზმა!

– განახავ მერე... საქმე მაქვს!..

ჩაიპნა ყურში. ჩრდილდება... უჩინარდება... უგრძნობებო... უვნებო... დაუეჭვებელი... მოუნანიებელი... უსიყვარულო და უშიშო, ვითარცა უხორცო... კოჭლი ბუდა!.. აბლა ბუდა... მაღლა ბუდა... გვამების ხალიჩა... შიში ხორცისაა, დაბლაბუდავ. ხორცის... უმეზობლობისთვის მოღვაწე... იქნებ არც ღირდა...

– გიორგი, შემოდი ერთი ჩემთან!

– გამარჯობათ... დიახ, ახლავე შემოვალ...

– ათ წუთში.

ო! დიდებულო სუფთებო! ჭეშმარიტად შეუცნობელ არნ ბილიკნი შიშისანი და სათავენი ყოველთა სიბრძნისანი... რამეთუ ვიცნი საქმენი შენნი: რამეთუ არცა გრილი ხარ და არცა ტფილი; ჯერ იყო, რაითამცა ანუ გრილი იყავ ანუ ტფილი: არამედ ასრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი და არცა ტფილი. მეგულვების აღმოგდებაი შენი პირისაგან ჩემისა... ბედისწერის მაძიებელი.

გიორგი თავის სამუშაო ოთახში შევიდა. ეს ოთახი მოთავსებული იყო ეპიცენტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჩრდილო განედის 41 გრადუსსა და 42 წუთზე ხოლო აღმოსავლეთის გრძედის 44 გრადუსსა და 50 წუთზე და წარმოადგენდა ორი ურთიერთმომქმედი ცენტრის ზღვრულ დამაკავშირებელს. ისტორიულ ანალებში და ჟამთააღწერებში, რომლებიც შენობის წარმოშობისა და აშენების ისტორიას მოგვითხრობენ, აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსი სწორედ ეს გარემოება ჩანდა: შენობის ადგილმდებარეობა გარემომცველი სივრცისა ასარკვისათვის. დასავლეთიდან შენობას საუცხოო ტბა ესაზღვრებოდა და ამ მხარეს სივრცე უსაზღვრობამდე იყო გაშლილი. არაფერი არ აბრკოლებდა დასავლეთიდან მოდენილი ქარების ქროლვას. აღმოსავლეთით, ასიოდ ველზედ, ხელოვნური ტბის სარკე კრიალებდა და სივრცე აქეთაც საკმაოდ გაშლილი იყო. ასე რომ, ზაფხულობით აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მქროლი ნიავი სწორედ შენობას ეხვეოდა და, ამდენად, ქართა შესაყარად ხდიდა მას. სამხრეთიდანაც საკმაოდ გაშლილი მთაგორიანი ჰორიზონტი ერტყა გარს შენობას. სახლები ამ მხრივ ბაღნარში იყო ჩაფლული და საოცარი სურნელი ეფინებოდა არემარეს, მხოლოდ ჩრდილოეთი მხარე იყო სუსხიანი და, ამიტომაც, მთავარმა არქიტექტორმა ამ მხრიდან შენობას სქელი ცასმიბჯენილი კედელი მოაშენა, რომლის საძირკველში, გადმოცემით, ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლაში დამარცხებული და ციდან გადმოყრილი ტიტანები ჩააყოლა. და ზედაც ერთი ცუნდრუკა ტიტანიც მიაჯაჭვა უშიშართა სამასხროდ და შეშინებულთა დასაშინებლად. ერთი ფილოსოფოსის თქმით, „ამ ქართა შესაყარად რგულ ბაღ-

ნარს" ეს ცასმიბჯენილი კედელი მითიურ იერს აძლევდა და ჩრდილოეთის სუსხისაგანაც იცავდა. შენობა ქალაქის ცენტრალური ნაგებობა იყო. გიორგიმ ფარდები გადასწია. კანტიკუნტად მიჰყვებოდა ბილიკს საქმიანი განთიადისა გამვლელი. არ ჩქარობდა. თუმცა კი სწუხდა... მიმართულება შეიცვალა... ყველაფერი რიგზეა... განსხვავება სამ წუთში იყო... ნამნამების მსწრობელი მბრძანებელი კარისა ამის... პოლი! ო! დიდებულო სუფთებო! აიზლაზნა ნელი მზერა აცურებული თვალსაწიერისა და მზის პატარა კონა ჩამოეკიდა მაგიდის კუთხეს გამჭვირვალე ტალღათა ალმრძნობი... ათამაშებს წვრილ ტალღებს მის ზედაპირზე. ის იჯდა მარტო... უდროოდ... თვალმოუშორებლად უყურებდა ალივლივებულ ზედაპირს... რაზე ფიქრობ? ხანდახან კენჭებს ისვრის ზღვაში და თვალს აყოლებს, როგორ იშლებიან წრეები... არ შემეძლო მე მისი მყუდროების დარღვევა... ის იქ არის ახლაც... ის აქ არ იყო, არ იყო, უკვე აღარ არის აქ, აღარ არის... ის! გადამლახავი საზღვრისა განწვლილდა უსაზღვრობაში ცისკიდურისა და შეერთვა დროს... შიშით მოყვარე... რა არის ის? სიკვდილი? მან თქვა: „მათ არაფერი იციან იმ ცვალებადობის შესახებ, რომლითაც საგნები, მოვლენები, სულიერნი და უსულონი გადადიან არსებობიდან არარსებობაში... და უკან... საზღვარზე"... სიღრმეში ჩაძირული იყურებოდა ის და ხედავდა... რისი თქმა გინდოდა მაშინ?.. პატარა ბავშვის აცრემლებულ თვალებში... დიდხანს დავრბოდი ნაპირზე... სილააკრულ წვივებს წყალში ვისველებდი, ვუახლოვდებოდი და ვშორდებოდი... ვჭყუმპალაობდი მის წინ... ვეფერებოდი ზღვას... და მინდოდა მიმექცია მისი ყურადღება... ის ხ ე დ ა ვ დ ა... მშვიდი. შინაგანი ღიმილით შესცქეროდა მარადისობას დაუსაბამო ოკეანისა... საზღვარზე მდგომი. ან იქნებ ზღვარი არც არსებობს?.. ამიტომაც იყო ასე მშვიდად მის წინ... არსებობის ფორმას იცვლიდა მხოლოდ... ს ხ ვ ა დ ხდებოდა. ის კი იჯდებოდა მის ფეხებთან გარინდებული... ეკვროდა მას... ზღვა ფართოვდებოდა... ფართოვდებოდა მარადიულ წყლებად მყობადისა, ამოდიოდა მასთან ერთად და იგი უკვე იყო რაღაც დიდი და უსასრულო, უსაზღვრო და მუდმივი, რომელიც მისი სხეუ-

ლიდან იღვრებოდა ელვისებრ ძაფებად შენში და ავსებდა მას და შენ ეკვროდი მას, შეშინებული ამ უსაზღვრობით, რომელშიც აღმოჩნდი მის წინ მდგომი უეცრად, მარტო, ყველასაგან მოწყვეტილი შერწყმულ-შეურწყმელი, მანათობელი კვერცხი გადაგდებული სამყაროში და შენ გინდოდა შეზრდოდი მას, შეერთებოდი, დამალვოდი იმ გამოუცნობ იდუმალებას მსაზღვრელისა, რომლის მოახლოებას გიცხადებდა მისი დამჭკნარი, დაუძლურებული ტანი, რომელსაც ამ წუთში ვეხუტები მთელი სხეულით... იქვე გვერდზე, ქვიშის ხრაშუნში ჩნდებოდა მუდმივი პატრონი და ძაღლი, რომელიც წკმუტუნით ლოკავდა შენს ფეხებთან ამ უსასრულობის კიდეს და აქრობდა ყოველივეს შეხებისთანავე და შენ გრძნობდი უკვე ზღვის მლაშე გემოს სველ ტუჩებზე და გამოხსნილი დასდევდი ყვირილითა და სიცილით ამ დროდაკარგულ ძაღლს დამრღვევი იდუმალების საზღვრისა... ძაღლი წკავწკავით მახტებოდა მკერდზე და ჩემს შეკისკისებაზე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და ისევ მახტებოდა და გაჰქონდა ზღვის ლივლივა კანზე არეკლილი კისკისი და ელაზღანდარავებოდა ზღვის მსუბუქ ქაფს... ძაღლის პატრონი იქვე შორიახლოს ჯდებოდა ყოველთვის, მის გვერდით... ბებრული ჭრიალით კეცავდა სხეულს და ისროდა კენჭებს ზღვაში და უყურებდა მომაკვდავ რგოლებსა და ათამაშებულ მკვდარი მზის სხივებს... რას ზოზინობ?! ასე სხედან ორნი ზღვის პირად, მდუმარენი და ისვრიან კენჭებს ზღვაში და თითქოს ვერ ამჩნევენ პატარა ბავშვსა და ძაღლს, მხიარული კისკისით რომ ეთამაშებიან ერთმანეთს და ზღვის მსუბუქ ტალღებს... რას ზ ო ზ ი ნ ო ბ?!! აპარატი განუწყვეტლივ მუშაობდა იმ მომენტიდან, რაც სამუშაოს დაწყების ზარი დაირეკა. გიორგიმ თვალი მოაშორა მაგიდის ალივლივებულ კუთხეს და აპარატის მიერ წვრილი ხელწერით აღნუსხულ ინფორმაციას შეხედა. ჯერ ვერ მიხვდა, რა შემოიჭრა ინფორმაციის ჩვეულ მწყობრ რიგში უჩვეულო... ასო გადიდდა... აიშალა: შენ გელოდებიან! შენ ხომ გელოდებიან!!

გიორგიმ თავი ასწია. ოთახი ისევე იყო მზით განათებული. ჩუმი, უძრავი. აპარატი გამოირთო და დადუმდა. მე მელოდე-

ბიან! ჰო, ჰო, მოვდივარ, რა მოხდა... აჰ, უკაცრავად... ახლავე... მომიტევეთ! რა მოხდა? ქუჩა ცარიელია. დაცარიელებული მაგიდა მისჩერებია ალივლივებულ ჭერს. კარებისაკენ მიმავალ გიორგის აცილებდა აპარატის დაძაბული, მშფოთვარე მდუმარება... დერეფნის გასწვრივ ჩამწკრივებული პირგამეხებული კარები აცილებენ მას შორეულ გზაზე და ის მიდიოდა და მიდიოდა აჭრიჭინებულ იატაკზე დაგებულ წითელ ხალიჩაზე გაულიმებელი, თვალდახუჭული, მოცული სამარისებული შუილით მდუმარე კარების რიგში, რომელიც ყოველი მხრიდან ადგებოდა მას, სულ უფრო და უფრო ავიწროებდა გასასვლელს და, აი, ის მიძვრება მთელის ძალით, ეწინააღმდეგება შემომდგარ კედლებს გაოფლილი... დასველებული... ლორწოვანი უხილავი ძალის მიერ ხელნაკრავი, შემოჭდობილ მდუმარებაში, რომელიც ეტმასნებოდა მის უზარმაზარ რბილ თავს, გზას რომ იკაფავდა ხვრელისაკენ, რომ, უეცრად, ვილაცის ცივი, მკვრივი თითები შემოეჭდო, შემოეწნება... მიიზიდა... და მთელის ძალით გასტყორცნა სიცარიელეში...

შიგნეულდამწვარი ქალი მავედრებელი თვალებით დაცოცავს ოთახის სივრცეში. სისხლჩაკბენილი ყვირილით ცდილობს, გამორწყას თავისი ავბედნიერი თესლი ადამის... ტკივილში ივსებოდა... იბერებოდა... ეტმასნებოდა კედლებს... ჭერს... ავსებდა მთელ ოთახს და ისევ თავის ადგილს უბრუნდებოდა ბაგათა შორის... მუცელმოშვებული... როდის გათავდება ყოველივე ეს? ის ხომ ქვევით მელოდება... ქმარი ჩემი იცდის... ი ც დ ი სსს! ნუ ფიქრობ! – იჭინთება... – შენც უნდა გაიჭინთო! როდისღა გათავდება ეს!.. oო-ო! გაიჭინთე! მელოგინემ თვალები საათს ჩაჰკიდა... რატომ აქნევს თავს?.. – აქ დააწექი! ბასრი ბრძანებები სერავენ ყურებს... – რას ეძებს? – აგერ, ქვევით... კიდევ კარგი, ქუჩაში არ დამემართა... – ისუნთქე! ღრმად ისუნთქე!! ქუჩა... ხალხი... მოძრაობა... დამჩერებიან თავზე სახეგაყინულები და გაოცებულები... მე ვდგავარ შუაში... ის კი მელოდება... რა გადაურჩება... – კიდევ! დააწექი!! უფრო ღრმად! ისუნთქე!.. რა დრო გავიდა?.. მარტო... შუა ქუჩაში... – ღრმად! დააწექი! დააწექი!! ოოო-ო! ისევ გაიბერა... რას გრძნობს ნეტავი? ქვასავითაა... არ

იყვირო... გაუძელი... არ გაიგოს... იყვირე!.. იყვირე!.. ი ყ ვ ი – რ ე-ე!!! რატომ აქნევს თავს? აღარ შემიძლია... ველარ გადავიტან... მეტი... ველარ... ოოო-ო-ო! – მიანექი ფეხებს მაგრად! რა უნდა ჩემგან... რა დავაშავე?.. გაიჭინთე! არა... არ მინდა... აღარ შემიძლია... მეშინია!.. – ცოტაც! ყველაფერი რიგზეა! შენც უნდა მიეხმარო! აბა! ისუნთქე! ისუნთქე! მეშინია... მეშინია... ღმერთო... ოო-ო! რა არის ეს?! ვერ გადავიტან... ის იცდის... არ მინდა... რა დროა... იცდის... გამიშვით... რას ფიქრობს... სძინავს თუ არ სძინავს... არა... არა... ის იქ ზის... ზევით... გამიშვით... ქვევით... ზის... ელოდება... მელოდება... არ მინდა... არ მინდა... ა! აა! მმმ! მმმ! არ იყვირო... ჩაკვნიტე... ჩაკვნიტე სისხლამდე ცეცხლ... – ი ყ ვ ი რ ე! რატომ გაჩერდა?! ჩაკვნეტილი ტუჩები... არ იყვირო... რა ხდება?! ა?! ა! ააა! აააა! ააააა! სისხლი... ცეცხლი... სისხლი... ს ი ს ხ ლ ი!.. გ ა თ ავ დ ა. ოოო-ოო-ოო! ოოოოოო-ო!.. ზღვარგადასული სისავსის სიამოვნებისა და ტკივილის ყვირილი... არამიწიერი ვნების აღგზნება მილების სიტკბოებაში... ავბედი ხელი გაშმაგებით გლეჯდა ფესვიან ნაყოფს მისი საშოდან ღვთაებრივი სასჯელის მიწიერ ტკივილებთან ერთად... სიცარიელის კვალდაკვალ ნაფლეთი ტკივილი... ეს იყო შიში. შიში დავიწყებული საშოსშიგნითა მოთხოვნილებით აღვსებისა... ღვთაებრივი შიში სიცარიელის... სიცოცხლის ტკივილი და ყვირილი... და ყველაფერი ეს ირწყმოდა იმ უდიდეს სიტკბოებად, რომელსაც გრძნობდა იგი ახლა ამ სისავსის დაცლაში... ურთიერთშერწყმის აქტი მიყვანილი ბუნებრივ ზომამდე ამავსებელი არსისა... ერთადერთი! ჩაიცალა... დაცარიელდა... და აცურდა უმოძრაოდ დროდაკარგული... აჰა! ვინ მღერის ნეტარ ჰიმნს ტკბილხმოვანი?!. ვინ თუ რა?.. ის იქ ზის... ქვევით... ვის უმღერის?.. თუ... როდის იყო ეს?.. ჰაეროვანი ამღერება სიცოცხლისა ნეტარების ზღვარზე... იყო კი ოდესმე?.. ოდესმე... ნისლივით მოედო ტანს, აიტაცა ზღვარდაკარგულ სივრცეში რონინით სიმღერაში ჩაკიდული და დასცურავდა ღვთაებრივ ხმებში... ყოველგვარი შეგრძნება ქრებოდა თანდათან... აღარც შიში... აღარც ტკივილი... მარადისობის კიდესთან მიცურავდი ხეობის კლდეთა შორის შენ, ტრედო ჩემო, ჩემო შეხიზნულო... აჰა,

მშვენიერ ხარ, სატრფოვ ჩემო... აჰა, მშვენიერ ხარ!.. თვალნი შენნი – ორი ტრედი შენი პირბადის ქვეშ... თმა შენი – არვე თხათა გალაათის მთიდან დაშვებული... კბილები შენი მორი-სულთა ჯოგი საბანელით ამომავალი... ბაგენი შენნი ძოწის საბელი და პირი შენი მწყაზარი... ორი ძუძუ შენი – ორი თი-კანი ნიამორისა... მუცელი შენი – ხვავი იფქლისა შროშანათ-გან გარემოცული... აჰა, მშვენიერ ხარ, სატრფოვ ჩემო, აჰა მშვენიერ ხარ!.. ბალახია სარეცელი ჩვენი... აჰა, გაისმის ხმა ჩემი მეტრფისა... აჰა, მოდის იგი... აღვდგები მე და მოვივლი ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს... მოვძებნი მას, რომელი შეიყ-ვარა სულმა ჩემმა... ვინ არის იგი უდაბნოით ამომავალი?.. აჰა, მშვენიერ ხარ... ვაშლის ხის ქვეშ გაგაღვიძე შენ... იქ გშვა დედამ შენმა... იქ გშვა მშობელმა შენმა... ივლტოდე, მეტრფევ ჩემო! ივლტოდე! ცვიოდა ცრემლები სიყვარულის და ვეყრდ-ნობოდი თეთრ უსაზღვრობას და ვერთვოდი ფერად წრეებს ზღვარსიქითა სიცარიელეში და სიბნელიდან მივდიოდი წი-თელში წითელი და აღარ ჩანდა იგი, რამდენიმე ნაბიჯზე აღარ ჩანდა, რომელიც ახლოვდებოდა სინათლეში და მაშინ იყო ბა-ლი და ყვავილები და უახლოესი სურვილი ჩურჩულით მიზი-დავდა და მიზიდავდა ის და მოდიოდა და მოდიოდა თავისსავე ტუჩებზე მოჩურჩულე შეუვსებელი სიცარიელის კიდესთან სიტყუა და მე ვინექი გახვეული მასში კვირტგახლეჩილი და მის სისავსეში ვინვოდი და მიცავრბოდი კანმოცახცახე დაუ-ტევლობით თმაქარგაშლილი ვკრთოდი ხეებში მის სიახლო-ვეს და მონწყვიტე... მიყვიროდა.. მ ო წ ყ ვ ი ტ ე! და სიცრუეა ყოველივე, ვამბობდი, მიდი, და მეც მივდიოდი და მივდიოდი მასთან ატანილი დამათრობელი სურნელებით მისი ხორცი-სა და ველარ ვუძლებდი კივილს ჩემსას ბედნიერებისას სა-შოსშიგნითა კივილს სიცარიელისა და მოდიოდა ამომწვარი და ამომწველი ელვარე თვალებით და ეფინა იგი ბალახებში და მიყურებდა და მევსებოდა და ივსებოდა და ეხვეოდა ჩემს სხეულში და იძირებოდა ნეტარლიმილში ოო-ო, ღრმად!.. და უფრო ღრმად და უფრო ბოლომდე ოო-ო!.. ვეტმასნები სისავ-სეში გაზმანებული და იცვლებოდა და იცვლებოდა ცეცხლი იგი და ვეყარეთ ასე ბალახებში და იზრდებოდა მის თვალებში

სინანული და კრთოდა შიში და არ იცოდა, რა იყო იგი... შიში ღვთაებრივი სასჯელის და მიწიერი ტკივილები გაძევებული და დავიწყებული საშოსშიგნითა მიზიდულობით აღვსებისა და არ შეიძლება... არ შეიძლება!.. არ შეიძლება!.. მუდმივი აკრძალვით ცოფნაყარ ყვირილში... და მერე იყო: ორსულობაში გაგიმრავლებ ტანჯვას და პირველი ცოდვის საზღაურში ავმტკივნეულად დაბადებ შვილებს და კაცისა შენისაკენ იქნება სწრაფვა შენი და მე ვიცინოდი და ვიცინოდი უნეტარეს ტკივილში და ის იწვა გვერდით დაცლილი და შეშინებული და უდარდელი პურდაქარგული და გაგდებული ცოდვილი და იგი მიუბრუნდა მას და რქვა: პირისა ოფლში მოიპოვებ პურს არსობისა, ვიდრე მიწაში არ დაბრუნდები, რამეთუ მიწა ხარ და მიწადვე იქცევი... კასტრირებული კივილით... პირველი ცოდვის საზღაურად და ჩემი წიაღი გადაიქცა მისთვის ედემად და ის მოდიოდა და მოდიოდა და იძირებოდა შიგ და იკარგებოდა და ივიწყებდა და ავიწყდებოდა ყოველივე და ერთვოდა უდროობას... და მეტრფევ ჩემო... შეხიზნულო ჩემო... მე ვივსებოდი და ვივსებოდი შენი ამავსებელი ღვთაებრიობით და მარადიულ ტკბობაში წამისყოფისა მე ვამბობ, ჰო... ვყვირი მე... ჰო! ჰო! ჰო!.. მოდი... შემოდი... შე...

სიცარიელე შეუმჩნევლად შემოეპარა სხეულში. დაასუსტა და დაიმორჩილა. აჟღერებული ტანი დაცხრა სიმხურვალისაგან. უეცრად ძალაგამოცლილმა ვნებიანად მოილოკა სისხლნაჟური ტუჩები. ოთახი, სადაც ის იწვა ახლა, ბუნდოვანგამჭვირვალე თვალებით, რომლებიც უაზროდ დაცოცავდნენ კედლისშიგნითა სივრცეში, თანდათან ჰკარგავდა თავის მოხაზულობას, იძირებოდა და გადადიოდა და ერთვოდა უსასრულობას, საიდანაც მას, სიცარიელეში მყოფს, ესმოდა ოდესღაც გაგონილი თუ ნანახი უდროო, დავიწყებული ხმები, რომლებიც ირეოდნენ მის თავთან მდგომი ფორმადაკარგული სახეების მოძრაობაში და ძლივს სწვდებოდნენ მას... ეს იყო ხმები ცნობიერების ზღვარზე... უფორმო თეთრი ლაქები მოძრაობდნენ მის ირგვლივ და მოლოდინში – სად არის ერთადერთი ყვირილი? ის გრძნობდა მხოლოდ თავისი შინაგანი სიცარიელის ძახილს... და ამ ძახილთან ერთად დაიბადა სუსტი,

მთელს სხეულში ნისლივით ამოძრავებული შიშის გრძნობა. ხმები გაჰქრა. და უეცრად ის მიხვდა ყველაფერს და მოინდომა შეჩერება ამისა... შეეჩერებინა ტკივილით... ყვირილით... შიშით... მაგრამ უკვე აღარაფერი აღარ იყო... ხმებთან ერთად გაქრა ყოველივე... ტკივილი... შიში... ყვირილი... სითბო... ოდნავ აეწვა საშო... ოთახი თანდათან დავიწროვდა... გათეთრდა... შემოეჭდო... შემოეტმასნა... და მოწყვეტით გადაისროლა სიბნელეში... კარები დაიხშო.

– ჟანგბადი! – ეს უკვე რაღაც სხვა იყო. ექიმი მავედრებლად შეაშტერდა ქალის გამჭვირვალე თვალებს. პულსი სადღაც თვალსა და ხელს შუა გაქრა და ის ამაოდ ცდილობდა მის მონახვას. ქალის სხეული მოეშვა, დამძიმდა და მაგიდიდან იწყო გადმოჩოჩება...

თავდაყირა დაკიდებულ ნაყოფს მთელი ძალით შემოჰკრეს ხელი ლორწოვან კანზე. ყოველგვარი კავშირი გაწყდა. მარტო. არსებობის ზღვარზე, ყველასაგან მოწყვეტილმა, განწირული ხმით ამცნო ქვეყანას თავისი შიში... ხმაი მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... მიაწვდენს კი ხმას?.. და უცებ რაღაც დაიძრა... ამუშავდა... მოედო მთელს სხეულს... შეაღწია უმყოფობის უბნელეს კუნჭულებში... ახალი სისხლი... ახალი სიცოცხლე... ექიმმა მაჯას ხელი უშვა და ჟანგბადით სავსე ბალიში მიადო ქალის ღიად დარჩენილ პირს. მერე ყური მიუგდო, როგორ შედიოდა პირველი ცრემლები... ასე... ორივენი გადაგდებულნი სიკვდილის პირისპირ... მარტო... რატომ? და ის უნდა მომკვდარიყო... რატომ?! ვინ განაწესა ეს? ვინ მოგცა ამის უფლება?.. აა-ა, აი ესეც... აქ არის... რატომ არ გარბის სამახარობლოდ... არ უნდა გაიგოს... არ უნდა იგრძნოს... თქვი რამე...

– სუსტი ქალი აღმოჩნდა...

– ყველაფერი კარგად მიდიოდა... ექთნის ხმა ისმოდა ოთახის სიღრმიდან, თუმცა ის ექიმის გვერდით იდგა ახლა და გაურკვევლად მოჭუტული თვალებით შესცქეროდა მას.

„აა-ა! აი, თურმე რა გინდა შენ! რომ ყველაფერი რიგზე იყო იმ დრომდე, ვიდრე მე შეცდომა არ დავუშვი... მე დავუშვი! ჰო, ჰო, ვხედავ ამას... შენ დარწმუნებული ხარ ამაში და გინდა,

მეც დამარწმუნო... ყოველთვის ელოდი ამას... ელოდი, რომ ამით დამთავრდებოდა ყოველივე... გრძნობდი და ელოდი... არრააა! ვერ ეღირსები შენ ამას!"...

– უნდა ეყვირა... გაუძლებდა მაშინ, შინაგანი დაძაბულობა მოეხსნებოდა... სრულიად ჯანსაღი ქალია... – იგი არ იყო დარწმუნებული, რომ ამბობდა იმას, რაც ამოარჩია სათქმელად... ხმები იცვლიდნენ ადგილმდებარეობას... მას არ ესმოდა თავისი ხმა, სიტყვები, რომლებსაც წარმოსთქვამდა და ამიტომ თვალს არ აშორებდა ექთანს, რომ დაეჭირა მისი გამომეტყველება და სახის მოძრაობა...

– თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ... მხოლოდ... მას ეშინოდა... მე ბევრი მინახავს ასე შეშინებული... ყურს არ გიგდებდათ... – გველი... გველი... ასისინებს თავის შხამიან ენას... თითქოს არც კი გეკარება... ისე მსუბუქად... ვერც გრძნობ მის შეხებას და ამიტომაც არის სასიკვდილო ყოველი მოკარება... გულში... თავში... ტვინში... დაკბინე... დაკბინე... ჰო, ეშინოდა მას... ეშინოდა იმ სიკვდილის, რომელიც ჩემში იყო დაბუდებული იმ წუთში... ჰოჰ, ჰო, შენც გრძნობდი ამას, შენი წვრილი, გესლიანი თვალებით ელოდებოდი ამ დღეს, თავსაც მევლებოდი.. ტკივილებისგან მიფარავდი... გველი... გველი... მიფარავდა წუხილისაგან... აქ, ჩემში მიიძინა სამუდამოდ შხამდაგროვებულმა, მოუცილებლად... და ახლა გგონია, რომ მისწვდი სანადელს და ნელა, სიამოვნებისაგან თვალებდაკუმსული იღვიძებ და ირწყვი შხამად... – ხმამ გასასვლელისაკენ გადაინაცვლა.

– უნდა უთხრათ ქმარს... ქვევით იცდის ალბათ... – იგი კარგავდა თავის ხმას... სიტყვები სცილდებოდნენ მის ტუჩებს, თეთრად იფერებოდნენ და უჩინარდებოდნენ ისე, რომ იგი ვერ ასწრებდა მათ აღქმას. თითქოს არც კი იყო მათი პატრონი... ისინი მას არ ეკუთვნოდნენ... ხმა განაგრძობდა გადაადგილებას.

ჰო, – მძიმედ ამოიოხრა ექთანმა, – ხდება ხოლმე... რა ვუყოთ... განგებაა... ეს არავისი ბრალი არ არის... ექთანი საგანგებოდ არჩევდა სიტყვებს, რომ შეემსუბუქებინა მისი მდგომარეობა. ეს ხმა ირხეოდა სადღაც სულ ახლოს. მაგრამ მისთ-

ვის აუხსნელი რჩებოდა მისი წარმოშობის მიზეზი... ხმა იყო და იგი მიმართავდა თავის უძრავ მზერას ექთნისაკენ, რომელიც დუმდა...

„ბრალი... ბრალი... ბრალია ხომ... სრულიად არავისი... იმიტომ რომ ჩემ მეტი არავინ იყო... ბრალი არის მაინც... და ჩემი ჩადენილი გგონია... აა-ა! სანქტა სიმპლიციტას! სამახარობლო დაკარგე?! სამახარობლო! ერთი, ერთადერთი... და დაგავიწყდა, რამდენი გაქვს მიღებული აქ... ჩემი წყალობით..." – ექთანს თვალი მოაშორა. შეატყო, რომ უნდოდა რაღაც ეთქვა. „დავიღალე... დავიღალე..." – გაიფიქრა მან.

– როგორ ვუთხრა... ცხოვრებაა ეს? კაცი სამახარობლო ამბავს ელოდება მთელი ღამე და... ჩადი... უთხარი ახლა...

„ჩადი... ელოდება... ელოდება... ზის ქვევით და ელოდება... ვის ელოდება?.. რას?.. იქნებ იცის კიდეც ყველაფერი და გაბოროტებული იცდის..."

– რომ ამოხვალ, ყველაფერი გაამზადეთ გაკვეთისათვის...

– დილით შევატყობინებ... ასე ჯობს... ამ ღამეში... იმასაც გული არ გაუსკდეს...

„დავიღალე... საოცრად დავიღალე..."

– ა, როგორც გინდა... იქნებ მართლაც ჯობდეს...

– მაშინ ახლავე მივალაგებ აქაურობას და პროზექტურაში გადავიტან... არავინ შემოვიდეს... იქნებ კიდევ იყოს შემთხვევა...

„ვველი... ვველი..."

– აქ არავისი ბრალი არ არის... ნუ იფიქრებთ ამაზე... მე შეგატყობინებთ, მზად რომ იქნება... დაისვენეთ ცოტა... წამონექით...

„დავიღალე..."

ის დგას კარებში. ხედავს – ექთნის ზურგი გადის კარებში. მკვდართან... შევიდა და კარებიც არ მოხურა... მასაც შეეძლო, თვალი აერიდებინა ოთახისათვის, მაგრამ ის ამას არ აკეთებს... იქნებ, არც ჰქონდა შესაძლებლობა?.. მიბრუნებულიყო უფრო ადრე... ვიდრე ექთანი შევიდოდა და კარებს ღიად დაუტოვებდა, რომ მას ეცქირა... თვალი ედევნებინა... დაენახა ის, რაც მოხდა შიგნით... ის მიბრუნდა. ღია კარებში

მისი სხეული შეტრიალდა ჯერ გვერდით და ის ადგილი ოთახში, მაგიდით, ექთნით და მკვდარი ქალით, მის ზურგს უკან მოექცა... ახლა მის წინ: მაგიდა, ჟურნალები ავადმყოფთა ისტორიებით, ცარიელი სკამი. მისი შესაძლო ადგილი. შესაძლო მჯდომელის ნათურაგანათებული ხელები. სხეული ისევ შებრუნდა: მაგიდა, სკამი, ჟურნალები. სიცარიელე გაცურდა ღია კარებში... ახლა ზურგს უკან: ოთახი, ღია კარებში – მაგიდა, მკვდარი, ექთანი... მოთავსებული შესაძლო ადგილას, და კარებში გაჩხერილი სკამი, მაგიდა, ნათურა, ჟურნალები, მისი ზურგი. დერეფნის მბჟუტავი სიჩუმე. ის მიდის. იქნებ კედლები მიცურავენ მისკენ... ის კი დგას. ორივე მხარეს მისრიალებენ კარებჩარაზული კედლები თვალების კიდეებში... ის დგას, რიტმში ჩაწყობილი საფურთხებლები კედლების გასწვრივ... ფაიფურის ორმხრივი ანარეკლი ღია კარებში... ის დგას უმოძრაოდ. თავის დაღწევის ერთადერთი შესაძლებლობა იყოს იქნებ... ახლა საჭიროა მიბრუნება... შემობრუნება ერთ-ერთ მხარეს... ნახევრადმიბრუნება თუნდაც... და ის ჩნდება კარების პირისპირ... საოპერაციო მიცურავს... სცილდება მის ზურგს და იკარგება... მერე იკარგება: ნათურა მაგიდაზე – მაგიდა, ჟურნალები ავადმყოფთა ისტორიებით, მისი შესაძლო ხელები – დაუწერელი და დაწერილი, სკამი დაცარიელებული, მაგიდის კუთხეში დადებული საფერფლე, ანარეკლი და ჩრდილი შესაძლო სიგარეტიდან – და ხედავს და ეკარგება ორი ნახევრადმოწეული პაპიროსი: სად არის მწეველი მისი? – წითელი ტუჩების ანაბეჭდები თეთრ ნაღეჭზე – მერე: დერეფანი, კედლები, ნათურები ჭერში, ღია კარები – თეთრი საფურთხებლები კედლის გასწვრივ – კიბეები, ღია კარები – სდექ! კარები ნელა ბრუნდება მისგან. უახლოვდება და შედის ოთახში. კარი ჭრიალებს ზურგს უკან, ხოლო ფეხები ყრუდ აახლოვებენ მაგიდას და ხმა ისევ განაგრძობს გადაადგილებას... ეს შეგრძნებაა ახლა ერთადერთი სინამდვილე, და გადაადგილება... მოძრაობა... ინთება ღამის სანათი... იწევა სკამი... ვინ მოქმედებს? სიჩუმე ნათდება მაგიდის თავზე დაგუბებული... ტყვიის ხელები მძიმედ ეშვება მაგიდაზე... ათინათები... მძიმე სხეული მძიმედ ენარცხება...

ის ზის. თითები სწვდებიან საწერკალამს... ჩემო კარგებო! სამუდამოდ დაწყებული წერილი მშობლებთან... როდის იყო ეს... შვილობრივი სიყვარულის მკაფიო დადასტურება... რას ეძებენ თითები? გაიხსენე, რაც იყო! მიაგნეს. ნუ ჩქარობ... შეგიძლია, მოსწიო კიდეც. ეს ამშვიდებს, თუმცა კიბოს აჩენს, მაგრამ ახლა და ყოველთვის სიმშვიდე მთავარია... ნერვებს... ამშვიდებ? მე ხომ მ შ ვ ი დ ა დ ვარ! რას იტყვით თქვენ ამაზე? რას იტყვით თქვენს პირველშობილზე, როდესაც გაიგებთ მის მარცხს? მააა-აარცხს! რა ვუყოთ – თქვენ იტყვით – ყველაფერი ხდება! თქვენ იტყვით, – ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შენ არა ხარ დამნაშავე, რომ შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შენს ძალას არ აღემატებოდა, რომ აგეცდინა თავიდან ეს შედეგი... შენ არაფერ შუაში ხარ... ჩვენ შენთან ვართ... ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს... ჩვენს შვილს არაფერი მოუვა... ჰო, მართალია... თ ქ ვ ე ნ ს შ ვ ი ლ ს ა რ ა ფ ე რ ი მ ო უ ვ ა, ნუ იდარდებთ ამაზე, ჩემო კარგებო! თითები მძიმედ დაეშვნენ რვეულის ყდაზე და გადმოფურცლეს უაზრო ათამაშებით. კალამი რამდენიმეჯერ წამოეპარა გაუბედავ სათქმელს იისფერ ხაზებში და ერთის შუაგულში შეჩერდა დაფიქრებული... ჩამოეყრდნო და გაირინდა... ყველაფერი უნდა აღიწეროს... ეს წესია... ეს კანონია, ახლავე... ზუსტად აღწერე ყოველივე, რაც მოხდა მისი მოყვანის წამიდან... ღმერთო! რა საჭიროა ყოველივე ეს... რა საჭიროა!.. რას შეცვლის ეს?.. ის ხომ მოკვდა?!... არა, არა, ფრთხილად, ფრთხილად იყავი! შენ მარტო არა ხარ! შენ სხვების მიმართ ვალდებულება გაქვს... ახლობლების მიმართ... წერე! ხელი დაემორჩილა ამ ბრძანებას და კალამი ამოძრავდა ქაღალდზე... ყოველივე ისე წყნარად იყო... ხომ შეიძლებოდა, ასევე დამთავრებულიყო... წყნარად... ჩუმად... აუღელვებლად... და არაფერიც არ მომხდარიყო... სრულიად არაფერი... მაგრამ ეს მოხდა და აქაა ნამდვილი დასაწყისი... თუ დასასრული... მოხდა... მოხდა... მოხდა!

02 სთ. – ავადმყოფი შემოვიდა კლინიკაში. ოცდაათი წლის. გაისინჯა.

02 სთ. 10 წთ. – დიაგნოზი: გრაციალიუს 40 კვირა; პერიოდი. თავი-კეფა. იმუს მენსტრუორუმ 10-3. ორი თვეა, არ ჰქონია ქონქუბიუმ. ნაყოფის პირველი მოძრაობა არ ახსოვს.

*რა გინდოდა შენ აქ? ოთახის სიღრმეში... არა, ის ექიმი უნდა გამოვიდეს! გრძელი საოჯახო მაგიდის ირგვლივ... მათ უკვე ყველაფერი გადაწყვიტეს. მე ექიმი უნდა გამოვიდე! რატომ? როდის დაიწყო ეს? იქ, სადღაც, განწესებული მიზნით... შენ მაგივრად ნაფიქრით, შენ მაგივრად გადაწყვეტილით... შენ მაგივრად ნაგრძნობით... უკვე დამავიწყდა კიდე... ოთახის სიღრმეში... ხმაც არ ამომიღია... ასე იყო ... მათ გადაწყვიტეს დიდი ხნის წინათ... ის ექიმი უნდა გახდეს! ეს იყო ბრძანება... რომელიც მხოლოდ მორჩილებას ითხოვდა... გახდეს! რა სიჩუმე იყო... მთელი ცხოვრება... ახლა კი ის მოვიდა და თქვა: ქვევით მშობიარე მოიყვანეს.. და შენ უეცრად შეგეშინდა... მაშინ? შეგეშინდა? თუ გეშინოდა... გეშინოდა ამ წამის... გეშინოდა ყოველთვის... მთელი ცხოვრება... ოთახის სიღრმეში... რომ ერთხელ ვინმე მოვიდოდა და გეტყოდა: იქ, ქვევით, გელოდებიან...*

02 სთ. 15 წთ. – მუცლის გარშემოწერილობა 95 სმ. საშვილოსნოს ფუძის სიმაღლე 33 სმ. ნაყოფის გულისცემა ჭიპს ქვემოთ 130 რიტმული. წინამდებარე ნაწილი თავი მენჯის შესავალში. აქვს კარგი ინტენსივობის სამშობიარო ჭინთვები. ახლავს ქმარი. მენჯის ზომები:

*პირველი დღიდანვე გეშინოდა ცდუნების და თავს იტყუებდი... როდემდე?! რა მინდა მე აქ?! ის ილიმებოდა და იცინოდა, დაგცინოდა... გრძნობდა, რა ხდებოდა ჩემში და უხაროდა... გველი... გველი... სრიალებდა და სისინებდა ჩემ ირგვლივ... არა, არა, საიდან უნდა სცოდნოდა... ეს მე ვიცოდი, მე... აქ, ოთახში საცოდავად შეყუჟული, ტახტზე მოკუნტული რომ ველოდი ყოველდღე შიშით და ვლოცულობდი, არავინ მოსულიყო... მთელი ცხოვრება... რა იყო ეს – ბედი? ვისი...*

02 სთ. 18 წთ. – ნაწარმოები იქნა შინაგანი გასინჯვა. საშო ელასტიური. საშვილოსნოს ყელი გადასწორებული. გახსნილია ოთხ თითამდე. წინამდებარე თავი მენჯის შესავალში.

დიდი სეგმენტი. სანაყოფე ბუშტი მთელი. ტკივილები დაეწყო ღამის 12 საათზე.

არავითარი ინფექციური დაავადება არ გადაუტანია. ქმარი ჯანმრთელი. შთამომავლობა ჯანმრთელი. ქონქუბიუმის დასაწყისი 22 წლის ასაკში. მენსტრუორუმ – პირველი 13 წლის ასაკში. უმტკივნეულო, 3 დღე. ორსულობის პირველ ნახევარში ჰქონდა მსუბუქი გულის რევა.

*ჩვენ სამივე დავკავშირდით სადღაც ძალიან შორს და ის მთელი ცხრა თვე ელოდა ამ შეხვედრას... ჩემთან... იქნებ ცხრა წელიც... ან ოცდაათი... რა ხნისაა?.. არის?.. არა, აღარ არის. იყო?.. წამის წინ მისთვის უკვე აღარ არის... იყო! ყველაფერი იყო! საზარელი ზღვარი: არის-იყო... გაქვავებული დრო... ვინ ადგენს ამ ზღვარს? რატომ მაინცადამაინც მე მერგო ეს? შემთხვევითობა? თუ განსაზღვრულობა ბედის?.. მუდმივი კანონი... წერა... ვინ გაბედავს, გადააბიჯოს ამ ზღვარს? ვიღაც თუ რაღაც... მთელი ამოძრავებული მასიდან მხოლოდ ერთი ერთს ირჩევს თავის მსხვერპლად და მახვილად... და ჩვენ მხოლოდ ბრმა იარაღები ვართ მის ხელში... მახვილი და სამიზნე... რა სისულელეა...*

02 სთ. 20 წთ. – სიმაღლე ორსულის 170 სმ. წონა 70 კგ. აგებულება სწორი. ძვალსახსარი და კუნთები კარგად განვითარებული. კანი და ხილული ლორწოვანი ვარდისფერი. პულსი 74, რიტმული, კარგი ავსების და დაჭიმულობის. გულის ტონები სუფთა. სისხლის წნევა 120/70. მუცელი რბილია. ელენთა და ღვიძლი არ გამოდის ნორმალურის ფარგლებიდან. ფილტვების მხარე სუფთა. ვეზიკალური სუნთქვა. პერკუსიით – ნათელი ხმა. პასტერნეზი უარყოფითი. გასინჯულია მისაღებ განყოფილებაში – შარდი: ცილა არ აღმოაჩნდა. მშობიარობა უნდა დამთავრდეს ფიზიოლოგიურად.

*ჩვენ გვეშინოდა ერთმანეთის... შენ ინექი ქვევით და კვნესოდი.. რაზე ფიქრობდი მაშინ? შენ იცდიდი... მე მშვიდად ჩამოვედი შენთან და ვნახე შენს თვალებში განუსაზღვრელი შიში და ვედრება... მეც მივხვდი მაშინ და გავჩუმდი... გრძნობდი თუ არა შენ, რომ ყოველივე გათავდება და შენი კვნესა მომაკვდავის ყმუილად იქცეოდა? გრძნობდი თუ არა ჩემს შიშს...*

ღიმილის ნიღაბქვეშ ვცახცახებდი მე... ხელებს ძლივს ვიმორჩილებდი, რომ არაფერი შეგემჩნია, რომ მომეტყუებინე როგორმე... მე მახვილი ვიყავი იმ წუთში, შენ – ბედის რჩეული და მე უნდა მიმეყვანა ბოლომდე ჩემი მისია... ეს ვალი იყო ჩემი ბედის წინაშე... მათ მიერ გადანყვეტილი ბედის წინაშე... და მერე... მერე მე დავინახე შენი სხეული... ჰო, ეს შენ იყავი... მუცელმოყანყალე... გაბერილი... დამძიმებული მკერდით და ჩამოკიდებული ძუძუებით... და მე დავკარგე შიში... შენ ქალი აღარ იყავი და მე მეშინოდა ამის... მეშინოდა, რომ შენ ქალი იქნებოდი და მე არ მეყოფოდა ძალა, შეგხებოდი შენ... შევხებოდი შენს სხეულს სადღაც დაკარგულ და მკვდარ არსებაში... ყოველდღე... ჰო, მე მიყვარდი შენ... მიყვარდი მთელი ძალით ახალგამოღვიძებული ბუნებისა... მიყვარდა შენი მკვრივი, ძვლისფერი ტანი... მე გეპარებოდი შენ და შენ ინექი მკრთალად განათებული და მე არ ვიცოდი, საიდან მოგდიოდა ეს სინათლე... ღამისმანათობელი... გეპარებოდი და მოვილტვოდი შენკენ... ხელებგამონვდილი... გეფერებოდი და გელოცებოდი და შენ იცინოდი და გარბოდი აქაფებულ ზღვაში... გარემოცული... ზღვის ქაფში არეული თმებით... ტანსშემოხეული... საიდანაც გაჩნდი... და მე ვფორთხავდი შენს ფერხთაქვეშ და ვთვრებოდი შენი სიახლოვით... და მერე... მერე მტოვებდი მარტოს... გადაგდებულს უსაზღვრო ზღვის პირად... ნიჟარებსა და ქვიშაში... და უჩინარდებოდი... და ისევ ჩნდებოდი... და მოდიოდი... და მეალერსებოდი... და მე ვინექი გატრუნული... გარინდული... და მიზიდავდი და მიტყუებდი თეთრი სხეულის ელვარებით და კვლავ მირბოდი და კვლავ მოვრბოდი შენთან და შენს შესახვედრად და შენ ნვებოდი და გამონვდილი თეთრი ხელებით მეფერებოდი სიახლოვეში განშორების გამოძახილით და... მერე შენ გაქრი... სამუდამოდ... როდის იყო ეს? ის ექიმი უნდა გამოვიდეს! სად დაგკარგე შენ? ოთახის სიღრმეში ნარმოთქმული განაჩენი... გრძელ მაგიდასთან... მაშინ... პირველად... ისევე, როგორც ახლა... მე ჩამოვედი შენთან და მე დაგკარგე შენ... შენ ქალი არ იყავი და მე ჩავძირე ხელი შენს საშოში ცივად უგრძნობელად იმიტომ, რომ შენ იყავი სხეული, ნივთი, ობიექტი, არა ქალი, – უფორ-

*მო აკვნესებული ფიზიოლოგიური არსება, რომლის შიგნით მე ვირხეოდი... საშო.*

02 სთ. 30 წთ. – დაღვარა სანაყოფო წყლები. სუფთა, საშუალო რაოდენობის. გაისინჯა საშოს მხრივ. საშვილოსნოს ყელის სრული გახსნა. წინამდებარე თავი მენჯის გასავალში. ისრისებური წვერი პირდაპირ. აქვს კარგი ინტენსივობის სამშობიარო ჭინთვები. ყოველ 2-3 წუთში ერთხელ 20-30 წამის ხანგრძლივობით. ნაყოფის გულის ცემა ისმის კარგად.

*მე ვერ მოვწყდი თქვენს მკერდს იმიტომ, რომ უფრო მაგრად ვიყავი მიმაგრებული მასზე თქვენი ნების მიერ, ვიდრე საკუთარი ინსტინქტებით. დაბადებიდან. თქვენი შემწეობით მე ვხედავდი მხოლოდ იმას, რაც თქვენ მიგაჩნდათ საჭიროდ. მე ვთამაშობდი იმ თამაშობებს, რომლებიც, თქვენი შეხედულებით, სასარგებლო და საჭირო იყო ჩემთვის – თქვენთვის... თქვენთვის! თქვენ მიყიდეთ მე ასე, დასაწყისში და მერე ცივად, უგულოდ მიმაქირავეთ ცხოვრებას, რომელმაც სხვების რიგში ჩამომდო თაროზე... ერთნაირ თაროზე ერთნაირ თოჯინების გვერდით... უსასრულო რიგში, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი გახდა... და ყოველდღე ითხოვდა ჩემგან ჩემი არსებობის საზღაურს და გიხდიდათ თქვენ... და აქ, შიგნით, მე ველოდებოდი და ვცდილობდი, არ დამეშვა მუდმივად აკვიატებული აზრი, რომელიც სულს მიხუთავდა და ვიცოდი, რომ მხოლოდ ეს იყო ხსნა, ერთადერთი... მოკვდნენ... მოკვდნენ! რომ აღარ იყოს არავინ და მე შემეძლოს, ამოვისუნთქო და ვთქვა: შენ თავისუფალი ხარ!*

02 სთ. 45 წთ. – უგრძელდება კარგი ინტენსივობის ჭინთვები. ყოველ ნაყოფის გულის ცემა ისმის კარგად: 130 რიტმული. 30-40 წამის ხანგრძლივობით.

*თავისუფალი! რისთვის? – ჩემი ნებისათვის! ჩემი ნებისათვის, ჩემი ნებისათვის... და აი, რა ვიფიქრე მე: დავიწყებდი ძებნას ამ ნებისა, ჩემი ნებისა და აღმოჩნდებოდა, რომ ისიც აღარ არის, ისიც თქვენთან ერთად მოკვდა...*

*მ ო კ ვ დ ა! იმიტომ, რომ მე დავიღალე, დავიღალე და უკვე გვიან არის და აღარ შემიძლია, მოვწყდე ჩემს უნებობას... და აქ, როდესაც შენ დაგინახე, როდესაც მე ვიყავი მახვილი*

*ბედისწერისა, რა უნდა მექნა?! უნდა განვთავისუფლებულიყავი... შენგან... შენი არსებობიდან აქვე... თავიდანვე... რადგან შენ იყავი უსაშიშესი ჩემთვის... ყველაზე საშიში, იმიტომ რომ ის... ის? რა ის? ის... მისთვის სულერთია... მისთვის მე არა ვარ გადამწყვეტი... ისეთი გადამწყვეტი, როგორც შენა... შენა ხარ მისი მიზანი... ყველას მიზანი... მე კი მინდოდა, რომ მე ვყოფილიყავი ყველაფერი. ჩემი თავისუფლება ყოფილიყო მიზანი ჩემი... შენი... იმისი... და მე მინდოდა, რომ შენ ჩემი ყოფილიყავი, მხოლოდ ჩემი... დროთა დაუსაბამობაში... და მე ყველაფერს ვაკეთებდი ამისთვის...*

02 სთ. 59 წთ. – დაეწყო შეჭრა. გულისცემა ისმის კარგად. რიტმული 130.

*გტანჯავდი. განვალებდი. გატირებდი. ჩემი სისუსტით თავს გაყვარებდი და მხოლოდ იმიტომ, რომ მე ვყოფილიყავი შენი ერთადერთი მფლობელი... და შენ გიყვარდი... გიყვარდი... მაგრამ ეს იყო შენი სიყვარული... რა გიყვარდა ჩემში? მე თუ ის? შენ არ მიკარებდი ახლოს, არ მიშვებდი შენთან... შენ მფლობდი მე... იმას ჩემში და არა მე – შენ... და ამიტომაც მე მოგკალი შენ. მოვკალი ის შენში, რომ განუყოფლად ჩემი ყოფილიყავი: აქ, შიგნით მთლიანად ჩემი... დიდო კიბელა...*

03 სთ. 15 წთ. – დაეწყო გამოჭრა.

*იმიტომ, რომ შენა ხარ ერთადერთი და ულამაზესი ღვთაებრივი დედა და მე არასოდეს არ ვყოფილვარ შენი ღირსი. ჩემი გულისათვის დაკარგე შენ ცხოვრება. მე შემომწირე ყველაფერი. ეს მე ვიყავი შენი ცხოვრება და ჩემში ხედავდი შენ იმის განსახიერებას, რაც დათმე და ყველაფერს აკეთებდი იმისათვის, რომ ეს ცხოვრება ყოფილიყო სავსე, ისეთი, როგორიც შენ გინდოდა, როგორიც შენ უნდა გქონოდა. ეს იყო შენი ცხოვრება: უნდა ყოფილიყო იგი შენი... მე დამავიწყდა ეს... დამავიწყდა, რომ შენი ვიყავი, შენ გეკუთვნოდი, თქვენ... თქვენს ჩემთვის დაკარგულ ცხოვრებას...*

03 სთ. 25 წთ. – მშობიარობა დროული. ცოცხალი, მამრობითი სქესის ახალშობილი. ადუღებულია სისხლი როეზე. გამოშვებულ იქნა შარდი. 10 წუთში გამოვიდა მომყოლი, თავისით. მთლიანი წონა 651,0. მომყოლის გამოსვლის შემდეგ საშ-

ვილოსნო დაიწერა გუნცე-ბოიკო-ამაშევის წესით. სამშობიარო გზები დათვალიერდა სარკეებით. არავითარ დაზიანებას ადგილი არა აქვს. საშვილოსნო შეიკუმშა სწორად. სისხლი დაკარგა 150.

*რა ჩაიდინე?! შენ შეძლებ თუ არა, მაპატიო ყოველივე ეს? იტირე, იტირე, საბრალო არსებავ, რამეთუ არ უწყი, სად მოხვედი... მაპატიე! მაპატიე მე! არა, არა, არ! უცოდველმა... მხოლოდ უცოდველმა ჩამქოლოს! რომელი გაბედავთ აღმართოთ ხელი ჩემზე! რომელი ხართ უცოდველი?! ჩემზე უცოდველი?! აა-ა! თქვენ იცინით. იღიმებით. ხარხარებთ და გიხარიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შორის ზღვარი წაიშალა... მე თქვენ ვარ... თქვენი ძმა არყოფილი! ჰო, ჰო, მე გხედავ შენ, მას, ჩემთავს... აქ, ახლა, ამწუთიერებაში... ის მარტო ზის იქ, ოთახის შორეულ კუთხეში თავისი სხეულის სიმძიმით აწვება მსუბუქ სკამს. კანგანათებული მძიმე ხელები ჩემი, აღმსარებელი მოძრაობით ავსებენ ქაღალდის შეუვალ სითეთრეს... ბავშვის ტირილისათვის... – იტირე... იტირე...*

03 სთ. 30 წთ. – მომყოლის გამოსვლის შემდეგ გავიდა 10 წუთი. მელოგინე გახდა ცუდად. დაკარგა გონება. მღერის. სახე ციტონური: სუნთქვა ზერელე; ჰაერის უკმარისობა; ცივი ოფლი; მაჯის დათვლა არ ხერხდება; სუსტი ავსების; ძალზე აჩქარებული. სასწრაფოდ გაუკეთდა საგულე საშუალებები. მიეცა ჟანგბადი. მელოგინე გარდაიცვალა უეცრად. ორი წუთის განმავლობაში, მიუხედავად მიღებული ზომებისა.

დიაგნოზი: ემბოლია სანაყოფო სითხით.

წვრილი, ძლიერი თითები ეტმასნებიან კალმისტარს და ის განაგრძობს სრბოლას გამოუთქმელ მისწრაფებაში. მისი სახე, ორმოცსიქითა ექიმის ხანშიშესული სახე რჩება ჩრდილში და ირევა სიბნელეში. თვალები არ ჩანს. სიბნელეს უყვარს თვალებში ჩახედვა. ის ხუჭავს თვალებს. საკუთარ თვალებში. ხელები მაგიდაზე ებრძვიან სინათლეს. სახედაკარგული ოთახი. მხოლოდ ზოგჯერ, როდესაც ის თავს დაბლა სწევს, რომ დაინახოს, რა დაწერა, ის ეხება შუქს სახის თხელი კანით და ქუთუთოებით ჩამოწოლილი თვალები კრთიან ანარეკლით. მას არ უნდა სინათლე: რატომ? მას სწრაფად გა-

დააქვს თავი ჩრდილში. ასე უფრო მშვიდადაა. ყველაფერი რიგზეა. კალმის წრიპინი შეაწყდა სიჩუმეს. ახლა ის ადგება და წავა გრძელი, ცარიელი, ნახევრადბნელი დერეფნებით... მისი ფეხის ხმა ყრუდ გაისმის ცარიელ იატაკზე და უკუიცემა კედლებში, რომლებიც ფანჯრებსმომწყდარი თვალებით აცილებენ მას მდუმარედ. სიჩუმეა... ღმერთს ელოცებიან, რომ გადარჩნენ... რომ თვითონ არ არიან იქ, პროზექტურის გვამებით აყროლებულ აბაზანაში, საიდანაც დილით დიდი კავით ამოათრევენ განკვეთისათვის... ის მიდის ამ მჩხვლეტავი მზერის ქვეშ მარტო, ყრუდ, ჩაძირული თავისსავე ფეხის ხმაში, ავბედითი შემთხვევის პირისპირ მიტოვებული... შემთხვევითის?! რას ყვირიან?! ჰო, ჰო, ეს მე ვარ! მე! ეს მე მოვდივარ ნახევრადბნელი დერეფნის გამაყრუებელ სიჩუმეში... მე, მე, მე!.. ლაბირინთებში... ნუ იყურებით! მოსცილდით ფანჯრებს! დაიძინეთ! დახუჭეთ თვალები!... СГИНЬ! СГИНЬ!!

ის დგას კარებში. ექთანმა იგრძნო მისი მდგომარეობა და, რადგანაც არც თვითონ იყო მაინცადამაინც ლაპარაკის გუნებაზე, სამშობიაროში შევიდა. ქალი ისევე იწვა მაგიდაზე. ოთახის შუაგულში, მკრთალად განათებული ცისფერი სინათლით, რომელიც მსუბუქად ფოსფორირებდა მის ყვითელ კანზე, სადღაც შიგნიდან, რის გამოც სხეული გამჭვირვალეს ჰგავდა. მას შეეძლო, დაეხურა კარები, რომ არავის ეცქირა მისთვის, მაგრამ თითქმის მიღებული გადაწყვეტილება უეცრად შეცვალა. მან ვერც კი იგრძნო, როდის მოხდა ეს და მაგიდასთან მივიდა. ის იწვა სწორად, გაუნძრევლად, გახელილი თვალებით, რომლებიც კედელზე ჩამოკიდებულ საათს მიჩერებოდნენ. ექთანმა მზერა ააცურა უძრავ, უხილავ ძაფზე. საათი არ მუშაობდა. ის უკვე დიდი ხანია, არ მუშაობს და ერთსა და იმავე დროს აჩვენებს, მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს და არც არავის შეუნიშნავს ეგ მკვდარი დრო. ოთხის ნახევარი. ოთხის ნახევარი!? რა არის ეს? შემთხვევითი დამთხვევა თუ... ღმერთო შენი სახელის ჭირიმე... არაფერიც არ არის. ისევ ჩამოაცურა მზერა. თვალები – შუშის. გამჭვირვალე. მკვდარი თვალები შეჰღაღადებენ მკვდარ დროს. მკვდარ საათს. ოთხის ნახევარი. შეშუპებული. ამოწეული სახე, თით-

ქოს შიგ, კანქვეშ აფუებული ცომი ამოედოთ... ისხმება ქოთნიდან... გოგრიდან... გადმოდის... ეკიდება კედლებს და მიცოცავს ქვევით... და უცებ ქვავდება. ყველაფერი რჩება თავთავის ადგილას: იყინება, ჩერდება, კვდება. ღიმილში ჩამოღვრილი ტუჩები. შეყინული ცომი. გათავდა. რა გათავდა? და ამან შვა ადამიანი. ის თვითონ იყო ადამიანი. იყო? ის მოკვდა. მოკვდა. – ამიტომაც არის ასეთი. მოკვდა! მარტო იგი, თვითონ; ის მოკვდა მარტო. შე საცოდავო. საცოდავი? მისთვის ყველაფერი გათავდა. ის არც საცოდავია და არც უცოდავი, არც ბედნიერია და არც უბედური... არაფერი. იგი არაფერი არ არის. მხოლოდ მოკვდა. ხომ შეეძლო, არც მომკვდარიყო – რომ ეყვირა იქნებ... შეეძლო თუ არა? თუ ამას თვითონ არ განსაზღვრავს? აბა, ვინ? იმან რაღაც შეცდომა დაუშვა და ეს მოკვდა. მოკვდა საბოლოოდ და უკანასკნელად. ის აღარ არსებობს. რატომ ხდება ასე? მას უნდოდა, წარმოედგინა თავისი თავი ამგვარსავე მდგომარეობაში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ის იყო. ცოცხალი იყო და ამას ვერაფერი მოუხერხა. იგი ხედავდა თავისთავს მკვდრად... უაზრო წარმოსახა: ის წევს გარემოცული თავდახრილი, შავოსანი მოტირალების გლოვით, რომელთაც სახე არ უჩანთ, მაგრამ მან იცის, ვინ არიან ისინი. მთელი ქალაქი მოსულა მის დასატირად. ყველგან ხალხი მიცემული განუზომელ, შეუწყნარებელ მწუხარებას. ის კი წევს კუბოში, თეთრ კაბაში, ლამაზი, ვარდისფერი კანით... მკვდარი. ვარდების კუბოში... და ირგვლივ საოცარი სურნელებაა... და ყველა ტირის... ის კი წევს: კუბოში. მას უნდოდა მომკვდარიყო, მაგრამ თვითონ ხედავდა თავისთავს მკვდრად და ამას ვერაფერი მოუხერხა. მაინც ცოცხალი იყო. თავის ფიქრთან პირისპირ. იგი ხედავდა, თვითონ ხედავდა. აქ კი არაფერი არ ჩანს: არც იგრძნობა, თუ გრძნობა? არა, ეს მან უკვე კარგად იცოდა. არც ერთი არ გრძნობდა. მკვდარი არ გრძნობს არაფერს, არც განიცდის. ფრჩხილებისა და თმების ზრდასაც. ა რ ა ფ ე რ ს. ფეხებთან, იატაკზე დადგმული ტაშტი საშოდან გადმონაჟონი სისხლნარევი სითხით აივსო. უკანასკნელ წვეთს უშვებს. ტაშტი ფრთხილად აიღო და ნელა, რომ არ დაექცია, გადაღვარა. მერე ტაშტს წყალი გამოავლო და

გარეცხა. ვინც უნდა, იმან უთხრას. მე ისედაც მეყოფა. კარგად ვიცი, რაც მოსდით: ვინც პირველი ეტყვის, იმის ბრალი ეგონება ყველაფერი. იმას დააბრალებს. მერე ჩვენ. ა! ჩვენ კი არა, იმას! ის შეცდა. კიდევ კარგი, მე არ ვაკეთებ ამას. ქალთან მივიდა. სველი ჩვრით მონმინდა სისხლი და ლორნო: მერე ზენარი გადააფარა და მეორე ოთახში გააგორა მაგიდა. ბიჭი მაინც არ ყოფილიყო. ორჯერ მეტი მაინც მერგებოდა, ვიდრე გოგოზე. პირველი ბიჭი! ბიჭია! ბიჭი! ახლა იმან არაფერი იცის. საინტერესოა, რას განიცდის ახლა... იქნებ?!. არა, არა, სისულელეა ეს... უნდა მოვაშორო ეს საათი, ყვავივით დამჩხავის თავზე. რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას?.. ერთხელ ყველაფერი გათავდება და ეს უნდა ვიცოდეთ, შვილო... ერთხელ... როდის არის ეს ერთხელ, შვილო, არავინ არ იცის... მოულოდნელია ყოველთვის სიკვდილის სტუმრობა... მაგას ვერ გადაუხვალ, შვილო... ინსტრუმენტები დააგროვა და გამოსახარშავად დადგა. თითებში სითბო შეეპარა. ამ წუთში მას სიამოვნებდა კიდეც ფუსფუსი და საქმიანობა. ამბობენ, სითბოში, არა, სიცხეში, მას შეუძლია ნამოდგეს კიდეც... კრემატორიუმში დგებიანო... დგებიანო?!. შიშით გააპარა თვალი მაგიდისაკენ... შეუძლია, ნამოდგეს?.. იქნებ მას სცხელა უკვე?.. ქალი გაუნძრევლად ინვა ზენრის ქვეშ, კარების ჭრილში, და მას ჩაეცინა... სისულელეა... როგორ უნდა ნამოდგეს... ის ხომ მკვდარია?! ის ადამიანი აღარ არის. ნივთია. სხეულია. მკვდარი. მკვდარი სისხლი. მკვდარი თვალები. მკვდარი ტვინი. ტვინი მთავარია. ტვინიც კი აღარ არის უკვე... რაღაც ნივთიერება... ყველაფერი მკვდარი... ბოლომდე მკვდარი... როგორ უნდა შეძლოს, რომც უნდოდეს ნამოდგომა? სისულელეა ეს... რას არ იტყვიან... მარტო ფრჩხილები და თმები ეზრდებაო ნელა... ეს თვითონაც იცოდა. რადგანაც ბევრჯერ უნახავს, პროზექტურაში... მარტო ისინია ცოცხალი და განაგრძობენ ზრდას... მაგრამ – ცოცხალი? ყველაფერ მკვდარში რაღაც ცოცხალი?.. ვინ იცის? რამდენი ინვალა... სანყალი... სანყალი... სანყალი, ის არისო სანყალი, თორემ ამას რაო... ვინ იტყვის ამას? მაგას რა? იქნებ ჩვენ რა? ჩვენ, სუყველას, ვინც აქ დარჩა... ის კი მოკვდა... კარებში ისევ მოჩანდა ზენარ-

გადაფარებული სხეული. ჩვენც მოვკვდებით, შვილო... არა, არა, ჩვენ არ მოვკვდებით... ის მოკვდება, სხვა, შენ მოკვდები, ალბათ მეც მოვკვდები... სათითაოდ... ყველა... ჩვენ კი არასოდეს... ეს წარმოუდგენელია... როგორც ახლა... მოკვდა აგერ ის, და ჩვენ გადავრჩით... ასე იქნება ყოველთვის... მე ხომ დავრჩი... ისიც დარჩა... ჩვენ ხომ არ მოვკვდით... ჩვენ ცოცხლები ვართ... სამშობიარო სახლში ამდენი წლის მუშაობამ საფიქრებელი არე გაუხსნა და ყოველთვის, როდესაც კი ამგვარ სიტუაციაში მოხვდებოდა, თავისდაუნებურად იწყებდა ფიქრს, უფრო ზუსტად, თავისთავად ებმებოდა საფიქრალი აზრები ერთმანეთს და წლიდან წლამდე უყალიბებდა სრულიად გარკვეულ შეხედულებას ცხოვრებაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე, ყველაფერზე, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, ოღონდ არასოდეს ხმას არ იღებდა... არ იღებდა კი არა, ვერ იღებდა... ვერ ამჟღავნებდა, ვერ ბედავდა, ეთქვა თავისი აზრი და ან კი ვისთვის უნდა ეთქვა? ვინ იყო გულისხმიერი მსმენელი და მოსაუბრე მისი?.. იმათაც ეშინოდათ, თავად, საკუთარი ნაფიქრის... და აი, ეს წყნარი ოთახი, მკრთალად განათებული, ზეწარგადაფარებული მკვდრის თანამყოფობა, სამეანო ხელსაწყოებთან ფუსფუსი და სამეანოს დასუფთავება აძლევდა საშუალებას, აუღელვებლად მიჰყოლოდა თავის ფიქრებს, რომელნიც ნისლივით ეხვეოდნენ და ეხვეოდნენ და ეჯარებოდნენ მის თავსა და ავსებდნენ სიცარიელეს მის შიგნით დაბუდებულს, ვითარცა უმყოფობის გარინდებას... ჰო, გარეგნულად მან ყველაფერი თავის დონეზე ჩაატარა... ყველა ზომა მიიღო თავის დასაზღვევად და მხოლოდ ერთი, შეუმჩნეველი მოძრაობით... ვისთვის შეუმჩნეველი?

აპრიალებული იატაკი დიდი ხანია იქცევს, თავისკენ ყურადღებას ბზინვარებით, მაგრამ ის მაინც არ აჩერებს ფეხს. ქალს თეთრი ხალათი აცვია, გამობერილი ჯიბეებით... ერთერთ მათგანში მოუშორებელი გასაღებების აცმა ჩხრიალებს. ზოგჯერ ის ჩაგდებულ თავს აბრუნებს და შეპარვით უყურებს კარებში გაჩხერილ მკვდარს, მაგიდაზე... ამ დროს იგი ანელებს ფეხის მოძრაობას და უფრო მსუბუქად უსვამს იატაკის ზედაპირს, რაც კიდევ უფრო აპრიალებს მას. ჯიბეში ჩაგდე-

ბული გასაღებები ჩხრიალს წყვეტენ და ოთახი იძირება სიჩუმეში. პირდაპირ კედელზე: დიდი მრგვალი საათი; რომაული ციფრები... ორი ისარი გადებული თეთრ სიბრტყეზე... ცენტრიდან... ოთხსა – პატარა – და ექვსს – დიდი – შორის. ხმა არ ისმის. ყველაფერი ეს განათებულია ჭერში მიმაგრებული ორი იონის ნათურის მოციმციმე სინათლით. ეს არის ერთგვაროვანი, მოცისფრო, ცივი სინათლე, რომელიც უჩრდილოდ ეფინება მთელს ოთახს და ერთნაირად ანათებს ოთახის შესასვლელში დადებულ მკვდარსაც და ქალსაც, რომელიც ისევ განაგრძობს თავის საქმეს, რის გამოც ყოველივე ეთიშება ერთმანეთს და, თავისთავად, იქ მყოფად არის. ეს იქ-მყოფობა ერთნაირად ვრცელდება ნივთებზე, რომლებიც ოთახში დგას და მკვდარზეც... აგრეთვე ქალზე, რომლის სხეული იკუზება, ხელები იღებენ იატაკზე დაგდებულ ჩვარს – ზუსტად ამ ადგილას ეყრდნობოდა იატაკს მაგიდა, რომელზედაც მკვდარი ნევს, მთელი გაასკეცებული სიმძიმით უსიცოცხლო მძორისა, რისგანაც იატაკს შავი ნაკვალევი აჩნია ახლაც, თუმცა, აგერ უკვე ოცი წუთია, ის დაჟინებით ცდილობს, მოაშოროს ის – და აგდებენ ჭუჭყიან ტაშტში, რომელშიც წამის წინ მკვდარი სხეულიდან გადმონაჟონი ლორწოვანი სითხე ესხა, სისხლგარეული. ტაშტს აქა-იქ, კიდეებზე შემხმარი სისხლი ამჩნევია. მარადი კვალი... ქალი იღებს ტაშტს. სხეული იმართება და გადის ოთახიდან. ახლა ოთახში ყველაფერი გაქვავდა ცივ სინათლეში. გაშეშდა. ქალი ტაშტს საპირფარეშოში ტოვებს, შარდავს და ხელებს იბანს, წყალი სახეზეც უნდოდა შეესხა, ცივია! ცივი ეჩვენა და გადაიფიქრა. იქნებ არც იყო საჭირო? ყურებში წყლის ჩხრიალი შეწყდა ონკანის ზუზუნთან ერთად. უცებ მიხვდა, როცა სიჩუმე ჩამოწვა ისევ. ხელები ხალათზე შეიწმინდა, საპირფარეშოდან გამოვიდა და გრძელი დერეფნებითა და კიბეებით ჩამოვიდა ქვევით, მოსაცდელში, ყველას სძინავს. მათთვის არაფერი მომხდარა. მათ არაფერი იციან. ისინი ელოდებიან თავის რიგს. მოხდა კი რამე? თუ ეს შესაძლებელი ბოლოა ყოველი არსებობის? დავილალე... არავინაც არ არის. სკამები ცარიელია... ოციოდე მეტრის მოსაცდელ ოთახში კედლების გასწვრივ მდგარ გადაბმულ სკამებზე

არავინ არ იჯდა. მან თვალი მოავლო იქაურობას. ჭერიდან ჩამოშვებული მარტოხელა ნათურა მკრთალად ანათებდა. კედლებზე, ერთმანეთის მიყოლებით ეკიდა სხვადასხვა პლაკატები სამშობიარო-პროფილაქტიკური ღონისძიებებითა და მოწოდებებით, რომლებიც აფრთხილებდნენ მოსახლეობას ყოველგვარი დაუდევრობისა და თვითმკურნალობის თავიდან ასაცილებლად. დაიცავით თქვენი სიცოცხლე – იგი ახალი სიცოცხლის წყაროა! ფანჯარაში ოდნავ განათებული ნაძვის ხე მოჩანდა... წავიდა... წავიდა?! იქნებ არც ყოფილა? მოიყვანა და გაბრუნდა... და მე ტყუილად მეშინოდა... სიჩუმეა. კარის ვიწრო ჭრილში მოსაცდელიდან სინათლე გამოკრთის. მართლაც არავინ არის. ყველას სძინავს. იმასაც. აღარავინ მოვიდოდეს... მალე გათენდება საცაა... ყველას სძინავს... უნდა ვუთხრა... ყველაფერი მზად არის... მზად.... ხელები ძილფხიზლად დაბორიალებენ მაგიდაზე დაყრილ ნივთებს შორის... წამოედნენ სამელნეს... წაიქცა?! უეცრად გამოფხიზლებული ელვით... უნდა ვუთხრა... ის შევიდა მოსაცდელში? არავინაა. გრძელი ცარიელი სკამები... გრძელი მაგიდები... მორუხოდ შეღებილი... მარტოხელა ნათურა. ისევ მისაღებში გამობრუნდა და ტახტზე მიწვა... უნდა ვუთხრა... ვეტყვი... გავიდა ალბათ... მხოლოდ ათი წუთით... ვინმე რომ მოვიდოდეს... მალე გათენდება... გაიგებს ყველა... უსათუოდ ვეტყვი... ათი წუთით... ახლავე.... ახლა...

12 საათზე ის გამოვიდა საავადმყოფოდან. დარაჯმა ჩვეულებრივ გაუღო მას კარები და თავი დაუკრა, მაგრამ მას არ შეუმჩნევია დარაჯის ეს მოძრაობა და უპასუხოდ დატოვა. პირველად, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. რაც ისინი ერთად მუშაობენ, აქ, ამ შენობაში და ყოველ დილით ხვდებიან ერთმანეთს, და საღამოსაც, სამსახურის დაწყება-დამთავრებისას, ან კიდევ მაშინ, როდესაც იგი, ღამენათევი, მორიგეობიდან ბრუნდებოდა, როგორც ახლა, და ისინი თავის დაკვრით ესალმებოდნენ ერთმანეთს და ამის შემდეგ აღარც იყო საჭირო რაიმეს თქმა, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი არც კი დალაპარაკებიან ერთმანეთს და მან არც იცოდა, ჰქონდა თუ არა მას ხმა და შეეძლო თუ არა სიტყვის

წარმოთქმა... ახლა კი, მან ვერც კი შეამჩნია დარაჯის ჩვეულებრივი და მხიარული სალამი, არ გამოეპასუხა მას, რითაც დარაჯის სახეზე გაკვირვებული, შეშინებული და გაურკვევლობაში მოულოდნელად გაჩხერილი გამომეტყველება გამოინვია, ხოლო თავში კი სხვადასხვა, მისთვის არცთუ სახარბიელო აზრები. იცოდა თუ არა დარაჯმა ამღამინდელ შემთხვევაზე რაიმე? ამის შესახებ, ცხადია, არავინ არაფერი იცის, მხოლოდ ის კია, რომ, როდესაც იგი თავს უკრავდა ექიმს, ამით თავის ჩვეულებრივ რიტუალს ასრულებდა, მისი ცხოვრების განუყოფელ წესს და არავითარი უკუ აზრი არ უტრიალებდა თავში იმ წუთში. მაგრამ ექიმმა არ დააფასა მისი ერთგულება და გვერდი აუარა...

ის ნელა მიდიოდა ქუჩაში. საყელოანეული, ღილებშეკრული მიაბიჯებდა რიგითი გამვლელების გვერდით, მზედაკრულ ქუჩაში, სითბოში, რომელმაც ნელ-ნელა გაატანა სქელ პალტოში და შემცივნებული სხეული გაუთბო. ყველაფერი გათავდა ისე, როგორც მე ვფიქრობდი. საჭიროც არ იყო გვამის პრეპარირება. ჰმ, როგორი გულმოდგინებით შიგნავდნენ საცოდავ სხეულს... ვის სჭირდებოდა ეს, ჩემო კარგებო?! მე? თუ იმათ? თქვენ? გახურდა... ღილები შეიხსნა, საყელო გადაინია და ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს. ახლა მას ჯიბეში უდევს ეს საბუთი. ექსპერტი მთელი სერიოზულობით ავსებდა სპეციალურ ბლანკს, ხოლო იქ, კარს იქით იცდიდა ის, – მამა. რას ფიქრობდა? პროზექტურაში, მერე საოპერაციო მაგიდაზე ინვა მკვდარი, გამოშიგნული სხეული, მყრალსასუნთქი. იგი პირველად იყო ამგვარ ვითარებაში და შესვლისთანავე იგრძნო ის მძიმე ატმოსფერო, რომელიც გვამების თანამყოფობით იქმნება. მან ინსტინქტურად მოავლო თვალი იქაურობას და შეძრნუნებულმა აუზში ჩაყრილი შიშველი გვამების გამომეტყველებით, სწრაფად მიაბრუნა თავი... მაგრამ იქვე შეეჩეხა ახალგახსნილ, შიგნეულგადმოყრილი ქალის გვამს და გული აერია. დიდხანს ინახავდა თავს... დიდხანს... და აი, მინურულში მაინც გაიწია, მას არასოდეს არ ეგონა, რომ ასეთი საზარელი სანახაობა იყო... გვამი მას ადრეც უნახავს: ჰმ... ჩაეცინა კიდეც უნებლიეთ ამ აზრზე. მაგრამ ასე ერთად ჩაყრი-

ლები აუზში, თავჩაძირულები, მოტივტივე ნაწილებით, გამოფატრულნი და აყროლებულნი – არასოდეს. და ახლა ერთგვარი გალიზიანება იგრძნო მათ მიმართ. მაგრამ თავი შეიკავა და დინჯი იერი მიიღო, რომ არავის შეჰპარვოდა ეჭვი მის სიმართლეში. პათანატომს უკვე გაეშალა თავისი ხელსაწყოები და ატარებდა ექსპერტიზას იმის გამოსარკვევად, ბუნებრივი იყო თუ არა სიკვდილი და ხომ არ აღმოჩნდება რაიმე უცხო ჩანარევი ორგანიზმის ფუნქციებში ან ანატომიაში... მისმა საქმიანმა გამომეტყველებამ და ხელების ზუსტმა მოძრაობამ ოდნავ დაამშვიდა იგი, მაგრამ მაინც არ აშორებდა დაძაბულ მზერას ქალის გალადრულ საშოს. მის ირგვლივ იდგნენ მისი კოლეგები. რა აინტერესებდათ მათ? მას არ ესმოდა მათი საუბარი. ხედავდა მხოლოდ შუბლშეკრულ სახეებს და ქურდულ ღიმილს თვალის კიდეებში მოწოლილს. ეს მისი მეგობრებია. კ ო ლ ე გ ე ბ ი. არა... არა... ის მეტისმეტად აღგზნებულია ახლა და მისი დაძაბული, უპეგაწვრილებული მზერა არ უნდა აბრაზებდეს მათ, არ უნდა განაწყობდეთ მის წინააღმდეგ. მავედრებლად მიშტერებული მზერა აიძულებს, შეწყვიტონ ჩურჩული და ისევ გვამს მიაპყრონ ყურადღება. მე ვიცი, რომ თქვენ ეს სრულიადაც არ გეხებათ, არც გაინტერესებთ, თქვენი საუბარი სრულიად სხვა თემას ეხება, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ამ წუთში მოითხოვს თქვენს თანაგრძნობას და მე გემუდარებით, ნუ მიღალატებთ, ნუ გამწირავთ ამ განსაცდელის ჟამს, მიმიღეთ თქვენს ძმობაში და მეც ასევე ერთგულად გემსახურებით... გესმით ჩემი? თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე ჯერ კიდევ არ ვარ ამის ღირსი... რომ შეიძლება, ასე ხელაღებით, ცინიკურად მომიშოროთ თავიდან... ღიმილით... როგორც სხვები... თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ამით ჩემს აქტიურობას გამოიწვევთ, გააცხოველებთ მას და მაიძულებთ, კიდევ უფრო მეტად შევიჭრა იმ სფეროში, რომელსაც ასე გავურბოდი, მთელი ოცი წელი ვინახავდი თავს ამ დღისათვის, თქვენთვის... და აი, თქვენც აქა ხართ... ჩემი მეგობრები... და არ გინდათ, გამომიწოდოთ ხელი... მომიახლოვოთ და მიმითბოთ... ჭეშმარიტება შეუვალია... ჭეშმარიტებით შევდივართ საუფლოში და არა ეროვნებით... ასე არ არის

განა?.. ყველა ელოდა დასკვნას და, რადგანაც სავსებით დარწმუნებული იყო მის სისწორეში, ექსპერტის ზედმიწევნით ჩაკირკიტებული გამოკვლევა ალიზიანებდათ. კიდევ კარგი, რომ დღეს ცარიელია აქაურობა, თორემ რა გაუძლებდა ამ სუნსა და აშმორებულ გვამებს, გაიფიქრა ყოველმა მათგანმა რაღაც მომენტში, მაგრამ ეს იყო დასაწყისი, როდესაც არც კი ფიქრობდნენ, რომ მთელი სამი საათის განმავლობაში, რომლებიც ისე გაიწელნენ, როგორც ათასწლეულები, აქ დააყუდებდა ექსპერტი, რომელიც, ვგონებ, უფრო თავს იწონებდა მათ წინაშე თავისი ხელების ოსტატური ხელრთვითა და ხელსაწყოთა ჯამბაზური ტრიალით გვამის ნაწილების და შიგნეულის ანათალების დემონსტრირებით, ვიდრე სერიოზულ ექსპერტიზას ატარებდა. გარდა ამისა, მათ ეცოდებოდათ თავისი კოლეგა და მეგობარი, რომელიც პირველად აღმოჩნდა ამგვარ არასახარბიელო მდგომარეობაში და რომელსაც ახლა, როგორც არასდროს, სჭირდებოდა ხელის გამართვა. და აი, იდგნენ ისინი და ელოდნენ საბოლოო დასკვნას, რომელიც ახლოვდებოდა ექსპერტის ხელის ყოველი მოძრაობის დასრულებისას. აჰა, როგორც იქნა! დაამთავრა ექსპერტმა, გამარჯვებული სახით გადმოხედა ყველას და ხელთათმანები წაიძრო. ყველას თანდასწრებით დამტკიცდა, რომ მე მართალი ვარ! სხვაფრივ შეუძლებელი იყო... იმწუთშივე მივხვდი და დიაგნოზიც ზუსტი დავსვი... არ გესიამოვნათ?! ხომ დარწმუნდნენ თვითონაც... აჰა, იკითხეთ ახლა, რამდენიც გაგეხარდებათ, გამხარებლებო გახარებულთა გამხარებლებისა. ვისთანაც გინდათ... იქნებ იპოვოთ რამე... ი ს ე თ ი! აჰა, აილეთ, წაილეთ, ნახეთ, იკითხეთ, ნახეთ, ნახეთ: აგერ არის, თქვენ თვალწინ, აქვე: „ქალის გვამი, სწორი აგებულების, კანის საფარი მკრთალი-მორუხო. კანქვეშა ცხიმი საშუალო განვითარების. ხილული ლორწოვანები მკრთალი-მოვარდისფრო. რქოვანა დაბინდული. გვამის გაშეშება საშუალოდ გამოხატული. თავის საფარი მთელი. მაგარი გარსი – ზომიერად გადაჭიმული. სინუსები – სისხლსავსე. ტვინის სუბსტანცია დუნე. პასტოზური. გაკვეთაზე მოთეთრო-მორუხო. ზომიერად სისხლსავსე. სასუნთქი გზების ლორწოვანი მორუხო-

მოვარდისფრო, დაფარული ლორწოს მომეტებული რაოდენობით. ფილტვები – გადიდებული, დამძიმებული, გაჟღენთილი ქაფოვანი მორუხო სითხით. ფილტვების ქსოვილი მუქი შინდისფერი. გული. დათვალიერებისას შეინიშნება მარჯვენა პარკუჭის მკვეთრი გაგანიერება. გულის კუნთი სუსტად შეკუმშული. განაკვეთზე – დამღუღრული. ხორცის ფერი. შეიცავს თხიერ, მუქი წითელი ფერის სისხლს. კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი მკრთალი-მორუხო. კუჭი შეიცავს ლორწოს ზომიერ რაოდენობას. მსხვილი ნაწლავი – ნახევრად გადამუშავებული ფაფისებრი სუნიანი მასით. ღვიძლი ჩვეულებრივი ოდენობის დუნე კონსისტენციის. განაკვეთზე – მორუხო ყავისფერი. ელენთა გადიდებული. ელენთის კაპსულა გადასწორებული. განაკვეთზე: რუხი-წითელი ფერის. ანაფხეკს არ იძლევა. თირკმლები ჩვეულებრივი ოდენობის. განაკვეთზე დამღუღრული ხორცის ფერის. საზღვარი შრეებს შორის ბუნდოვნად გამოხატული..." რაო? საკმარისია? გიჭირთ? გჯერათ? არა, არა, ახლა ჩემი ჯერია... ეს ხომ თქვენი სურვილი იყო, ეს ხომ თქვენვე მოიგონეთ... თქვენი ყოველდღიური დასტურით კეთდება ყოველივე ეს. ვინ იცის, იქნებ მართლაც იპოვოთ რაიმე ი ს ე თ ი... რაც გაათავისუფლებს თქვენს სინდისს... თავისუფლად მოგაწერინებთ ხელს... გთხოვთ, მაესტრო, განაგრძეთ... განაგრძეთ... ეს ხომ თქვენი მოწოდებაა... თქვენი სასიცოცხლო სპეციალობა... თქვენი ხელობა... ნუ გადადებთ გვერდზე... მე წაგიკითხოთ? წაგიკითხავთ... „საშვილოსნო გადიდებული. ზომები 20-15-10 (სამყაროს ეპიცენტრიდან... ხომ გესმით!). საშვილოსნოს ყელის მიდამოში აღინიშნება ორი სიგრძივი ჭრილობა, გაკერილი კვანძოვანი ნაკერით. მომყოლი ჩვეულებრივი ოდენობის, მომყოლის ქსოვილი დუნე. განაკვეთზე რუხი-წითელი ფერი. გვამიდან აღებული ნაჭრების მიკრო-მორფოლოგიური შესწავლისას დადგენილ იქნა: ფილტვების ქსოვილის შეშუპება. სისხლსავსეობა. ინტენსიური სისხლჩაქცევებით. ალაგ – ოლვეოლთა გაგლეჯა. ფილტვების სისხლის მილების – არტერიოლების და კაპილარების – სანათურებში აღინიშნება ბრტყელი ეპითელიის ქიცვი, ღინღლი. სუდანსფილურ მასებში – ხა-

ჭოსებრი საცხი – ალაგ ლორწოსაგან და თრომბოციტებისაგან შემდგარი თრომბები...“ გასაგებია? თუმცა არა... კიდევ არის რაღაც მნიშვნელოვანი... ყველაზე მნიშვნელოვანი... ყველაზე მთავარი... ის, რასაც თქვენ ყველაზე მეტად ელოდით... ელით... აგერ ისიც... ყველანი იდგნენ მდუმარედ და თვალების გახევებული მზერით, რომელიც მისი არსების შიგნით უმზერდა. ცდილობდნენ, ამოეკითხათ მისი შეუვალი ამეტყველება. რას უმზადებდა იგი მათ? ნუთუ ყოველივე ეს მართალია? ისინი კი ცდებოდნენ? ხოლო ის კი მართალი იყო... მხოლოდ ის. იქ, შიგნით არ ტყუოდა და იყო წყნარად. მაშინ რა მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას, თუკი ის მართალია... თუ ის რჩება მათ მიღმა და კიდევ უფრო სცილდება მათ... ეთიშება იქაურობას... ახლა იგი ისევ შეუვალი იყო მათი გამჭოლი მდუმარებისათვის. თქვენი თვალები დაცოცავენ თეთრ ქაღალდზე... მაძიებელნი პასუხისა... თეთრი შეუვალობა... თქვენ პირისპირ... იგი უსხლტებოდა მათ. სრიალებდა მათი მზერის ზედაპირზე თვალჩაკიდული და განაგრძობდა თავის მოძრაობას ასარკულ ქუჩაზე... თქვენ წინაშე... Status past parkus maturas tae minutas 15 ettectam. Veuticu li dextrá cordis. Distrophiá parmuhy matosa, partim adiposa dii et remia. მშობიარე გარდაიცვალა სასიცოცხლო ძალის სრული ამოწურვის შედეგად ბიოლოგიურად გადასული ყოფიერების დენადი და ცვალებადი მდგომარეობიდან მარადისობაში თავისი არსების შეცვლით მდინარებაში მარადისობისაგან დროის სვლის და არსებობის განსაზღვრული მარაგის მიმღები ახალდაბადებული ჯანსაღი ორგანიზმით, რაც არის კიდევ სრული და გარდუვალი დადასტურება, – რომლის სახელია ჭეშმარიტება, – სიკვდილის სუბსტანციურობისა დროში, სივრცესა და ყოფიერებაში, რამეთუ მხოლოდ სიკვდილში ხორციელდება არსებობის მისწრაფების იდეალი – ყოფიერების მარადიულობა...

რა დრო გავიდა? საათს დახედა. ისარი შეუჩერებლად წიკწიკებდა თავისი ღერძის გარშემო, მიბმული ცალი ბოლოთი. უწესიერესად გადარბოდა ციფრებზე, მაგრამ თვითონ სრულიად უმოძრაოდ იყო და ცდილობდა, გაერკვია დროის მსვლელობა, რათა ამით მაინც დაკავშირებოდა იმ ვითარე-

ბას, რომელიც ახლა მის მიღმა განაგრძობდა არსებობას, ანკერძოებდა და სცილდებოდა მას, ტოვებდა მარტოს აქ, ქარსა და სიცივეში... ის გრძნობდა ამას მთელი სხეულით და სრულიადაც არ სჭირდებოდა ამისათვის გარეთ გასვლა... რათა დაადგინოს, რა სიძლიერის ქარია და სიცივეც, რომელიც ნელა მოჟონავს კარის ვიწრო ჭრილში... ახლა ის უკვე გრძნობს... როგორ ეხვევა კოჭებზე და მიცოცავს მაღლა... შარვლის ტოტში... მუხლებამდე და უფრო ზევით... გვირაბში... მხოლოდ სახე უხურს და ზურგზეც ვერა გრძნობს ვერაფერს... სიჩუმის გარდა... რომელიც დარაჯად ჩამდგარა მის ირგვლივ და განძრევის საშუალებას არ აძლევს მას... კედლისპირს ჩამომჯდარს სკამზე... განუკითხავად... უდროოდ... რადგან კავშირი გაწყდა... უეცრად. გაწყდა?!. ან იქნებ – არც არსებობდა... არავითარი კავშირი... არავითარი დენადობა დროის... იყო... არის... იქნება... მხოლოდ გამოთიშვა და ჩართვა. სიცივე ახლა თავში შეცოცდა და კარს იქითა გარემოს გაურია იგი. თუ ჩართული ხარ, მაშინ არ არსებობს არც იყო, არც იქნება... მხოლოდ შენ ხარ... ერთი, უცვლელი, და შენში გადის რაღაც, რასაც დრო ეწოდება... თუ შენ გადიხარ მასში?!. ყოველ შემთხვევაში, შენ ხარ და არ არსებობს შენთვის – იყო... ისიც შენთან ერთად მოდის... ისიც არის... ისევე, როგორც შენ... მუდმივად, ერთად გადადიხართ, მიგორავთ დროის უსასრულობაში მომართული, განწესებული მიზნით... ჩართული და ცხოვრების უხილავი ძაფით გადაბმული ყოფიერების საშოს... საოცარია! ამდენი ხნის განმავლობაში მას არც კი გაუფიქრია, რა ხდება ახლა ზევით, და ახლა, უეცრად, საშოს ხსენებაზე გაუელვა აზრმა. არა, არა, უმჯობესია, არ იფიქრო ამაზე... არ იფიქრო, რა ხდება ზევით... მსგავს სიტუაციაში სრულიად ზედმეტია ფიქრი... იმაზე, რაც შენ უკვე აღარ გემორჩილება... რაც სრულიად მოგშორდა შენ, მოგცილდა... მოგშორდა?!. და მაინც იმ უხილავი ჭიპით გაიძულებს, იჯდე აქ, ელოდო რაღაცას... უხილავი? იქნებ სწორედ ის ჭიპია, ახლა რომ აჭრიან... ან უნდა მიაჭრან... ვიღაცას... კიდევ ერთი სხმული! მოსწყვიტონ... გააცალკევონ, რომ მთელი ცხოვრება გრძნობდე მის არსებობას და ვერ ხედავდე... მერე შენ ერ-

თები... ეთიშები და ჩნდება ზღვარი: არის – იყო... რომელიც იმ, ნამდვილს, არსებობას უკავშირდება... მოუბრუნებელი... დაუბრუნებელი ი ყ ო  რომელსაც ყოველთვის მიელტვი... ყოველთვის ესწრაფვი... თან ატარებ რომელსაც, გონების სიღრმეში თუ სიბნელეში გადანახულსა და მიუწვდომელს... რა არის ამ იყო-ში ესოდენ მომნიჭებელი ბედნიერების? იქნებ თვით ის არის ბედნიერება? ის არის თუ ის იყო? სად ჩნდება ზღვარი? ზღვარი ამ ორ სამყაროს შორის... რომელთაგან ერთი ბედნიერების მოპოვებისათვის ბრძოლაა... ტანჯვაა... ნამებაა... დაუსრულებელი სრბოლა რაღაცისაკენ... სადღაც დროში მყოფის იქ... შენ მიღმა... თუ შენში?.. მეორე კი თვით ბედნიერება, რომელიც ძიებაში დაიკარგა... აქ დარჩა... ზღვარს აქეთ... და მიუღწეველია... რადგან დრო არ ბრუნდება და რაც გქონდა, ის აღარ გექნება... აღარც არის... შენთვის... რადგანაც იქ, შენს იქით, ყოველივე მეორდება... ყოველივე არის უცვლელი... დაუკარგავი და მუდმივი... გადასული მარადიულ დროში... რომელსაც სრბოლა არა აქვს... დრო! რა არის დრო?! უხილავი და ყოვლისშემძლე... შეუცნობელი პირობა არსებობისა და ყოფიერების. აუცილებელი... მოძრაობა დაკავშირებული საგანთა არსებობასთან სივრცეში, მაგრამ შენ ხომ საგანი არა ხარ? თუ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის შემოზღუდული გონების მარადისობისაგან თავისდასაღწევი საშუალება? ხელსაწყო? ექსისტირების ინსტრუმენტი... ილუზია... რომლის წყალობით არსებობა იძენს თავის გარკვეულს ალაგს შეუცნობად სამყაროში... უჟამო-ჟამი. რომ არ არსებობდეს ის?.. რა მოგვივიდოდა ჩვენ? რა იქნებოდა ადამიანი დროის გარეშე?.. იმ იყოს გარეშე, რომელიც მუდამ შენთან არის... რა არის ის?.. არის კი იქ?.. აღოლებული კითხვები განუკითხავად ანაოჭებენ მის ტვინს... სიცივესთან შეპირისპირირებული. და იკარგებოდნენ სადღაც, გამოუვალ ლაბირინთებში შავი ნახვრეტისა, საიდანაც ახალი კითხვები იზლაზნებოდნენ მათს გზაზე... ღოლვით... დრო არის სამყაროს აქტიური შემოქმედი... ერთადერთი წყარო ენერგიის... მისი მეოხებით განსხვავდება ურთიერთისაგან წარსული და აწმყო... განსხვავდება თავისთავად... შენგან დამოუკიდებლად... გან-

სხვავდება მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე მოქმედებს დროის მსვლელობის მიმართება... მოქმედებს დრო! მაგრამ განისაზღვრება იგი იმ მოძრაობით, რომელიც ახასიათებს საგნებსა და მოვლენებს?.. რომელია ფუნქცია: დრო, თუ სივრცე, რომელშიც მოძრაობს საგანი? თუ თვითონ ეს მოძრაობაა საგნისმიერი რეალობა... მაგრამ რაა რეალობა? არსებობა დროსა და სივრცეში, თუ არსებობა დროდ და სივრცედ? მაგრამ რაა არსებობა? შესაძლებელია, რომ მარადისობაში ერთი მოვლენა მიჰყვებოდეს მეორეს?.. ან ერთი საგანი უსასრულობაში იყოს მეორე საგნის გვერდით?.. მაგრამ რაა მარადისობა და უსასრულობა? პირობა?.. რომელიც აუცილებელი გახდა იმისათვის, რომ ადამიანს არ შემოეზღუდა თავისი თავი... არ ყოფილიყო სასრული და განევრცო თავისი არსებობის საზღვრები სამყაროს ყოფიერებასთან უწყვეტი ჯაჭვებით გადასაბმელად?.. ილუზია?! დროის თვისება მდგომარეობს წარსულისა და მომავლის ობიექტურ განსხვავებაში და ეს არის დროის მიმართება ან სვლა. მაგრამ ვინ დაამტკიცებს, რომ ი ყ ო თავისთავად განსხვავება იმისაგან, რაც იქნება... შენ გარეშე... როდესაც დგება ეს ი ქ ნ ე ბ ა, რომელიც უკვე არის – იყო აღარ არსებობს და არც მისი აღქმის შესაძლებლობა მოიპოვება... ის გაქრა... საერთოდ აღარ არის... მას აღარ აქვს სახე... არც არსებობა... არც ყოფიერება... არც დრო... არც სივრცე... ის გაქრა და მასთან ერთად ის დრო და სივრცე, რომელიც მას ეკავა... რომელშიც ის მოძრაობდა... ცხოვრობდა... ან კიდევ: ადამიანის ფსიქოლოგიური აღქმა დროისა არის სამყაროში ობიექტურად არსებული დროის მსვლელობის მიმართების შეგრძნება... ხანგრძლივობის შეგრძნება ერთადერთი ნათელი წერტილია დროის არსებობაში... მაგრამ აღიქვამს კი ადამიანის ფსიქიკა დროს? იქნებ თვითვეა დრო?! თუ ესეც მხოლოდ დაშვებაა... არიადნას კოჭი ლაბირინთში?.. არსებობის გაადვილება... ილუზია აღქმის... დროის აღქმის... რითი ვსაზღვრავთ ამ დროის არსებობას?.. მოძრაობით?.. გადაადგილებით სივრცეში?.. ცხოვრებით?.. რომელიც განუწყვეტლივ მიგვაქანებს არსებობაში? ნიაღვრით?.. რომელიც მოედინება მომავლიდან და გახანგრ-

ძლივებული აწმყოთი ინთქმება წარსულის შავ ნახვრეტში, რომელსაც ი ყ ო ეწოდება და ამ შეუწყვეტელ, შეუჩერებელ მოძრაობაში მომავალი თანდათან იკუმშება... მცირდება... პატარავდება... იჭმუჭნება, ხოლო შავი ნახვრეტი კი იზრდება და ყოვლისმომცველი ხდება: ი ყ ო! წარსული შერჩენილი მეხსიერების დაბინდულ კუნჭულებს... TEMPO EST IPSA MEMORIA. რამეთუ, თუ მე გიპოვე შენ, ჩემს ღმერთს, ჩემი მეხსიერების გარეშე, არ მეხსომები... და როგორღა გიპოვი შენ, თუ არ მეხსომები?.. მე მახსოვს... მე ვარ... მე ვარ სული... რამეთუ მახსოვხარ შენ – ღმერთი. ANIMA EST IPSA MEMORIA... სული, გაჩხერილი უმყოფობის ორ ზღუდეს შორის, რომელთაგან მოშორებას და მიახლოებას საპირისპირო შეძრწუნებით განიცდი... სული... გადმოგდებული სიკვდილის პირისპირ... სიცოცხლეში... მის წინაშე მდგარი თავდაუღწევ მოძრაობაში ჩართული დროისა... მაგრამ თუ სივრცე უსაზღვროა? მაშინ არავითარ მოძრაობას და გადაადგილებას აზრი არა აქვს... არსად არ მიდიხარ... არსაით არ მოძრაობ... და ერთადერთ ფაქტად შენი არსებობისა რჩება იქ, ზღვარზე არსებული სიკვდილი, რომლის მიმართ მოძრაობა არის ერთადერთი სინამდვილე შენი არსებობის დამადასტურებელი და გამომხატავი... სიკვდილი... რა არის იგი? სასრულობის დამტკიცება თუ მარადისობის გამოხატულება? უსასრულობისაც?.. თუ არ არსებობს სიკვდილი... მაშინ არ არსებობს არც დრო... არც სივრცე... არც მოძრაობა... არ არსებობს არც მარადიულობა და უსასრულობა... არ არსებობს არც ობიექტური განსხვავება წარსულ-აწმყო-მომავალი... და მაინც ყოველივე შეკრულია ერთ უწყვეტ ჯაჭვად: იყო-არის-იქნება. აქ და იქ. და ყველაფერს განსაზღვრავს და აწესრიგებს მხოლოდ ჩემი ყოფნა... სხვა დანარჩენი კარგავს თავის აზრს... დარჩენილი ამოუხსნელობის ზღვარს იქით...

რა აიძულებს მას შეუცნობლის ზღვარში ხეტიალს? რატომ არ მოეშვება ყოველივე ამას და არ იფიქრებს იმ მთავარზე, რომელსაც ამდენ ხანს უვლის გვერდს?! იქნებ ეს ფიქრებიც იმის დასაფარავად მოქექა? სწორედ რომ! რადგან ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, მან ყოველივე ამაზე იცოდა სრუ-

ლიად ნათელი და გარკვეული პასუხი, რომელიც უეცრად გაუსხლტდა ხელიდან და ჩვენ გვაიძულა, ჩავფიქრებოდით მათ, რადგან უპასუხოდ მიგვიტოვა თავისი ფიქრი. რასაკვირველია, შეეძლო, უფრო მკაფიოდ გამოეხატა თავისი სათქმელიც და იმის მდგომარეობაც, – გაიფიქრა გიორგიმ, ხელნაწერი გადადო და სინათლე ჩართო. შეუმჩნევლად შემოეპარა სიბნელე. თვალები დაღლოდა დაძაბვისაგან და ერთხანს იწვა თვალმილულული. მერე წამოდგა. სამზარეულოში გავიდა და ონკანში წყალი მოუშვა. დაუცადა, როდის გაცივდებოდა წყალი. ჭიქა აავსო, რამდენიმე ყლუპი იქვე მოსვა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. რა დრო გავიდა?

მან ნელა ამოაძრო ხელი ჯიბიდან და საათს დახედა. ისევ აბრუნებს ხელს ჯიბეში. ფანჯრისიქითა სიბნელეში იგი გრძნობს სიცივესა და ქარს კარს უკან, ის ნელა მოჟონავს ფანჯრებსა და კარის ჭრილში და ეხვევა წვივებზე, შარვლის ვიწრო ტოტებში, მუხლებზე და უფრო ზევით...

„რა დრო გავიდა?"

სახე უხურს. ტანი ველარაფერს გრძნობს სიჩუმის გარდა, რომელმაც ჩაიბუდა მის ირგვლივ და განძრევის საშუალება მოუსპო მას, კედლისპირს სკამზე ჩამომჯდარს, განუკითხავად, უდროოდ, რადგან კავშირი უეცრად გაწყდა.

„გაწყდა?"

„ან იქნებ არც არსებობდა? არავითარი კავშირი; არავითარი დენადობა დროის. იყო-არის-იქნება. მხოლოდ გამოთიშვა და ჩართვა..." – გაიფიქრა მან.

სიცივე ახლა შეღოღდება... შეღოღდა... მიღოღავს თავში ნისლიეით მოდებული... ხმა მოპირდაპირე სავარძლიდან... ეს მისი ხმაა:

„თუ ჩართული ხარ, მაშინ არ არსებობს, არც იყო, არც იქნება... მხოლოდ შენ ხარ... ერთი. უცვლელი. და შენში გადის რაღაც, რასაც დრო ეწოდება...

„თუ შენ გადიხარ მასში?!"

„ყოველ შემთხვევაში, შენ ხარ და არ არსებობს შენთვის – იყო... ისიც შენთან ერთად მოდის... ისიც არის... ისევე, როგორც შენ... მუდმივად, ერთად გადადიხართ, მიგორავთ

დროის უსასრულობაში მომართული, განწესებული მიზნით... ჩართული და ცხოვრების უხილავი ძაფით გადაბმული ყოფიერების საშოს..."

მისი თვალები. უპეებშეშუპებული. ცივი თვალები მიპყრობილი ერთ წერტილში. ყველა შესაძლო წერტილიდან, რომელსაც ის არჩევდა ამ ხნის განმავლობაში, რათა მასზე დაყრდნობილს შესაძლებლობა ჰქონოდა, აზრი მოეკრიფა, მხოლოდ ერთმა მიიპყრო მისი ყურადღება. ეს არის კუთხე ფანჯრის თავზე, ჭერისა და კედლების გადაკვეთის ხაზზე, სადაც უხილავ ძაფზე კიდია უძრავი ობობა. კიდია კი? იქნებ, ეს ჩემი ალგზნებული გონების ხილვაა? ეს თვითონ კიდია უხილავ ძაფზე... კუთხეში... უძრავი... რუხი... მისი ტუჩები, გადებული ვიწრო ბოგირად, გადადიან ჩამოღარულ ნაოჭში, რომელიც თანდათან ეშვება ქვევით, რაც სახეს ზიზღის გამომეტყველებას აძლევს. მაგრამ რამ გამოიწვია ეს ზიზღი? რას ეპასუხება ამ წუთში მისი სახე? უპეები მძიმედ ჩამოეფარა გაშეშებულ მზერას. მისი ხელები ჩაფრენილი სკამის ზურგს. გამოხატავენ ისინი მის შინაგან მდგომარეობას? ხელის ზურგზე, თხელი კანის ქვეშ, ცისფერი, დახლართული სისხლძარღვები მოუჩანს. ყურის ბიბილოები ოდნავ შეწითლებია. რომ დააკვირდე, ცხვირზე და თვალის კიდეებში წვრილი, მსუბუქი ნაოჭები აქვს ჩახაზული. მისი მშრალი თვალები. რა შეიძლება, წაიკითხო მათში? ქუთუთოებჩამოფარებულები. მისი უძრაობა. საოცარია! ამდენი ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ მოსვლია თავში, რა ხდება ახლა ზევით? – იქ, მისი არსებობის მიღმა. ახლა, საშოს ხსენებაზე, მან უნდა იფიქროს ამაზე. მაგრამ ის არ იძვრის. მხოლოდ თვალები იხსნიან უპეთა ფარდას და მიცურავენ ფანჯრის სიბნელეში და აჩერდებიან მკრთალად განათებულ ანარეკლს.

არა, არა... უმჯობესია, არ იფიქრო... ამაზე... არ იფიქრო, რა ხდება ზევით... ზედმეტია, იტანჯო იმაზე, რაც აღარ გემორჩილება. სრულიად მოგშორდა, მოგცილდა... მოგშორდა?! და მაინც იმ უხილავი ჭიპით გაიძულებს, იჯდე აქ, ელოდო რაღაცას... უხილავი... სად გაჩნდა იგი... რა დრო გავიდა? რატომ არავინ მოდის... ნუთუ ამდენ ხანს გრძელდება ყოველივე...

იქნებ ის ჭიპია, ახლა რომ აჭრიან... ან უნდა მიაჭრან... ვიღაცას... იქნებ გათავდა უკვე... ხმაც რომ არ ისმის... – თითქმის მზადაა. დიდხანს არ მოგიხდებათ ლოდინი... – რატომ გაგრძელდა ამდენ ხანს... კიდევ ერთი სხმული! მოწყვიტონ... გააცალკევონ, რომ მთელი ცხოვრება გრძნობდე მის არსებობას და ვერ ხედავდე...

და აი, ის ზის შორეულ კუთხეში. ორ კედელს შორის. მის მარცხნივ სკამები, ჩალაგებული ერთიმეორის გვერდზე, ორივე კედლის გასწვრივ. ყავისფერი, ერთნაირი სკამები, გადაბმული ხის შავი თამასით. რომ არ გაიქცნენ ოთხფეხები. მისი თავი, ოდნავ გადაგდებული უკან, რის გამოც მოჩანს მსხვილი, ნერვიული ყანყრატო და თხელი კანის ქვეშ აშკარად გამოხატული ხორხი წვრილ კისერზე, – ეყრდნობა კედელს ზურგს უკან. თვალები ოდნავ მილულულია. ერთი შეხედვით, მას თითქოს სძინავს, მაგრამ ეს შთაბეჭდილება იცვლება, როდესაც მზერა გადადის მის ხელებზე. ეს არის თხელი, ელასტიური ხელები გრძელი თითებით, რომლებიც უცნობ რიტმს აკაკუნებენ მეზობელი სკამის საჯდომზე. სხეულის გასწვრივ გაჭიმულია ფეხები, მუხლამდე დაფარული თბილი პალტოს კალთებით. პალტო ოთხივე ღილზეა შეკრული. ოდნავ გაცრეცილი და გაქონილი ჯიბეები. როდესაც ის ხელს იდებს, ხელისგულზე გრძნობს სრიალა მაუდის ზეთოვან ზედაპირს. ერთმანეთზე გადადებული ტერფები მოუსვენრად ექანებიან ქვის იატაკზე. ეს არის ერთნაირი ზომის ნაჭრებისაგან აწყობილი სწორი ოთხკუთხედი, რომლის შუაგულში სამი კონცენტრირებული წრეხაზია ჩასმული. წრეხაზის ცენტრში ჩასმული მუქი ქვით შემოვლებული რომბის თავზე კიდია ნათურა, გრძელ ღვედზე. კედლებზე სხვადასხვა ზომის პლაკატებია გაკრული: „აბორტი – სოციალური ბოროტებაა", – წერია მარჯვენაზე. ქვევით, უფრო წვრილად, გამოყოფილია წერილის სათაური. ამ წერილებში, რომლებსაც ხელს აწერენ გამოჩენილი პროფესორები, მედიკოსები და სხვა დარგის მუშაკები, აკადემიკოსები, ხაზგასმულია ის უდიდესი ზიანი, რომელიც აბორტს მოაქვს ადამიანის – ალბათ, ქალის... გაუელვა თავში, – ჯანმრთელობისათვის და საზოგა-

დოებრივი ცხოვრებისათვის, მთელი სოციალური წყობისათვის და მოუწოდებს, აიკრძალოს აბორტის კეთება კერძოდ. დაკვირვებით წაკითხვისას გაუგებარი რჩება, რა უფრო მიაჩნიათ პატივცემულ აკადემიკოსებს სპეციალურ და ფიზიოლოგიურ ბოროტებად – თვით აბორტი, თუ მისი კერძოდ კეთება. სხვა პლაკატებზე წარმოდგენილია თავდამზღვევი საშუალებანი სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ. აქ განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ბუზის, ადამიანის ცხოვრების მეტად გავრცელებული და განუშორებელი თანამგზავრის ძირგამომთხრელ საქმიანობას ავადმყოფობათა და ბოროტებათა გავრცელების საქმის სასარგებლოდ, და ადამიანის სოციალური აქტივობის დასაქვეითებლად, რასაც გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ჯანმრთელობისათვის. და მასთან ბრძოლას. „მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს!“ მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს შვილი, – თორემ მას მოკლავს ბუზი! მოკალი შენი ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბუზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი ეს ბოზი, – თორემ ის მოკლავს შენს შვილს! მოკალი შენი შვილი, – თორემ ის მოკლავს ამ ბუზს! მოკალი ეს შვილი, – თორემ ის მოკლავს შენს ბოზს! პლაკატებზე, ტექსტის საილუსტრაციოდ, გამოყენებულია ფოტოები, რეტუშირებული სტანდარტული ფოტოები, გამომხატველი შინაარსით: ახალნამშობიარები ქალი, ბედნიერი სახით, პირზე დოლბანდაკრული, ძუძუს აწოვებს ახალშობილს. საწოლთან მარჯვნივ დგას ექთანი. ჩანაფიქრის მიხედვით, იგი ქალსა და ბავშვს უნდა უყურებდეს და მაყურებლის ყურადღებაც მათკენ მიმართოს, მაგრამ ბოლო მომენტში იგი ვერ უძლებს

ცდუნებას და თავს აპარატისაკენ აბრუნებს, რის გამოც სრულიად არღვევს ფოტოგრაფის მიერ გულმოდგინედ დაყენებულ კომპოზიციას და ახლა უაზროდ მოგშტერებია შენ. მაგიდასთან მჯდარი ექიმი, ქაღალდების დასტით ხელში, რჩევას აძლევს ახალგაზრდა დედას. დედა თითქმის არ ჩანს, რადგან იგი ზურგით დგას. სახე, ოდნავ შემობრუნებული, დასცქერის ხელში ნაჭერ ფუთას, რომელიც ხელთ უპყრია სიყვარულით. იგრძნობა, რომ მას არ ესმის ექიმის არც ერთი სიტყვა, თუ ის რამეს ამბობს მაინც. საფიქრებელია, რომ ეს მაინცადამაინც არც ექიმს აწუხებს, რადგან ის არ უყურებს ქალს და აშკარად ობიექტივში იყურება, შენს თვალებში, და საერთოდ არ აინტერესებს თავისი პაციენტი. ჩანს, იგი კმაყოფილია ამგვარი მდგომარეობით და ცდილობს, რაც შეიძლება კარგად გამოიყურებოდეს სურათზე, რის გამოც მის სახეს, კეკლუცად ამოჩრილს საზეიმო კაბიდან, თეთრი ხალათის შიგნით რომ მოჩანს, ეკარგება ყოველგვარი გამომეტყველება, გარდა თვითკმაყოფილებისა. იგი არ ექანება. თავისი ადგილიდან ადევნებს თვალს ფანჯარას, რომელშიც ოთახის ანარეკლი კრთის ბუნდოვნად. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. მარჯვნივ, ცის კიდეზე, ჩანს სამი კაშკაშა ვარსკვლავი. დანარჩენი ოთხი – დიდი კოვში – გადაშვებულია იქითა მხარეს. ეს არის ერთადერთი წერტილი ცაზე, რომელსაც იგი ზუსტად ცნობს. სხვა ყველაფერი შეირწყა უზარმაზარ მანათობელ მასად, თითქოს მოარღვევსო ციურ სიბნელეს უმყოფობიდან. მაგრამ ეს სინათლე რჩება იქ, ცის თაღზე და ვერაფერს აკლებს ღამეს, რომელიც ჩამოწოლილა ქალაქში და მხოლოდ ლამპიონების ცივ სინათლეს ემორჩილება. ყოველივე გაშეშდა მოციმციმე უძრაობაში ფანჯრის ჩალამებული შუშების იქით. ის ალებს თვალებს, მისი მზერა ეყრდნობა შუაში მოთავსებულ პლაკატს და ის უკვე მერამდენედ მექანიკურად კითხულობს: გვეკითხებიან – ვუპასუხებთ! მერე მას გადააქვს მზერა ფანჯრისაკენ, რისთვისაც უხდება თავის მობრუნება მარცხნივ. ამ მოძრაობისაგან კედელზე მუქი კვალია დარჩენილი. შენობაზე ახლა მთვარის ცივი სინათლე გაიშალა. ეს სინათლე გამოყოფს მას მთელი გარემოსაგან. ახვევს

იდუმალების სუდარაში და ის დგას განმარტოებით, მოედანივით გაშლილი ქუჩის გასწვრივ, კოლონებით, რომლებიც ასე ახასიათებენ მის სტილს. მეოცე საუკუნის დამახასიათებელი სტილი. ამპირი შავი ჭირის დროს. pir yue l impire pendenT la pesT. შესაძლოა, ეს არც იყოს მთვარის სინათლე; თანაბრადმოციმციმე ნათურების ანარეკლი, რომელიც კედლის პირდაპირ დამაგრებული მაღალი ბოძებიდან მოედინებოდა. და ფასადის საყრდენი ბოძების შიგნიდანაც. ამგვარად, სინათლე თანაბრად ნაწილდებოდა. ორივე მხრიდან. ეჯახებოდა მოყვითალო კედლის ზედაპირზე ერთმანეთს. ეს მოყვითალო ქვა აპირკეთებდა მთელ შენობას ფანჯრის ღრმულებისა და სახურავის გამოკლებით, მაგრამ, რადგანაც მთვარე გამოცურდა ღამეულ ცაში, სრულიად დასაშვებია, რომ ახლა შენობა განათებულია მთვარის ცივი სინათლით. ყოვლისმწვდომი სინათლე... დედამიწა-მზე-მთვარე-დედამიწა. უნატიფესი სუბსტანციები... ლუციფერული ძალების გამოვლენა. და ახლაც ეს ეშმაკეული სული ქმნის, აძლევს ადამიანურ იერს ღვთაებრივ მზის ნატიფ ძალებს, აღუქმელსა და მიუწვდომელს ადამიანური გრძნობებისათვის... ამ ლუციფერული ძალის გარეშე, რომელიც ხელს უშლის კაცობრიობის აბსოლუტურ განზავებას, გათქვეფას, უდროოდ, უსივრცოდ, უხორცოდ, აბსოლუტურ სულიერ სუბსტანციად გადაქცევას... ამ ძალის გარეშე, რომელიც შეირთვის ღამეული მნათობის დამზრალ კაშკაშად. არ იქნებოდა არც ის, რასაც ადამიანი ეწოდება... და ამ ცივ სინათლეს, დაცემულს ყვითელ შენობაზე ჩუმ, უძრავ ღამეში, წმინდა ციალის ღამეში, მოაქვს თავისი ჭეშმარიტი აზრი ადამიანური არსებისა... მიიპყრობს რა მზერას მარტოხელა მჯდომელისა... შენობა განაგრძობს ამოსვლას სიბნელიდან... სულ უფრო და უფრო იწევს ქუჩის დაცარიელებულ სივრცეში და ავსებს მას. მარადი სინათლე... მუდმივი შენობა... ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. მარცხნივ, ცის კიდესთან ჩანს ოთხი დიდი ვარსკვლავი. მან იცის, დანარჩენი სამი გადასულია იქითა მხარეს. ჰორიზონტს იქით. ეს არის ერთადერთი წერტილი ცაზე, რომელსაც იგი ზუსტად ცნობს. სხვა ყველაფერი ირწყმის უზარმაზარ მანათობელ მასად,

თითქოს მოარღვევსო ცის დაუსაბამო სიბნელეს უმყოფობიდან. მოაქვთ მათ ის შეუცნობი ძალები, რომლებიც ისევე მოქმედებენ ადამიანზე და განსაზღვრავენ მას, როგორც მთვარე და მზე? მუდმივი კითხვა. მაგრამ ეს სინათლე რჩება იქ, ცის თაღზე და არაფერს ჰმატებს ფანჯრებს იქით ჩამოწოლილ ღამეს. ყოველივე ჩაშეშდა მოციმციმე უძრაობაში ფანჯრების ამოღამებული მინების იქით.

ის ასწორებს თავს და იმავე გზით აბრუნებს ზანტ მზერას, მექანიკურად წარმოსთქვამს-რა წარწერას პლაკატზე: გვეკითხებიან – ვუპასუხებთ!

„სახელითა მამისათა და ძისათა და... მამა... წამის რაღაც ნაწილებში, მეასედებში, მეათასედებში, წამწამისმსწრობელად... თუ საათში... დღეში... საუკუნეში... მარადისობაში... დროთა მიღმა ჩემში, შიგნით იცვლება არსი... მე უკვე აღარა ვარ მე... არამედ მამა... მ ა მ ა... მამისათა და ძისათა... მამისათა და ძისათა... მამისათა და ძისათა... ოთხის ნახევარია უკვე.. უწყვეტი სხმული... აგორებული... ჩართული... ჩართული დროის განუსაზღვრელობაში... მამა რათა განსაზღვრო... მერე შენ ერთვები... ეთიშები და ჩნდება ზღვარი: არის – იყო... რომელიც იმ, ნამდვილის, არსებობას უკავშირდება... მოუბრუნებელი... დაუბრუნებელი ი ყ ო... რომელიც ყოველთვის გიზიდავს... თან ატარებ რომელსაც, ესწრაფვი, სადღაც გონების სიღრმეში თუ სიბნელეში გადანახულსა და მიუწვდომელს... და მხოლოდ ერთი ნაბიჯი... ერთი განუსაზღვრელი ნაბიჯი განსაზღვრავს ამ საზღვარს..."

„რა არის ამ იყო-ში ესოდენ მომნიჭებელი ბედნიერების?" – ამას თვითონ კითხულობს, – იქნებ თვით ის არის ბედნიერება" – ოთახის შუაგულში, მაგიდის ირგვლივ, ჩამჯდარი ორ უძველეს მეგობარს შორის, ძველისძველი დაბალი ჭაღის რბილი შუქით განათებული ინტიმური გარემო. სულიერი კავშირების ჩაი... ისინი მიეჩვივნენ ამ გარემოს... მიეჩვივნენ იმას, რომ ტუჩების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით გამოეთქვათ თავისი აზრი, რომელიც ამ გზით თითქოს ხელშეუვლები ხდებოდა და ეს როგორღაც ამშვიდებდა მათ, რადგან ვერ აკავებდნენ მოწოლილ ფიქრებს, რომლებიც მკვრივ ჯავშნად

ეკვროდნენ ძირითად სათქმელსა და გასააზრებელს, სახელის წარმოთქმაც რისი არ შეიძლებოდა.

„სად ჩნდება ზღვარი? ზღვარი ამ ორ სამყაროს შორის... რომელთაგან ერთი ბედნიერების მოპოვებისათვის ბრძოლაა... ტანჯვაა... წამება... დაუსრულებელი სრბოლა რაღაცისაკენ... სადღაც დროში მყოფის იქ... შენ მიღმა... ან იქნებ შენშიც?.. ვინ უპასუხებს ამ კითხვას? მეორე კი თვით ბედნიერება, რომელიც დაიკარგა... იქ დარჩა... ზღვარს იქით... ძიებაში... და მიუღწეველია... რადგან დრო არ ბრუნდება და რაც გქონდა, ის აღარ გექნება... აღარც არის... შენთვის... აქ, რადგანაც იქ, შენ იქით, ყოველივე მეორდება... ყოველივე არის უცვლელი... დაუკარგავი და მუდმივი... გადასული მარადიულ დროში... ოთხის ნახევარი... რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს... მხოლოდ არა, არა, ისედაც საკმარისია ყოველივე... ამის გარეშე... შეუძლებელია ეს... ყველაფერი ხომ ისე მშვიდად მიმდინარეობდა... და ისე კარგად... უაზრობა იქნებოდა ახლა... ისევ ოთხის ნახევარია... სულ ოთხის ნახევარია... წიკწიკებს... იდიოტური დამუხრუჭება დროის... აი, შენი დრო. გაჩერებული საათი, და შენ ველარ აკავშირებ შენს თავს გარემოსთან... ეკიდები დროულ სივრცეს, შეუხებლად... რომელსაც სრბოლა არა აქვს... დრო! რა არის იგი?! უხილავი და ყოვლისშემძლე... შეუცნობელი პირობა არსებობისა და ყოფიერების, თუ მხოლოდ ადამიანის შემოზღუდული გონების მარადისობისაგან თავისდასაღწევი საშუალება? ხელსაწყო? ექსისტირების ინსტრუმენტი... ილუზია... რომლის წყალობით არსებობა იძენს თავის გარკვეულ ალაგს შეუცნობად სამყაროში... უჟამო-ჟამი. რომ არ არსებობდეს ის?.. რა მოგვივიდოდა ჩვენ? ჩახერგილებს ამ დროში?.. რა მოუვიდოდა მას, რომელიც უნდა გაჩნდეს ახლა?.. თუ გაჩნდა უკვე?.. რატომ არავინ მოდის?.. რა იქნებოდა ის ამის გარეშე?.. იმ იყოს გარეშე, რომელიც მუდამ მასთან იქნება... მასთან არის... მოუშორებლად... როგორც ერთადერთი პირობა ადამიანობისა... რა არის იგი? მდინარება? მუდმივი ცვალებადობა? ცხოვრება? რომლის თვისებაცაა ეს ცვალებადი მდინარება მომწყვდეული უცვლელობის მარწუხებში...

შეგიძლიათ, თქვენ მიპასუხოთ ამ კითხვებზე? რატომ დუმხართ ყველანი... სახე ჩოჩდება სიბნელეში და სიღრმეში. სიგარეტს უკიდებს და მდორედ ფიქრობს კვამლის ბოლქვებში გახვეული. ამზადებს პასუხს.

იგი მძიმედ დააბიჯებს ოთახის სიცარიელეში. თავისი ყრუ ნაბიჯებით გადააქვს სხეული ერთი კუთხიდან მეორეში და უკან. ჩერდება. ცარიელი სკამები მდუმარედ მისჩერებიან მის მოძრაობას. ის მიდის კედელთან. ჩერდება. ხელები ეძებენ საყრდენს კედლის ხორკლიან ზედაპირზე. თითები ნერვიულად გრძნობენ კედლის შეუვალ სიცივეს და სწრაფად ბრუნდებიან თავის ადგილას, გაქონილ ჯიბეში, რომელშიც გასაღებების მძიმე აცმა ჩხრიალებს, და მან სთქვა ეს, დუმილის შემდეგ, ბოლქვებიდან გამოცურებულმა მიიტანა რა სახე სინათლის კიდესთან...

„როგორც ქარქვეტა, აგორებული შეუცნობი ძალით, მოედინება ცხოვრება მარადიულ არსებობაში, ცვალებადი, გადაგორებული, უმიზნოდ, შეუჩერებლად, თავის მარადიულ მდინარებაში იკაფავს გზას დაუსაბამო არსში. რა ამოძრავებს მას? რა ქმნის მას?.."

ასე გადადის ის ერთი კედლიდან მეორემდის და გადადიოდა უკან, მძიმედ, ყრუ ნაბიჯებით გადავა მისი სხეული ცარიელ ოთახში...

„რა ხმებია? მოდის... ჩუმად! არა... არაფერი არ ისმის... წყნარად, ჩემო კარგო... წყნარად... სიჩუმეა. მხოლოდ სიჩუმეა გარეთ... და ქარი... არ უნდა..."

ის დგას ფანჯარასთან... იდგა... იგი... ფანჯარასთან იდგება იგი... ღამე მოიღვრება სახლების სახურავებზე მუქად. აქა-იქ, ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული, ელექტრონათურების ნათელ ზოლს ჩაარღვევს და გაშეშდება. სიბნელე ჩამოცოცდება მდუმარე კედლებსა და მიმქრალ ფანჯრებზე მოცოცავს სიბნელე და ქალაქის შორეულ კუნჭულებს მიატანს იგი... შეუჩერებლად თოვდა. ფართო ქულები უხმაუროდ მოსრიალებენ ჰაერში, სიბნელეში. ტრიალით მოიპნევა გაუთავებელი, შეუწყვეტელი ნაკადი თეთრი, მრავალსახა ფიფქების, წამდაუწუმ ეფინება ქუჩების დამზრალ

საფარს, შერჩენილი ხეების გაფარჩხულ ტოტებს. გაშეშებული. ბაღების, ხეივნების, ქუჩების სიშორე განათებული ელექტრონის ნათურების მკრთალი სინათლით. რის გამოც ყოველივე მიცურავს შენგან შორს. ივსება თოვლით. ეს მბჟუტავი სინათლე ზანტად ედება თეთრ, ვერტიკალურ მდინარებას, თანდათან ილევა მასში, ცივდება და ერნწყმის ლურჯად შემომდგარ სიბნელეს. ჩამოთოვლილი, ერთგვაროვანმოციმციმე ქალაქის სივრცეში ძლიერდება მავთულების ზუზუნი და წრიპინი, რომელიც თავს იყრის თუჯის კოლოფებში, ელექტრობოძების შემსხვილებულ ძირებში. ცენტრალური ქუჩის ნაპირზე გაწოლილი გაზონები თოვლით იფარება. ალაგ-ალაგ, ხეების ძირში, თოვლს ვერ მოუსწრია მოთეთრება – მოჩანს შემზრალი, რუხი ფერის ზედაპირი, შემოწყობილი თხლად დათოვლილი თლილი ქვებით. იქ, სადაც არც გაზონებია და არც ხეები, თოვლი მკვრივი სწორი მონასმით საზღვრავს ერთმანეთისაგან მოშტერებული სახლების საძირკვლებს, ყოფს მათ თეთრი საფენის შეუვალი, სინათლის მქრთალი ლაქებით აქა-იქ განათებული ხელშეუხები ფენით. თბილი, შეორთქლილი ვიტრინების იქით, თავის მუდმივ პოზებში გაშეშებული მანეკენები, მორთულ-მოკაზმულები, მდუმარედ შესცქერიან მქრთალად განათებულ ლაქებს ტროტუარზე, რომლის იქით ჩამოწოლილა თოვლიანი ღამე. ვიტრინებიდან გამოფენილ სინათლეს რაღაც შორეული სიმშვიდე შეაქვს გარემოში თავისი რბილი ნათებით და ეს განათებული არე უცილობელ თავშესაფარს უქმნის მარტოხელა მგზავრს, – როგორც ბუხარი, – გაუელვა თავში, – რომელიც ჩუმად მიიპარება და მიარღვევს ღამისა და თოვლის ფარდას. საყელოაწეული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და აწურული, თავჩაქინდრული მიჰყვება იგი სახლის კედლებს, ხეების რიგს, ცდილობს, არ შეეხოს სიბნელეს და შესაძლებლად სწრაფად ლევს თავისი გზის ჩაბნელებულ მონაკვეთებს. მისი თავდაჭერილი კვალი სწრაფად უჩინარდება თოვლის საფარქვეშ. თოვდა. მბჟუტავი ნათურები თანდათან იკრეფენ სხივებს. არე ესაზღვრებათ და ველარ ატანენ თოვლის გაუვალ ფარდას. ეს განათებული წერტილები, ჩარიგებული ქუჩების სიღრმეში, ყვითლად ბზინავენ ჩა-

მობურულ ღამეში. მათი სინათლე ოდნავ, აქა-იქ, მსუბუქად ეხება ღამის კიდეებს. წმინდა ღამე. ფოთოლშემოძარცვულ, გახევებულ ხეებში ჩაზრდილი მოკუმსული, ათრთოლებული ბელურები. თოვლი მსუბუქად ეყრება მათ, აფენს სიცივეს და მოიბნევა ტოტებში. თოვს. მაღაზიის კარებთან, სიღრმეში, თავიანთ თბილ ქურქებში ჩაფლულნი თვლემენ აბურძგვნილი დარაჯები, ფეხებშუა ჩაკრული თოფით. იშვიათი ფიფქები, აცდენილნი თავიანთ გზას, დროდადრო ეყრებათ მთვლემარე სახეზე. ისინი იშმუშნებიან სიზმარში, შეფიფქული წარბებითა და წამწამებით. აქა-იქ, თოვლნაყარ სიბნელეში კრთიან ღამის სანათურების მშვიდი შუქით შენათებული ფანჯრები. ეს სინათლე ვერ აღწევს თავს სიბნელეს, მაგრამ მოაქვს თოვლის კიდესთან სითბო, დაბუდებული ფანჯრებს იქით, რომლებზედაც ახლა შემდნარი თოვლის ჩამონალვარი კრიალებს. თბილ საბნებში ჩახვეული ქალაქი აოცებული ანდობს თოვლს, აკეთოს თავისი თეთრი საქმე მბჟუტავი ნათურებით მიფერმიცვლილ ცარიელ ქუჩებში, რომლებიც ძლივსღა მოსჩანან დატრიალებული ქულების დაბურულ საფენში. ქუჩაში შემორჩენილი მარტოხელა მგზავრი მიეხეტება თოვლის მსხვილ ნაბარდნით გატენილ სივრცეში. თოვლი ეყრება აწეულ საყელოში. ცივა. მაგრამ იგი შეუპოვრად მიარღვევს ქუჩას. საითკენ მიდის ის? საიდან მოდის? ამ ღამეში. შეძლებს ის, გადალახოს ეს წინააღმდეგობა, თუ ფუჭია მისი სწრაფვა? ჭრელჭრულა ნეონის აბრებს ტროტუარის თავზე, სახლებს გასწვრივ, ერთგვარი მრავალფეროვნება და გამოცოცხლება შეაქვთ გარემოში, მაგრამ მაინც ვერ არღვევენ მძიმედ ჩამოფენილ ფარდას, მოქარგულს ღამეული თოვლის ფართო, მსუბუქი ფანტელით. მგზავრი წამით ასწორებს თავს, მისი თვალები სრიალებენ კუთხეში, ლითონის ოთხ წვრილ ღერძზე დამაგრებული საათისაკენ. ხომ არ სურს მას, დაადგინოს თავისი მოძრაობის დრო? თუ ეს მექანიკური მოძრაობაა. თავის აწევით გამოწვეული. გრძნობა, რომელიც არეგულირებს დამოკიდებულებას საათებთან ქუჩაში. ოთხის ნახევარი. ამჯერად ისინი არ ტყუოდნენ. ყველა საათი ყველა ქუჩაზე. ოთხის ნახევარი. მისი ზურგი თანდათან გაუჩინარდა ქუჩის სიღრმე-

ში. თოვს. დროდადრო თოვლზე რბილი, მსუბუქი ნაკვალევი ჩნდება მუქ ღრმულებად და ისევ იკარგება სიბნელეში. ნაკვალევს გვერდზე გრძელი ზოლი მიჰყვება, რომელიც ნელა მიცურავს მის გასწვრივ და ფანტავს ახალდაფიფქულ თოვლს. ბზრიალით ეშვებიან ქულები სიბნელეში. ზოგან, ქარის ნელი ტალღა მშვიდად გადაივლის ვერტიკალურ მძივებში: გზას აუბნევს, ირიბად გარეკავს სინათლეზე და ისევ მიწყნარდება, სწორდება ყველაფერი. ირგვლივ ჩამონოლილ სიჩუმეში მხოლოდ ელექტრონის თუჯის ბოძები და მავთულები ზუზუნებენ. კიდევ უფრო შეუღწევი ხდება ჩამოთეთრებული სიბნელე და სიჩუმე. სახლი თოვლში. შენობა. ძაღლი ბუნძულით გამოვიდა ღამიდან. გზაჯვარედინზე შეუცვლელი ინტერვალებით ფეთქავს გამაფრთხილებელი ყვითელი შუქნიშანი. გადაძახილივით გადადის ქუჩის ცარიელ ხლართში. ძაღლი ერთხანს უმოძრაოდ დგას, თავს ღუნავს. ყნოსავს თოვლს. ნელა მიჰყვება ქუჩის ბნელ კიდეს და ცოტა ხნის შემდეგ აბუნძულებული კვეთს დათოვლილ ზედაპირს. ქუჩას დანათებული ნათურის მკრთალ შუქზე გამოჩნდა მისი აბურძგვნილი, სველი ტანი, ზანტად მოკუმსული თვალები, ჩამონებებული ბალნით, რომელშიც დროდადრო მოსჩანან შავი კრიალა კაკლები. კისერზე შებმული თოკის ნაგლეჯი შავ კვალს ტოვებს დათოვლილ ქვაფენილზე. ანაკვალი მიიხლართება მუქ, პატარა ღრმულებს შორის, ზოგჯერ ედება მათ, შლის, ფორმას უკარგავს. წამით ძაღლი სიბნელეში გაუჩინარდა. მერე ისევ ჩნდება საათის ძირში. ოთხის ნახევარი. და ისევ განათებული ტროტუარის კიდეში, მინიდან ამოჩრილ ფანჯრებთან. ბადეზე. ასე დაძრწის იგი ცარიელ ქალაქში, საბელანწყვეტილი და დროდადრო ყნოსავს ჰაერს და დაფიფქულ მინას გაყინული დრუნჩით. ძაღლი ჩვენი არსობისა...

ბალის სიღრმეში მბჟუტავი მარტოხელა ნათურის ირგვლივ მოიპნევა თოვლი. ბამბის მძივებივით ეკიდება თოვლი ფანჯრის ოთხკუთხედს. დაუძლეველი მოდალობა. ბავშვები ნაძვის ხეზე. сею, вею, посеваю, с новым годом поздрав... შეორთქლილი მინების იქით ბუნდოვნად ისახება შავი სილუეტი. უძრავი. ის. და ჩნდებოდნენ უეცრად ჩატრიალებული

ფიფქები. ჩნდებიან მბჟუტავ სინათლეზე. გამოჩნდებიან და ისევ უჩინარდებიან ღამეში. ამ სინათლეზე ჩანს, როგორ წამოუქროლებს მშვიდად ქარი და შეარხევს თოვლის ფარდას. მძივები ირიბად, თითქმის ჰორიზონტალურად გარეკა სიბნელეში. ფანტელი აირია, დაბზრიალდა ნათურის ირგვლივ, აირევა, მაგრამ ისევ მალე დაწყნარდება. ჩამოეკიდა სინათლის კიდეს და მშვიდად განაგრძო დაფენა სიბნელეში. ქარს სძინავს ჯერაც. სინათლის მკრთალ ზედაპირზე, ბოძის ძირში შემობლაძუნდა საბელაწყვეტილი ძაღლი, გადაიარა განათებული არე და სიბნელეში გადაიკარგა. მხოლოდ ერთი წამით გამოჩნდა მის თვალწინ გრძელი, ტანზე ჩამოძონძილი სველი ბალანი და დაფიფქული ზოლი ზურგზე.

ის დგას ფანჯარასთან. იქ, ფანჯრის იქით მსხვილი ფანტელებით მოიპნევა ციდან თეთრი მდუმარება. რბილად, შეუხებლად ეფინება სითეთრე მინას. ქალაქი ჩაიბურა. მისი მზერა იტაცებს ეზოს თავზე დაკიდებული მარტოხელა ნათურის ბჟუტვას. მუდმივი თოვლი. რა არის იგი? განცდა უკვე მყოფის? და დაკარგულის სამუდამოდ? მუდმივი თოვლი. jamais être. როგორც თოვლის ფანტელები სევდიანად ავსებენ ჰაერს... რა იყო ეს? არასოდეს მყოფი... საუკუნო სიმშვიდე... jamais être.... თეთრი თოვლი თეთრ სიცივეს თოვლის საბნად წააფარებს დედამიწას... თუ სუდარად... დაუძლეველი მოდალობა... იყო კი ოდესმე? ღმერთის ფიქრებად დაფენილი თეთრი ფანტელი... შენ სთქვი! სიჩუმე... სიმშვიდე...; არა! არა! არა!... რამეთუ არა უწყიან, რასა იქმოდინ...

– ითოვებს ალბათ, გათოვდება.

ის უძრავად მისჩერებია ათოვლილ გარემოს. არც ერთი ნაკვთი არ ექანება მის სახეზე. მხოლოდ ქუთუთოები უკრთის იშვიათად და საფეთქლებთან ამობურცული ძარღვების გამალებულ ფეთქვაზე გრძნობ, რომ ის ცოცხალია. მისი სხეული თანაბრად ეყრდნობა ფეხებს, რომლებიც უგრძნობლად მისჩერებიან ფეხსაცმელების მომრგვალებული, გაცვეთილი ცხვირებით კედლის ძირს. ფანჯრის ქვევით მიმაგრებული ცენტრალური გათბობის მილების დაბლა. ესაა შავი, საკმაოდ შელახული, მაგრამ ნმენდისაგან აპრიალებული მაღალყელი-

ანი ფეხსაცმელი, რომლის ქუსლებზე კრთის კაშკაშა სინათლის ანარეკლი. ბოლომდე საგანგებოდ გამონასკვული თამასები დაფარულია შარვლით. სწორი, კარგად ჩაუთავებული, კოხტად გატეხილი ხაზი ლამაზად დაჰყვება ვიწრო, ბოლოსაკენ ოდნავ შეფართოებულ ტოტებს. ამ ხაზის გასწვრივ შარვალს რუხი ზოლები დაჰყვება. ორი ფართო და მათ შორის რამდენიმე ვიწრო. ისინი ხაზს უსვამენ მის ხმელ წვივებს. მუხლის თავები დაფარულია პალტოს შავი, მძიმე კალთებით. ისინი მჭიდროდ ეკვრიან მის თეძოებს. ზურგზე, პალტოს შავი მსხვილად ჩაკერილი ნაკეცი აქვს, რომელიც წელთან ფართოვდება. წელზე დამაგრებულია ფართო ქამარი. ქამრის ქვევით პალტო ჩაჭრილია, ხოლო ჭრილის ძირში, მარჯვენა კალთაზე დაკერებულია ოთხი ღილი. მისი ხელები მშვიდად აწყვია ჯიბეში, რის გამოც ჯიბეები გამობერილია, ხოლო სახელოები ამოკეცილი. როგორც ჩანს, ეს მისი ჩვევაა, რადგან ჯიბის პირები საკმაოდ გაცრეცილია, შექონილი და აპრიალებული. პალტო სამივე ღილზეა შეკრული. საყელოში ჩაფენილი ბუმბულა, წითელი ფერის კაშნე მსხვილი ყვითელი უჯრედებით. თბილად შემოხვეული ყელზე. იგი თავს ოდნავ ხრის და ნიკაპს ითბობს ხანდახან. დროდადრო თვალებს ხუჭავს და თითქოს სრულიად წყვეტს სუნთქვას. ხოლო როდესაც ისევ ალებს თვალებს, მისი მზერა ცდება ფანჯრის მინებში არეკლილ ოთახს და იჭრება ჩამოთოვლილ გარემოში, რომელიც, აქა-იქ, მბჟუტავი ნათურების ნარინჯისფერი სინათლითაა განათებული. ამ სინათლეზე ნელა ირევიან თოვლის ფანტელები და თრთიან ხის ტოტებზე შეცივნული ბელურები. ისევ განუწყვეტლივ თოვს. ის დგას ფანჯარასთან. მათ ორივეს უნდოდათ, დაემტკიცებინათ ერთმანეთისათვის დაუმტკიცებელი... სასიკვდილოდ ხელჩაკიდებულები... დღე დღეზე... ახლაც. დაბალი, მშვიდი და ნერვიული ხმით... როგორ ახერხებს ამას? თვალები უბრდღვიალებს მაინც... „Jamais être... ცვალებადობის მდინარება. ვგრძნობ კი დროის ცვლას? მის მდინარებას, თუ ის არ არსებობს? და მე განვსაზღვრავ მის არსებობას? როგორ უნდა ვიგრძნო? რამ უნდა მაიძულოს, რომ ვიგრძნო მისი განვლა? ცვალებადობამ? ისევ ხმები...

თუ ძაღლი ყმუის?.. ბავშვია? ის. გადაულახავი მოდალობა... დაუძლეველი. პრაფორმა... თვისება მისი. ესაა განსხვავება: წარსული – აწმყო – მომავალი. დროის სვლის მიმართება. ვინ დაამტკიცებს, რომ იყო თავისთავად განსხვავდება იმისაგან, რაც იქნება... ამაოება – ამაოთა... არარა არს ახალი მზისა ქუეშე... მთვარისა... სახურავისა... მაგრამ ჩემ გარეშე. როდესაც დგება ეს იქნება, იგი უკვე აღარ არის მომავალი... იგი არის! იყო – აღარ არსებობს. და არც მისი არსებობის აღქმის შესაძლებლობა მოიპოვება, ჩემ გარეშე... მას აღარა აქვს არც სახე, არც არსებობა. არც დრო. არც სივრცე. ის გაქრა და მასთან ერთად ის დრო და სივრცე, რომელიც მას ეკავა... მომავალ წარსულში და წარსულ მომავალში..."

„შენ რას იტყვი ამაზე?"

„მე? ეს მე არ მეხება... – მხრების აჩეჩვით, – ისევ თქვენ გადაწყვიტეთ... მე მოგისმენთ..."

ის ზურგით მიეყრდნო კედელს.

„პროფორმა. გაქრა? ყოველივე შესაძლებელია... არა... ახლა არა. ის არ ქრება... მხოლოდ მდინარებს, ცვალებადი... განუსაზღვრელი მოდალობის ცვალებადი არსება... აი, ის, ჩემ უკან... დაფიქსირებული მომენტი დროის. ის რჩება. ყველაფერი სხვა მიექანება დაუსრულებელ გატაცებაში... ასევე ფიქსირდება ჩემშიც ეს მომენტი... მაგრამ თვითონ იგი უკვე აღარ არის... მე ვგრძნობ ამას... ის წავიდა... მაგრამ აღიქვამს კი ფსიქიკა დროს? თუ ესეც მხოლოდ ერთი დაშვებაა... გადაადგილება არსებობის... რა განსაზღვრავს იმ მონაკვეთს, ჩასახვასა და დაბადებას შორის... არაფერი ისმის... ტანჯვაში ნაბადები... პროფორმა ფორმათა. სული სულთ. არსი არსთა. Tempo est ipsa memoria, რამეთუ თუ მე გიპოვე შენ – ღმერთი – ჩემი მეხსიერების გარეშე, მე ხომ არ მეხსომები შენ... Anima est ipsa memoria, წარსული შერჩენილი მეხსიერების კუნჭულებში მარადისობისა და მხოლოდ იქ, მეხსიერებაში იხსნება ჩვენი ნამდვილი სახე... მაგრამ როგორღა გიპოვი, თუ არ მეხსომები დროში გარდასული... მე ვარსებობ, მე მახსოვს, მე ვარ სული... მე ვარ დრო... Anima est ipso tempo."

იგი მდუმარედ ჩაჰყურებს ფეხებშორის ჩახაზულ რომბის კიდეებს ოთახის შუაგულში. გავარვარებული ნათურის ქვეშ... ათი წუთიც არ იქნება გასული, რაც აიყვანეს. რამდენ ხანს გრძელდება ყოველივე ეს? ელასტიური სუბსტანცია გალღვენთილი სივრცეში მცოცავი მოძრაობით. მან მიიტანა თავი უფრო ახლოს და მიადო შუშა. ქარმა იმატა. გაყვითლებული ფოთლები ფრიალებდნენ ეზოს თავზე და შრიალით მიიხვეტებოდნენ ქვაფენილზე. წვიმის წვეთები მხიარულად ჩქმეტდნენ გუბეებს უსწორმასწოროდ დაგებულ ასფალტზე და წვრილ ნიაღვრებად სერავდნენ ფანჯრის მინებს. თვალის კიდეში ის ხედავდა მოპირდაპირე კედელს და მოშტერებული ექიმის გულშიჩამწვდომ, ნაღვლიან მზერას, მაგრამ ახლა აღარ უნდოდა, გაესწორებინა მისთვის თვალი და უყურებდა ცას, რომელზედაც ნელა მიცურავდა მთვარე ღრუბლების თხელი ფენის ქვეშ, რაც მის მოძრაობას კიდევ უფრო ხილულს ხდიდა. ხოლო ალაგ, სადაც ღრუბლების საფარი წყდებოდა, მთვარე უეცრად შეშდებოდა და შეყინული მზერით დასცქეროდა ქუჩაში მოწანწალე საბელაწყვეტილ ძაღლს, რომელიც ქვაფენილის შუაგულ თეთრ ზოლს მიჰყვებოდა ლასლასით. ძაღლმა ნელა გადასერა ქუჩა და მწვანედ აბიბინებულ გაზონში შევიდა. საბელი წამოედო ბუჩქს. ძაღლმა გაკვირვებით მოხედა და უეცრად აღშფოთებულმა შეჰღრინა. მერე მძლავრად გაიქაჩა და თავი გაითავისუფლა. უცებვე ჩაქრა. ნახევრადმძინარე ბუნძულით დაუყვა მობიბინე გაზონს. მერე შესაფერისი ბუჩქი მოძებნა და ძალუმად მიაფსა. ფეხები გაიწმინდა და განაგრძო გზა. ცხელოდა. ბელურები ჟრიალით გადადიოდნენ ერთი ხიდან მეორეზე და წამით ყუჩდებოდნენ, რათა იმწამსვე აჟრიალებულიყვნენ მწვანე ფოთლებში. მან საყელო შეიხსნა. თოვლი კრაჭუნობდა ფეხქვეშ და იგი სიამოვნებით უგდებდა ყურს მოცარიელებულ ღამეში მოჭრაჭუნე ფეხის ხმას. ნაკვალევი ადნობდა ასფალტს და ისევ სწრაფად ივსებოდა ნაბარდნი ფანტელით. თოვლის ფიფქების მოფარფატე ნისლში ყვითლად ბჟუტავდნენ აქა-იქ შემორჩენილი ნათურები. ძაღლი მიუახლოვდა განმარტოებული შენობის შესასვლელს და კიბეებთან ჩაცუცქდა. თავი

თათებზე დაიდო და გაყუჩდა. ქვევიდან სითბო ამოდიოდა. ძაღლმა თვალები მილულა და ჩათვლიმა.

მან გაახილა თვალი. რა აიძულებს მას შეუცნობელის ზღვარზე ხეტიალს? რატომ არ მოეშვება ყოველივეს და არ იფიქრებს იმ ერთზე, რაც მოსვენებას არ აძლევს მის დაღლილ სხეულს, რომელიც მიერეკება მას ერთი მდგომარეობიდან მეორეში პატარა ცარიელ ოთახში, ერთი ფანჯრითა და ორი კარით. იგი განაგრძობდა ჯდომას ერთ ადგილას მარტოხელა სკამზე, კედლისპირს, ქარსა და სიცივეში კარს უკან, რომელსაც მთელი ტანით გრძნობს უკვე. თვალმიპყრობილი ფანჯრის შეუვალ ჩაშავებულ ღრმულებს, რომელშიც ანარეკლად მოჩანდა თვითონ და კედელი მის ზურგს უკან, ყურადსაღები პლაკატებით. და ის კარგავდა ზღვარს... მიჩერებული თავისთავს იქ, ფანჯრის იქით და ვერ გაერკვია, სად იმყოფებოდა ახლა... რომელი იყო უფრო ნამდვილი: ის, რომელიც მარტო ზის ეზოს თავზე დაკიდებული ნათურის მქრთალ სინათლეში, თუ აქ, პირისპირ, ფიქრისაგან ამძიმებული თავით და აგრძნობილი სხეულით. ვინ ატრიალებს გამუდმებით ამ კითხვებს, რომლებზედაც მან მოულოდნელად დაკარგა პასუხი. დაკარგა უეცრად, რადგანაც აქამდე დარწმუნებული იყო, რომ იცოდა... არც არასოდეს უფიქრია მათზე... ყველაფერი უკვე ნაფიქრი იყო მის მაგივრად... სამსახურებრივი მოვალეობითაც კი... და ახლაც შემთხვევით გაახსენდა მათი კამათი და აეკვიატა თავში, ხოლო ახლა აღარც უნდოდა გაერკვია ამ შემთხვევის მიზეზი, შემთხვევას თუ მიზეზი შეიძლება ჰქონდეს...

ან, იქნებ, ეს არც იყო შემთხვევითი!?. მაშინ...

ის იჯდა და ფიქრში შეუმჩნევლად უახლოვდებოდა იმ სფეროს, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში მიუწვდომლად თვლიდა თავისი გონებისათვის, თავისი შესაძლებლობებისათვის, თავისი უფლებისათვის... მის მაგივრად უკვე ნაფიქრის და პასუხგაცემულის სფეროს... ან კი ჰქონდა მას ნება, შეჭრილიყო მასში და შეეტანა თავისი გაურკვევლობა? ან კი, რა იცოდა მან ამ ნების შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა მის მოძრაობას დროსა და სივრცეში? შემთხვევითობის მო-

დიფიკაციები. აქაც, როგორც იქ! არა, არა, მხოლოდ იქ არა, იმაზე არა, გაუძლურებული რაინდი... ჰო და არა.

მან გამოსწია სახე ფანჯრიდან. მცირე ხნის შემდეგ, – გაიფიქრა მან, – რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მარადიული დროისათვის და მხოლოდ აქ, ახლა, მისთვის იყო გადამწყვეტი, და კიდევ ვიღაცისათვის, შენთვის, შესაძლოა, ეს დრო, ეს ხანი, ეს წერტილი, შენთვის, რადგან მარადიულობაში ჩემი-შენი-სხვისი ერთად იყრის თავს, ერთარსად, რომელსაც ყოველმხრივი მიმართულება აქვს მხოლოდ, პროფორმა, არსი არსთა, მე-შენ-ის, იგი უკვე ფიქრობდა იმ ნების შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა ყოველივეს და შემთხვევითობის საფარს ამოფარებული შეუნელებელი ძალით მიაქანებდა მას უძირო სიღრმეებში თავჩაკიდულს.

„მამაო ჩუენო... რომელი ხარ ცათა შინა და მიწასა ზედა და ყოვლად... იყავნ ნება შენი... რამეთუ პურსა არსობისასა მომცემ შენ... ნება შენი... მაგრამ მე თუ მინდა? ახლა, აქ, ამ, საკრალური ღამის წყვდიადში გავანათო გზა ჩემი და გავცდე ამ საზღვრებს და მივეგებო ამომავალ მზეს, ნაცვლად იმისა, რომ ველოდო ზარს ჩემი საცხოვრებისო მიზნებისა... მამა ჩვენო... ნება შენი... ვინ განმიწესა მე ეს მიზანი... ვინ მომართა ჩემი ზამბარა იმგვარად, რომ ველარავითარ წინააღმდეგობას ვერ ვუწევ მის სწრაფვას. მამაო ჩვენო... ვინ აძლევს ძალას მას? დროის მსვლელობა? მისი ნება? შენი ნება? ჩემი უნებობა? იყავნ ნება შენი და არა ჩემი. შენ და არა მე. შენ... შენ... შენ... და ამ შენობაში მოიპოვებს ადამიანი სრულ თავისუფლებას, სრულ ბედნიერებას, სრულ განწმენდას..."

გიორგიმ თავი ასწია. ის მიბრუნდა ფანჯრისაკენ და რამდენიმე მძიმე ნაბიჯი გადადგა. წმინდა ღამე. ასეთი ღამე, სავსე გამოუცნობი იდუმალებით, იშვიათად ეფინება მიწას. ცა იბურება, მძიმდება და წამიერი გარინდების შემდეგ იღვრება თოვლის დაუსრულებელ ნიაღვრად. თოვლის ფართო, მსუბუქი ფანტელები ბზრიალით ეშვებიან ჩამობარდნილ ღამეში. თოვლი ედება მიწას, სახლებს, ხეებს, ქვაფენილსა და ბაღებს. ამ ღამეში ადამიანის ჭაჭანება არ ჩანს. ყველა სახლში შეყუჟულა, ისევე როგორც მე, თბილად, საბანში გახვეულებს მიგ-

ვიცია ძილისათვის თავი, ჩავძირულვართ არაცნობიერის გამოუვალ ლაბირინთებში. ცარიელია ქალაქი. და ამ ღამეში შენ, მარტოხელა მგზავრი შემორჩენილი ქუჩებს, ერთადერთი შემაკავშირებელი წერტილი ათეთრებული, ამოძრავებული მდუმარებისა და სიბნელეში ჩაწოლილი ქალაქისა, ჩუმი, მიცემული შენს ფიქრებს, მიიპარები მკრთალად განათებულ ქუჩაში. თოვლი ედება შენს სხეულს, სახეს, ცდილობს, შეაღწიოს შიგნით, სახეს გიწიწკნის, მაგრამ შენ არ თმობ, საყელოაწეული, თავჩარგული და შეფუთვნილი ცდილობ, გასცილდე აქაურობას, არ დაარღვიო ირგვლივ ჩამოდენილი სიმშვიდე. თოვს. ხეივნები, სახლები და ქუჩები გაოცებულნი მისჩერებიან ღამეს. არავითარი მოძრაობა. სიჩუმეს მოუცავს ქალაქი. მბჟუტავი სანათები სხივებს იკრეფენ, არე ესაზღვრებათ და ველარ ატანენ თოვლის შეუვალ ფარდას, რომელიც ყოველი მხრიდან ადგება გარს, ეფარება და საზღვრავს მათ გარემოსაგან. ეს სხივდაკარგული წერტილები ყვითლად ბჟუტავენ მუქად ჩალურჯებულ ღამეში, რომელიც იისფერ შარავანდედად ერტყმის მათ. თოვლის ფანტელი ტრიალებს ნარინჯოვან სინათლეზე. სიბნელიდან ჩამოდენილი ზედ ადნება ნათურის ზედაპირს, ფრთებს აწვავს და არეული სიბნელეში უჩინარდება. ქუჩის სწორ, შუაში ოდნავ ამობურცულ ზედაპირს ეგება თოვლი. წამიერად ქარის ნელი ტალღა უჩვეულო სიმშვიდით გადაივლის ღამეში, ოდნავ შეარხევს თოვლის მძივებს, გზას აუბნევს, მაგრამ ისე სწრაფად სწორდება ყოველივე, თავის პირვანდელ სახეს უბრუნდება მდუმარედ, უძრავი, ქარს სძინავს ჯერაც. აქა, იქ, მაღაზიების ვიტრინებთან გამოფენილი სინათლის კიდეში, კედლის პირად, თბილ ტყაპუჭში გახვეული დარაჯები, ჩამოთოვლილი ულვაშებით, მშვიდად თვლემენ პატარა კოცონის ირგვლივ, რომლის მოციმციმე ალი ჩრდილივით ედება ფიფქებსა და მათ სხეულს. ისინი ფხიზლობენ მთელი ღამის განმავლობაში, სხედან გაუნძრევლად ქუთუთოებდამძიმებულები. ნათურების მკრთალი სინათლე ეხება ღამის ზედაპირს. სადღაც მანქანის გრძელი დაუსაბამო კვალი გაკვეთს ხელშეუხებ საფარს, მაგრამ ისიც სწრაფად უჩინარდება, იბარდნება და ქრება შეუწყვეტი თოვ-

ლის ქვეშ. ბარდნის. ფანჯრების განათებულ ზედაპირზე პრიალებს შემდნარი ფიფქის ჩამონაღვარი. ტოტებგაფარჩხულ, შემოძარცვულ ხეებში მოიპნევა თოვლი. ზანტი ჩრდილებივით ეკიდება, მიცურავს ზედ. გარინდულ, საცოდავად მიყუჟულ ბელურებს სიცივისაგან ათრთოლებული სხეულები კიდევ უფრო უპატარავდებათ თოვლის თხელი საბნის ქვეშ. მარტოხელა მგზავრის ნაკვალევი თანდათან უჩინარდება. მკრთალი სინათლე ერთგვარ ინტიმს გიქმნის გზის გასწვრივ. და ამ სინათლეში ჩამობნეული თოვლი გისაზღვრავს ყოველ ადგილს, გამოყოფს მას, ამ ადგილს, სადაც დგახარ, სადაც გადიხარ, სხვა ადგილებისაგან, სადაც სხვა მარტოხელა მგზავრები დგანან. გადიან, მიიპარებიან... აბუზულები, ჯიბეებში ხელებჩაწყობილები. ჩაგდებული თავით და ნახევრადმოხუჭული თვალებით. მან თვალი გაახილა. მამაო ჩვენო... ჩურჩულებდნენ ტუჩები. მამაო ჩვენო... მამაო ჩვენო ნებისაო... ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე... შენითა ნებითა და შენი განგებითა მივდივარ ახლა მე... არ მინდა და მაინც მივდივარ. არ მინდა თუ მინდა? შეიძლება, რომ მინდოდეს რაიმე? მაქვს ნება? რა განსაზღვრავს ამ მინდას? შენი ნება? ნება? რა არის ნება? ის, რასაც უნდა? მაგრამ რა? არსებობა? სიცოცხლე? ყოფნა? საიდან მოდის იგი? რაში ვლინდება? საიდან ვიგებ მე, რომ ნებით ვიმოქმედე? ჩემი ნებით? ან, იქნებ, არც როდეს ვმოქმედობ ჩემი ნებით? და ეს ყოველივე ილუზიაა. მოჩვენება, სიზმარი შექმნილი შენი ნებით, მამავ ძვირფასო, შენს ნებაზე დამყარებული ათინათი შენი სიზმრებისა, რომელი ხარ ცათა შინა და ქვეყანასა ზედა... ეზოში, ნაძვის უკან წამოიმართა ნამძინარევი ძაღლის ვეება ლანდი. გაიზმორა, ბალანი დაიფერთხა და შეჰყმუვლა ამოგორებულ მთვარეს. მან ინსტინქტურად დახედა საათს. ოთხის ნახევარია. ნეტა რა ხდება ახლა ზევით? ძაღლმა ისევ შეჰყმუვლა ღამეს. თავის წინაპრებს უხმობს. მთვარეული სევდა თავისუფლების, ტყის, ხაროსი. მან რამდენჯერმე უმიზნოდ შემოუარა ნაძვს, მერე ფანჯარას მოჰხედა დაკვირვებით და გასასვლელისაკენ დაიძრა. ნება?! არს აღრჩევა ერთისა რისამე მრავალთა მათგან მოგონებათა კეთილთა, გინა ბოროტისა.

ნებანი სამად განიყოფებიან: ერთი იგი ხორციელებრივი, რომელი-იგი ნაყროვანებისა და გემოთმოყვარეობისა, საშუალ არს ერთისა მის უმაღლესი; ხოლო მეორისა ვერ სრულიად და წმიდად მისაწვდომელ, ხოლო მესამისა სულიერად, რომელთა შორის სისრულე იხილვების სრულიად საღმრთოსა მოქალაქეობისა... დააბრუნეთ წიგნი დროზე! ციტატმცოდნეობა... დეკლამაციები... განუმარტავია! რა არის იგი? ისევ საიდუმლო პრინციპი, მიუწვდომელი ჩვენთვის: უცნობი მატერია და უცნობი სული ქმნიან ერთსა და იმავე მყოფობას: აბსოლუტურ ნებას, რომელიც ყოველივეს ქმნის. შენ ცხოვრებასაც. ეს საინტერესოა, – ამბობს ის, – შეგიძლია სთქვა, რომ თუ არსებობა უძრავია სივრცული დროის მიმართ, იგი მაინც იმყოფება მოძრაობაში ამ განუყოფელი, ტოტალური ნებისადმი, რომელიც შენს ცხოვრებას ქმნის და განაგებს... ფრთხილად შეარჩიე სიტყვები. ტყუილად არ დამიჯერე! მაშასადამე, ნება ყოფილა არსებობის, რეალობის, სამყაროს მეხუთე განზომილება და ანუ უპირველესიც?! და ნება და დრო ერთმანეთს თანხვდებიან. აი, ახსნა! ნება საზღვრავს დროს, მის მიმართებას, მის სასრულობას. ხოლო უსასრულობაში და მარადისობაში თვით ნება იქცევა დროის გამოვლინებად. მის არსად. მაგრამ თქვენ ამას ვერასოდეს გაიგებთ... აქ უკვე მან თავი ველარ შეიკავა... რატომ არ დამიჯერე მაშინ... მე ხომ განიშნებდი, ხომ გიყვიროდი მდუმარედ, შიგნით, რომ ენა შენი მახვილია მისი! მაგრამ შენ გაიჭერი გაშლილ მინდორზე სიზმრებული თავისუფლებისა, როგორც საბელაწყვეტილი ძაღლი, დადევნებული ფაფარაშლილ ცხენებს?! ვის შეუძლია, გაიძულოს შენ, მე, ის, იცოდე ის, რაც შენ არ გინდა? გინდოდეს ის, რაც შენ არ გინდა? აკეთო ის, რაც შენ არ გინდა? სთქვით! – ყვიროდა ის, – შეუძლია ვინმეს, გაიძულოს? – შეუძლია... შეუძლია... შეუძლია! რადგან მემუქრება წამებით, გადასახლებით, დაჭერით, სიკვდილით... – ხა-ხა-ხა, – გადაიხარხარე შენ, – თავისუფლების აღკვეთით და სიკვდილით... სი – კვდ – ილი – თ! და მაიძულებს... სიცოცხლეს მოგისპობ! – იმდენად არ გაშინებს კაცს, რამდენადაც: სიცოცხლეს გაგიმწარებ! აქ შენ, იობო, გაშმაგებული საბელაწყვეტილი ძაღლივით ეძგე-

რე მას და მე ვერ მოვასწარი შენი შეჩერება, რადგან უკვე გაოგნებული ვიყავი, ნებაგამოცლილი და ფაქტობრივად აღარ ჰქონდა მნიშვნელობა შენს შემდგომ გამოხტომებს, რადგან უკვე მიუწვდომელი იყავი ყველასათვის... განთავისუფლებული... შიში! შიში! შიში! აი, ის ზღვარი, რომელსაც ვერ გადავდივართ ჩვენ... ვერც ვუახლოვდებით... ვერც ვეკარებით... ჩვენი ნებით! შიში წამების... სიკვდილის... დროის... რომელიც გაიძულებს, მიენდო მას. არარაობას, შეეზილო ცხოვრებას მისეულ ყალიბში, მისეულად მოზელილი, რადგან შენ აღარ გაქვს ა ღ რ ჩ ე ვ ა ი! თავისუფალი, შენი ნების არჩევანი... და ამიტომაც არ აგებ პასუხს – ყოველივე ქმნილიო მოდის მისგან... მაგრამ, აბა, მითხარი? არის თუ არა შენ ხელთ უგულებელყოფა ამ წამებისა? სიკვდილისა? მონობისა? უარყო სიკვდილი თუნდაც სიკვდილით, მაგრამ შენ მიერ არჩეულით? თუ ესეც არ გეძლევა? რამეთუ არა შენი, არამედ მისი ნება იყავნ?! შეგიძლია? შეგიძლია? შეგიძლია? და თუ შესძელი, შეგეშინდება კვლავაც მისი? – არა, არა, არა! არის თუ არა შენ ხელთ, უარყო სიკვდილი? უგულებელყო სიკვდილი?! – არის! შენი ნება თავისუფალია! თავისუფალი! აღსდექ და წადი! იარე! შენ თავისუფალი ხარ!..

ძაღლმა კიდევ ერთხელ გამოსწია საბელს, ყალყზე შედგა და მძლავრი ნახტომით გაწყვიტა სუსტი რგოლი თავისუფლების შემბორკავი ჯაჭვებისა. მთელი ღამე ცდილობდა იგი, გაეთავისუფლებინა თავი, მაგრამ ამაოდ და, აი, უკანასკნელ ცდაზე მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა, მთელი თავისი ძალღური ენერგია და ნება ჩააქსოვა უკანასკნელ ნახტომში, დაიძაბა და დაქაჩა. საბელი ყელზე შემოეჭდო, სუნთქვა შეუკრა და გონება დაუბნელა. წამიც, და გაგუდული სამუდამოდ დაეკიდებოდა თავის ჯაჭვს, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად განსაზღვრა მისი თავგამოდება. ჯაჭვი გაწყდა. იგი რამდენჯერმე გადატრიალდა ყირამალა. საბელი ჯერ კიდევ უკრავდა სუნთქვას, მაგრამ თავისუფლების წამი უკვე დადგა და მისთვის ეს იყო მთავარი. კისერი დაძაბა. თავი რამდენჯერმე დაიქნია და კვანძი შეასუსტა. ახლა უკვე შეეძლო, თავისუფლად ესუნთქა და ემოძრავა. მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა

კარების საპირისპიროდ, თითქოს ამოწმებსო მდგომარეობის სინამდვილეს, მერე ეზოს თვალი მოავლო და ბუნძულით გამოვიდა ქუჩაში. მხოლოდ ახლა შეიგრძნო, როგორ თბილოდა მოსაცდელში. სუსხმა ჩამოაკანრა სახის კანი და წამით სუნთქვა შეუკრა. ქარი სახეში სცემდა, მაგრამ მიმართულება მაინც არ შეიცვალა, მაინც იქითკენ განაგრძო გზა, საითკენაც ისინი მიდიოდნენ. მან იცოდა, რომ ასე უნდა დამთავრებულიყო ყოველივე. იცოდა ისიც, რომ ისინი დიდი ხანია, ელოდნენ შემთხვევას და იმანაც არ დააყოვნა. რატომღაც ყოველთვის ორნი მოდიან: ერთარსება ორება! ასე მოაკითხეს კ-ს, იმ დღეს, როდესაც დაიწყო მისი გაუთავებელი პროცესი და ბოლოს, როდესაც საჭირო გახდა განაჩენის სისრულეში მოყვანა. თავის დაღწევა სრულიად შეუძლებელია. მან იცოდა ეს და ამიტომაც, როგორც კი იგრძნო მათი სვლის მიმართულება, მორჩილად გაედევნა უკან. სულერთია, ისინი ჩემთან არიან გამოგზავნილები, ამიტომ ჯობია, შენით მიხვიდე, გამოიჩინო ინიციატივა და შეეცადო, არ გაურთულო საქმე. ჩათრევას ისევ ჩაყოლა სჯობია... ის არ განიცდის შიშს. მხოლოდ ზოგჯერ ფეხი უცურდებოდა მოსლიპულ თოვლზე და ძლივს იმაგრებდა თავს, რომ არ გაშხლართულიყო ქვაფენილზე. ადვილი სათქმელია: ადექი! წადი! შენი ნება თავისუფალი! აგორებული სიტყვების ნაზვავი! რა მოიგე ამით? აჰა, წავედი. მივდივარ. ვეწევი და მიმიხარია ჩემი თავისუფალი ნებით. აჰა, აი, ისინიც. მოდიან...

და ამ დროს ხდება სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. მოულოდნელად ძაღლი აიმართა მათ წინ და გაავებული ყეფით ეძგერა. მან ვერც კი მოახერხა კარგად გარკვევა მდგომარეობაში, მაგრამ თავის ფეხებთან მოსრიალე საბელს მოჰკრა თვალი და ფეხი დაადგა. ძაღლს ისევ შემოეჭდო კისერზე ყულფი და უკან დაქაჩა. ისინი შიშისაგან ფეხასხლეტილები დაგორდნენ მტვერში, ხოლო ძაღლმა მაინც შეძლო თავის განთავისუფლება, მაგრამ, ეტყობა, სიბრაზემ გადაუარა და წყნარი ძუნძულით აუარა მათ გვერდი ისეთი სიმშვიდით, რომ თვალიც კი არ ჰკიდა... ის შეეცადა, მიშველებოდა მათ, ხელი გაუწოდა და ტანისამოსის გაწმენდაში წაეხმარა. გმადლობთ,

ნუ შესწუხდებით, გმადლობთ, რატომ სწუხდებით, იმეორებდნენ ისინი. შემდეგ კი ხელი გაუყარეს ორივე მხრიდან, რომ ფეხი არ დასცდენოდა რომელიმეს, გზას არ ასცდენოდა ან არ დავარდნილიყო და გაუდგნენ გზას...

გიორგი საწოლზე გადაგორდა. ძილი არ ეკარებოდა თვალებს. ისევ ჩართო სინათლე სასთუმალთან, სიგარეტი აიღო, მოუკიდა და როდესაც კვამლის ბოლქვები აირია და გაიშალა ოთახის შუაგულში, სინათლე გამორთო.

ვინ არის ის სამი, ერთ არსებად ქცეული, მშვიდი საუბრით რომ მისეირნობს მთვარიან ღამეში? საით მიდიან ისინი? საიდან მოდიან? ამ ქარიან ღამეში რა აიძულებს მათ, იარონ გაუკვალავ ბილიკებზე? ერთი მათგანი მამაა... მ ა მ ა! ხოლო ის ორი კი მისი განუყრელი მეგობარი. მისი უცვლელი თანამგზავრები. ერთარსოვანი. ერთბუნებოვანი. ერთმანეთში ჩაფრენილები მილასლასებენ ისინი ტროტუარის კიდეში, სადაც შენობიდან გამოჟონილ სითბოს გაულღვია თოვლის საფარი და შავ ასფალტზე ფეხის მოკიდების შესაძლებლობა ეძლევათ. თოვლი ჯერ კიდევ განაგრძობს ბარდნას. თხელი, თეთრი მონასმით ეფინება მათ მხრებს, საყელოს, თმებს, რის გამოც ისინი სინათლის შუქზე მოხვეღრილები მკვეთრად ბზინავენ. აქა-იქ მიმობნეული ვარსკვლავები მშვიდად აფრქვევენ მოციმციმე სხივებს შეყინულ სივრცეს და ყოველნაირად უსვამენ ხაზს თავიანთ სრულ მიუკერძოებლობას ცისქვეშეთში მდინარე მოვლენებისადმი. საკრალური უინტერესობა. წმიდა ღამეში საიდუმლო გზით მიმავალი, ატაცებული ორივე მხრიდან უახლოვდებოდი შენ შენობას, რომლის აჩრდილი მკვეთრად იხაზებოდა მთვარის შუქზე, შენობას ამოფარებული რომ აცისკროვნებდა მას და, თითქოს, მის შიგნით არეკლილი უერთებოდა ვარსკვლავების შორეულ ციმციმს...

ეს გზა მას ყოველთვის იზიდავდა. ახლაც, მას მოეჩვენა, რომ სადღაც შორს აგუგუნდნენ ტაძრის ზარები. უკანასკნელ დროს იგი სულ უფრო და უფრო ხშირად ისმენდა ამ ხმებს, როდესაც, ჩაფიქრებული, ბრუნდებოდა სამსახურიდან. შემოდგომა და ზამთარი თითქოს არაფრით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. წვიმდა და ზღვის მხრიდან სველი

მოთბილო ქარი ქროდა გამუდმებით. ეს ქარი აშრიალებდა ფსევდოევკალიპტის გახუნებულ, ჟანგისფერ ფოთლებს მის ფეხქვეშ და იგი არასოდეს არ სწევდა თავს მაღლა, რათა დაეცვა სახე მარილიანი ქარისაგან. ასე თავჩაქინდრულს, თავის გაცრეცილ შავ პალტოში შეფუთვნილს ესმოდა ტაძრის ზარების გუგუნი. ახლა ის მიხვდა, ვის უხმობდნენ ეს ზარები. ამიტომაც გვიადვილდება სიარული, – გაიფიქრა მან და თავის თანამგზავრებს გადახედა. ესმით თუ არა მათაც ეს ხმები? მაგრამ მათ კეთილმომღიმარე სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და ისევ საყელოში ჩარგო თავი. რა თქმა უნდა, მან იცოდა, საითაც მიდიოდნენ ახლა, მაგრამ არ ელოდა მათგან ასეთ ყურადღებას.

– თქვენის ნებართვით, ჩვენ გადავწყვიტეთ, მცირე ხნით ზღვისპირზე გავიდეთ, თუ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო...

– სიამოვნებით... სიამოვნებით... სიამოვნებით... უნდოდა ეყვირა მას გახარებულს ამ სიკეთით, მაგრამ ხმა ჩაუწყდა უეცრად და აცრემლებული თვალები მიაპყრო მათ სახეგაბრწყინებულმა.

ვიდრე ისინი შეუხვევდნენ და გადაჭრიდნენ ქუჩას, კუთხიდან, ჯერ შავი ლანდი გამოჩნდა. მთვარის შუქზე ნელა გამოიკვეთა მისი მკვრივი, უსასრულოდ შავი სხეული, რომელიც მათკენ მოგორავდა. ლანდი ახლა სრულიად მატერიალურ საგნად იქცა. ისინი შედგნენ. მან მოასწრო, თვალი შეევლო მათი შეშინებული მზერისათვის, ვიდრე ისინი სახეს მიაბრუნებდნენ და გაქვავებულები დახუჭავდნენ თვალებს. ისიც შედგა. შავი მანქანა ნელა მოგორავდა მათკენ: დახურული ფანჯრები... ბოლომდე ღილებშეკრული მძღოლი, რომელსაც თავზე ტყავის ქუდი ეხურა ჩაჟინებულ მზერას არ აშორებდა გზას და მას მოეჩვენა, რომ თვითონ ამ გზის შუაში იდგა და ხელს უშლიდა მანქანის სვლას. მთვარის ყვითელი ათინათი მანქანის სახურავზე და კაპოტზე. მან რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან და გაიღიმა. მძღოლის მზერა არ განძრეულა. მანქანამ გაიარა გადასასვლელი და ძირს დაეშვა. ალმაცერ შუქზე მან დაინახა ისინი. მდუმარენი, ღილებშეკრულნი ყელამ-

დე. სახეკუშტი. მათ გაახილეს თვალები და ერთმანეთს გადახედეს. გადასასვლელს მთვარის მკრთალი შუქი ეფინებოდა. გაზაფხულის მშვიდი საღამო სუფევდა ირგვლივ. საკუთარი სუნთქვაც კი არ არღვევდა ამ სიჩუმეს. მან დაინახა, როგორ აენთო მათი მზერა სიხარულით და მიხვდა, რომ გზა უნდა გაეგრძო. მთვარის შუქი მიეფარა ხის კენწეროს და მათ კვლავინდებურად ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს, რომ გზა არ არეოდათ და ერთმანეთი არ დაჰკარგოდათ. შავი M-1-ის წითელი შუქნიშნები თანდათან მკრთალდებოდა და ერთვოდა ღამის სიშავეს ქუჩის დასალიერში. მათ გადაიარეს ქუჩა და შენობის კარიბჭისაკენ გაეშურნენ. გამვლელებმა მოძრაობა შეანელეს და შედგნენ. მდუმარედ. უმეტყველო სახეებით. მზერადახრილები აცილებდნენ მას შენობისაკენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც გვერდით ჩაუარეს მას, მან გაიგონა ჩუმი ხმა. იგი ზუზუნით მღეროდა და ის მიხვდა, რომ ეს სიმღერა მას ეკუთვნოდა. ხმა არც მატულობდა და არც იკლებდა. ერთ დონეზე იყო შეჩერებული და ნელა მიიწევდა შენობისაკენ მასთან ერთად. ხოლო ვიდრე შესასვლელთან შედგებოდნენ, მან ისევ მოაბრუნა თავი. ისინი ისევე უხმოდ განაგრძობდნენ გზას. საყელოაწეულები. აბუზულები. მიჰყვებოდნენ ქუჩის კიდეს და მას შეეცოდა ისინი. კისერი წაიგრძელა და საწყალობლად შეჰყმუვლა. ისინი კარიბჭესთან დგანან. თოვს.

„ფრთხილად იარეთ, ზვავსაშიში ზოლია აქ."

მარჯვნივ ნაპრალია. მარცხნივ უფსკრული. ცა თოვლად ჩამოდის. ჰაერი ქარად იქცა. სხეულისაგან გამოცემული სითბო ასველებს საცვლებს. თუ არ იმოძრავე, ყინულის ჯერ თხელ აპკში, მერე – ამოშენდები, ამოიქოლები საკუთარი სითბოს ყინულის კედლით. როდესაც ფეხს თოვლში ჩაყოფ, ვერ გრძნობ სიცივეს. ერთხანს. ბაწარს თუ ხელი გაუშვი, კაცმა არ იცის, რა მოხდება: შენ გადავარდები, თუ ისინი მიგატოვებენ. თუ ზვავი წამოვიდა, – გათავდა. ზვავთან ზავი დაზვავებით თავდება. ელაპარაკე ზვავს: იცის, რატომ მოდის, საით მოდის, ვინ არის თვითონ, ვინ ხარ შენ, რა უნდა მას, რა გინდა შენ, რა უნდა მათ...

რა უნდათ მათ?

გიორგიმ თვალი გაახილა. ბუზი, რომელიც ყურებთან უბზუოდა, ქუთუთოზე აჯდა. ეს იყო და ეს. აღარ დამეძინება, გაიფიქრა მან და სინათლე ჩართო. ბუზი აფრინდა, ორიოდ ნაგლეჯი ჩამოახია სივრცეს მის თავზე და ბალიშზე გადაჯდა. რა უნდათ ამათ? თვალს არ აცილებდა ბუზს. ხელი გააპარა. და იმ მომენტში, როდესაც ბუზი აფრენას აპირებდა, მთელი ძალით დააცხრა მას.

სუნთქვა გაჭირდა. ბილიკი თანდათან დავიწროვდა ჯერ, მერე თანდათანვე აყირავდა და კლდეს შეაღოღდა. წვიმს გაუთავებლად. ფეხზე დგომა შეუძლებელი გახდა და სამივემ თითქოს ერთდროულად დაიწყეს ფორთხვა: ერთი რომ გაფორთხდებოდა წინ, ორნი ელოდებოდნენ: შემდეგ თვითონაც მიიწევდნენ. მცხუნვარე მზის ქვეშ გახვითქულები ბობღავდნენ შეუვალ ბილიკებზე, ნელა. მძიმედ. გზაზე დამდგარი. ხვატი ანელებდა მათ სწრაფვას, ხოლო როდესაც წინარეს ფეხი დაუსხლტა და ქვემორეს დააგორდა თავზე და წაილეკა, მან იგრძნო, გაიგონა, დაინახა და მიხვდა იგი, რომ წამოუბერა მტვრიანმა ნიავმა? ქარმა? გრიგალმა? ქარბორბალამ? ზენაქარმა? ქვენაქარმა? სიომ და აზილა ისინი ერთმანეთში და ის მიხვდა, რომ ახლა მთავარი იყო, მაგრად ჩაეჭიდათ ხელი ერთმანეთისათვის, მხარი მიეცათ, დაეცვათ და გადაერჩინათ. სამთა ერთიანობა, ერთება, ერთობა, ერობა იდგა უდრეკად, ვითარცა ბებერი მუხა, რომელსაც გონდაკარგულმა შეავლო კიდეც თვალი, მოსახვევს იქით. ამ ტოტებგადაყრილ მუხას მიანარცხა ზვავმა ისინი, მიახეთქა გონდალეშილი მხსნელნი ურთიერთისა, გაჩხირა ტოტებშორის, წაცაილეკა, ჩაცალეკა, ჩაacaქანა, ჩაცაითრია... იგი ვერაფერს ხედავდა. გრძნობდა, რომ ვ ი ღ ა ც ჩაჰფრენოდა მთელის ძალით მკლავებში. პირი თოვლით ამოვსებოდა. ტანი უთრთის. თვალებიდან კი მდუმარედ მოიღვრება ცრემლის ნაკადული...

ხევისბერი დუმდა. უსინათლო თვალები მიეპყრო ხატის ბჭისათვის. ვიღაც ეხმიანებოდა შიგნიდან მისსავე ხმით მეტყველი დიდება ღმერთსა მადლი ღმერთსა ღმერთო გაუმარჯვე წმიდა გიორგის ლაშარისას დიდად სადიდებელსა ძვირად სახსენებელსა მუხის წვერის ანგელოზთა დიდად სა-

დიდებელსა ძვირად სახსენებელსა წმიდა გიორგი შენ შეგვე-
წიე შენ გეხვეწებიან სამსახურის მომლებნი თავი დაბლითა
გული მართლითა ნაშახევს გაუგონებდი ნაქადებს არ გიმ-
ტყუნიან შორს მყოფი ახლოს დაუხვიდე დაიცვი დაიფარე
ზვავისაგან წყლიდან სენიდგან სასჯლიდან ლალ მნარე სიკვ-
დილსა თავს თქვენ შეუქციდითა ზამთარ მშვიდობისა წაგვა-
რეთა ზაფხულ გამარჯვებისა მოგვარეთა ჯოხ აილონ ვახშამ
მისცითა სახელს სარგებლობას აუსუბუქიითა მტერთან ჭირს
ნუ დაუკარგავ სწორთა სამართალს მხარ-გუთანს წალმ წაგ-
ვარეთა ყანა-მკა მოგვარიითა ლონესა ქონესა უმატითა ცხვარ
ცხვრის მკრავს უმატითა პურსა და პურის მჭამელს უმატითა
დიდო ბედნიერო ანგელოზნო შენ გეხვეწებიან თავი დაბლით
გულის მართლითა მეშველი მწყალობელ არს თქვენი დიდე-
ბა ღმერთსა მადლი ღმერთსა ღმერთო გაუმარჯვე ღმერთსა
კვირიასაო ღმერთო გაუმარჯვე დღესა დღესინდელსა თქვენ
გეხვეწებით გევედრებით დიდო ღვთის შვილებო დიდად სადი-
დებელო ძვირად სახსენებელო თავის დაბლითა გულით მარ-
თლითა თქვენთვის შემოუწირავთ – სანთელ ზედაშეი თქვენს
მორიგე ღმერთს შესწირვიდითაო წყალობა გამოუთხოვითაო
ჯვარ დაუწერიდითაო კაცსა საქონსაო დიდსა და პატარა-
საო ორ ფეხსა ოთხფეხსა დეეშველენითა და დეეხმარებითაო
სადაც მოგხსენდებაო გაჭირვებულნი მთის ნაქარი ჭალას
ყირვან მოაშორებდითაო გაქლიბულ ისარ მოაშორებდითაო
გაქანებულ ცხენ მოაშორებდითაო ალვარებულ წყლას მოა-
შორებდითაო გეყმობითა გემსახურებითაო ცხვარს ცხვრის
კრავს მოუმატებდითაო ფურს ფურის ხბოს მოუმატებდითაო
ქალს ქალიშვილს მოუმატებდითაო წულს წულტოლს მოუმა-
ტებდითაო ოი თუხულ-თუხულ ნიგურ-გურგალ დუაბი ურ-
ბი ისურგეშ უბია გიშ დიშამ ხალუბ დიშამ გუ ქუგაქა დუაბი
უშუმგალამ ხუხუბ შამურანგალ ნუსიგიიგ ანთაეარა სილიმა
განაბიენ ანგალთა ქიგალშე გეშთუგანი ნანგუბ დინგირ ან-
გალთა ქიგალშე გეშთუგანი ნანგუბ გიერა შამუ ედენა ნამუნ-
მალ ნაგიგანა გაშან-ეანნამენ ენე ქურ ლუთილაშე გეშთუგანი
ნანგუბ ენე ქურ ლუთილაშე გეშთუგანი ნანგუბ ლუ ქასე ლუ-
გალა ხარანა გინა ნიბრუშე საგიგიმ ინიმბიდუგაბ დუმუ ედუ-

ბა უ ულამ მეშე იდუდენ ედებაშე იდუდენ იდუდენ ედებაშე უდ იმინ უდ უამ ბაზალაბა ლუგალმენ სათა ურსაგ მენ შულგმსენ ბათუდენათა ნითა ქალგამენ მუთინ შაგა მულუ ქიგა ხილიზუ ამზებამ დადამ ქუქუდა ქუგამ ინთუდ ქუგამ ინთუდ ნინე ქუგამ ინთუდ უ შუბალ აქადე გიშხურ ხალამედე უდე მარურუგიმ თეშბი იქუე უდე მარურუგიმ თეშბი იქუე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე ილოცე მუშ მინინგა ამაშანა ლილე

ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ურუ აშერგიგა ასერზუ გარა
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
აშერზუ გიგა ურუ ასერზე გარა
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ნინ ლუეხულათა ურუნი ირი ბანდინიბარ
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ნანარ ლუ ქალამ ბანდათილა ურიმე ანირა ბარ ბადანთაბ
ამე თურანა მუშ მინინგა ამათანა ლილე
უბა უდე ენ ბასიგსიგაბა
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ენლილე ულე გაბანდე უქუე შეაანშა
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
უ ხეგალა ქალამდა ბადანქარ უქუე შეაანშა
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
უბა უ ურუდა ბადალარ
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ურუბი დულდულუდა
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ამა ნინგალ ურუნა ნუერიმგიმ ბართა ბადაგუბ
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ლუ მუნუსე ირეხულანა გალგალბი მინიბა
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ნინ შაზე აგიმ დუმუ ზაე აგიმ ითილენ
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ნინგალ შაზუ აგიმ დუმუ ზაე აგიმ ითილენ
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
ე უდეუდე ურა მინიბრი

ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
უგალანქე უგუდუბდუბი
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
უ დამ ნუზუ უ შეშ ნუზუ
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
უდ ამა ნუზუ უდ აა ნუზუ
ამე თურანა მუშ მინინგა ამაშანა ლილე
უდ ულ ქალამ ქიგარათა ნანარ ლუ გუნა გირზე მუნდიბა
ნანარ ლუ გუნა გირზე მუნდიბა უდ ულ ქალამ ქიგართა
გიბილ აბქალ ქურა ილა ურსაგ დუმუ აბზუა ქურა ილა ოი
აბქალ ქურა ილა ოი აბქალ ამე თურანა მუშ მინინგა
ამაშანა ლილე ოი ამაშანა ლილე ოი ლილე ოი ლილე
ოი ლილე ისგვამ დიდაბინ დოშილე ოი ლილე
ოი ლილე დიდაბ დიდაბ თარგლეზერსი ოი ლილე
ოი ლილე ლეხგრელად ლიშედს გვიშგე ოი ლილე
ოი ლილე ჯოვ ლიგცშედა ყეუშ მიჩა ოი ლილე
ლიმზურ ჯარახ სგაშ ლალგენას ოი ლილე
ხანარ ჯირდახ სგაშ ლალგენას ოი ლილე
ოი ლილე მუჭვარ ხაგანხ შიდ ყორყოჯი ოი ლილე
იბურლველახ ზანგი ზალარ ოი ლილე
ოი ლილე ხუნვას ლაჩვარი ჯიყურდყხ ოი ლილე
ძრვიდილდ ძაცხიპ შიდ ვოქრეში ოი ლილე
ოი ლილე ქორგილდ ჯიგან შიდ შხეფშიში ოი ლილე ოი
ლილე ოი თურანა მუშ მიმიმგა ამასანა ლილე ოი ლილე
ოი ლილეო შენ უშველე შენ ნამებულთაო...

ზარის ნკარუნმა ნამით გამოარკვია ქურქში ჩაფუთვნილი დარაჯი. ზანტად მოავლო თვალი იქაურობას და მძიმედ შეუბრუნდა თვლემას. ხევისბერმა დროშა შეარხია და ზარები აანკარუნა. წვიმა აქრობდა სანთლებს. ფეხი სხლტებოდა მოლიპულ ბილიკზე, მაგრამ ხევისბერი დინჯად მიიკვლევდა გზას. ეს მისი გზაა. მისი არსობის ბილიკი. როგორ შეიძლება ფეხი დასხლტომოდა, ჩაჰბრუნებოდა, ჩასცდენოდა. ზარხოში აქავებდა მლოცველებს დაკიდებულ ბილიკზე. ზარის ნკრიალი შორდებოდა თანდათან და სიბნელე ნვებოდა ირგვლივ. ნვიმამ იმატა. ზარის ხმა გაქრა. შრიალებდნენ ხშირფოთლო-

ვანი მუხები, წვერშელოცვილები, შიბმობმულები, ფერშეცვლილები, გამხმარები, ტოტებშემოძარცვულები, ფოთოლჩამოყრილები, ჯაჭვგაწყვეტილები ულოცავ უანგელოზნი უწყალ უპატრონონი... მიწყდა ზარის ხმა, გაჩუმდა ზარი. საუკუნოდ. სა-უკუნოდ.

ს ა უ კ უ ნ ო დ გაჩუმდა. ძაღლი თარეშობდა ახლა სახატე ბჭესთან. ყმუოდა მშიერი და ღრღნიდა თავის შემოცვეთილ ჯაჭვს ყურშა და დაძუნძულებდა ნანგრევებს შორის... გზისმაძიებელი.

მინდვრის სურნელმა თავბრუ დაახვია. გრძელი საბელი სიცხისაგან დაზანტულ მცოცავივით მიიკლაკნებოდა გრილ მიწაზე ღეროთ შორის განთიადის ყვავილნარისა. ყველა ყვავილის სუნი იდგა ჰაერში და იგი ულონოდ ჩაემხო, ჩაცუცქდა, ჩაეფლო, ჩაეკონა მიწის გულისპირს. ღრმად ისუნთქეთ, ღრმად, წარმოსთქვეს მათ, მაგრამ არ შეყოვნებულან და ისევ დინჯად, მშვიდად წავიდნენ წინ. მზე გვირგვინს აქსოვდა მათ შევერცხლილ თავებს და ისინი კისკასით მიილეოდნენ მინდვრის დასალიერს, საიდანაც სიოს მალული შრიალი წამოეფინა ყვავილოვან ხალიჩას, ეპარებოდა თავწამობზეკილ გულმიფიცხებულ ყვავილებს და მოულოდნელად თავსნამომდგარი სიცილით წამოარტყამდა თავში. მიწას დაღვინებული მსუყე სუნი უდიოდა. ოფროფინო, ოფროფინო, ჩურჩულებდნენ მისი ტუჩები, ოფროფინო, ოფროფინო, მზემა შუუო, მზეო შუუო, აგორებდა ტანს მთვრალი რუმბივით და ნასიამოვნები ჩაჰლიმოდა მიწის ფესვებს და იზლაზნებოდა და მიიზანტებოდა თვალგაფიცხებული, ტანაჟღერებული, ველთა სივრცეში აცურვებული ნატეხი მარადისობისა. ზოგჯერ თავს სწევდა და ცვრიან ფოთლებს ეტმასნებოდა ცხელი ტუჩებით. სიგრილე ახელებდა. ბღუჯა-ბღუჯად გლეჯდა ყვავილებს მიწის საშოდან და სახეს ისრესდა. ქორი გაქვავდა მინდვრის თავზე. შედგა, შეჩერდა და თვალი დაუბრიალა. ფრთხიალით წამოქრიალდა მწყერჩიტა მწყერი ტოროლა ბულბული შაშვი შოშია შექვავდა მინდვრის ზედაპირზე და დარჩა ასე, მონუსხული არწივის სისხლიანი თვალით. სიკვდილო, მოკალ მარჯეკალი, სიკვდილო, იხსენ მარჯეკალი, მზეო, მიეც აქავანი, ოქროს გა-

დასაკრავანი, ათათ ბიჭო ბალახაო, თათა ბიჭო ბალახაო, ჟამ უჟამოს მავალაო, ქალავ, ქალავ, ჭრელთვალაო, ქალავ ჭრელსახელოანო, ქალავ ჭრელ თავშალიანო, არცა მინდა აკავანი, არცა გადასაკრავანი. ოქროს მოჭრელავს, ოქროს მოცელავს, ოქროს მოკონავს, გვირგვინად დაგადგამს, რქას გამოგაბამს, თეთრ გველს შეგახვედრებს, ოქროს კვერცხს დაგიდებს, მარგალიტის ჭუჭულს დაგიდებს, ოფროფინო, ოფროფინო, მზემა პირი გარმოხფინო, შუუ მზეო, ახე მზეო, შვილ მომიტანს აქავნასა ოქროს გადასაკრავანსა, ოფროფინო, ოფროფინო, ოფროფინო, ოფროფინოოოოო, გრილდებოდა სხეული, ნელდებოდა სული და იკრეფდა სურნელს და ხმებს ჭრიჭინობელათა და იძირებოდა დაუსაბამო სიჩუმეში ღამეული წყლებისა, საიდანაც ეწეოდნენ მთელი ძალით თავისი ცხოველური ღონით ჰხლეჩდნენ დედისერთა ვაჟკაცის ვარსკვლავს და ისროდნენ წყალში თვალაცრემლებულს. თაიგულის მოკრეფა კარგი აზრია, თუმცა ჩვენ ამისათვის არც დრო გვაქვს და არც ნერვები, თქვეს მათ, როდესაც იგი მიეწია და აქოშინებულმა გაუწოდა ყვავილები. ყველასათვის მოვკრიფე. თქვა მან. ჰოი, ყველასათვის, ყრუდ გაიმეორეს მათ და გზას გახედეს. ორს შენობის მკრთალი ანაჩრდილი გამოჩნდა. საუცხოო ყვავილებია, მინდვრის, ხომ გიყვართ: ვარდი, მიხაკი, ტულიპი, შტოკმალა, რილკებეერე, ბლუმდედალუსი, გიაცინტი, ზამბახი, მოლესმანუს დიპლოია, აი, ეს ნახეთ, პეტრუს უბერუს ულცეროზუს, რა მშვენიერია, რა კარგია, რა დიდებულია ის, ენძელა, პირიმზე, ევკალიპტი, ბუტულა ნანა, გენტიანა, მელოზირა, სურინელა, პედიასტრუმ, გვირილა, დაფნა, ოლეანდრი და უნაზესი ცისკრისთვალა... ისინი არ უგდებდნენ ყურს. ძაღლმა მძიმედ აითრია საბელი და რამდენიმეჯერ დაყნოსა ჰაერი. დინჯად მოაბრუნა მათკენ თავი და მიაშტერდა. მერე თავი ჩაქინდრა და თავისი ვეება ტანი შეაქანა. ცაზე შავი ღრუბელი შემოდგა და მზის პირი დააბნელა.

„განვიმდება“, – თქვა მან.

„არა უშავს, ნიაღვრამდე მოვასწრებთ“.

„შენობა არც ისე შორსაა“.

„ვიაროთ თან“, – თქვა მან.

ხმელისგორის პირს აუყვა ბილიკი... ხმელისგორის პირს აუყვა ეს ბილიკი ოდესმე და ასე განვლენ წლები, დღეები, წამები, საუკუნეები ამ ბილიკზე მიმავალთათვის, ცისკიდურისზარების გრიალში, ზრიალში, წკარუნში, წკიპინში მიიზლაზნება ათასფეხა ბილიკები შენი ცხოვრებისა უნაზეს ყვავილნარში შიბმიბმული, ჯაჭვგაწყვეტილი, როდისღა იფიქრებ შენ, მეუფეო, შორეულ გზაზე მიმავალო მარტოხელა მგზავრო ტრიალ მინდვრისაო, მზესინდელისაო, დღესინდელისაო... ღელესპირისაო, თვეთნე კოჯლისაო, ღრუბელთმყრელისაო, კიბითმსვლელისაო, ჟამ და უჟამოს მავალისაო, მხართეთრისაო, პიროფლიანისაო, ოდიშისაო, აფხაზისაო, ბეთლემისაო, კავთისაო, ვარდისუბნისაო, ჩოჩეთისაო, კალოუბნისაო, ქვაშვეთისაო, კასპისაო, თელავისაო, თელეთისაო, ჩალოუბნისაო, ნიაბისაო, გომრეთისაო, წილკნისაო, გავაზისაო, იერუსალემისაო, ზენანდურისაო, მშვენებისაო, აჭარისაო, მლოცველისაო, ალისფერისაო, იმერისაო, დიდებისაო, გამარჯვებისაო, ქმოდისაო, წმიდის წვერისაო, წამებულისაო, სანთელ-სუფრისაო, ჟამის მამკლებისაო, ნაღვართმდენისაო, ერთარსებისაო, სპარსთ ანგელოზისაო, მზე მარიამისაო, ძეო და მამაო შენებისაო, დედაო დიდებისაო დღარ მარაშონაში მოზოჯუა, სქანი ტიბინი ქომუჩი სი, სოთ იშველათი, ხუმულა გიმილადირი, ჯერღ გამგარ, გურ გამგარ, სქან ტიბინი ქომუჩი ჩურჩულით ქომუჩი დია ჩქიმი ქომუჩი მუმა ჩქიმი ქომუჩი ჯიმა ჩქიმი ჩაქანდა ხმელისგორისპირას ბილიკი, თავქვე დაეშვა, მოსწყდა ცის კიდურს მურიცხეფი, ჩამოჰკრა ცისპირი, ჩამოიხოკა, ჩაიხია გულისპირი, ჩამოფარცხა ხრიოკი, ჩამორეცხა, განაბნია შხეფებად ნატამალი მცხუნვარება მზის თვალიდან გადმონურული ცრემლისა. შეცაქანდა. შეცაქანდა სამყარო მუნჯ მოძღვართა, სამყარო უხვ მოძღვართა, სამყარო ყრუ მოძღვართა, სამყარო მღაღადებელთა, სამყარო უდაბურთა, სამყარო მდაბიოთა, სამყარო გლახაკთა შეცაიძრა, წამოიგრაგნა, აიყუდა, აყირავდა, აიკლაკნა, აბობღდა, აცურდა, აღმუვლდა, ჩაეხვია, შეიხრიალა ხორხში ხრეში ჩამოცაფხიკა, ჩამოცაფარცხა, ჩამოცარეცხა და დაარისხვალმუვლა ნაპირს წარმავალთა...

ბულვარში კაცის ჭაჭანება არ არის. ნანვიმარი ქვიშა ღრჭიალებს მის ფეხქვეშ. ქვიშა ხრაშუნობს შენ ფეხქვეშ მიმავალო მომყოლთა შორის საძმო ერთებაში წამისყოფის დასალიერში. აჰა, შესავალი კარი მარადიული წყლისა, შრიალი ტალღათა. სველ ჰაერში მოფარფატებს თეთრი პეპელა და მძიმედ მოცურავს სივრცეთა შორის სურნელოვანი ფურცელი თეთრი მაგნოლიისა. ბულვარის შესასვლელთან ისინი წამით შეყოვნდნენ და მან გაიფიქრა: ნუთუ უარყვეს? ნუთუ მოუსპობთ მას ბედნიერებას ამ შესაძლო წამის ნეტარებისა? ძმანო ბუნებისანო, ერთნო არსობითა, სამნო სახეობითა, არსნო შენობითა? შეისმინე თუ არა შენ მისი ლოცვა? გაიგეს თუ არა მათ მისი ძახილი, ვედრება მისი შეისმინეს მათ? აქ სამთავემ ერთდროულად მიაპყრო თვალი ერთმანეთს და მათ გაეღიმათ. თქვენ გაგეღიმათ და განაგრძეთ გზა მხიარულად მოხრაშუნე ქვიშაზე, ხოლო შენ კი, გახარებულმა დახუჭე თვალები და მიეცი ნეტარ წამისყოფას ბედნიერებისა... აჰა მოაჯირი მარადისობისა, თეთრი ყორე სიკეთისა. ნუ მიედები, განვლე იგი და მიეცი თავი შენი ამ დაუსაბამო მდინარებას ხმელეთის წყალთა. ზღვას იდუმალებისა. მან თვალი გაახილა. ბინდისგვარად ჩაჩუმდა გარემო და მათი ანაჩრდილების გარჩევა შეუძლებელი ხდება თანდათან. მსუბუქად მოხრაშუნე ხრეშის ხმა ფხაჭნის ყურს შორიდან და იგი ხვდება: ისინი გზას განაგრძობენ, თეთრი, გაქათქათებული ქვითკირის ლობე გამოყოფს ბულვარს ქალაქისაგან. მთვარის შუქით განათებული ეს ლობე საამო სითბოს ღვრიდა მის ტანში და თვალს რომ დახუჭავდა, ლობეში ჩაშენებულ რბილხაზოვან სკამსავარძლებში ხედავდა წარმავალ სახებას ნაცნობ-მეგობართა. ასე სხედან ისინი, ნელად მოსაუბრენი და უსწრაფონი. ახლა წვიმს და სავარძელიც ცარიელია. მძიმე, რუხი წვიმა ასველებს თეთრ მოაჯირს და ხრეშს. მაგნოლიის მკვრივ ფოთოლს ეცემა მსხვილი წვეთი. ყრუდ. ირხევა ფოთოლი, ირხევა თეთრი მაგნოლია ზღვისპირეთისა, შრიალებს მთვარეული ტალღა ნაპირისა, ტოკავს სიოკრული იასამანი თეთრი სარკმლისა და ფითრდება ზღვისგული განთიადის სიახლოვეში. ცის ხორკლიანი ზედაპირი თანდათან მშვიდდება. იწმინდება ლაჟვარ-

დი ცისა და როგორც ნაწვიმარ სილაში დავარდნილი ვარდი, ნათდება შორეული სიზმარივით მომდგარი ზღვის კიდეს გზა შენი ცხოვრებისა, დღეო დღესინდელო, მზეო და დედაო... მამაო, მამაო, მამაო დიდებისაო! თავისი ფეხის ხმა აღარ ესმოდა. შორს თეთრი ვეშაპი მიარღვევდა ცაზღვის ნაწიბურს. ვეება ტალღა ზვირთდებოდა და ფარავდა გემს მის თვალთაგან, ხოლო როდესაც ინთქმებოდა ხვატის უძრავ მდუმარებაში – იგი ისევ ხედავდა მას. ჩოგბურთის კორტებზე თეთრი კაცები მონოტონურად გადასცემდნენ ერთმანეთს ბურთს. სიცხისაგან გაოგნებული ზღვის თხელი კანი გადაიჭიმა, გადაიგლისა და გაშეშდა. ჩრდილი დაილია, გაუფერულდა, გათეთრდა. სითეთრემ მოიცვა წყლისპირი, ზღვისკიდური. სველი, მძიმე ფანტელები ეცემოდნენ იონიური კოლონადის ზედაპირს და შორიდან ისმოდა ზარების გაბზარული ჟღარუნი. ჰაო-ოოო-ო – შეჰყმუვლა საბელაწყვეტილმა შიშთვილმობმულმა, მაგრამ მას აღარ ესმოდა მისი ხმა. იგი უკვე შორს იყო, თავის მომყოლებთან, მიდიოდა, მიიმღეროდა, მიხტუნავდა მამა სიხარულისა და შვილი ნეტარებისა. ზღვის მხრიდან გრილი ნიავი ქროდა. ისინი კი განმარტოებით ისხდნენ ზღვისპირად, ფეხზე გაეხადათ და დაზაფრულ ფეხებს იგრილებდნენ. გახურებული რიყის არმურში ლივლივებდნენ მათი ქათქათა თეთრი სხეულები და მან გაიფიქრა: უსათუოდ დაინვებიან, გოჭებივით შეიხრუკებიან, დაითუთქებიან... როგორი გაუფრთხილებლობაა, როგორი დაუფიქრებლობა, როგორი აყოლა... ხოლო მივიდა რა, მდუმარედ წააფარა ორთავეს ერთად თეთრი მოსასხამი. მათ მადლიერად გაუღიმეს, შუაში ჩაისვეს და თავები ლაქუცით დაადვეს მხრებზე. მან კი ფრთხილად დადო ავარვარებულ ქვიშაზე თაიგული, პერანგი გაიძრო და მიაფარა. არარა იძვროდა ზღვის პირად. წყლის კიდისათვის ხელი რომ მოგეკიდა, წამოგედო, წამოსდებოდი უნებლიეთ, წამოითრევდი, წამოიზიდავდი, წამოიხურავდი და გაეხვეოდი შიგ, როგორც თბილ ხსენში თიამათის განსწავლული საშოსი. იგი ზანტად დაეშვა მათ შორის და ზეწარს ამოეფარა. შორეულ კიდეში თეთრი გემი ჩაეფლო შედედებულ ზღვაში...

ძაღლი ძლივს მიჩოჩდა წყლის პირთან და გახურებული დრუნჩი შეახო. შეტოკდა, შექანდა, შეირხა ვეება სხეული თეთრი ვეშაპისა. აღმუვლდა, აზღუდდა, აზღვავდა დაშანთული საშო და გამონერწყა ავბედითი თესლი უბიწობის. ეჰა, მიუწვდომელს, იონა, რომელმან თავს იდვა ჭირი იგი ზღვისაი, ცუდ იქმნა სიმხურვალეი იგი განმხრწნელი მუცლისაი სიღრმეთა მით ვეშაპისათა და აზღუდნეს წყალნი სიღრმითანი და დაიტია დაუტეველნი სიტყუაი იონას სახედ და შესცვალა, ვითარცა ინება ორთა მუცელთა ბუნებანი: ვეშაპისა და ქალწულისა დაუსაბამომან მამამან გამოუთქმელმან უხილავმან და მიუწვდომელმან აღსასრულისა ჟამისასა ძიება ჰყო წარწყმედულთათვის სახიერებით და მოავლინა ძეი თვისი მხოლოდ შობილი თანადაუსაბამოი ხორცთა შესხმაი უსძლოსაგან ცხოვრებად მომწყუდართათვის და შეიმოსა ხარი ადამიანი მხოლოდ შობილმან ძემან ნებითა სულისა წმიდისაითა და დაადგრა უცვალებელად უხილავსა არსებასა ღმრთეებისასა, ვითარცა შუენის ღმრთისა დაუსაბამოისა და აღამაღლა სიგლახაკე ჩვენი თანასწორად სიმდიდრესა უცვალებელსა, ვითარცა ღმერთი არა დაჰხსნიდეს პირველნი იგი ცთომაი და მწუხარებანი რაიჟამს ქალწულმან მუცლად იღო: გიხაროდენ ღრუბელთ მტვირთველო საღმრთოისა მის ცუარისაო: გიხაროდენ, საწმისო სიწმიდისაო უბიწოო: გიხაროდენ, ბჭეო აღმოსავალისაო; გიხაროდენ შენ, კიდობანო შემწყნარებელო საღმრთოთა წერილთაო; გიხაროდენ, მშობელო ქალწულო, უხრწნელად დამმარხაო ნაყოფისა მუცელისაო; გიხაროდენ, წყაროო სიხარულისაო; გიხაროდენ, ბჭეო ცათაო; გიხაროდენ, სასანთლეო და ტაკუკო ოქროისა წმიდისაო; გიხაროდენ, მკლავთა ზედა ქალწულო და მზისთვალო სამართლისაო; ღმრთისა დამტევნელო ეტლო სიწმიდისაო, გიხაროდენ, მარიამ სიხარულევანო და სიქადულო ბუნებამან განმხრწნელმან და მხურვალემან ვეშაპისამან არაი გახრწნა ხორცნი და არაი მოიკლა მხეცისა მუცელსა შინა და აჩუენა მას ქუეყანა დაუთრგუნველი, რომლის მოქლონნი მისნი ჰგიან, ვითარცა კლიტენი საუკუნენი და იძლევიან ყოველნი ბუნებანი დაბადებულთანი და განცვიფრთებიან გონებანი

გონიერთანი, რამეთუ ვერ მისწვდებიან საიდუმლოსა შენისა მის ქალწულებით მუცლად ღებისა ღირსო; ხოლო დაეცდებიან გამოძიებად და განკვირვებით დაუცხრომლად გადიდებენ შენ უქცეველად უსძლოო, სძალო მარიამ; გიხაროდენ, მორწმუნეთა ზღუდეო; სახეი გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაჟამს შენგან იშვა ცეცხლი ღმრთეებისა და დაგიცვა შენ უვნებელათ; შენ, რომელი დედა იქმენ ახალისა ადამისა; და წყევისა იგი საკვირველნი შენ მიერ შობითა განიხსნეს უბიწოო; ამისათვის ყოველნი ნათესავნი გნატრიან შენ, რომელი წარჰხედ საზღვართა მათ ბუნებისათა უთესლოდ მიდგომილებათა და შემდგომად შობისა ქალწულად დააგერ და აღმოგვიცენე რქაი ცხოვრებისაი შენ ყოველთა შემოქმედო, მამაო, ბუნებით სამგვამოვნად აღგიარებთ შენ უშობლად და მშობელად სიტყუასა და სულსა თანა არსს სამარადისოსა განუყოფლად გადიდებთ ყოველსა ჟამს; გიხაროდენ, ქალწულო სიქადულო; გიხაროდენ, დედაო, უსძლოო მშობელო; გიხაროდენ, ქალწულო უბიწოო; გიხაროდენ, შენ ცათა უვრცელესო; გიხაროდენ, საყდართა მაღალთა უმაღლესო; გიხაროდენ და დაიყვენით პირნი ბილწთა მწვალებელთანი, რომელ სამებასა განჰყოფენ; შენ; დიდებულო ქალწულო; დედაო ნათლისაო, გონებით წმიდითა, ვითარცა უზეშთაეს ხარ შენ მზისა უბრწყინვალესო, შენ წმიდათა უწმიდესო ცხოვრებისა მიზეზო დედაო მხსნელისაო; შენ, სამგვამოვანად ცნობილო, მუნ ყოლად ქებულო, მეორე ეზოო ტაძრისაო; შენ, სამკაულო ყოველთა დაბადებულთაო; შენ, რომელმან გამოიღე ყუავილი იგი განმსრულებელი; შენ, ნათელითა შემოსილსა ღრუბელთა, რომელსა ზედა გარდმოხდა ყოველთა მეუფეი, ვითარცა წვიმა საწმისსა ზედა; გიხაროდენ შენ, დედაო მარიამ, შეუწველო მაყუალო, მთაო გამოუკვეთელო, კიდობანო ღრუბლისა, არა შეიწუა საშოი შენი ცეცხლისა მისგან, რამეთუ სული წმიდად მოვიდა შენზედა, სძალო და ძალო მაღლისაო, ზე გარდმო გფარვიდა და გაგრილვიდა შენ ღრუბელო ცუარისა, მის სალმრთოისა და ბჭეო ზეცისა; გიხაროდენ, დედა, მარიამ, მზეო, გიხაროდენ, მარიამ, მარიამ, მარიამ... ჩემო, საით მირბი ჩემს მოსაძებნად? მიმოიხედე გარშემო, შენ გვერდით ვდგა-

ვარ, შენ გვერდით ვდგავარ... შენ გვერდით ვდგავარ... ჩურჩულებდა იგი და თვალს არ აშორებდა მოსაცდელი ოთახის კარებს. დრო შედგა თითქოს. არავის ელვიძა გარშემო. მხოლოდ ეს ვეება ძაღლი დაძუნძულებს მთელს ეზოში და აჩხარუნებს მსხვილ ჯაჭვს. ძალაუნებურად ააყოლა მზერა მის აუღელვებელ ძუნძულს საბლის გასწვრივ, ვიდრე არ შედგა და სვლეპა არ დაუწყო მლაშე წყალს. ეჰა, – გაიფიქრა მან, – ვარ ბაგეთა ხორცი, დანთქმული ღელვათა სოფლისა ამისგან საცდელთა, ზღვაი სოფლისაი აღძრულ არს ჩემზედა და დამთქამს მე. აჰა, აზღუდნნეს წყალნი ზღვათანი და შეიძრა ცის კაბადონი. ღრუბლები მშვიდად შეეგებნენ დღის შებინდებას. ძაღლმა პირი გაიგრილა და ნაპირს მოშორდა. ისინი უძრავად ისხდნენ თეთრი ზენრის ქვეშ, მთელემარენი, და იგრილებდნენ სახეს. ზღვამ ამოისუნთქა, შეტორტმანდა, წამოიზლაზნა და ნასიცხარი რიყე ალოკა. ქარში აგუგუნდნენ ზარები და იძრა თეთრი გემი ზღვისკიდურისა, შექანდა ხეთა რიგი, ჯარი ფოთლებისა შეირხა, აიშალა, აირია, აიფრიალა ყვავილნარის თაიგულის ჭრელმა გუნდმა დღემოკლე პეპლებისა და დროა, თქვი შენ. ახლა ყოველივე ცხადი გახდება. დრო ამოიწურა. გავსწიოთ წინ. შენობისაკენ. მივიდეთ იქ, საცა გველოდებიან. საკმაოდ გაგვიგრძელდა გზა. ისინი წამოდგნენ და ქალაქში გამოვიდნენ. ქარიშხალმა წამოგრაგნა ცის შავი ლოდები და დაახეთქა აზღვავებულ კლდეებს. წყვდიადმა მოიცვა ქალაქი. ჩაქრა ყველა ნათურა. დაიხურა ყველა დარაბა. ყველა კარი დაიხშო, შენს გზაზე მიმავალო ბედისწერის გზით თანამყოფელო, მამაო სამებისაო. ისინი სადღა არიან, შენნი თანამდგომნი, მეგზურნი შენნი, გამყოლნი ბოლო გზისა, შემბმელები შიშთვილისა შენს გაბურძგნულ კისერზე? ერთად ვიაროთ ჩემო ყურშა... უნდოდა შიშთვილისათვის ხელი მოეკიდა, შეეხსნა ჯაჭვი, ჩამოეხსნა და დაესვენებინა, მაგრამ ძაღლმა წითელი, სისხლიანი გუგა შეანათა და შეჰყმუვლა, შეჰყეფა, შეჰღრინა, შენკმუტუნა საბელაწყვეტილმა, ჩამოწყვეტილმა, შემოწყვეტილმა თვითმკვლელმა, დამხრჩვალმა საკუთარი შიშთვილით. მახვილის მესიისა. ისინი შენობის შესასვლელთან იდგნენ. ზუსტად მოვედით, – თქვეს მათ, – ოთხის ნახევარია

უკვე. ახლა კარებიც გაიღება. ჩვენ სიამოვნებით აგიბამდით მხარს, ამოგიდგებოდით, თანაგიგრძნობდით, შეგეწეოდით, გიშველიდით, გიხსნიდით, მაგრამ ეს თქვენი პირადი საქმეა. ყველა საშუალება ნაცადია, ყველა ხერხი ნახმარი. თქვენი გულისათვის ვართ ჩვენ აქ და უკვე ყოველგვარი დრო ამოიწურა და მოლოდინი უნდა გამართლდეს. მათ გადადეს ყველა საქმე და ახლა გიცდიან მხოლოდ თქვენ, ჩვენ გვიცდიან, შენ გიცდიან, მ ა მ ა ო, გელოდებიან ჩვენო, – იტყვიან ისინი და მეგობრულად მოგითათუნებენ ხელს მხარზე, მოგეხვევიან, გადაგეხვევიან, გადაგკოცნიან და მიგატოვენბენ მარტოს აქ, შენობის ზღურბლზე, ბჭეო და კიდობანო მამობისა, მეუფეო მეუფებათა და უფალო უფლებათა, რომელ უხილავ ხარ უხორცოთაგან ზეცისათა, დამსჯელო ცოდვისათა და მკულელო მკულელისა ჩვენისა. ეჰა, შევედ შენობასა შიგან ბედისწერისასა... შენობასა მამობისა და შვილობისა და სახლსა განწლილვისა სამგვამოვნებად; ეჰა, განმიღე კარი იგი ცხოველს მყოფელითა მაგით ხორცშესხმითა შენითა: განმიცხოველენ ურჩებით მომწყუდარნი და ღირს მყვენ პირველსავე ზეცისა... ეჰა, მოველ, ბაგეთა ხორცი...

ქალაქი სიჩუმის წიაღში გაირინდა. მთვარის შუქზე სადარბაზოს უზარმაზარი კარიბჭის თავზე განათდა, გაჩირაღნდა, აელვარდა ოქროკვეთილი ნარწერა და სიტყვებისა და ასოების ხლართში მან ძლივს ამოიკითხა: ესკატო ბებელოი! კარების სახელურს ხელი ჩაავლო და მთელი ძალით მოქაჩა.

– ჰე, ჰე, ჰე... – გაისმა ხრინწიანი ხითხითი. შეცბუნებულმა სახელურს ხელი უშვა და უკან დაიხია. სიბნელიდან გამონათდა კბილებღრიჭოვანი, დაჭმუჭნული სახე ბებერი დარაჯისა. მას უნდოდა, აერიდებინა სახე, მაგრამ თვალები, თვალები ჰქონდა ამ კაცს ისეთი, რომ შეუძლებელი იყო, არიდებოდი. ეს მომნუსხავი, გამჭოლი, ცეცხლოვანი მზერა ეცნაურა მას, მაგრამ არაფერი სთქვა და მოხუცისაკენ წავიდა. საბელანწყვეტილი ძაღლი დაიძრა თავისი ადგილიდან, მოკლედ შეჰყეფა სიბნელეში მიმავალ მარტოხელა მგზავრს და სიბნელეში ჩაინთქა.

– ჰე, ჰე, ჰე... – ისევ ჩაიხითხითა მოხუცმა, – თქვენ გგონიათ ახლა, რომ ერთადერთი ხართ, მარტოდმარტო დარჩენილი სტუმარი კარიბჭისა, ზიუსუდრა, უთნაფიშთიმი, ნოე... ჰე, ჰე. ჰე... – გამყინავად წამოიხველა და განაგრძო, – შენ გგონია, მომატყუებ შენი მოჩვენებითი სიმშვიდით? სიჩუმით? უძრაობით? აჰა, მე ვდარაჯობ ამ შესასვლელს იმ დროიდან, როდესაც შენი ურჩი მამა გამოაბრძანეს ბაღიდან და მოიყვანეს აქ. აჰა, რა ახალგაზრდა ვიყავი მე მაშინ, ჭაბუკი, ჭარმაგი, სულ ბავშვი, ნინველი, ჩჩვილი და მე მომენდო ამ მთავარი შესასვლელის დაცვა, კარიბჭის ერთადერთი გასაღები ჩამაბარეს მე, პირველს დარაჯთაგან. ამიტომაც ჩემ გარეშე შენობაში ვერავინ შევა. მე ვარ უფალი კარიბჭისა და მცველი კიდობნისა: ჰე, ჰე, ჰე... ნუ აჩქარდები, დრო ბევრია, გაცილებით მეტი, ვიდრე შენ ფიქრობ... აგერ ჩამოჯექი... დამელაპარაკე, გამესაუბრე, აქ ყველას ეჩქარება და არავის სცალია ჩემთვის. შენ კი დრო გაქვს, ჯერ განთიადის მამალსაც არ უყივლია, ჰე, ჰე, ჰე, ხომ გეუბნები ადრეა, ადრე, ოთხის ნახევარი ყოფილა მხოლოდ...

დარაჯი შესასვლელში დაჯდა და კარებს ხელი ჰკრა. კარი გაიღო და შენ შეგეძლო, დაგენახა მოსაცდელი ოთახი. ჰოლი, ჩამწკრივებული სკამებით, მაგიდით და პლაკატებით კედელზე, მაგრამ შენ თვალს არიდებ იქაურობას და გამოუცნობი მღელვარებით ჯდები დარაჯის გვერდით. ახლა შენ გარკვევით გესმის მისი დინჯი საუბარი, მჭახე ხველება, სიცილნარევი, ამბურძგლავი, შემაძრწუნებელი, გულში ჩამწვდომი და მომაჯადოებელი. ასე უგდებ შენ ყურს მის შეგონებას და ელოდები, როდის მოვლენ შენი გამყოლები და შეგიყვანენ შენობაში.

– თქვენ დარაჯობთ შენობას და, ცხადია, ყოველივე იცით, – მთრთოლვარე ხმით მიუბრუნდა იგი მოხუცს, – ვინ არიან ის ორნი, აქ რომ მოვიდნენ, რა დანიშნულება აქვს შენობას, საით მივყავართ ამ კარებს, მითხარით, ამიხსენით, მასწავლეთ, გთხოვთ, გეხვეწებით, გემუდარებით, ნუ დამიმალავთ, გული შფოთავს, ვღელავ, ცუდი წინაგრძნობა მაქვს, შედით ჩემს მდგომარეობაში, მიშველეთ რამე, ნუ მიმატოვებთ...

– ჰე, ჰე, ჰე, რა საჭიროა ამდენი ფორმალობა... ვიყოთ შენობით. ჩვენ აქ ერთი დიდი ოჯახი ვართ, ერთიანი. სინამდვილეში, არავითარი განსხვავება ჩვენ შორის არ არის. ისინი ისევე არიან დარაჯები, როგორც მე – მოსამართლე, და პირიქით. ჩვენი მიზანი სულ სხვაა და შენ მალე გაიგებ ამას, ნახავ, იხილავ და მოისმენ... პასუხს იმ კითხვებზე, შენ რომ განუხებს. იხილავ დროს და მოისმენ მიზანს, ოღონდ იყავი მომთმენი და მდუმარე. უტყვი და მორჩილი, ჩუმი და მდაბალი და ნუ შეეცდები, გაასწრო შენს მეგზურებს და მიჰყევი მათ და ისინი მიგიყვანენ შენ შენობაში...

– თქვენ...

– აკი გითხარი, შენობით ვიყოთ-მეთქი, – უკმაყოფილოდ თქვა დარაჯმა, – ვიდრე შენობა არ დამკვიდრდება ჩვენ შორის, არავითარ ურთიერთობაზე ლაპარაკი არ შეიძლება...

– უკაცრავად, მაპატიეთ, შემინდეთ, შემიწყალეთ, თავს უხერხულად ვგრძნობ და იმიტომ... შევეცდები, ძალას მოვიკრეფ, ყოველ ღონეს ვიხმარ, ოღონდ ნუ დამტოვებთ... ნუ მიმატოვებ, აღარ შემიძლია მარტოობა, გეხვეწები, გემუდარები, ნუ დამტოვებ იმათ მოსვლამდე...

– ჰე, ჰე, ხე, ხე, ჰხე, – ჩაახველხითხითა მოხუცმა, – შენ უკვე მამა ხარ და ბევრიც რომ ეცადო, მარტო აღარ იქნები. მორჩა. გათვდა...

– მამა?

– ასეა, ასე: მ ა მ ა ო ჩ ვ ე ნ ო. ეს კი იმდენს გავალებს, რომ მოსვენებას ვერ მიეცემი; განცხრომას, აქამდე რომ განებივრებდა, ბოლო მოეღო, ნაღვართმშვენიერო...

– თქვენ... შენ გყავს შვილი?

– არა, დარაჯი მარტოხელა უნდა იყოს. დარაჯი რომ მარტოხელა არ იყოს, წყარო სიმართლისა დაშრება, კარები დაიხშობა მოზვავებულ შემსვლელთაგან, კარები დაიტბორება, შესასვლელი დაიტბორება, შიში შეიპყრობს, ცდუნებას აჰყვება, ქრთამს აიღებს, თავის შვილს შეუშვებს, სხვის შვილს გააჩერებს, არშესაშვებს შეუშვებს, არგამოსაშვებს გამოუშვებს, შენობის დიდებულ დარბაზებს მოაღორებს, მოსამართლეს, სამართლის გამჩენს არა სცნობს, ცხვარ-ძროხას არ

აქოვებს, ღორებს აბალახებს, მთის წვერზე ვერ ავა, ხის კენწეროზე სანთელს ვერ დაანთებს, დარბაზს დააბნელებს, შიშს გაამეფებს, მოშიშარს გაამრავლებს, მოსამართლეს რომ შვილი ეყოლება...

– დარაჯსო, შენ სთქვი...

– შენ ჯერ ჭაბუკი ხარ და არ იცი; მოსამართლე რის მოსამართლეა, თუ დარაჯი არ არის. ყური დამიგდე: მოსამართლეს რომ შვილი ეყოლება, სიკვდილი გამეფდება, დრო დაიძვრება, ჟამი გაიწელება, უჟამობა შეიკუმშება, შედედდება, შეიზილება, აჩალახდება, ძმობილო, ბილიკი მარადისობისა, მდინარე უკვდავებისა და გახმება ხე ცხოვრებისა, მამილო... – მოხუცი უეცრად დადუმდა და სახეზე ღრმა ნაღველი აღებეჭდა. თვალები ჩაუქრა, ლოყები ჩამოეღვენთა, სუნთქვა გაუხშირდა, სკამის ზურგს მიეყრდნო უღონოდ და თვალები მილულა.

– ნუთუ მოკვდება? – გაიფიქრე შენ და შიშმა მოგიცვა, – თუ დარაჯი მოკვდა, შენობაში ველარ შევაღწევ. იმათ თუ მომისწრეს აქ, იქნებ კიდეც დამბრალდეს, – ფიქრობდი შენ და ნელნელა იხევდი უკან, ცდილობდი, მოშორებოდი კარებს, ალაგს სიკვდილისა, ბჭეს უკუნისობისა. – მე ოჯახი მყავს, შვილი მყავს, იმათ მოვლა უნდათ, პატრონობა, იმათ რომ მე აქ მნახონ, ვინ იცის, რას არ მომაწერენ. არც დარაჯი ვარ მე და არც მოსამართლე, არც არავის გავუწესებივარ უშვილობისათვის. კარგად მიგიხვდი, მამილო, მაგ ადგილის შემოჩენება გინდოდა ჩემთვის, ჭკუას მიბნევდი, გონებას მიბნელებდი შენი აბდაუბდათი, რომ გზა დაგეხშო ჩემთვის, კარები ჩაგეკეტა, შესასვლელი დაგემალა. აი რას გეტყვი მე: მ ა მ ა – მოსამართლეს რომ შვილი არ ეყოლოს, გულძაღლი იქნება, სიკვდილი შეიპყრობს, ხის ნაყოფს ვერ დაამწიფებს, ანთებული სანთელი ჩაუქრება, გზა-სავალი აერევა, ხე ცხოვრებისა გაუხმება, აგებულ კედელს გალავნისას დაანგრევს, ქვეყანა აირევა, სოფელი აოხრდება, კაცი კაცის მოძულე გახდება, სიყვარულის წილ შიში და სიძულვილი გამეფდება, სიკეთის წილ შური და ბოროტება გამეფდება, საზრდელს მზრდელი აღარ ეყოლება, მზრდელს საზრდელი აღარ ეყოლება, სული

შეიხუთება, იყვირებს ზეცა, აგუგუნდება მიწა, ამოვა წყვდიადი, დაიკლებს დღე, აღეგზნება ცეცხლი, გასივდება ღრუბელი, ინვიმებს სიკვდილი, გაქრება ელვარება, ჩაქრება ცეცხლი, ნაცრად გადიქცევა მთის ხორბალი, შხამად იდენს ჟამი სანუთროსი, გაიხსნება კარები სიკვდილის სულისა, უსულგულო შეიქნება კარი სამართლისა, სახლში დაუსვრის ეზოს საქონელი, თვითაც დაისვრება ღორივით ნეხვში, ძაღლივით გაითბობს სხეულს მარტოობის ქურასთან, სახლში დაემკვიდრება უბედობა, გზის პირს დაიდებს სამყოფელს, ზღუდის ჩრდილი ექნება სადგომი, მთვრალი და ფხიზელი სახეში სცემს, უშვერად უხსენებენ სახელს და მტვრის სახლში დაუდებენ ბინას, ყმანვილო, მოსამართლეს რომ შვილი არ ეყოლება, დარაჯად დადგება, ხალხის დასაშინებლად დარაჯად დადგება..., სისხლი დაგუბდება,

მოხუცს სახე დაენმინდა, დაუმშვიდდა სუნთქვა, აევსო ლოყები და თვალები გაახილა. თვალებში ცეცხლი ენთო კვლავინდებურად, ვარსკვლავი ციმციმებდა, სხივი თამაშობდა.

– შეგეშინდა?! – არც იკითხა და არც დასტურყო, უბრალოდ სთქვა მან. „ეშმაკი ბებერი ძაღლი", გაიფიქრებ შენ, ხოლო პასუხად ეტყვი:

– ჰო, შემეშინდა, შემეშინდა, რომ ასე უდროოდ კვდებოდი, შემეშინდა, რომ უკვე ველარასოდეს ველარ შევიდოდი შენობაში, საყრდენი მეცლებოდა და შემეშინდა, რომ ისინი არასნორად შეაფასებენ ჩემს საქციელს.

– ასეც უნდა ყოფილიყო. აქეთ მოიწი. ხედავ ამ ცულს, ხეში რომ არის ჩასობილი, ასწიე თავი და დაინახავ, რომ ცული ხეს ჭრის. ხე რომ მოიჭრება, ნაყოფი ჩამოვარდება. მაშინ მწიფეა ნაყოფი და მზადაა, ნარსცეს თავი თვისი საზრდოდ. თუ ნაყოფი არ დამწიფდა, მიწა გაბერწდება, ხე ძირში მოჭრილი უფსკრულში გადაიჩეხება, ტოტები დაელეწება, ალარასოდეს ალმოცენდება, ასე მოხდება, მოსამართლე რომ მამად იქცევა ჯაჭვები გასქელდება, ძაღლი აიშვებს, ხმაური იმატებს, ბოლი იმატებს, სიბნელე კლდის მნგრეველი, ური ქვის გამხეთქავი აღსდგება, ნამგალი ბალახთ მთიბველი, ნამგალი თავთავის

მჭრელი აღსდგება, სახლი დაინგრევა, კიდობანი დაინგრევა, სიცივე გამეფდება, ყინვა გახელისუფლდება, გზა გაიყინება, რძე გაიყინება, ღვინო გაიყინება, დარაჯი რომ კარს მოსცილდება, ყური მიგდე, აი, რას გეტყვი მე, მოხუცო, ოჯახი დაინგრევა, ოჯახი დაინგრევა, ოჯახი ნაყოფის მომტანი, ოჯახი კიდობნის გამკეთებელი, ოჯახის ფუძის აღმდგენი დაინგრევა, ცეცხლი წაეკიდება, ცეცხლი დაწვავს, წყალი შევარდება, წყალი დაანგრევს, ყინვა შეჟონავს, სისხლი გაეყინება და დაინგრევა სახლი დიდებული, დარბაზი მშვენიერი, როს დარაჯი მიატოვებს კარს, როს მოსამართლე მიატოვებს სამართალს, როს მამა მიატოვებს შვილს... დარაჯმა გასაღები ხელში შეათამაშა, ცული მოიქნია და მთელის ძალით დაასო ხეს. ნაჭრევიდან თეთრად გადმოიღვარა ხის წვენი, ხის სისხლი, ხის რძე წვეთ-წვეთად ჩამოიბნა, ჩამოიწურა ცის კაბადონზე და შეაშრა ბავშვის გაღიმებულ ტუჩებს. თავს რომ მიაბრუნებდეს, მოვასწრებ, – გაიფიქრა მან, – ისე არ არის ეგ შემშვები. ლაპარაკის საღერღელი აეშალა და რა გააჩერებს. გამოცანას ვეტყვი. – გამოცანას გეტყვი მოხუცო, თუ გამოიცნობ, შენობაში შევალთ იმათ გამოჩენამდე, თუ არა და, ხეს მოგაჭრევინებ, ან შენთან ერთად ვიდარაჯებ, ღამეს გაგითევ, ეზოს დაგაგვევინებ, კოცონს აგინთებ, ღამეს შეგიმოკლებ. აბა, მისმინე: ცოცხალს მკვდარი, მკვდარს ცოცხალი ამოჰყავს; ანდა: ზევით ცამა მოიღრუბლა, მოისკილისკამუჟურა, ქვევით მელამ კუდი ჩაჰყო, ჩაისკილისკამუჟურა; ან კიდევ: დედამ გაზარდა შვილები წვრილ-წვრილნი, ზოგნი მსხვილები, დაჯდა და თვითონ შეჭამა, სისხლში იღება კბილები. ერთსაც გეტყვი: რა იქნება ხვალ, რა იყო გუშინ? ვინ იქნება ხვალ, ვინ იყო გუშინ? კიდევ გეტყვი: მკვდარია და ცოცხალია. მკვდარია და ცოცხალია... მკვდარია და ცოცხალია, დილა რომ გაუთენდება, ოთხით დადის, ნელა დადის, შუადღისას, ორით სვლას უმატებს და საღამოზედ სამითა ანელებს სვლასა, ანელებს სვლასა, თითქო გაჩერება უნდა, მაგრამ ვერ კი ჩერდება, მიდის და მიდის... არც ახსოვს, და არც იცის...

დარაჯმა ცული აღმართა. მზერა გადმოაპირქვავა და დაიძრა უზარმაზარი ტანი მისი, შეინძრა, დაქანდა აქაფებული

ნიაღვარი მთისა, აირია ბოლქვები ნისლისა და დაიკლაკნა კლდეთა შორის ხმაი ნგრევისა და მტვრევისა. ხეებს გლეჯდა ფესვიანებ და აქეთ-იქით ისროდა კლდეებს. მძვინვარედ იქნევდა ჯაჭვს ხელთპყრობილს და აყღარუნებდა კლიტეს კარიბჭისას.

გაოგნებული შესცქეროდა იგი ამ ფერისცვალებას. დარაჯი მძვინვარებდა და იდგა ირგვლივ ხმა გოდებისა და რეკდენ ზარები უფსკრულისა. კარი ჩაკეტილი იყო. შესქელებულ ნისლში ძლივსღა ხედავდა იგი ანთებულ თვალებს კარის მცველისა და ესმოდა მრისხანე ღმუილი, ყმუილი, ყეფა და ღრჭიალი ეშვთა. „ჰოი, სატანა", – ელავდა თავში, – „ჰოუ, გუელო დასაბამისაო, ნაშობნო ექიდნათა, ძაღლო უფსკრულისა, მახვილო ქვესკნელისა, თევზო ცეცხლის ტბისაო, განახვნე კარი იგი სიმართლისა და მოშორდი ბჭეს სიკეთისა!" – შესძახოდა იგი და ცდილობდა, მოეხელთებინა ცული, რომელიც განრისხებულ დარაჯს შუაკარში ჩაესო. ბოლქვებად აირია შემკვრივებული ნისლი და ჩამოაბნელა, ჩამოაშავა, ჩააუკუნა არემარე. სახეში შეასუნთქა აქოშინებულმა მცველმა, შეადორბლა, შეაფრქვია მხურვალე ჰაერი, მაგრამ სიბნელეში ვერ მოიხელთა მაინც და კარებს მიეხეთქა გაავებული. შეინძრა კარი, შექანდა შენობა და ამ საბედისწერო წამში იხელთა ხელმა მაძიებლისამ ცული ორლესული და დასცხო მთელის ძალით თავში. კოკისპირულად ითქრიალა სისხლმა და დაგორდა აჩეხილი ნახევართავი თეთრ ბილიკზე ირმის ნაკვალევისა. შეიყინა წამიერად სიჩუმე. შედგა უკუნი და იწყო გაფანტვა ნელი შექანებით შედედებულმა ნისლმა. და ამ მდუმარებაში გაისმა ძლივსყურსმწვდომი შორეული ყმუილი ძაღლის: აუუუუუ, აუუუუუუუ, აუუუუუუუუუ, აუუუუუუუუუუუ, აუუუუუუუუუუუუ, აუუუუუუუუუუუუ... ავარდა ალი მაყვლის ბუჩქზე, აენთო შენობაზე დახვეული სურო, აელვარდა სისხლით შეღებილი ნახტომი ირმისა და გადმოიპნა ცეცხლოვანი ისრები ზეცის. აწკრიალდნენ კეთილხმოვანი ზარები. აჭიკჭიბდნენ ჩიტები. აშრიალდა ბალახი მინდვრისა და ყვავილნარი ციური ჭალისა და გაეფინა მთის ფერდზე ჯოგი ნიამორისა, არვე თხისა, მრონლე ძროხისა, დასი ლომთა და მგელთა ხროვა, მოედო

არემარეს გალობა იადონისა და ბულბულისა, აჟღერდა სიმები ზეციური ჩანგის ოქროსკულულებიანი ჭაბუკის გამარჯვების აღსანიშნავად და აცისკროვნდა კარი დიდებისა. და აჰა, წურვის ჟამს, დილით, როდესაც მკურთხებელი ცეცხლს აკურთხებდა და გალობდა, მას ეახლა სადიდებელი და მხსნელი მომავლისა და გამოჩნდა ყვავილი მიწისა პირზე და ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში, და ლეღვმა გამოიღო ყვავილი თვისი, ყვავილი ვაზისა სურნელებით ფშვენს და აჰა, გაისმის ხმა ჩემი მეტრფისა, აჰა, მოდის იგი, მორბის მთებზე, მოხლტის ბორცვებზე, ვამსგავსე მეტრე ჩემი ნიამორს ანუ ნუკრს ირმისას, აჰა, დგას იგი ჩვენი ზღუდის უკან, სარქმელში გვიჭვრეტს და გაიელვებს არდაბაგთა შორის და მომიგებს ჩემი მეტრფე და მეტყვის: ვინ ხარ შენ, ვაჟო, ულამაზესო, რომელიც დაგინახე ხორცშესხმულ არსებაში, საკუთარი მზიური უჭკნობი სიცოცხლის მქონე; აღსდექ, სატრფოვ ჩემო, მშვენიერო ჩემო, და წამოდი!.. აირია მოთენთილი ნისლი, გაიფანტა და ღია კარებში მან დაინახა დიდი, ნათელი დარბაზი, რომლის შორეული კუთხიდან მისკენ მოემართებოდნენ მისი მეგზურები. დარაჯი მშვიდად ხვრინავდა თავის სკამზე, მაგრამ, როგორც კი მან ნაბიჯი გადადგა კარისაკენ, თვალი გაახილა.

– ველარ ითმენ, არა? – და ფრთხილად მოქაჩა სახელოზე, – სიგარეტი მომაწევინე, თუ შეიძლება, – ჩასჩურჩულა ისე, რომ არავის გაეგო.

მას მოეჩვენა, რომ კარებს ვიღაც მოადგა, სწრაფად ამოიღო სიგარეტის კოლოფი და დარაჯს ჩაუგდო კალთაში ისე, რომ კარებისათვის თვალი არ მოუშორებია.

– ასანთი, თუ არ შეწუხდებით...

– არა მაქვს, – ესროლა უკვე კარებისაკენ მიმავალმა, მაგრამ მიხვდა რა, რომ კარს იქით ჯერ კიდევ არავინ იყო, შემობრუნდა და დარაჯს სანთებელა გაუწოდა.

– გმადლობთ, – ჩაიბურტყუნა დარაჯმა, – ნუ ღელავთ, თავის დროზე თვითონ შეგატყობინებენ, – თქვა მან და განათებული კარებისაკენ მიაბრუნა თავი. კარის ჭრილში გამოჩნდა მათი ლანდი და, აჰა, გაისმა ხმა ჩემი მეტრფისა, რომელიც

იტყვის: „გამიღე კარი, დაო ჩემო, სატრფოვ ჩემო, ტრედო ჩემო, სრულყოფილო ჩემო"... ისინი მდუმარედ მოიწევდნენ მისკენ და უეცრად ჩამონოლილ სიჩუმეში მან გაიგონა საკუთარი გულის ძგერა, როგორც შენობის ზარების გუგუნი: ბონ, ბონ, ბონნნ, ბონნნნ, ბონნნნნ... თანდათან ილეოდა, სუსტდებოდა და თრთოდა ზეცის სივრცეში სათუთი ხმები შორეულ ტაძართა და კრთოდა სამსხვერპლო სანთლების მოციმციმე ალი შენობის ჩაბნელებულ კედლებზე. სხეული დაუმძიმდა, გაუქვავდა, დაუშეშდა და მუხლებში კანკალი იგრძნო. უპეები მძიმედ იხურებოდა და მას ძალა აღარ შესწევდა, გაეხილა თვალი, გონებას ნისლი მოედო და ალაგ ბნელი უძირო ნაპრალები გაიხსნა, რომელთა კიდეებს განწირული ებღაუჭებოდა ჯერ, მაგრამ ნაპრალები სულ ფართოვდებოდნენ, ვიდრე არ გაიხსნა უფსკრული წყვდიადისა. მან ულონოდ გაშალა ხელები და მოსწყდა სინათლის გაელვებულ კიდეს. სწორედ ამ უკანასკნელ გაელვებაში გაიგონა მან მშვიდი ხმა, რომელმაც იმედის ნაპერწკალი გააყოლა უკუნში ჩაძირულს: ნეტარ არს კაცი, რომელი ილვიძებდეს ბჭეთა ჩემთა წინაშე და სცვიდეს ზღურბლთა ჩემთა შესავალთა, რამეთუ რა იყოს კაცი შენობის გარეგან, პირუტყვსა ჰგავს და საქმეთაცა პირუტყულსა იქმს, რამეთუ მარადის ზრუნავს ხორცთა და მუცელთასა და ოდეს შევალს, შენობად მაშინღა იქმნების კაც და სცნობს სულსა თვისსა და სოფლისა ამის სიცუდესა. შენობისა გარეგან ტყვე არს სული და დაბმულ, ხოლო რა შენობად შევმოვალს, განთავისუფლდების სოფლისა შფოთისაგან და მიეგების თავსა თვისსა...

რა დრო გავიდა? სხეული ნეტარად დაჰბუჟებოდა და რაღაც გამოუცნობ სიამოვნებას განიცდიდა გარემომცველი სახილველიდან. ერთხანს კიდეც იდგა ვერმიმხვდარი გონება, იხილავდა ამ სურათებს, თუ მართლა ხედავდა მათ. ისევ დახუჭა თვალები და შეეცადა გახსენებას: როგორ მოხვდა აქ? ნაწყვეტი აზრები და ნაგლეჯი სურათები... და ხმა. ვისი იყო იგი, ვის ეკუთვნოდა, ვის უხმობდა? – ძმობილო, უკვე გადაწყდა ბედი, მოკვდავს რომ ეწევა ადრე თუ გვიან! იძახდა ზეცა, მიწა ბანს აძლევდა და მარტოკა ვიდექი მე ამ ხმაურში.

მერე მოვიდნენ ის ორნი, ხელი ჩამავლეს და შემიყვანეს შენობაში, ტაძარში, კიდობანში, სახლში, სად შემსვლელი ველარ გამოდის, გზაზე, რომელიც უკან არ ბრუნდება, სახლში, რის ბინადართ სინათლე წაერთვათ. ბედმა მომიყვანა მე ამ სახლში, გაიფიქრა უეცრად და ისევ მოავლო თვალი კედლებს. ისევ დაეუფლა სხეულს სასიამოვნო გრძნობა, ისევ გაეხვია ნეტარი ყოფის სიამეში და კვლავ იწყო ჩაძირვა ამ ხილვად სითბოში ანთებული წყლისა. მე მძინავს, ხოლო მღვიძარეა გული ჩემი და იგი თბება, იგი ნეტარებს დარბაზის მადლიან სინათლეში. ქვის კიდობანში ვზივარ მე. ხის კიდობანში. და მესმის გუგუნი ტალღათა და გრგვინვა ცისა და შხუილი ქარიშხალთა და გალობა ანგელოზთა და ხმაი მადიდებელთა მამისა და ძისა და ვიხილავ წერილთა მასხივებელთა შეუცნობელ სიამეთა და ნანატრ სახიერებისა. მერე, იხსენებდა იგი, თავი ცვარმა ამივსო და თმები ჩემი ლამის წვეთებმა და, აჰა, ვარ სამოთხესა ღვთისასა შუენიერი ნერგი ედემიანი: ყუავილი გარდაფენილი, სავსე არაითუ ნაყოფითა მით: რომლისა ურჩებით: ადამის მიერ სიკუდილი სოფლად შემოხდა: მრისხანეა სიკვდილი, გაიგონა მან: არ იცის შებრალება! აღვაშენებთ სამარადისოდ? დავბეჭდავთ სამარადისოდ? განიყრებიან ძმები სამარადისოდ? შექმნა შთამომავლობისა სამარადისოა ქვეყანაზედ? აიწევს მდინარე და მოაქვს წყალი სამარადისოდ? დასაბამითგან არა არს რა სამარადისო! მძინარე და მკვდარი რა გვარ არიან მსგავსნი ურთიერთისა! შეუძლებელია აღწერა სიკვდილისა... ამბობდა იგი: შეკრბებიან ანნუნაკნი, დიდნი ღმერთნი, მამუტუ, ბედის დამწერი, მათთან ერთად სწყვეტს ბედსა: მათ ხელთ არის სიკვდილიცა და სიცოცხლეც: ხოლო დღენი სიკვდილისანი არ არიან დანიშნულნი. ისევ დაუბუჟდა სხეული და იგრძნო, რომ რაღაც უხილავი ძალა ეზიდებოდა დარბაზის შორეული კუთხისაკენ. იქ იწყებოდა სწორედ ის ხილვადი შეუცნობადი სახიერება, რომელიც გულისყურს ესმოდა და სულს უხალისებდა. მას არ უცდია გაგება ამ წარწერებისა. იგი იხილავდა მათ. იგი ცხოვრობდა, ვითარცა უსახელო მამა და შვილი მისი. სინათლე აღარ იყო, მაგრამ სახილველი და სასმენელი სავსე ჰქონდა და სიტყვები თავისუფლად

ხმიანდებოდნენ ხილვად სახებაში, რომელსაც გონებითგამოუთქმელი სიცხადე ჰქონდა.

... მე ვარ შენ, შემოქმედი, გარდმოსული საკუთარი მედან... მე ვარ შენ, შემოქმედი გამოსული მისი საკუთარი მე-დან. მე გამოვდივარ ჩემი ნიაღიდან, როგორც უფალი მისი საკუთარი თვითობიდან შექმნილი ხორცისა. მე ვარ ერთის ასოთა შორის წარმოშობილი შენი სული, რომელიც ქმნის თავისთავს თვისივე საკუთარი გამოსხივებიდან. მე ვარ ხორცი ერთისა. ეს მე ვარ აღზრდილი, რადგან ჩემი წარმოშობა არის მისი ყოფიერება. მე ვარ იგი, რომელი ამშვიდებს ცას მიწის საშოს ძვრით. მე წარვმართავ ერთს, რომელიც აღმოცენდება მარადიული აღმასვლისა და ჩაღმასვლიდან. მისთვის ვკრავ მე კვანძებს, ღვთაებრივ მაერთებელს მისი საკუთარი სახელებისა. მე ვარ მაცხოვრებელი მილიონობით ყოფიერებათა შორის. მე ვიძენ ცნობას მილიონობით ყოფიერებათაგან. მე განვთესავ შენს საკუთარ თაობას ერთის სიტყვათა შორის, რომელიც ქმნის თავისთავს თავისი საკუთარი თავიდან. მე ვარ ერთადერთი დიადი გემის ფუნქციათა ხელრთვის ოსტატობაში. ჩემი ძალა და უძრაობა უფრო დიდია, ვიდრე ყველა ძალაუფლება. ძლიერი და ძალგულოვანი, ეს მე ვარ ყველა ღმერთების წყარო. რადგან მე აღვადგენ ყველა ქმნილების წინაპრის სიტყვას, როგორც მათი ბედისწერის წარმომშობი კანონისა და მისი საკუთარი ჩამომავლობის შემქმნელისა, რომელიც დახვეწავს ჩემს განვითარებას დროის ოკეანეში. ეს თაობები გააიგივებენ ჩემს შემბოჭავ ძალებს დიდ იდუმალ კიდობანთან, რომელსაც იგი წარმართავს, ვინც გაათავისუფლებს მის საკუთარ ყოფიერებას მისი საკუთარი მეობიდან. მე გავადიდებ ძალას მათში, საიდანაც მივცემ მას წინაპარს და გამომსყიდველს მისი სხეულისა ჩემი წარმოშობით. მე მოვუწოდებ: სიჩუმეს, დროის გამგებელს, წარმოშობილს დაბადების შემქმნელიდან. მე წარმოგიჩენ თქვენ, ო ბედისწერის ჩემო თაობებო, რომ მე ვმართავ ჩემს წარმოქმნას უძირობაში. რადგან მე დავინახე უძირობა ქცეული მედ. მან არ იცის ალაგი, რომელშიც მე გავჩნდი, არც დაუნახივარ, მის საკუთარ სახედ რომ ვიქეცი. მე გავხდი მბწნელი თავისი თავის თავისი

თავიდან შემოქმედი წინაპრის ხორცისა. მან გამომჭედა მე მისი გულის შესაქმნელად. მან გამომასხივა მე, რომ შევიქმნე მისი ბრწყინვალება. ამომსუნთქა, რომ ვიქმნე მის ნესტოებად. მე ვარ „აი ეს", რომელიც სუნთქავს ქმნილს. მე დავაფუძნებ მეუფეს, რომელიც არის „აი ეს", თვით-შემოქმედის განსადიდებლად და წარმოვაჩენ ცას, როგორც მის შინაგან ძალას და ერთობას ყველა შემოქმედი კანონისა. ამგვარად, შემქმნელ ღმერთათვის შეუცნობელი. იგი აღამაღლებს თავის სახელს. მე ვქმნი მათ, ვინც მიჰყვება სინათლეს, აღმართულს მისი ფეხებივით. მე ვიქცევი მის აღმართულ ხელებად. ამგვარად აღმანთო მან შექმნად მისი გულისა და გამომასხივა, როგორც მისი ბრწყინვალება. არშობილი, მე ვარ თვით შობაზე უფრო ხნიერი. ჩემი წარმოშობა არის მოსავალი მინდვრისა, რომელიც უდაბნოა. ეს მე ვარ, ვინც აცხობს ღვთაებრივ პურს. იქნება მოსავალი – იქნება პურიც გამომცხვარი, რადგან მცხობელები ბევრნი არიან, ხოლო მჭამელნი უფრო მეტნი. ეს მე ვარ, წრებრუნვის გულში, ვინც ვარ უფალი საიქიოში მწვანე მინდორთა მეუფისა, რატომ-ისადმი დიდების შესხმით, მე ვამაღლებ ნუ-ს. ნუ გინდა, ნუ იკითხავ, რატომ ვაშენებ მას. ეს მე ვარ, ვინც აღვადგენ სუბსტანციას ბოზირისის წმიდა ხორცის განმასულიერებელის დასაბრუნებლად. ღმერთებს, დამალულთ თავიანთ კიდობნებში, ეშინიათ მისი. მე აღვადგენ შეწირულს, რათა დავაბრუნო გამაცოცხლებელი ღვთაებრივი ხორცისა. მე წარმოვიშვები ხორცით ღმერთისა „აი ეს", რათა აღვადგინო მისი ყოფიერება და გავხსნა ცა, როგორც მთლიანი ყვავილი – ერთება, რომელიც აჯამებს ყველა შემოქმედ კანონს. მე ვარ ჭეშმარიტი გამგებელი განყოფის სახლის ბეჭდისა, რადგან მე ვაერთებ ჩემს მრავალ მხარეებს. მე ვარ ღვთაებრივი შემოქმედების სუნთქვა. მე არ გამოვვარდნილვარ მისი საშოდან, და არც თავისი თესლით ჩავუსახივარ მას. მან ამომისუნთქა მე თავისი ნესტოების შესაქმნელად. მან თავისი შემონაქმედის გულში დამაბინავა ღმერთთა განსადიდებლად თავიანთ კიდობანთა შორის. ამგვარად აღმოვალს იგი ცაში, როგორც ღმერთთა გამგებელი, რომელიც წარმოაჩენს ცას, ვითარცა მბრწყინავ ყვავილს. ამგვარად,

მის გადაშლილ ფურცლებში, ღმერთები ჭვრეტენ მის მშვენიერებას, ყველა ღმერთთა ერთებას. თვით-შემოქმედში, ეს მე ვარ, ვინც ვარ სუნთქვა ყველა წარმოქმნილის. უხანესი, ვიდრე მისი დამზრალი ველები, წმიდა ექვსის კიდობანში, მე ვარ იდუმალყოფათა საფუძველში. მე გამოვჭედე ჩემი სული, რომელმაც დამბადა, რადგან მის გამოცხადებაზე უფრო ხნიერი ვარ მე, მცოდნე. ჩემი სული არ დაიწვება ჩემს სხეულთან ერთად. ჩემი სული არ მოიკვეთება რა-ს ხორცის მთლიანობის მცველთა მიერ. მე ვბეჭდავ ჩემს სულს ცეცხლის ტბის მოსახლეთა შორის თვალსაზრისის შესაქმნელად. ამგვარად შევიცნობ მე ჩემს თავს ღმერთების მეხებით, რომელთაც ვატარებ, როგორც გვირგვინს. მე ვაერთებ ორ გვირგვინს მისი თაღის მაცხოვრებელთა შორის. ამგვარად, მე მიმაქვს მის თაღში მაცხოვრებლისთვის მისი საკუთარი გვირგვინი. მე განვსაზღვრავ ჩემს ძალას მისი სუბსტანციურობიდან. მე არ ვემორჩილები დამარცვლას. მე წინ ვუსწრებ მათ. ეს მე ვარ, ვინც აძლევს სუნთქვას ატუმ-ის სიტყვიდან გამოსულ სიცოცხლეს, რადგან იგი ჩემ შემდეგ გამოვალს. მე ვარ მარადგანვითარებადი თვით-შემოქმედი; ერთადერთი, რომელიც უფრო ხნიერია, ვიდრე ღმერთები. მე იგი ვარ, ვინც განავრცობს ზეცის მწვერვალებს. მე იგი ვარ, ვინც წარმოშობს მის საკუთარ ბრწყინვალებას თავისი ღვთაებრივი წინაპრობის თესლისათვის ძალის შეწირვით. მე ჩავაქრე ცეცხლის ალები. მე დავამარცხე ურჩხული ცეცხლისმფრქვეველი. დავამშვიდე იგი თავის დამანგრეველთა შორის, რადგან გაწონასწორებულნი, ცეცხლის ალები ღმერთებს ჰგვანან. ეს მე ვარ, ვინც ქმნის ურჩხულს ნგრევისა. მისი მწველი ქშინვა მისი ყბებისა არ მობრუნდება ჩემ წინააღმდეგ. ეს მე ვარ, ვინც წვავს ურჩხულს, შემქმნელი მისი სკიპტრის მის დამანგრეველთა შორის, რამეთუ გაწონასწორებულები, ალები ერთმანეთს აქსოვენ ღმერთებს. ო, ღმერთებო, თქვენი გონება თქვენი საკუთარი საშოდან კი არ ვითარდება, არამედ მხოლოდ ჩემით. ჩემი წარმოშობა არის მთელი შემოქმედების ძალა, რომელიც მოედინება წინ სიტყვიდან დიდი ღმერთისა „აი ეს". მისი სიტყვის მეოხებით ქმნის იგი მის არსებობას, თუმცა მას არ დაუს-

რულებია თავისი განვითარება. რამეთუ ეს მე ვარ, ვინც ხელახლა-ვქმნი მთლიანობას მისი სხეულისა და მისი სულისა. ეს მე ვარ, ვინც განვაგებ სამარეთა გამგებლებს და ვაშინებ იდუმალი კიდობნის მსახურებს. ისინი ამზადებენ გზას ჩემთვის. მაგვარად მე ვიძირები კიდობანში და აღვიმართები იქიდან, როგორც ის, ვინც ქმნის თავისთავს. მე წამოვიცვი თავზე მხედველის გვირგვინი. წითელი გვირგვინი ხედავს მას. ჩემს თავზე მხედველის გვირგვინი არის წითელი გვირგვინი თვით-შემოქმედის თავზე, რადგან როდესაც ის ხედავს წითელ გვირგვინს, მქსოველის გვირგვინი ამაღლებული ხდება. მათი ხმა ერთიანდება. ღვთაებრივი გონება ილვიძებს მათ სიტყვებში და ერთი ხდება თვით-შემოქმედთან, მის საკუთარ ხორცში. ისინი ხედავენ თვით-შემოქმედს, გამოძახებულს ჩემ მიერ, როგორც კი ის გამოვა ერთიდან, ვისშიც შეამზადეს მათ ჩემი გზა. ამგვარი ხედვით აღვიმართები მე იდუმალი კიდობნიდან, როგორც ის, ვინც ქმნის თავისთავს. მე განვაგებ მათ, ვინც განაგებს ბედისწერას. მე განვახორციელებ განხორციელებულს. მე ვადგენ შემდგენელს. მე ვანგრევ დამანგრეველს, რადგან მე მძულს ნგრევა. მე ერთი ვარ სიცოცხლის მეუფესთან ერთად. მე ვამთლიანებ მის სიმრავლეს. მე ვკრავ ერთად მის ღმერთებს. ეს მე ვარ, ვინც ვაფუძნებ მარადიულობის მეუფეებს მისთვის, მე, ვინც ვამარადისებ იდუმალ კიდობანს მის სხეულში. ჩემი ნებით, ჩემ შემდგომად იგი გამოჭედავს ჩემი სულის ნათელხილვას ჩემთვის. რადგან მის გამოცხადებაზე ადრე, მე ვარ მცნობი. მე ვარ საზომი ზეცისა. მე შთავაღწევ ყველა მიწას. მე ვქმნი მის ნებას ჩემში. იგი არ შეაჭმევინებს ჩემს სულს, ჩემს გაწნელილულ ხორცს. იდუმალი კიდობნის ვერც ერთი მცველი ვერ შეეხება ჩემს სულს. „შენი სული განაგებს შენს ხორცს, ო მე-ვ": ასე მეუბნება თვით-შემოქმედი მე. ჩემი სული არ იქნება შეპყრობილი შევარდნის მიერ. ჩემი სული არ იქნება შეჭმული სიკვდილის შთანმთქმელის მიერ. ჩემი სული არ ემსახურება ღმერთებს, რომლებიც ქსოვენ ბადეს სულთა შესაპყრობად. ჩემი სული არ ადიდებს მაგიური დამარცვლის ღმერთებს, მარადიული წრებრუნვის ამ მეუფეებს. შეუშფოთებელი ჩემი სული მდუ-

მარედ მოგზაურობს მათ შორის, შთამღწევი იდუმალ კიდობანში, გამომავალი იდუმალი კიდობნიდან. კიდობანში ის აცალკევებს იმას, რაც ჩემია უფალ ტუმ-ის ბადის ღმერთთაგან, რადგან ჩემი წარმოშობა მის წარმოშობაზე ადრეა. მისი იარაღი (თვით-განადგურებისა) არის ჩემი სკიპტრა ჩემს მტრებში ცაზე ან მიწაზე. მე გამოვყრი მათ მათსავე ციხე-სიმაგრეში. მე გავანადგურებ მათ მათსავე საკუთარ ფუძეში. მე დავამსხვრევ მათ ავტორიტეტს მათი მდგომარეობის შუაგულში. მე განვგმირავ მათს სასიცოცხლო ძალას. მე დავშლი მათ გონებას. მე დავიყვან მათ მონობამდე. ამგვარად განსაზღვრავს თვით-შემოქმედი თავისი მტრებისათვის, მკვდართა თუ ცოცხალთათვის, ცასა თუ მიწაზე, ვინც ტკეპნის ჩემს ნარგავებს ჩემს ველში, უარს ამბობს ჩემს ამაღლებაზე და არ მიმზადებს გზას განთავისუფლებისა, რადგან მე ვარ მეუფე ფარული შობისა. მე ვარ უსაზღვრო. მათი მსჯავრი არ იქნება ნაწილობრივი. (და) ვუთხარი სულს ჩემსას, ვუპასუხე მასზე, რაც ეთქვა: ო! ახლა ამას ველარ ავიტან. ჩემი სული აღარ მპასუხობს ამჯერად, რისხვაზე უმძიმეა ეს გულგრილობა. ნუ წახვალ, სულო ჩემო! დარჩი! შენ ხომ მხოლოდ ჩემთან ერთად აღმოხვალ! და მე თუ არ ჩაგქსოვე ჩემს სხეულში, ვითარცა ბაწარი ბადეში, არც ერთი შენი შეცდომისათვის არ იქნები დაკარგული სამსჯავროს დღეს. ისინი გაასამართლებენ ჩემს სულს! რადგანაც მე მრუდედ წარვედი, რამეთუ არ დავემორჩილე და სიკვდილის მოსვლამდე ვიჩქარე მოკვდომა, გადაღვრა ცეცხლში, რომლისგანაც სული შედგება. გამმსჭვალე მე, იმ სამსჯავროს დღეს! შენ იდგები ს ხ ვ ა მ ხ ა რ ე ს, თანამოქმედი შემოქმედის სასწაულისა. ასეთია მისი ბუნება: იგი წარმოიშობა თავისი თავისგან თავისი თავის გამოწურვით. ეს სიგიჟეა, ო, სულო! შენ მიძლიერებ სიცოცხლის ტკივილს, სიკვდილს რომ მაშორებ სიკვდილის მოსვლამდე. ჩემი მეოხებით საიქიოთი ტკბობა – უარესი იქნება ეს? შეხედე! სიცოცხლე მხოლოდ მოძრაობაა მარადიული დაბრუნებისა. და ხეებიც კი ეცემიან. დათრგუნე ბოროტი! დაამშვიდენ ჩემი ტკივილი! დაე, ჯეჰუტიმ განმსაჯოს: მან, ვისაც უჭირავს სასწორი ბუნების წესის. კონსუ დამიცავს: კანონთა ზევით მწერალი ჭეშ-

მარიტებისა. რა ყურადღებას მიაქცევს ჩემს სიტყვებს: ის წარმართავს წმიდა ნავს ღამისას. ისიდა გამამართლებს მე სამსჯავროს დარბაზში, სადაც მე ვიმყოფები... უბედური ვარ მე, დამსხვრეული ჩემი გულის სიმძიმის ქვეშ, რომელსაც იგი აღადგენს იდუმალ ანგარიშგებაში ჩემთან. გარდასახვათა უფალი, დამალული ჩემს სხეულში. ჩემი სულის პასუხი: რა კაცი ხარ შენ? გაგიცლია შენი ცხოვრება მის შეჯამებამდე? შენ ისე ღელავ ცხოვრებაზე, ვითარცა ნაგროვთა ბატონი; მითქვამს! მე მასში წილი არა მაქვს! ნეფა უკვე ცალი ფეხით აცილებულა მიწას და, შენ თუ არ იზრუნებ, ნებისმიერ ბოროტს შეუძლია დაგეუფლოს შენ. მიყვანილ იქნები საყუდლამდე. შენი სახელი მოკვდება! მხოლოდ ცოცხალი ნეფას მეოხებით შეუძლია ინტელექტს, მიაღწიოს გულამდე და საიქიო ხდება ზეცა ალმავალი დაძაბვისათვის. აჰ! რომ შემეძლოს ყურადღების მიქცევა ჩემი სულისათვის, მე არ შევაყოვნებდი მისი გულის ერთობას ჩემთან, და შემდგომ, ჩემი ხელშეწყობით მივიდოდა იგი ალტაცებული საიქიოში, როგორც ე რ თ ი თავის პირამიდაში, რომ ა ღ დ გ ა, გადარჩენილი თავისი საკუთარი დასამარებიდან. მაგრამ ამ სხეულში, რომელიც შენია, მე ვარ თესლი დიადი სახედრის აიასი! შენში ვიწვევ მე სხვას, ო, სულო, გაულვიძარო! მე ვარ აიას წარმოშობილი, ცეცხლი, რომელიც არასოდეს ცივდება. მე ვაიძულებ სხვას, გამოძვრეს წინო, სულო, ცეცხლმოდებულო! მე ვსაზრდოობ ჭეშმარიტი წყაროთი ჩრდილის გასამაგრებლად. მე ვაღვიძებ სხვას, დამშეულს, წვალებისათვის. სიკვდილზე უფრო ღრმად ვანგრევ მის სულს მისსავე ქერქში. ამგვარად, შენ ვერასოდეს მოხვალ. გამაგრდი, სულო ჩემო! ჩემი ღვთაებრივი მემკვიდრის შექმნაში მომთხოვნი იყავ. იგი წარმოადგენს დაკრძალვის დღეს საფლავიდან ამოსულ მსხვერპლს; იგი დაამკვიდრებს თავისთავს მარადისობაში. სულმა ჩემმა მომიგო მე ნათქვამის პასუხად: დაიმახსოვრე! ამგვარი დაფლვა დასანანი რამაა! ცრემლები მდინარებს! დაკარგული კაცი მოწყვეტილია თავის სახლს და გარბის ბორცვებზე! შენ ვერასოდეს მიაღწევ ამ მწვერვალს, მიჩერებულს ამომავალი და ჩამავალი მზისადმი. ისინიც კი, ვინც ჰკრავდნენ გრანიტს პირამიდაში

შემონაქმედის სიქველეთა დასავანებლად, ღვთაებრივნი მშენებელნი: მათი სკიპტრნი მტვრად ჩაიქცნენ მდინარის პირივით. გაუღვიძარს, ვინაც წევს მკვდარი, უმემკვიდროდ, დინება ნაილებს მას, მზე ნაილებს; თევზი ესაუბრება მას თხელ წყალში. მისმინე, უყურე, კარგია კაცისთვის გაგება იმისა, თუ როგორ მისდიოს დღეს და დასძლიოს უიმედობა! კაცი ჰკრავს თავის ტივს, ალაგებს თავის ხვასტაგს ნავზე, და აცურებს მას გასწვრივ. მისი ტრიუმფალური დღე ახლოვდებოდა, ის ხედავს ქარიშხალს ჩრდილოეთიდან მობერილს. იგი შერჩა ნავს ფრთხალი, მაგრამ მზე ჩადის! სიბნელეში, ნიანგთა ტბაში. მოუსვენრობა იპყრობს მას: მისი ცოლი, მისი ბავშვები ჩავარდნენ ნიანგებთან და როდესაც ყოველივე გათავდა, მას მერე, რაც მან დაიბრუნა თავისი ხმა, მან დაასკვნა: იმისთვის, ვინც შობს ბავშვებს, იმისთვის, ვინც არასოდეს აღარ დაბრუნდება იქიდან, როგორც ქალი. მე არ ვიტირებ; მე ვდარდობ მისი ბავშვების გამო, კვერცხში რომ ჩაიმსხვრნენ; ვინც ჩასცქეროდა ორმაგი ნიანგის სახეს, ვიდრე ისინი გაცოცხლდებოდნენ! კაცმა მოითხოვა თავისი ვახშამი. ცოლმა უპასუხა: ის თავის გზაზეა. იგი დაცხრა მრისხანებაში და როცა, ბოლოს, მოვიდა სახლში იგი უკვე აღარ იყო თვითონ. მისმა ცოლმა კი უთხრა მას ბრძნულად, როგორ ვერ იცნო მან თავის მრისხანებაში მგულვებელთა ბერნი გულები. მე ვუთხარი ჩემს სულს პასუხად მის ნათქვამზე: **ჰოი! საზიზღარია ჩემი სახელი!** ჰეი! უარესი, ვიდრე სიმყრალე მძორისა ზაფხულის პაპანაქება მზის ქვეშ! ჰოი! საზიზღარი მქვია სახელად! ჰეი! უარესი, ვიდრე თევზი ამოგდებული ბადიდან ლპობილი მწველი მზის ქვეშ! ჰოი! საზიზღარი მქვია მე! უარესი, ვიდრე სიმყრალე კვერცხისმდებელი იხვებისა ლერწამთა შორის! ჰოი! საზიზღარია ჩემი სახელი! ჰეი! მეტად, ვიდრე სუნი მეთევზეთა, ვიდრე ტყლაპუნი ჭაობისა, სადაც მათ უთევზავიათ! ჰოი! საზიზღარია ჩემი სახელი! ჰეი! უარესი, ვიდრე სუნი ნიანგისა! ვიდრე ჯდომა ატალახებულ ნაპირზე, სადაც ნიანგი სუნთქავს! ჰოი! საზიზღარია ჩემი სახელი! ჰეი! უარესი, ვიდრე ქალი, რომელიც ატყუებს თავის ქმარს! ჰოი! საზიზღარია ჩემი სახელი! ჰეი! უარესი, ვიდრე ძლიერი ახალგაზრდა სისუსტის

მჩენი თავისი მოწინააღმდეგის წინაშე! საზიზღარია ჩემი სახელი! ჰეი! დახშული წრეა შეპყრობილი განდგომილის ირგვლივ, დარწმუნებულის თავის დასასრულში. ვის შემიძლია, ველაპარაკო დღეს? ძმები ბოროტები არიან. მეგობართა სიყვარული შეუძლებელია დღეს. ვის უნდა ვესაუბრო დღეს? გაუმაძღარია გულები. ყოველ კაცს მისი მეზობლის ქონება მიაქვს. ვის ველაპარაკო დღეს? სიკეთე გადაგდებულია, ძალმომრეობა მართავს ყოველს. ვის ველაპარაკო დღეს? როდესაც ულირსობა შეუმჩნეველი ვალს, ღირსება კი დამდაბლებულია. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? ის, ვისი სიმდაბლე შეურაცხყოფს კეთილშობილს, აღიარებულია ბრბოს მიერ მისი ბოროტი ქცევისათვის. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? ადამიანები ყაჩაღები არიან. ყოველი ადამიანი ითვისებს თავისი მეზობლის ქონებას. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? როდესაც მტრობა მეგობრობად იდღეგრძელება და ძმა, რომელიც აღშფოთებას გამოთქვამს, მტერი ხდება. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? დავიწყებულია წარსული. კეთილი არ ბრუნდება. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? ძმობა დასუსტებულია. კაცი ბარბაროსებთან მიდის სიმართლის საპოვნელად. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? სახეები დამახინჯებულია! თითოეული ადამიანი თავს არიდებს ძმებთან პირისპირ შეხვედრას. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? გულები გაუმაძღარნი არიან. არც ერთი გული არ არის კაცისთვის, რომ თვისი რწმენა მოათავსოს შიგ. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? წარვიდა სამართალი! უსამართლობასაა მიცემული მიწა. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? არც ერთი სანდო მეგობარი აღარ არის. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? კაცი სიბნელეშია შეგდებული, ვიდრე ყვირილს მოასწრებდეს. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? ალალმართალი გული გაქრა: და ის, ვინც მას მიჰყვება, აღარ არსებობს. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? დამსხვრეული ვარ მწუხარებისაგან იმის დაკარგვით, ვინც გულში შემოდის. ვის უნდა ველაპარაკო დღეს? რადგან კორუფცია ღრღნის დედამიწას: და არ არსებობს ამის დასასრული! მოვკვდე, დღეს ჩემთვის ჯანმრთელობაა ავადმყოფობისათვის; როგორც განთავისუფლება მონობისაგან. მოვკვდე, დღეს ჩემთვის მირრის

სურნელია; როგორც ქარიანი დღის თავშესაფარი. მოვკვდე, დღეს ჩემთვის არის დაყნოსვა ლოტოსისა; როგორც ყოფნა ექსტაზის ნაპირად. მოვკვდე, დღეს ჩემთვის მომავალი მდინარებაა, როგორც ომიდან სახლში დაბრუნება. მოვკვდე, დღეს ჩემთვის გადახსნაა ცისა; როგორც შეუცნობის ტრანსფორმაცია. ო, მოვკვდე, ჩემთვის, დღეს, არის როგორც წყურვილი წლების განმავლობაში დაპყრობილი სახლის ხილვისა. ჭეშმარიტად, ის, ვინც ცხოვრობს შიგნით, გაამართლებს ამ ბოროტმოქმედებას და ამ ცოდვას ჭეშმარიტად; ის, ვინც ცხოვრობს შიგნით, ამოვა წმიდა ნავზე ღამისა, რათა ხელთდასხას უმაღლესი შესაწირავი ტაძართა. ჭეშმარიტად, ის, ვინც ცხოვრობს შიგნით, მცოდნე, არ იქნება უარყოფილი, როდესაც იგი ზუსტად მიჰყვება რა-ს სიტყვას! ჩემმა სულმა მომიგო მე: შენ გინდა, ჩამოახრჩო შენი უბედურება, მაგრამ ეს კაუჭი მე მეკუთვნის! ძმაო, ვიდრემდი იწვი, შენ ეკუთვნი ცხოვრებას. შენ თქვი, რომ გინდა, თან გამიყოლო საიქიოში? დაივიწყე საიქიო! როდესაც დაასვენებ შენს ტანს და ამგვარად მიაღწევ უკუნისს, ამ მდუმარე სიმშვიდეში და უძრაობაში მე აღვენთები შენს თავზედ, და შემდეგ, შერწყმულნი, ჩვენ შევქმნით ახალ შენობას. რადგან მოსამართლენი განსასჯელთა მიერ არიან ამაღლებულნი, როგორც წერია წმიდა წერილში... წმიდა წერილში... წმიდა წერილში... წმიდაში. წმიდაო, მე ვარ დღეს და მე ვარ გუშინ და მე ვარ ხვალ. ჩემი მრავალრიცხოვანი დაბადებების გასწვრივ მე ვრჩები ახალგაზრდა და მაგარი. მე ვარ სული ღვთაებრივი და იდუმალი, რომელმაც ოდესღაც შექმნა ღმერთები და ასე დამალულმა არსებამ გამოკვება ღმერთეებანი ჩემობისა, შენობისა და ცისა. მე ვარ გამგებელი აღმოსავლეთიდან, უფალი ღვთაებრივი ორი სახისა. ჩემი გამოსხივება ანათებს ყველა განახლებულ ყოფიერებას, რომელიც, ვიდრე ვალს მკვდართა სამეფოში, წარმატებული გარდასახვის მეოხებით, მტკივნეულად ეძებს თავის ბილიკს შავეთის მხარის გადასაკვეთად. ო, თქვენ, სულნო შევარდნის თავებიანო, შეურხეველი, უსირცხვილო თვალებით, თქვენ, რომელნიც, მოკალათდით ძალიან მაღლა, უსმინეთ ყურადღებით მაგიურ სიტყვებს, წარმოთქმულს მათ

მიერ, ვინც აცილებენ ჩემ მიერ სვლას თავისი დამალული საცხოვრისისკენ მავალნი. და თქვენ, რომელნიც წინ იყავით და ვინც უკან მიჰყვებოდით რას თავის სვლაში ცის უმაღლესი წერტილისაკენ, მაშინ, როდესაც თვით რა, უფალი კიდობანთა აღმდგარი ნავზე თავისი გამოსხივებით ამწიფებს მიწის ნაყოფს, თქვენ ყველამ ისწავლეთ! სინამდვილეში, ეს მე ვარ, ვინაც ვარ რა! რა კი, პირიქით, არის მე! რა არის შენ! ეს მე ვარ, კრისტალიდან რომ გამოვძერწე ცისთაღი ფოლადის... ჰოი, რა! შენი გონი დაკმაყოფილებულია და შენი გული ნასიამოვნები, როდესაც შენ განჭვრიტავ ლამაზ წესრიგს ამ დღისა, როდესაც შენ იჭრები ამ ციურ ქალაქში და შემდეგ ტოვებ მას აღმოსავლეთის კარით... ღმერთების პირველშობილნი, რომელნიც შენზე ადრე იყვნენ, მოდიან შენს შესახვედრად და შენ მოგესალმებიან აღტაცების ყვირილით... ჰოი, რა! მომეცი რბილი და სასიამოვნო ბილიკები შენი მზიური სხივების მიერ გარბენილი. გააფართოვე ჩემთვის შენი ბრწყინავი საცალფეხო ბილიკები დღეს, საცა მე დავიწყებ ჩემს ფრენას მიწიდან ციური მხარეებისაკენ! მომაშუქე სინათლე, ო, სულო იდუმალო!.. რათა შენს წინაშე მოსულს, ღმერთო, რომლისაც ხმა მეხივით გრუხუნებს მკვდართა ვრცელ მხარეში... ცოდვები ჩემი მშობლებისა ნუ მომეწერება მე! გამათავისუფლე ამ ცრუ და ბოროტმოქმედი სულიდან, რომლისაც ორი თვალი დახუჭულსა ჰგავს საღამოსკენ და ვინც, ღამის განმავლობაში, ხოცავს მოკვდავებს... სინამდვილეში, მალული ფორმებით მდიდარი ვლახავ მე საზღვარს, და ჩემი სახელია: „დიდი სიშავე". ჩემში არსებულს ვაძლევ მე გამოვლინებას ჩემი ცვალებადი ფორმების მრავალფეროვნებით... ჰოი, უფლისწულო ღმერთებისა, გესმის გოდება ქაჩალა დემონებისა, ქოსა დევების, ულვაშა ანგელოსთა იმ დროს, როცა შენი მკლავები უძრავია? შენ იტყვი: „მოდი! გადალახე უფსკრული! უყურე! შენ წინ, დამცრობილი ულონობამდის აგდია შენი მტერი! მისი თეძო მის ყელსაა მიბჯენილი; მისი უკანალი გადაბმულია მის თავთან..." ჰოი, თქვენ, მკვდართა მხარის ღვთაებრივო უფლისწულნო! შეგძლებოდეთ ამ დღეს ამოშრობა ჩემში ჩემთა ცრემლთა წყაროსი, მაშინ, როდესაც, მეორე ნაპირიდან მე

დავინახავ ჩემს სხვა მეს, მიმომრბენს ციური კამარის ბილიკებისა და ოთხ კედელს სივრცის ოთხი მხარისა, მათი კარებითა და საკეტებით მათ კარებისა იქნება ის ჩემ გარეთ სამყაროში, თუ ჩემ შიგნით შეგძლებოდეთ მიღება ჩემს მკლავთა ძალისა! სწრაფი და ძაღლის ფერხთა მსგავსია ჩემი ფეხები, როდესაც მე მიმოვდივარ ზე-მყოფ კიდობნებს, ლომის ორმაგი თავის მქონე ღმერთმა გამოკვეზა ჩემი სხეული; თავად დააყენა ჩემი სხეული გზაზე; ძლიერია ჩემი სული. ზე-შეთის კარების შელეწვით, გავდივარ მე. ჩემით იჭრება ცის უშორეს მხარეებამდის სინათლე, რომელიც ამოსხივდება ჩემი გულიდან; რამეთუ ჩემი სახელია: „ის ვინც იცნობს უფსკრულს“. ეს თქვენი ქველმოქმედების სარწმუნოდ, თქვენ, გარდაუსახავნო სულნო, მილიონობით მცხოვრებნო ქვე-ყანაზე, საცა მე ვწევარ ამ მომენტში მთვლელი ხელსაყრელი დღისა და ჟამისა, ორიონის ვარსკვლავებისა და თორმეტი ღვთაებისა, რომელნიც მათ მართავენ. და, აი, ჰკიდებენ ერთმანეთს ხელებს, მაგრამ მეექვსე მათ შორის აღმოჩნდა უფსკრულის პირად დემონის დამარცხების ჟამს... და, აი, მე მოვდივარ გამარჯვებული ქვეშეთის მსოფლიოს ვრცელი მოედნის წინ; მე მომაქვს ჩემი შესაწირავი ღმერთებისადმი რომელსაც ჰქვია „შენ". როდესაც, ხოცვათა შემდეგ, არაწმიდათა სისხლი გაცივდება და მიწა, მთლიანად, თავიდან შეიკრიბება, აყვავდება და გამოიღებს ნაყოფს, მე წარმოვჩინდები სიცოცხლის უფლის სახით. დიდი იქნება ჩემი მშვენება ლამაზი წესრიგის შუა, ამ დღეს აღორძინებისა! ჭეშმარიტად, დავამსხვრევ იმათ წინააღმდეგობას, ვინც ერთიანდება ჩემს დასამხობად და იმალება, დამწყობი გეგმებისა ჩემს გასაგდებად!.. აჰ! ეს დემონები, რომელნიც ხოხავენ თავიანთ მუცლებზე! გაიგეთ! მე მოვდივარ აქ სრულუფლებიანად უფალთა უფლიდან, რათა შური ვიძიო შენთვის! ჩემმა თვალმა იცის ცრემლთა შეკავება. მე იმის გამოგზავნილი ვარ, რომლის მკლავი მტკიცეა და ვინც არის მფლობელი თავის საკუთრებათა. მე მოვირბენ ყველა გზას, რათა ვასწავლო ღვთაებრივ ფასკუნჯს ქვეშეთის საგნები... სალამი, ჰოი, სამეფოვ სიჩუმისა და იდუმალყოფათა, შენ რომ იფარავ. ჰოი, შენ, რომელიც ქმნი არსებობის ფორ-

მეზს თვით ღმერთ ხეპრეს თანაბრად, მიმიშვი, განვსჭვალო რას დისკო! რომ დიდმა ღმერთმა შენ, ვისიც სადგომია მარადიული განმავლობა, შემაძლებინოს, წარმოვჩინდე შენ წინაშე! რომ ჩემი მგზავრობა შენობაში მშვიდობიანად წარიმართოს! რომ გადავკვეთო თაღი და აღვტაცდე მშვენიერებით სხივებისა, რომელნიც მაბრმავებენ! შევიძლო ჩიტსავით ფრენა ჰაერში და განვსჭვალო რას წინაშე ყოველდღე შეკრებილი განმედილი სულები. შევიძლო, ვიყო დაცული ხელთდასხმულთა ლოცვებით, ამ მომენტში, რომელშიც მათი მსუბუქი სანდლებით აწვებიან ქვიშას, მდუმარედ მავალნი... და შენ, სწრაფ მოძრაობათა ძლიერო ყოფიერებავ, მკვეთრ შებრუნებათა დიდოსტატო, რომელიც წარმართავ ქვეშეთის მხარეებს, ჩრდილებს და განწმენდილ სულებს, გამიშვი, ღმერთთა რჩეულის სახით მიმოვიარო მშვიდობით მკვდართა მხარე! შემიბრალე მე! რადგან მე დასუსტებული ვარ და მტკივნეულად ვატარებ ანაბეჭდებს ჩემი მრავალრიცხოვანი სულებისა... ვინა ხარ შენ, ქვევით, დემონო, რომელიც იმალევი და შთანთქავ სიჩუმეში სულებს? არ მომეკარო! არ შემეხო! რამეთუ მე ვარ უფლისწული და მე ვარ ის, ვისიც სახელი საკმაოდ ძლიერია ქვეშეთის მსოფლიოს კართა გასაღებად!.. და როდესაც გამოვალ, ჩემი სახელი იქნება: „ღვთაება-რომელიც-ეძებს-და-ისწრაფვის. ქალბატონი – მიწის მარადიულობისა". ის იყო ფეხმძიმე... ღვთაებამ დასდო... შობით თავისი ტვირთი... რომ კარი კედლის შუაში მოხურულ იქნა... და ჩაკეტილი... მე გავიხარე... როს ვიხილე იგი... დახურული... თვალი... რიჟრაჟზე... დაბრუნებული... დიდი ღვთაებისათვის... ანათებს მის სახეს... შორს ჩემგან ყოველივე სიდამპლე!.. რამეთუ მე სულმთლად დავემსგავსე... შენ-სადმი მიძღვნილი ყვავილებით... მორთულ ღმერთ-ლომს... მე არ მეშინია... უფსკრულის წყლებისა!.. ბედნიერნი არიან ისინი, ვინც ზე-შეთიდან... განსჭვალავენ მშვიდობით... თავიანთ მოკვდავ... ნარჩენებს...; იმ კურთხეულ დღეს... როდესაც შენ... „ღმერთი-გაჩერებული-გულისა"... ჩამოხვალ... მფრენი მათ მძორზე!.. ჭეშმარიტად... მე ვარ იგი... ვინც მიაბიჯებს... დღის... სრული... სინათლისაკენ!.. შენი თანდასწრებით... მე ვხდები... პატ-

რონი სიცოცხლისა... ჩემი ყოფიერება არის... დაურღვეველი და მარადიული... და, აი, მე ვხვევ... ხელს წმიდა სახეს...; ის სანაცვლოდ... მიშლის თავის მადლიერ მკლავებს... ჰო, რუსის თვალის წინაშე მოსული... ვიძენ საკუთრებას... დაე, მეფობდეს მშვიდობით ქვეყნიერებაზე! მე განვსჭვალავ... რა-ს... თავის დასავალზე... როდესაც ის გამოჩნდება... გარიჟრაჟზე... მე შევერთვი... მის გამაცოცხლებელ... ამოსუნთქვას... წმიდაა ჩემი ხელები, როდესაც მე მას ვეთაყვანები. ამდენად, ჩემი ყოფიერების ყველა ნაწილს შეუძლია, შეინარჩუნოს მთლიანად თავისი კავშირი და არ ყოფილიყვნენ გაფანტულნი და, აი, მე ვფრენ, ვითარცა ჩიტი და ფრენით ვეშვები მიწისაკენ, წინ ნასვლისას მე უნდა მივყვე ჩემი შინაგანი მოქმედებების ნაკვალევს, რადგან მე ვარ ბავშვი გუშინისა, ორი ღვთაება აკერუ მართავს ჩემს გარდაქცევას, რათა ძლიერმა მიწამ მათხოვოს საშიშროების დროს თავისი საკუთარი მკვრივი ძალა და ძლიერმა ღმერთმა, რომელიც მოაბიჯებს ჩემ უკან, ვიდრე მე მივემართები ზეშეთისაკენ, კეთილდაცული მამყოფოს. დაბოლოს, რომ ჩემი ხორცი გახდეს უფრო ძლიერი და უფრო ჯანმრთელი და ჩემმა განმედილმა გონმა აილოს ზედამხედველობა ჩემს ნაწილებზე, რათა ჩემმა სულმა დაფაროს ისინი და დაიცვას თავისი ფრთებით და რომ მათ ესაუბროს რბილად, მეგობრულად, შეძლებენ ღვთაებრივნი იერარქიები, ისმინონ ჩემი სიტყვები! შეძლებენ ისინი, გაიგონონ ჩემი სიტყვები!.. აი, რომ ავიდე ცაზე იდუმალი უნივერსუმისა, მსგავსი სხივებით გარშემორტყმული კოსმიური კვერცხისა... რათა ჩემს ბაგეთა ძალა აღდგენილ მექნას, და შევძლო წარმოვთქვა ზე-შეთის უფალის წინაშე სიტყვები ძლიერებისა! რათა სირბილე ჩემი ორი მკლავისა თავდადებით დაძაბულებისა არ იქნას უკუგდებული ღვთაებრივი იერარქიის მიერ! რადგან, სინამდვილეში, მე ვარ შენ, უფალი შენობისა! შემიძლია, მე გავინაწილო იმათი ბედი, ვინც შეკრებილან ციური კიბის საფეხურებზე! მე მოვედი აქ ჩემი გულის ნდომით; მე გადავლახე ცეცხლის ტბა, და ჩემმა იქ ყოფნამ ჩააცხრო მისი ალები... კიდევ რაღაც ეწერა, მაგრამ მეტის გაძლება აღარა ჰქონდა, ისე იყო აღგზნებული, ცეცხლმოდებული და სველი

მთლიანად, რომ არც უგრძნია მათი შემოსვლა თუ გასვლა და არც ის, თუ როგორ ჩაუდეს ხელში თეთრი ქათქათა ქაღალდის ფურცელი, რომლის გამჭვირვალე შუქზე მან დაინახა ნაცნობი ხელით დაწერილი რამდენიმე სტრიქონი.

თუ კაცმა იცის ზემომოყვანილი თავი, მას შეუძლია, სიკვდილის შემდეგ, გამოვიდეს დღის სრულ სინათლეზე. ის არ შეხვდება წინააღმდეგობას ქვეშეთის სამყაროს კარებში ან მათი გავლისას ან მათი დატოვებისას. მას თავის ნებისამებრ შეუძლია, განვლოს ყველა ტრანსფორმაცია. იგი არ მოკვდება. მისი სული გაიფურჩქნება. სხვათა შორის, თუ მან იცის ეს თავი, იგი გამარჯვებული იქნება როგორც მიწაზე, ასევე საიქიოში და შეძლებს, გაასრულოს ყველა მოქმედება, რომლის შესაძლებლობაც აქვს მიწაზე მცხოვრებ ადამიანს (როგორც ადამიანურ ყოფიერებას).

ის, ვინც წარმოსთქვამს ამ სიტყვებს, უნდა იყოს განწმენდილი. არ უნდა ჰქონდეს ნაჭამი ხორცი, არც თევზი, და არც ქალებთან უნდა ექნას კავშირი.

ახლა კი, გააკეთე ქვის ხოჭო, ხის ხოჭო, ძვლის ხოჭო გააკეთე, რომელსაც ერთი გვერდი ოქროსი ექნება, იაგუნდისა და ლალის ექნება, ზურმუხტისა და ალმასის ექნება და ჩადე იგი მიცვალებულის გულში; ეს საკვები გაუღებს მას პირს.

დაზილე ზეთით, რომელსაც ა ნ ტ ი ვუწოდე მაგიური ფორმულის წარმოთქმით. და, მოდი!

კარები, რომლებიც აქამდე დაკეტილი იყო, მოულოდნელად გაიღო მის წინ და ორი გამყოლი აიტუზა გასასვლელში.

– ნუ ჭირვეულობთ და გონს მოდით. რაც მოხდა, იმის შეცვლა შეუძლებელია. მოსამართლის სიტყვა გარდაუვალია. სიტყვა გამოსული მისი პირიდან არ შებრუნდება. ბედი, მათ მიერ დადგენილი, შეუცვლელია, ვიდრე არ მიაღწევ ზღურბლს. რა დაგემართა? რად ჩაგცვენია ლოყები, დაგიდრეკია თავი? რად არის დაღონებული გული შენი, უძლური სხეული შენი? რად არის ვაება შენს გულში. რად ემსგავსები მგზავრსა, შორი გზით მავალს? რად შეგშლია სახე ტანჯვით, ზრუნვით და მწუხარებით? ჭმუნვით აღსავსე დაბორიალებ შენობაში, გზის გაუკვლელად?

– განაჩენის დრო მოვიდა. ნუ გაგაშეშებს სიკვდილის შიში, ნუ გახევდები. აქ მხოლოდ შენი ბედნიერებისათვის ზრუნავენ. ხომ ხედავ, ჩვენ მეტი არავინაა. დარაჯი მოკლულია. მოსამართლე ჯვარცმული. ბედი კი გადაწყვეტილი. გადმოდგი ნაბიჯი. მიმოიხედე. შენობაში. გაჰყევი გამყოლს. 50 კარების გამღებს. იგი გაგანდობს საიდუმლოს გასაღებისა. გაიხედე წინ – ათი კარია; გაიხედე მარჯვნივ – ათი კარია; გაიხედე მარცხნივ – ათი კარია; გაიხედე უკან, შებრუნდი უკან – ათი კარია. როგორღა შემოხვედ შენ? ერთი კარით? აღაპყარ თვალი – ცხრაკლიტულია!

– ორმოცდამეათე?

– შედი დარბაზში და მოისმინე შენი განაჩენი, მამაო ჩვენო, და ნუ იკითხავ უკანასკნელი კარისას. მხოლოდ გამღებმა იცის, საით მიჰყავს მას: ზევით თუ ქვევით; ცაში თუ უფსკრულში; თუ გვერდით დარბაზში, საცა ორმოცდაათი კარია... მაგრამ გზა იქით მიმავალი მოუბრუნებელია და ვინაც წავიდა იმ კარიდან, აღარ შემობრუნებულა უკან. ნუ შიშობ. ხელს არავინ გკრავს, არავინ წაგაქცევს, არავინ დაგიფრთხობს ძილს, ვიდრე არ გარდახდება ჟამი ბედისწერისა და განაჩენისა...

– განაჩენი? ვინ უნდა გამოაცხადოს განაჩენი... აქ ჩვენ მეტი არავინაა, სამნი დავრჩით...

– სამნი ვიყავით ჩვენ ყოველთვის. მაშინაც, როდესაც გატეხე კიდობანი ხის, ქვის კიდობანი გატეხე. კვერცხი გატეხე, შუბი აძგერე, კვერთხი დაჰკარი, წყალი დაღვარე, მ ა მ ა გახდი, სიკვდილს გზა გაუხსენი...

– შენ?!

– შენ?!

– შენა ხარ მამა და შენა გყავს შვილი. შენა ხარ მამა და შენა გყავს შვილი... შენა ხარ მამა. შენ გყავს შვილი. შენ ხარ შვილი... მ ა მ ა.

მ ა მ ა ო!... შენობაში აღმოჩენილო ღვიძილო ცხოვრებისაო, ჭმუნვარებავ სიცოცხლისა. განწვლილულო არსებავ მინად მიქცევადისა. აღაპყარ სასმენელნი შენნი და ისმინე განაჩენი შენი: შიში იქნება წყარო შენი სიყვარულისა. შიში იქნება

ბჭე შენობისა. შიში იქნება ნაკადული სიბრძნისა. რადგან მოკალი დარაჯი, – შენ ხარ დარაჯი, რადგან მკვდარია მოსამართლე, – ხარ მოსამართლე, რადგან არაა ჯალათი, – შენ ხარ ჯალათი. რადგან შენ ხარ მამა.

ძაღლს გაეღვიძა. მორგვად ქცეული სხეული გაშალა, ზანტად დაამთქნარა და გაიზმორა. ნელა შეხედა ჩამქრალი თვალებით.

მან სიგარეტის ნამწვავი ურნაში ისროლა და ცას თვალი მოავლო. ნამწვავი ურნის კიდეს მოხვდა და ძირს დავარდა. ცას სიფითრე შეეპარა, თუმცა ჯერ ისევ ბნელოდა სამშობიაროს შენობებით შემოსაზღვრულ ეზოში. ერთადერთი ნათურა, რომელიც ბჟუტავდა ხის ტოტებშუა, ჩაქრა. ის ნერვიულად იღებს ახალ  სიგარეტს და უკიდებს. გათავდა ნეტა. ეს რა წამება ყოფილა... წამება... წამები... მომები... ოთხის ნახევარია უკვე... არავინ რომ არ ჩანს?!. ერთხელ კი მოეჩვენა, ვიღაცამ შემოიხედა მოსაცდელში, მაგრამ როდესაც თვითონ მივიდა კარებთან, იქ არავინ იყო. აცივდა რაღაც. ნერვებია ეს. იქაც შეუძლებელია ლოდინი. ვინმეს მაინც მოიყვანდნენ კიდევ. შეუძლებელია, სხვა არავინ დაიბადოს... კარგი ახლა, დანყნარდი? არავინ ყოფილა შენ მეტი? არავინ გამხდარა მამა? რა ვიცი მე, ყოფილა ვინმე, თუ არა. მე ვარ ახლა, აქ. მე ვერ ვუშველი მას. თავს მოვიკლავ. როდემდე ვიყო ასე. შენ რაღას შემომცქერი, ყურშა? მურია, კერბერო, ძაღლთაძაღლოლო-ო... ოი, ძაღლო ვაებისა. და წამწამისა მსწრობელო... შევედი.

გიორგიმ თვალი გაახილა თუ არა, იგრძნო, რომ თავი ქვასავით დამძიმებოდა და წამოწევა უჭირდა. სინათლე ანთებული დარჩენოდა. ფანჯრები ღია. იგი ცდილობდა, აზრის რაიმე ნაპერწკალი მაინც დაეჭირა ჩაკირულ გონებაში, მაგრამ – ამაოდ. თვალებსაც ძლივს აბრუნებდა, ისეთ ტკივილს გრძნობდა საფეთქლის არეში და თვალის კიდეებში. ისევ დახუჭა თვალები. ჯერ ისევ ღამე იყო და ქუჩიდან მოდენილი სინათლით განათებული ოთახი უჩუმრად ჩაყუჟულ ქვაბურს ჰგავდა, რომლის შუაგულში, მძიმე, ქვის სარეცელზე იდო მისი გაქვავებული სხეული. ოღონდ ეს არც გაუფიქრია, – დაი-

ნახა, თვალებს რომ ხუჭავდა. ისღა იგრძნო საბოლოოდ, რომ თავდაყირა ჩაეკიდა უფსკრულის სიღრმეში და... ხელი შეუშვეს...

ქარმა გამოსტაცა კარი და შეჩერება ველარ მოასწრო. მთელ სამშობიაროზე გაისმა საშინელი გრუხუნი და აზანზარდა ფანჯრების მინები. ესღა მაკლდა, – მოასწრო გაფიქრება შეცბუნებულმა, რომ მოპირდაპირე კარი გაიღო და მოწყალების დამ გამოყო ნამძინარევი თავი.

– ა, თქვენა ხართ?! რას იზამ... ხდება ხოლმე... – თქვა და ისევ მიხურა კარი. უკაცრავად, – დაანია მამამ, კარებს მივარდა და გამოაღო. ქალი ტახტზე იწვა უკვე და თვალები დაეხუჭა. ცუდად ენიშნა ეს შეშფოთებულ კაცს, მაგრამ ქალის დაღლილ ნაოჭებს რომ შეავლო თვალი, მაინც შეეცოდა და აღარ გააღვიძა. ეძინოს, გაიფიქრა მანაც დაღლილად, რაც არი არი, მაინც არ ამცდება... მერე გამობრუნდა, კარი ფრთხილად გამოიხურა და მოსაცდელ ოთახში ჩამოჯდა სკამზე. თავი უღონოდ გადააგდო უკან, კედელს მიაყრდნო და თვალები მილულა.

განთიადმა უკანასკნელი ვარსკვლავიც ჩააქრო და ცის კარი გახსნა.

დეკემბრის სუსხიანი დილა თენდებოდა.

ასე იწყებოდა ეს სიმღერა:

ბჟა დიდარე ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი...

მერე შიგშესულს თვალები უქრებოდა, სმენა ეხშობოდა და გონება უბნელდებოდა.

სიმღერა კი არ წყდებოდა, მაგრამ სიტყვები მხოლოდ შეუცნობელ ნათელს გამოსცემდნენ და ამ ნათელში იხსნებოდა აზრი და სახიერდებოდა ჭეშმარიტი ისე, რომ გონს მოსულს მხოლოდ განცდაღა ჰქონდა რ ა ღ ა ც ნანახისა თუ გაგონილის, რომელიც მისი არსების სიღრმეში გამონასკვული ფეთქავდა ვითარცა ცოცხალი გული მისი სამიწო ყოფიერებისა და შეისაქმებდა ცხოვრებას მისას. ეს იცოდა მხოლოდ მან: ცა

იყო შემქმნელი მისი, ვითარცა მ ა მ ა და მ ი წ ა იყო მზრდელი მისი, ვითარცა დ ე დ ა. ცის კარი რომ გაიხსნა, იხილა მან ქვე-ყანა თვისი და ბილიკნი მაღალმთისანი, სახნავ-საძოვარი და სამოსახლო საკარგყმო იმ ხალხისა, რომელიც უნდა შექმნილიყო მლოცავად მისად და მისთა ძმათა ერთნაშობთა და თანამოსაქმეთა და რა იხილა ჭეშმარიტი იგი სამყოფელი სოფელი სამეუფლო თვისი, აღაპყრნა სამზერელნი და აღავლინა ლოცვა მამისა მიმართ და, აჰა, მოვალს ლაჟვარდბილიკზე ცეცხლკვალიანი ც ხ ე ნ ი მისი და ისმა ხმაი ზეცით გარდმოსული: ეჰე, პირმშოო, ვარ მ ა მ ა შენი საყვარელი და გარქმევ სახელად გ ი ო რ გ ი, რამეთუ ქვეყანა იგი მიწისა სახნავ-სამარგლავი ყანა არს შ ე ნ ი აღსაშენებლად შენობისა დიდებულისა და გაძლევ ბედაურს, რომელი არს ბ ე დ ი ს – ბ ე დ ა უ რ ი და, აჰა, კაცნი ღვთისშვილნი ჯარად შენად – აღაშენე და უპატრონე! და აღაპყრო ხმაი გიორგიმ და იწვივნა ჯარი ნადობ-ნაძმობთა გარდმომავალთა ცის კივკავებში და ამხედრდა ბ ე დ ი ს ბ ე დ ა უ რ ზ ე და განვლო კარი ცისა და გარდმოეშვა ხმელეთზე კაბასისვიანი, რკინისჩექმიანი, თეთრქუდიანი, თუჯისჭიგუნნიანი და გარდაიქნიავა მათრახი სენსამსალაით გაფევრული... – ასე იქნება აღწერილი თუ აღბეჭდილი ხატსალოცავში დაბადება ღვთისშვილთა და გარდმოსვლა გიორგის და დაწყება მათი შესაქმისა ქვეყანასა ზედა გიორგისასა, ხოლო ჩვენ კი მივყვეთ ღვთისშვილთ ჯარს და ვიხილოთ საკვირველნი საქმენი მისნი ვიდრე შ ო ბ ა მ დ ე პირველ გვარისშვილისა და დღემდე საყმოს განსახლებისა, რამეთუ დღე იგი წელი ათასი არს...

გიორგიმ თვალი გაახილა და ჭერს მიაშტერდა. ხელნაწერი აქ თავდებოდა და მერე იწყებოდა ფურცლების დასტა, შავად შესრულებული ჩანაწერებით. ფურცლებიდან ზოგი დაჭმუჭვნილი და გადანაგდები ჩანდა, შემდეგ კი სათუთად მოძეული და გასწორებული. ამ ჩანაწერებიდან ძნელდებოდა აღდგენა ავტორის აზრის მიმართებისა და წიგნის მთელი ფორმისა, მაგრამ ჩანდა, რომ ავტორს გრანდიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა, თუმცა კი ვერ მოეხერხებინა მისი განხორციელება და აქ, გიორგის სრულიად გარკვეული ეჭვი აღეძრა თავისი

მეგობრის უეცარ და შემაშფოთებელ გაქრობასთან დაკავშირებით. ეს ამბავი დღე და ღამე უღრღნიდა გულსა და ტვინს, გონებასა და სულს უშფოთებდა, რადგან ვერ მოეხელთებინა და ვერ დაეჯაჭვა მოვლენათა ის მსვლელობა, რომელსაც ეს მოულოდნელი გაქრობა უნდა გამოეწვია. ეს ხელნაწერიც, რომელიც აქამდე თავისი ხმით წაუკითხა გიორგის, სიზმრიდან გადმოგდებულივით ეჭირა ხელში და შიშით დასცქეროდა – ვაითუ გაქრესო სიზმრის ათინათებივით, მის გონებაში რო ფარფატებდნენ ამ გრძელ და მოუსვენარ ღამით. მაგრამ ხელნაწერი არ ქრებოდა და გიორგიც თანდათან დამშვიდდა, იმდენად, რომ ჩანაწერების გარჩევაც კი დაიწყო. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ეს ჩანაწერები უკვე წაკითხული ჰქონდა მანამ, ვიდრე გაბმულ თხრობას დაიწყებდა მისი მეგობარი, რომლის სახელის წარმოთქმაც უმძიმდა უკვე დაძაბულობისაგან და, მიუხედავად ამისა, მაინც განაგრძო კითხვა, – იქნებ რამეს წავაწყდეო ისეთს, რაც მისი გაქრობის საიდუმლოსთან დამაახლოებსო, – ფიქრობდა იდუმალად.

მამა... ხელდასხმა... აკუშერკა... – თანამონაწილე? – ექიმი მკვლელი (?).

ექიმი ან აკუშერკა სიზმარში ნ ა მ დ ვ ი ლ სურათს დახატავენ ქალის სიკვდილისას (სისხლი თქრიალებს, ჩანჩქერი და სხვა...).

***

ყველას სძინავს თავისი ყოველდღიური მშვიდი ძილით და ამ სიჩუმეში ჩაჩუმებულ დაცარიელებულ ქალაქს მსუბუქად ეფინება ღმერთის ფიქრებად დაფენილი-ჩამობნეული თეთრი ფანტელი...

რაზე ფიქრობს იგი?

***

დრო... კრონოს, ტემპო, в р е м я, ზრვან-აკარნა და სხვა და სხვა...

ასეთი პლასტი ჩაიდგას (მამის მოძრაობაში სახლში.).

მატერიალიზებული სახელები...
მე ვერ ვუშველი მას.

***

რაღაცით თითქოს ულისესაც მაგონებს, მაგრამ, ცხადია, აქ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან ყურმოკრული თუ აქვს მხოლოდ (გიორგი არჩევს წიგნს მეგობართან)... აქ საინტერესო ისაა, რომ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ი ც ი ა ნ და ამას უპირისპირდება მათი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. აქ ტოტალიტარული ნეკროკრეტიული მდგომარეობაა და ადამიანის ბედი მასში (მეტაფიზიკა და მითია მთავარი)...

***

1. ქარი – ოთახი – ის – ხედვა – გადასვლა ქალაქში – ქალაქი – ის – შენობა – სასამართლო – მობრუნება – იგივეობა – (გ-ს წაყვანა დედასთან ერთად)...

***

გ-ს თავგადასავალი დაბადებიდან მის გ ა ს ა მ ე ბ ა მ დ ე (ზედმიწევნით გაანალიზდეს ფორმაში!).

საკუთრივ გ-ს თავგადასავალი, როგორც რეალიზება დოქტრინის; ე.ი. შინაგანი ცხოვრების სრული რეალიზება (მოსპობა) და გარეგანი სახის სრული გაბატონება. ეს უნდა იქნას მოცემული ისტორიულ ფსიქოლოგიური რომანის პლანში, ეპიური თხრობით... აქ მთავარი იქნება ტრადიციული რომანის მთხრობელური ფორმა – ყოფისაღმწერლობა! (ლიტ. წრეში უფრო რუსული პროზა: მანდელშტ., ბელი, დოსტ., ტოლსტ., ჩეხ., გ ო გ ო ლ ი, პ უ შ კ ი ნ ი...) – შეიძლება მთელი თავების ჩართვა აპლიკაციებად: კოლაჟი.;

***

გ-ს აღზრდაში მთავარია სწორედ მისი განსაზოგადოებრივება – პიროვნების „ნაციონალიზაცია“ და „ეტატიზაცია“ – განსახელმწიფოებრიობა; რომ იგი სარკისებურად ასახავს

ყოველივე იმას, რაც მას ჩაუნერგეს... და სხვა... არ იცრუო – მცრუებლებმა, პიონ. ფიცი – ფიცის გამტეხებმა... და სხვა. მისი შესრულება... კომკ.-პარტ. – სოც. ურთიერთობათა ჯამი და ა.შ. ე.ი. იგია აბსოლუტური რეალიზება სისტემის, მაგრამ ვიდრე დაიწყებს წიგნის კითხვას, მეგობარი შეხვდება მას...

***

მუდმივი წინააღმდეგობა: ის, რაც დადგენილია! ე.ი. ორდენმა უკეთ იცის, რა არის კარგი, მეტიც, რა არის რეალობა და სხვა... ამიტომ, რასაც ხედავ, არ არის სწორი, სუბიექტური მოჩვენებაა, რომელიც უნდა მოსპო... და სხვა. კლასობრივი დემაგოგია!

***

ხელდასხმას წინ უძღვის ს ა შ ი ნ ე ლ ი ფ ი ც ი ს წარმოთქმა, რომლითაც შემსვლელი ივალდებულებდა, შეესრულებინა ყ ვ ე ლ ა დადგენილება ორდენისა და არაფერი არ გაეთქვა მისი საიდუმლოდან!..

2. იეზუიტები...

3. მასონები... და სხვა...

უნდა გაკეთდეს ხელდასხმის ჯოჯოხეთური სურათი, მეტად მ შ ვ ი დ (ეპიურ) ტონში დახატული; მდორედ მდინარე რეალობაზე უფრო რეალური (ჰიპერრეალური), რომელმაც უნდა გაჟონოს მკითხველის ყოველ უჯრედში მასთან ერთად და უნდა გამოიწვიოს ის რეაქცია, რომელიც მოეთხოვება მ ა მ ა ს. ეს ხელდასხმა მოხდა ადრე, როდესაც მამა შევიდა ორდენში და ჯერ კიდევ მაშინ მისცა ეს საშინელი ფიცი, ახლა კი ხდება იმისი რეალიზება და განწირული მამა ეძებს ფორმას რეალიზებისა (შემდგომ, ბავშვობაში)...

***

მამის მოძრაობა. მამა (ის) ზის მოსაცდელში და სხვა... ისეთი გრძნობა უნდა იყოს, რომ ის ხედავს ზმანებას, სიზმარს... მაგრამ ეს სიზმარი არანორმალურად მატერიალურია. რეა-

ლურია, თვით რეალობაზე უფრო ნამდვილია. გადასვლა წარმოსახვიდან რეალობაზე უნდა იყოს შეუმჩნეველი, ხელშეუვლები...

ჯერ კიდევ მის დაბადებამდე გადაწყდა მისი ბედი.

***

ჩვენს ოთახში იწყება ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს (ცხოვრება, განვლილი) გადაფასება და სხვა...

რატომ? რისთვის?.. იქნებ სჯობდა?..

თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ, რომ ჩვენ უარვყავით ისინი იმით, რომ ადამიანები ვართ. რა გააკეთეთ თქვენ ადამიანური ამ ცხოვრებაში? რა ხართ თქვენ? ადამიანი? სახელი, რომელიც ინერციით გადმოგეცათ, იმიტომ, რომ თქვენ დედათქვენის შვილი ხართ. რითი გაამართლეთ თქვენ ეს სახელი? რა ხართ თქვენ ცხოვრებაში და, საერთოდ, რა არის ეს ცხოვრება? ა ბ ს უ რ დ ი?! არსებობთ თუ არა თქვენ? რატომ? არ არის საჭირო ეს კითხვა? მაშინ რა ინსტინქტი გაძლევთ სიცოცხლის უნარს? ყველაფერი აბსურდია... სიცოცხლეს მხოლოდ სიკვდილში ვიგებთ. სიკვდილი... სიკვდილი! აი, უდიდესი დადასტურება თქვენი ცხოვრებისა. როგორ იცოცხლე, იმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... როგორ მოკვდი! როგორი ხარ სიკვდილში! აი, მიზანი. დანარჩენი აბსურდია. იცოცხლე სიცოცხლისათვის. და მხოლოდ. მერე მოკვდი. ისე, როგორიც ხარ. სინამდვილეში. ღვთისწილობაში. მაღლა მხედაობაში. სიკვდილია უდიდესი შემფასებელი შენი ცხოვრების (სიცოცხლის)...

ეშინიათ ადამიანის. იყო კაცი. იგი შიშს ავრცელებდა ირგვლივ. და აი, მოკვდა და მის სახელს კვლავაც ადიდებენ და განადიდებენ მარადის. რამეთუ მასში იყო სხივი ღვთიური და შიში მისდამი იყო შიში ღმერთისადმი, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულია.

და აი, სხვა ადამიანი და მისიც ეშინოდათ. და ისიც მოკვდა და ათრევენ მის სახელს და გვამსაც. ის, რაც სიცოცხლეში წყვდიადის შიშის ზარს სცემდა ადამიანს, სიკვდილის შემდეგ იქცა არარაობად. რადგან მასში არ იყო ღვთიური სხივი

და სიკვდილი მისი ისეთივე შემთხვევითი იყო, როგორც მისი ცხოვრება...

უნდა შეგეძლოს სიკვდილი. იცხოვრო კი უნდა ჩვეულებრივად, ა დ ა მ ი ა ნ უ რ ა დ. მეტი არაფერი. მეტი არაფერი. ჩვენ კი ეს ვერ შევძელით და ესაა ჩვენი უდიდესი შეცდომა, რადგან ცხოვრება მაინც აბსურდია... და სხვა...

***

„ადამიანს ყველგან უჭირს... ამათ ჰგონიათ, რომ ისინი ახლა ადამიანის წმიდათა წმიდა მოვალეობას ასრულებენ... ჰო-ო, ადამიანის მოვალეობა... ჰკითხეთ ერთი მათ, რატომ არიან ისინი აქ, ამდენი, ბევრნი, ურიცხვნი, უძრავი სახეებით... ჰკითხეთ მათ, რა უნდათ ჩემგან... ჰკითხეთ, რა ვარ მე... აბა, აბა, რა ვარ მე... რ ა ? მე მაგათთვის აღარა ვარ ვ ი ნ! აღარა ვარ ადამიანი... მაგათთვის მე ვარ რ ა ღ ა ც მ უ ხ ლ ი რაღაც კოდექსის... ყველასათვის... მეტი არაფერი. როგორი სიამოვნებით ისმენენ ისინი ყოველ სიტყვას ჩემ წინააღმდეგ მომართულს, და მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ვზივარ მე, და არა ისინი... ადამიანს ყველგან უჭირს და მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ჩემზე უკეთ გრძნობენ თავს ყველანი..."

აზრი დაიბადა უეცრად და მთლიანად და სრულიად უმისამართოდ დაიწყო მოძრაობა მის დანისლულ ნაოჭებში. იგი არ უჭერდა თავს ამ დინებას და ფიქრი, როგორც შებოლილი ჟრუანტელი, ისე ედებოდა მის გახურებულ ტვინს, სახეს... და თვალებიდან ზანტად ილვრებოდა გარეთ, დარბაზში...

სასამართლო უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო. მას უკვე დაავიწყდა, როდის დაიწყო იგი, ან ჰქონდა თუ არა მას დასაწყისი... დროში. მის შიგნით ყოველივე გაჩერდა ერთ უხილავ წერტილში გაყინული დროისა და იგი სავსებით გამოეთიშა ახლა ამ სამყაროს, სადაც ვნებააშლილი პროკურატორი თავის საბრალმდებო სიტყვას განაგრძობდა.

„რა უნდათ ჩემგან..." – ისევ დაიძრა მასში, მაგრამ უცებ გამოუძახეს. მან გარკვევით გაიგონა ყურთან ეს ხმა. იგი მოსამართლის პირიდან იძვროდა. ეტყობა, მოსამართლემ მეორედ, თუ მესამედ, ან იქნებ მეოთხედაც აყვირებულმა, მიმართა მას.

და მის უკან მდგომმა ბადრაგმა მუჯლუგუნი გაჰკრა. გიორგი წამოდგა.

***

ოო, ღვთაებრივო ეთერო და თქვენ, სწრაფადმავალნო ქარებო; ოო, მდინარეთა სათავეებო და ხმაუწყვეტო გუგუნო ზღვის ტალღებისა; ო, მიწავ, დედაო ყოველთა; ო, ყოვლისმხედველო მზეო, მოწმედ მეყავნით! ნახეთ, რას ვიტან მე! არა, სასჯელი უნდა ვზიდო მრავალი წელი! ო, უბედობავ, უბედურებავ! როგორ ვიპოვო მე სასრული ჩემი ტანჯვისა?..

– რა გინდა აქ?!

მამა... ქოლგა... სატუცარები (კალოშები)... სახე.

მიკროსკოპიული აღწერა...

მას უადვილებდნენ ცხოვრებას. აღარ იყო საჭირო ფიქრი იმ საგნებზე, რომლებზედაც უკვე მზამზარეული პასუხები არსებობდა, რომლებზედაც ვ ი ღ ა ც ა მ უკვე იფიქრა! მისი ცხოვრება ამ პასუხების შესწავლასა და წამოჭრილი კითხვებისადმი მორგებაში გამოიხატებოდა. ეს იყო ც ო დ ნ ა, რომელიც მან 17 წლის სწავლით შეიძინა: 11 წელი სკოლაში და 6 წელი უმაღლესში და ახლაც, გზადაგზა, კიდევ განაგრძობდა პასუხების დაზეპირებას და მორგებას, რადგან ცხოვრება წინ მიდიოდა, თუმცაღა ეს აღარ ითხოვდა მისგან დაძაბვასა და ენერგიის ხარჯვას. და მან საბოლოოდ ირწმუნა იმ წესებისა და ნორმების ურყეობა და დაურღვევლობა, რომლითაც ცხოვრობდა ადამიანთა მოდგმა, ვითარცა მ ი ს ი ნაფიქრის სრული და უმაღლესი განსახიერება.

– რას აკეთებდი აქ?!

– ვფიქრობდი...

– მე შენ გაჩვენებ ფიქრს!..

რას განასახიერებს იგი? მუდმივ ტანჯვას დანაშაულისათვის? ამბოხების შეუძლებლობას? დათრგუნვას? თავნებობას? რას ნერგავს ჩემში? რა უნდა?! ეს ხუთი თითი მის ლოყაზე საწყისია დიდი და გრძელი გზისა, რომელიც ამან უნდა განვლოს შ ე ნ ო ბ ა მ დ ე, რათა იქ დაივანოს სრულიად განთავისუფლებულმა: მაპატიეთ!

***

სწავლის პირველი დღეებიდანვე მას ჩაუნერგეს თავში, რომ ყოველგვარი დანაშაული გამოიწვევს მის გარიცხვას სკოლიდან. ეს კი უსწავლელობის საწინდარია, რადგან სკოლის დამთავრების ატესტატის გარეშე, რომელსაც სიმწიფის ატესტატი ჰქვია (ბოლომდე ვერ გაიგო, რისი სიმწიფე იყო ეს, – ალბათ უკვე არსებული პასუხების ათვისებისა და მორგების, – ეჭვობდა-კი იგი) უმაღლესში სწავლის გაგრძელებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, ხოლო ამის გარეშე კი იგი (უსწავლელი!) არც მშობლებს და არც ქვეყანას არ ესაჭიროებოდა და არც საზოგადოებას გამოადგება რამეში და ზიანის მომტანი იქნება... და სხვა

***

ბაბუა ჭვრეტას ასწავლიდა, მაშინ, როდესაც დანარჩენები დოქტრინებსა და წესებს უნერგავდნენ თავში. ამით ნახელმძღვანელები მისი ტვინი ზუსტად და გარკვევით ხედავდა ყველაფერს და მწყობრ სისტემად ალაგებდა. ამის იქით აღარ იყო გზა, რადგანაც პირველადვე ჩანერგილი შიში დანაშაულის წინაშე (ანუ წინასწარვედამნაშავეობის პრეზუმცია) ურყევ კედლად ამოზრდილიყო მის გონებაში და ნებისმიერ ცდას დანახულის გადააზრებისა ამ კედელზე აჯაჭვავდა... სიზმართა სფერო ივსებოდა...

პლაკატები-ლოზუნგები-რადიო-ტელე-გაზეთები-მასწავლებლები-მშობლები...

***

დასაბამიდან იყო ქაოსი. ქაოსიდან იშვა დედა-მიწა, საშო ყოველი ცოცხალისა და მამა ყოველი სულიერისა და მზრდელი მათი. იწყო კოსმოსი, რადგან ცა გაიშალა დედა-მიწაზე და აიზიდა უსაზღვრო სივრცედ. ამიერიდან გაჩნდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინატები. დამყარდა წესრიგი. მაგრამ ქაოსის საშო არ დაცხრა და შვა სიყვარული. იგი იქცა უძლეველ, მაცოცხლებელ ძალად. ამ ძალამ განწვლილა დღედ და ღამედ მუდმივი სინათლე. მისი მდუმარება და სი-

ჩუმე შეავსო ხმებმა. და ცვლიდნენ ერთმანეთს ღამე და დღე. დასდევდნენ ამაოდ... ეს იყო პირველი დიდი მსხვერპლი სიყვარულისა. ცამ თანდათან დაიპყრო სივრცე და გაბატონდა, რამეთუ დღეცა და ღამეც მის წიაღ რბოდნენ და დასდევდნენ ერთმანეთს, ვითარცა სიცოცხლე და სიკვდილი, თავად სიყვარული და სიძულვილი... ცა გაბატონდა, ცოლად შეირთო დედა-მიწა და წარმოშვა ტიტანები. ტიტანებმა წარმოშვეს ზღვები და მდინარეები; მზე და მთვარე, და განთიადი, რომელმაც შვა ბნელ ღამეში მოციმციმე ვარსკვლავები და ქარები: ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის, მათი ნაჯვარებით. ხოლო მამამ შეიძულა შვილები და ჩაამხო ისინი ბნელ ჯურღმულში დ ე დ ა მ ი წ ი ს ა. იტანჯებოდა დედა. აწვებოდა საშინელი ტვირთი წიაღისა, საშო ეწოდა. იხმო შვილები და ა ა მ ხ ე დ რ ა მამის წინააღმდეგ. ვერავინ გაბედა ხელის აღმართვა შიშისაგან. ხოლო ცბიერმა ქ რ ო ნ ო ს მ ა ეშმაკობით დაამხო მ ა მ ა. პირველი ცოდვისათვის ბნელმა ღამემ შვა სიკვდილი. განხეთქილება, მოტყუება და სიცრუე. ძილი, – საშინელი და მძიმე სიზმრების ხროვით, ძრწოლა, ბრძოლა და უბედურება მოვიდა ქვეყანაზე, რომელიც უკვე ნაფიქრი და აწყობილი იყო, სიცრუესთან ერთად, სადაც თავისი მ ა მ ი ს ტახტზე ზის დ რ ო. ამიტომაც მეფობენ დ რ ო ნ ი. მაგრამ გაუგებარი დარჩა პირველცოდვის გ ა მ ო მოხდა ასე, თუ პირველცოდვის მ ო ს ა ხ დ ე ნ ა დ ...

***

ღამეს უშვია:
ტ ა ნ ა ტ ა – სიკვდილი;
ა პ ა ტ ა – მოტყუება (აპატია?);
კ ე რ – მოსპობა;
გ ი პ ნ ო ს ი – ძილი საშინელი, მძიმე ხილვების ხროვით, რომლებმაც არ იციან მოწყალება, რაც ასე შესანიშნავად დაგვიხატა სოფოკლემ;
ნ ე მ ე ს ი დ ა – შურისძიება და მრავალი სხვა. შიში და ძრწოლა, განხეთქილება, სიცრუე, ბრძოლა და უბედურება მოიტანეს ქვეყანაზე...

***

ის არ იყო უმყოფობა და არც არარობა. არცა ზღვაი ჰაეროვანი და არც კარავი ციური, მოქსოვილი მთათ სიმაღლეში. რა იყო ის პირველი აპკი? სად იმალვის იდუმალი? წყალთა სიღრმეში? არა სიკვდილი, არა უკვდავი, არამედ რაღაც სხვა...

***

ის არ იყო ყოფნა და არც არყოფნა; არც რაობა და არც არარობა; იგი არ იყო არც სიბნელე და არც სინათლე; არაფერი სხვა არ იყო და ერთიანი სუნთქავდა თავისთავში განფენილ უსინათლოთა ოკეანეში ნათელი წყვდიადისა და საკუთარ სითბოში მზარდი ერთიანი მოიცვა სიყვარულმა და მასში მოკვდა პირველი შემომქმედი თესლისა სულიერი მოთხოვნილებისა, პირველადი კავშირი, ყოფნა-არყოფნის მაერთებელი, ის სხივი, რომელიც ყველგან განიჭვრიტება. იყო ის ჯურღმულებში? იყო ის მთათ სიმაღლეში? ვინ-ღა იცის? ვინღა ამცნო ოდესმე, საიდან გაჩნდა მთელი თვალუწვდენელი ქმნილება? ღ მ ე რ თ ე ბ ი მოგვიანებით მოვიდნენ, მაგრამ ვინ იცის, როდის მოვიდნენ ისინი? იმან, ვისგანაც გამოიწურა ქმნადობა და ვინც შექმნა ის? ცხადად იცის? თუ უკვე აღარც მან იცის?..

***

გ-მ გვერდით ჩაუარა სასადილოს, რომელშიც იგი ყოველთვის შედიოდა სამსახურის შემდეგ და სადილობდა, რომ იქიდან თავის მეგობართან წასულიყო ყავის დასალევად და სასაუბროდ, უკანასკნელ დროს კი წიგნის მოსასმენად, რომელსაც უკითხავდა მისი მეგობარი. ასეთი რამ არასოდეს დამართნია. თვითონაც გაოცებული დარჩა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ისე ჩაუარა სასადილოს კარებს, რომ ვერც კი შენიშნა და, ალბათ, ვერც შენიშნავდა, უეცრად რომ მის წინ არ წარმოჩენილიყო ნაცნობი სახეები სასადილოდან უკვე გამოსული ცოლ-ქმრისა, რომლებიც ყოველთვის მის მეზობელ მაგიდას იკავებდნენ და დაახლოებით იმასვე მიირთმევდნენ,

რასაც გიორგი, რომელიც თავის კერძებს ყოველთვის დიდი ყურადღებით ირჩევდა, თუმცა, მუდამ ერთსა და იმავეს ჭამდა, რადგან გემო არასოდეს ახსოვდა და დასახელებაც ყოველდღიურად იცვლებოდა. ესოდენ ნაცნობი და ახლობელი სახეებიც ვერ შეიცნო გიორგიმ, გართულმა თავის ფიქრებში და მხოლოდ მაშინ გააცნობიერა მათი ნამდვილობა, როდესაც დაძაბული და ნერვიულად დაწვრილებული თვალების მზერამ ფიქრი გაუწყვიტა და აიძულა, მათთვის ყურადღება მიექცია...

პირველი დარღვევა კანონის-წესის-ჩვეულების...

და სწორედ აქ, რაღაცამ მის თავში პროტესტი განაცხადა იმ მდგომარეობისა და ჩვევების მიმართ, რომლებიც აქამდე აცხოვრებდნენ... აქამდე ის ცდილობდა, ყველაფრისათვის ლოგიკური კავშირი დაედგინა, სისტემაში მოექცია, იმ სისტემაში, რომელიც მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შეთვისებული. პროტესტი სწორედ ამ სისტემამ გამოიწვია, ამ სისტემის აბსურდული ბუნების განცდამ...

***

მას შეეშინდა, რომ არავის გაეგო მისი აზრები... სწორედ ამიტომ ჩაუარა შეუმჩნევლად სასადილოს და ახლა, როდესაც თავისი თანამესასადილოე ცოლ-ქმრის შეშფოთებული მზერის წინ იდგა, შიშმა კიდევ უფრო გარკვეული სახე მიიღო...

***

კვება, როგორც ღვთაებრივი რიტუალი... ადამიანის მოვალეობაა, კვებოს ღმერთები... თვითდაპურება (თვითძღომა) თავისთავში ღვთაებრივი წილის დაპურებით ღმერთში ადამიანური წილის გამოკვებაა... წილი წილის წილ... მე ცოცხალი ვარ, ამბობდა იგი ყოველ დილით... მაგრამ დღის განმავლობაში ეს მისი „მე“ როგორღაც შეუმჩნევლად იბურებოდა, იძირებოდა, უჩინარდებოდა და ერთვოდა განურჩეველ ყოფას შენობისა და იყო აკრძალული, ვითარცა განსხვავებული. ეს მკრძალავი შიში მართავდა ყველაფერს მის ცხოვრე-

ბაში და ახლა მან იგრძნო ეს, თუმცა, იმასაც ხვდებოდა, რომ ის მკრძალავი თვით „მე" იყო თავისთვის, მაგრამ მისთვის, სხვათათვის, იგი იყო „ღმერთი", ყოვლისშემძლე და ყოვლისდამდგენი, ყოვლისმომცველი. ყველა „მე" მას ეკუთვნოდა, ყველა „მე"-ს მოიცავდა მისი შენობა და ამიტომაც იყო ახლა ასე შემცბარი ნაცნობი სახეების დანახვისას, რადგან იცოდა, რომ უკვე გადააბიჯა და უკან მისაბრუნებელი არა აქვს. დროს ვერ დააბრუნებს, გაცდენილ წამს ვერ დაუბრუნდები და უნდა იარო წინ, წინ, წინ... „იყავნ ნება შენი", – ამბობდა იგი ძალაგამოცლილი შიშისაგან, როდესაც შემხვედრი წინააღმდეგობის წინაშე ქედს იხრის და ვერ პოულობდა მისთვის შესაფერის ახსნას მწყობრ წესრიგოვან სისტემაში. მითებრ იშლებოდნენ „მეთა" სისტემები, განზავებულნი შენობაში და აღარ ჩანდა გამოსავალი და აღარც გზა უკან დასაბრუნებელი იმ „მეში", რომლითაც ახელდა თვალს ცისკრის ვარსკვლავის გამოჩენისას და მოეშურებოდა დაუსაბამო ყოფიერების ათინათივით გაელვებული სიცოცხლის ნაპერწკალი... და ყველა ქუჩა, ყველა მოედანი, ყველა ქალაქი ივსებოდა მისით. რა იყო ის? შიში? საბოლოო შიში. ამბოხების ნუთიერი თავისუფლება საბოლოო შიშმა შთანთქა. თავნებობად დადგინდა. გაქრა. იგი უძლეველია! ვინ არა შეშინდეს უფალო და ადიდებდეს სახელსა შენსა? მსახური. სხვა მხრივ? – სკოლის დაზეპირებული ციტატები... პირველი მეამბოხე, უძლეველი, თავისუფლებისათვის მუდმივი მებრძოლი. თავისი თავის უფლებისათვის! ამაყი. დაუთრგუნავი... და სხვა და სხვა... თავისუფლება. შენ უწოდებ შენს თავს თავისუფალს? თუ სხვა გიწოდებს? მე მინდა, ვისმინო შენი მბრძანებელი აზრი და არა ის, რომ შენ გადაიგდე უღელი. გედგა კი უღელი? ხარ კი შენ იმათგანი, ვისაც აქვს თავისუფლების უფლება? რისკენ გასწევ შენ, თავისუფალო? საით წახვალ? დაბრუნდები თუ არა შენს პირველმშობელთან? უღლის გადაგდების? თავისუფალი რისგან? თავისუფალი რისთვის? რა მესაქმება მე! შენმა თვალებმა უნდა გამცნონ და შენმა ყურებმა უნდა გასმინონ: თავისუფალი რისთვის და რისკენ? ასე ამბობდა იგი ზღვის კიდესთან მოარული, ტალღების რბილ შრიალში ალოკილი

ნიჟარა. აკრძალულის ჯურღმულებში ხეტიალის ზღვარგადასული სიამოვნება...

***

ტიტანმა უღალატა ღმერთებს ადამიანებისათვის. მერე უღალატა ადამიანებს თავის თავისათვის და ღმერთებისათვის... მარადიული ცხოვრებისათვის, მუდმივი სიცოცხლისათვის. ქვესკნელში სხვა გაუშვა, თავისი აღმზრდელი და მასწავლებელი... გაუგებარის ამოცნობა... და მიენება ხუთი თითი, მიენნა ლოყაზე, ვითარცა დედის ხელი გამოსაცხობ მჭადზე. წყლის წვეთები დაიმსხვრა. გრანიტის ლოდებად ცვიოდნენ ღრუბლები ზღვაში და ამირანის ნაგვემი ტანი დგაფუნით ჩაეშვა ზღვის სიღრმეში... ოო, რისხვავ! რისხვავ ზევსისა! ოო! ღვთაებრივო ძალნო და თქვენ, ქარებო! ო, მდინარეთა სათავენო და ხმაუწყვეტო გუგუნო ზღვისა! ო, მზეო! როგორ ვიპოვო მე სასრული ჩემი ტანჯვისა?!.

იგი ნელა ბრუნდებოდა სკოლიდან. ქუჩები ხმელი ფოთლებით იყო მოფენილი, რომლებსაც ზღვიდან მქროლი ქარი, ზღვის საამო, თბილი სურნელი რომ მოჰქონდა თან, მოსვენებას არ აძლევდა. ზამთარი ილეოდა. მას არ უნდოდა სახლში მისვლა. რაღაც ძალა წინააღმდეგობას უწევდა, არ უშვებდა. ის ზღვისპირა ბაღში შევიდა. სიცარიელე... მლაშე ქარი არხევდა უზარმაზარ ჭადრებს, ფიჭვებს, ფსევდოევკალიპტებსა და მაგნოლიებს... რამდენჯერ ნდომებია იქ ასვლა. რატომ ვერ ავიდა ვერასოდეს? ხრეში ხრაშუნობდა ფეხქვეშ. უცნაურია... თითქოს პირველად ხედავდა აქაურობას... რაღაც უჩვეულო, განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდა მას, მაგრამ ვერ გაერკვია, მასში იყო ეს თუ მის ირგვლივ... რა მოქმედებდა მასზე? მისი შინაგანი მდგომარეობა არხევდა ხეებს, აქროლებდა და ამლაშებდა ქარს, ახმაურებდა ქვიშას, აპირქუშებდა ზღვას, რომელიც ბორგავდა თავდახსნის სურვილით შეპყრობილი... გრანიტის ღრუბლები... თუ თვითონ ბორგავს აღძრული მათ მიერ? სიცარიელე... ამ დაბრუნებამ არავითარი ხსნა არ მოუტანა მას. ბაბუა რაღაც სხვას ასწავლიდა... ის სხვა არ ჰგავდა იმას, რასაც ყოველდღე ისმენდა სკოლაში... სახლში...

უნივერსიტეტში... სამსახურში. ქუჩაში დაკიდებული პლაკატებიდან და ჩართული რეპროდუქტორებიდან... ის სხვა იყო. მაგრამ რა? ბაბუა მის გვერდით იჯდა ახლაც და იყურებოდა... ვერასდროს ვერ დაადგინა – საითკენ? რისკენ მიილტვოდა მისი მზერა? რას უყურებდა იგი? წყნარი, მშვიდი ღიმილით. ნუთუ ოდესმე მივაღწევ ამ სიმშვიდეს?.. თავს დავაღწევ ხმაურს..? რა ახლოს იდგა ის მარადისობის ზღურბლთან... საით იყურებოდა?.. განახვნეთ ყურნი და დაახილეთ თვალნი... ამ მარადისობაში? რა არის ის? სიკვდილი? ის მოვიდა ამ სამი თვის წინ. ჩუმად. თვალხილული, მშვიდი ღიმილით გაარღვია საზღვარი, გადააბიჯა ზღურბლს... ან, იქნებ ზღვარი არც არსებობს? აღარავინაა დამსაზღვრავი? ამიტომაც იყო ასე მშვიდად, არსებობის ფორმას იცვლიდა მხოლოდ... დამდგენელი ზღვარისა... შეიცვალა კი? ს ხ ვ ა დ გახდა? რისი თქმა უნდოდა? ქარი მატულობდა, თანდათან მატულობდა და მის სახეს მსხვილი წვეთები დაეცა. მაგრამ არ მიაქცია ამას ყურადღება ერთხანს, რადგან მისი უჩვეულო მდგომარეობა სასიამოვნო და განუცდელ ნეტარებას ანიჭებდა მის სხეულს... ის გრძნობდა, რომ გადააბიჯა აკრძალულის ზღვარს და არ უნდოდა გამობრუნება, თუმცა ამის აუცილებლობას უფრო აშკარად ხედავდა ახლა. სიცარიელე... აბორგებული ზღვა უწყვეტ ზვირთებად ეხეთქება სიპ კლდეებს, რომლებიც თავის პირქუშ ტანს ღრუბლებში მალავენ. იკარგებიან. გრანიტი გრანიტში. ამ უკაცრიელ ადგილებში მოიყვანეს უძლეველმა მსახურებმა იგი... იყო დრო, როდესაც ქვეყანაზე ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ არ ისმოდა ადამიანის ხმა. დედამიწას აკლდა მხოლოდ ადამიანი. იყო ხმაური. მაგრამ ვინ ისმენდა მას? იყო დრო, მაგრამ ვისთვის მოძრაობდა იგი? წყვდიადი გამეფდა მის სულში. გაქრა ღვთაებრივი ნაპერწკალი და იგი ველარ ფანტავდა ირგვლივ შემორტყმულ წყვდიადს, დედამიწას სინათლის შუქს ჰფენდა. იგი თვალებს ახელდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა... მის ყურებს ხმა სწვდებოდა, მაგრამ გონებას ეს ხმა არაფერს ეუბნებოდა. რის მაქნისია ხმა, თუ კი გონებას სარკმელი არა აქვს? გული მისი დუმდა და გზას კარები დახშოდა..."

გიორგიმ ისევ გადადო ხელნაწერი და ნერვიულობისაგან აცახცახებული ხელებით სიგარეტს მოუკიდა. რა ანერვიულებდა? შიში? აღშფოთება? ისეთი განცდა ჰქონდა, რომ მის ცხოვრებას მკვიდრად ნაქსოვი ჯავშანი შემოაძარცვა ამის დამწერმა და რენტგენის სხივებით გააშუქა... სისულელეა, – გაიფიქრა მან, – ეს ხომ მართლა მისი ცხოვრება არ იყო, ეს მხოლოდ მისი მეგობრის დაუმთავრებელი წიგნის ნაწყვეტები იყო, შავი ჩანაწერები, რომლებისთვისაც ს ა ხ ე უნდა მიეცა, ფორმად ჩამოესხა... რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ჩემთან, ან შენთან, ან ვინმესთან... მეორე სიგარეტი ისე ჩაათავა, რომ არც შეუნიშნავს, როდის გამოცვალა თითებამდი ჩამწვარი და ახლით შეცვალა. სად უნდა ჩასმულიყო ეს ნაწყვეტი, რომელ დროში და რომელ სივრცეში შენი ყოფიერებისა? სწორიცაა, რომ ვერ დაამთავრა... იმიტომაც გაქრა... გაქრა? თავისთავზე წერს, ცხადია, მაგრამ როგორღა გავუგო სათქმელი. წიგნი გეტყვისო, რომ დამიბარა, თუ ვეღარ დავალაგე დროში? თუმცა, რა სისულელეა, ეს ხომ ჯერ არც მომხდარა, ჯერ არ არსებობს, ამას არა აქვს ჯერ დრო და სივრცე და, ამიტომაც, არც ყოფიერება, არც... ყოველივე მ ა ნ ა მ დ ე, დრომდე, სინამდვილემდე... სიგარეტის მბჟუტავი წვერი თითზე შეეხო და გამოაფხიზლა გიორგი. ახლაღა მიხვდა, რომ ზედიზედ მეორე მოსწია და უსიამოვნოდ შეიშმუშნა. წამოახველა. სიგარეტმა მაინც თავისი ქნა და დაამშვიდა. დაძაბულობა მოეხსნა და კითხვის ინტერესი დაუბრუნა. რისი თქმა უნდოდა და ვერ შეძლო? თუ ვერ მოასწრო? ისევ მიუბრუნდა არეულ ჩანაწერებს.

„გ-ს აღზრდა...

მწერლები – ადამიანის სულის ინჟინრები... მასწავლებლებიც... ადამიანი ჭანჭიკი და სხვ. დოქტრინები, წესები, კანონები, ს ი მ ყ ა რ ე ... გ ვ ი რ ა ბ ი ს მ თ ხ რ ე ლ ე ბ ი...

***

ის უკვე აღარ არის აქ...
ქალაქი... ქარი და სხვა...
მიდის...

„სად მივყავარ მათ? საიდან გაჩნდნენ ისინი? აქ, ჩემ გვერდით, ორივე მხრიდან? რა უნდათ ჩემგან?"

რა უნდათ მათ მისგან.

„მაპატიეთ..."

რას ფიქრობენ? რომ მე შემეშინდა?.. მაინც რად მივყავართ? საითკენ?

უკაცრავად:

ნუთუ ბოლომდე ასე იქნება? ასე მდუმარედ. სიჩუმეში იქნებიან... ეშინიათ, რამე არ წამოცდეთ; თუ მე... მე ვიცი, ვინ არიან ისინი, ღამეთა მსრბოლნი. მაგრამ ახლა, ამ წუთში, შავ ნახვრეტად შეკუმშული დროის ღრმულში, როდესაც ისინი გვერდში მიდგანან, ველარ დამიკავშირებია ეს ცოდნა მათ არსებობასთან. ყოფიერებით გარეთ. ძალლი. მე არ ვიცი, ვინ არიან ისინი და საით მივყავარ მათ. არც ყვირიან. არც უხეშობენ. არც იმუქრებიან. მივყავარ, თუმცა მე ჩემით მივდივარ და იმათი მხრიდან არავითარ ძალდატანებას არ ვგრძნობ... მათ იციან თავისი საქმე... საქმოსნები... მე უნდა გავყვე მათ და ესაა გადაწყვეტილი. ამას მათი მოქმედებაც ადასტურებს. თავისუფალი, მე არასოდეს არ ვეწინააღმდეგები აუცილებლობას. აუცდენელის არაცდენაა თავისუფლება. მე თავისუფალი ვარ. შეცნობაც. არ არის შენს ბუნებაში წინააღმდეგობის უნარი და ესაა მათი თავისუფლების საფუძველი. მე თავისუფალი ვარ, რადგან ვიცი, რომ ეს აუცილებლობაა. როდის იყო ეს? ტყუილია... ტყუილია. ტყუილია!

მე ყოველთვის ვიყავი ერთი იმათგანი, ვინც ყოველთვის გვერდით ხვდება განსაცდელს და არ ღალატობს თავის პრინციპებს ცხოვრებაში... პრინციპებს? მე პრინციპები მქონდა!

რას მიყურებს?

მაპატიეთ...

უცნაური სახე. აფუებული ცომი, თითჩაკრული ანცი ბავშვის მიერ. ნეკაპირი. ცერათვალი. ასიმეტრიული. რუხი. უწყლო, უცრემლო, მშრალი, ხმელი, გადამსკდარი კრისტალი. ჩანს მაინც, საით მივყავართ?.. და სხვა გზა...

აქ დაიცადეთ!

ერთადერთი სიტყვა, რომელიც გიორგიმ გაიგონა, მაგრამ ვერ დაადგინა, რომელმა წარმოსთქვა. ხმა მოდიოდა ერთდროულად ორივე მხრიდან. ოთხივე მხარის მეფე. და მოდიოდა წინიდან... სტერეოფონია. კვადრიფონია. იქნებ ორივემ ერთად სთქვა. ან იქნებ ისინი ერთჭიპიანები არიან...

***

...რადგან „მამას" ქმნის, ყოველი ნაწილი ობიექტურად უნდა იყოს აღწერილი. მხატვრული, მდიდარი ფერთამეტყველებით, „ლიტერატურულით", რომ იქმნებოდეს გარემო, სურათი, ხატი, რომელიც თავისი მყოფობით მკითხველის წინ აღძრავს გარკვეულ გრძნობებს, განცდებს, ემოციებს... დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რას კითხულობს „შინაარსში"... ხოლო მთლიანად, ყველა მდგომარეობამ უნდა გამოხატოს „მამის" განწირული მდგომარეობა, ობიექტურად უნდა დახატოს ეს განწირულობა, ვითარცა მიტოვებულობა, ხოლო მამის მოცემული სკრუპულოზური აღწერა კი ამ მხატვრული გარემოს დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. რა ხდება აქ? ამგვარი ობიექტური ხერხით აღწერილი კაცი, ასე დანაწევრებული თავის გამომსახველობაშიც კი შეუსაბამოა და განწირული მხატვრული, გრძნობად-წარმოსახვითი თუ რაიმე ამგვარის აღმძრავი გარემოსათვის...

აქ სიტყვა აკლია... ხოლო თოვლის ფარდაში გახვეული იისფერშეპარული ღამე იცრიცებოდა თანდათან მბჟუტავი ნათურის ირგვლივ და კვლავაც ჩალურჯებული სიღრმეში ერთვოდა უსასრულო და დაუსაბამო სიბნელეს, წყვდიადად დაბუდებულს ქალაქის თავზე და იბნეოდა ფარფლოვან ფიფქებად... გაუგებარია, „დაბნეული ფარფლოვანი ფიფქი" ან კიდევ „დაბნეული ფარფლი" რას ნიშნავს? თევზს სცვივა ფარფლი... IXTIOS ზეციური იცილებს ფარფლს და იგი ფიფქებად ეფინება ქვეყნიერებას?.. ვინაა დაბნეული? ძაღლი რამდენიმეჯერ გაივლის შენობის წინ. დაძრწის. მაგრამ ვინაა ეს ძაღლი? დარაჯი? დარაჯი: თქვენ გგონიათ, რომ თქვენა ხართ ერთადერთი, მარტოდმარტო (ზიუსუდრა...), და მხოლოდ თქვენს თავს არის გადამხდარი ეს... ეს ყველას ეხება, ბატო-

ნო. მე აქ ჯერ კიდევ იმ დროიდან ვდგავარ, როდესაც თქვენი ავბედითი წინაპარი გააძევეს შენობიდან და სწორედ მაშინვე დააარსეს ეს დაწესებულებაც... შენობა. მე ვიყავი პირველი იმათგანი, რომლებიც ერთგულებისათვის განსაკუთრებულ პატივს ეღირსნენ, – დარაჯობის! ჩვენ მოგვენდო იმიერიდან ამ შესასვლელების დაცვა, ხოლო იმათგან კი ის, რომელთანაც თქვენ დგახართ ახლა, მთავარია... მთავარი! გასაღები კი მხოლოდ მე მაქვს, რადგან მე ვარ უფალი კარიბჭისა უზენაესი ნების მიერ მინიჭებული ძალით, რაც სათანადოდ გაფორმდა კიდეც და აღინუსხა დოკუმენტებში. ასე რომ, ჩემ გარეშე შენობაში ვერავინ შევა, ვერც ვერავინ გამოვა, რადგან თუ არ შევიდა, როგორღა გამოვა? ადამიანი თუ არ დაიჭირე და დილეგში არ ჩაამწყვდიე, როგორღა გაათავისუფლებ? ანდა რა აზრი აქვს თავისუფლებას, თუ პატიმარი არა ხარ უკვე? ხოლო ყოველი ამგვარი ცდა კი განხილული იქნება სახელმწიფოებრივი უშიშროების ხელყოფად, რაც, როგორც მოგეხსენებათ, შესატყვისად ისჯება კიდეც ჩვენში, თანახმად საიდუმლო კოდექსის 64 ქვემუხლის განმარტებისა შენობაში შესვლისა და გამოსვლის მცდელობის შესახებ დარაჯთა ნებადაურთველად... – რას უნდა ნიშნავდეს ეს? ვინაა ეს დარაჯი? და სადაა ამ დროს ძაღლი? ის კი, რასაც მამა ფიქრობს დროის შესახებ, გადავა (უპირატესად), როგორც საუბარი შენობის დარაჯთან, როდესაც მამას დატოვებენ მარტოს და ძაღლს მიუჩენენ ზედამხედველად, შენობაში შესვლის ნებართვის მოლოდინში როგორც. დარაჯი მას უხსნის მდგომარეობას, რომელშიც მამა აღმოჩნდა მოსაცდელში, როდესაც მას ატყობინებენ მის ამ მდგომარეობას და იბარებენ შენობაში. მამა ეკითხება დარაჯს იმ კითხვების შესახებ, რომლებსაც თვითონაც სვამდა იქ, მოსაცდელში, და რომლებსაც, მისი ვარაუდით, აქ, შენობაში დაუსვამენ ისინი, ვინც დაიბარეს. ასე რომ, ეს კითხვები ფაქტობრივად დარაჯთან საუბარია. მაგრამ ძაღლი?..

ის მიდის ქუჩაში. თავისუფალი. განთავისუფლებული და გადამგდები სიკვდილის შიშის მძიმე უღლისა, გაეშურა იგი სწორი გზით თავისუფლებისა შ ე ნ ო ბ ი ს ა კ ე ნ. საბელი

ალარ უჭერს. მის წინ იშლება ქალაქი (ქარი... ფოთლები... წვიმა... თოვლი... მთვარე)... თავისუფლება. მას შეუძლია, აირჩიოს ნებისმიერი მიმართულება, რომელიც მე მინდა... და სხვა... მაგრამ ყოველთვის ხვდება ორ კაცს და ესაუბრება მათ. ძველი ნაცნობებივით. ესაა თავისუფლება, კაცს რომ შეხვდები და ძველი ნაცნობი რომ ხდება შეხვედრისთანავე. სად არის ძაღლი... წინადადებას აძლევენ, გაჰყვეს მათ, იყოს მათთან ერთად, სამის ყოფნა უფრო მდგრადია, უფრო უშიშარი, უფრო გამძლე... მიჰყვება, რადგან ის ხომ თავისუფალია და სწორედ გაყოლით ადასტურებს ამ თავისუფლებას. სავსებით შეეძლო, არც გაჰყოლოდა, არც წასულიყო იმ მიმართულებით, განზე გაეხედა, როდესაც მათ უახლოვდებოდა, გვერდით ჩაევლო და შემდეგაც, როდესაც წინადადება მისცეს, შეეძლო გაბრუნებულიყო, მიბრუნებულიყო და გზა განეგრძო... მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რადგან იგი თავისუფალია, რადგან ასე ინება მან. იგი თავისუფალია და მიჰყვება მათ.

ესაა მ ა მ ი ს პირველყოფილ-თაური თ ა ვ ი ს-უ ფ ა ლ ი მოძრაობა, თავისი თავის უფალი ნების შექმნა, რომელიც თავისუფალია სიკვდილის უპირობო შიშისაგან, რადგან როგორ განთავისუფლდება შიშით შებორკილი მამა, თუ არ „მოიცალა" და არ აღძრა იგი? ნება! თავის ნება და თავის უფალი. შენობის ინკარნაციებში იგი მიხვდება, რომ ეს სრული ფიქციაა, აბრაკადაბრა, ხოლო თავისუფლება „მოცილებით" არ მიიღწევა, იყოს იგი თუგინდ სიკვდილის შიში. შიში რომ დასძლიო, უნდა გაჩერდე და დაფიქრდე, გააცნობიერო, რომ ის, რაც მიგაქანებს, შიშია და მეტი არაფერი... სიკვდილი მხოლოდ სიკვდილით იძლევა... მოკვდავს სხვა საშუალება არ გააჩნია და დროში მყოფი დროის გარეთ ვერ გავა ცოცხლად... რამეთუ დრო – სიცოცხლეა... თუ ვერ ჩერდება, ეგაა ყელსაბმელი... სხვისი ნების მარწუხი... შიშიც მანდედანაა... ათრიოს ახლა თავისი საბელი... ხოლო ვინაა ამ ნების უფალი (უფალი ნება). თავისუფლება სწორედ ამ ნების უფლის დადგინებაში მდგომარეობს: დაიდგენ ამ ნების უფლად ადამიანს, კაცს სხვას და გაიწირები დროის ყოფიერებაში ალმა-დალმა მიმომსრბოლი ყელსაბმელით წაყრონჭილი მონა ყოველთა პირობებისა, ვი-

თარცა პირობებისა, ვნებათა, – ვითარცა ვნებათა, შიშისა, – ვითარცა შიშისა, სიცოცხლისა, – ვითარცა სიცოცხლისა და სიკვდილისა, – ვითარცა სიკვდილისა. და რაღამ უნდა გაგათავისუფლოს, მტვირთველო საბმელისა? ხოლო არა ჩემი, არამედ შენი ნება იყავნ! მაგრამ შენ ხომ ღმერთი ხარ, მ ა მ ა! და ე.ი. თავისუფალი!

შენობაში შესულს ესურათხატება მთელი ეს გზა თავისუფლებისაკენ სვლისა თავისი საცდუნებლებით, მაგრამ მამა, ვითარცა მომავლის მოიმედე, ფიქრობს, რომ სხვაგან, სხვა ოთახში უკეთესი რამ დახვდება და ყოველთვის ეცლება იმას, რასაც იქ და იმწუთში სთავაზობს ბედი საცდელად, ხოლო როდესაც ოთახებიც თავდება, უეცრად აღმოაჩენს, რომ აღარც არჩევანის უ ფ ლ ე ბ ა აქვს, რადგან არჩევანი უკვე გაკეთებულია და იგი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს წინაშე უნდა წარსდგეს...

ესაა სწორედ შენობის მიზანი – მიიყვანოს სასამართლომდე და არჩევანის გზა და საშუალება მოუსპოს მ ა მ ა ს... მაგრამ შესაძლებელია თუ არა, რომ მ ა მ ა ს ჰქონდეს არჩევანი? განა მამობა უკვე ყოველგვარ არჩევანს არ გამორიცხავს? – მარტოდ დარჩენილი მიეცემა ფიქრს გ. და კიდეც გრძნობს, რომ პასუხი უკვე გაცემული აქვს მთელი თავისი მოძრაობით და გადაადგილებით სივრცეში შენობისა, ბორიალით ცხოვრების ალმა-ჩალმა მიმორბოლ ბილიკებზე, მაგრამ რა უწოდოს ახლა ამ ბილიკებს – გზა ცხოვრებისა? მოქალაქეობა? თავად ცხოვრება? თუ დრო? სანუთრო? ამასთანავე, იგი ხომ ყოველნაირად ემალებოდა თავისთავს, თავის შიშს, მალავდა და ნიღბავდა მას ისე, რომ ახლა ველარც გაურკვევია, სადაა თვითონ და სადაა ეს ნიღაბი? – ფიქრობდა გიორგი. მამის შინაგანი მდგომარეობა – მამის ფიქრები – როგორ „მალავს"? – მდგომარეობათა – გამოსვლათა – კანონთა – მსაჯულთა – მეფეთა ცხოვრებათა და გარემო, გასვლა ქალაქში... შ ე ნ ო ბ ა...

რას განიცდის მამა, როდესაც იგი თავის მამობას შეიგნებს და შვილად არის განსახიერებული? თუ არც არის? შეიძლება თუ არა, მამა და შვილი ერთი და იგივე იყოს და მაინც სხვა? შენობაში არსებობის სიძნელე ცხადი ხდება მამისთვის და გა-

უელვებს ფიქრი, რომ მოკვდეს, მაგრამ რა უნდა? თავისუფლება? თვითონ უნდა მოკვდეს თუ შვილი? რად უნდა? რად უნდა? რად?.. სიყვარული... ისე შეგიყვარეთ, რომ მოგეცით... სხვა... და სხვა... შემთხვევითობა? შევიყვანე მაშინ ბოლომდე, ვითა საშოში კვერთხი უდრეკი და მტკიცე სხივოსანი და ალეგზნო საშო იგი და იწყო ფეთქვა და სუნთქვა და გათბობა და დუღილი და ხურვება და ოოო-ო! ეს წამიერება დროის ყოფიერებამდე არსებული განუყოფლობის ბედნიერებისა და შერთვა საწყისთა და განწვლილვა განსაწვლილვისა და აღძვრა აღსაძვრელისა... რას გრძნობდი შენ? მოჩურჩულე ნიავო წყალთა პირისა. და იწყო მან არსებობა. რა იყო ეს? შემთხვევითობა? თუ გარდუვალი ნება შენობისა? – ფიქრობდა მამა, ვიდრე კარებში გავიდოდა, რომლის ჭრილში მოდარაჯე გამყოლები ელოდებოდნენ, რათა წაეყვანათ იქ, სადაც სასამართლო უნდა შემდგარიყო, – რამდენჯერ შემოვსულვარ და დავძრულვარ და ჩავძირულვარ ცეცხლოვან კვერთხად შენს უძრავ წყლებში მდუღარე მუცხელისა და დამიდუმებია საკვნესელი შენი ძალმოსილი და მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ დასაწყისში დროისა... როდის იყო ეს? ეს გაცოცხლება? ეს შობა? ეს ნება? იყო კი ეს ნება? თუ მხოლოდ სურვილი და სწრაფვა დაცლისა და აღვსებისა? და მეც არ ვფიქრობდი დროთა მიმართ ზღვის სიღრმეებში მომავალზე, რადგან იყო მხოლოდ განუზომელი ნეტარება სიტკბოებისა და ძისა და მამისა და მამისა და ძისა და იშვა წამი წამწამისმსწრობელი, რამეთუ არა არს დრო გარეშე ცხოვრებისა...

– რა არის ცხოვრება? – გაუელვა თავში გიორგის და უეცრად იგრძნო, რომ ჩუმად გაფიქრებულმა კითხვამ იგივე აზრი შეიძინა, როგორც პილატეს კითხვამ: რა არის ჭეშმარიტება? ვიდრე ხელებს დაიბანდა. ან სასამართლო რას წარმოადგენს? სამსჯავრო... – გიორგი შეეცადა, დაელაგებინა წაკითხული, რათა აზრი არ გაქცეოდა და ვიდრე ისევ მიუბრუნდებოდა საკითხავს, ფანჯარას გახედა.

მთვარის ცივი სხივი გამოკრთა სიბნელეს მიყუდებულ ფანჯარაში და კუთხეში მდგარ სკამს დაეცა. სკამზე კაცი იჯდა და მშვიდად უყურებდა გიორგის. სახე არ უჩანდა კაცს.

არც ინძრეოდა და გიორგი უეცრად წამოიწია საწოლზე, მაგრამ იქვე გაეცინა თავის ამ მოძრაობაზე და ისევ მიწვა. ვინ უნდა მჯდარიყო სკამზე? აქ, მის ოთახში? ღამის ნათურა მკრთალად უნათებდა სასთუმალს და მოყვითალო ფურცლებს ნელა შრიალი გაჰქონდათ... რა უნდა დაიხატოს ამ ნაწილში? მამამ მოიყვანა ცოლი სამშობიაროდ და თვითონ ელოდება ქვევით. გადის დრო. მას ეპარება რაღაც წუხილი, შფოთავს... ფიქრი იშლება და თვითონაც მიჰყვება ამ ფიქრთა დენას, რომ დამალოს თავისი ნამდვილი განცდა... ფიქრი განცდას მალავს, ცხადია. თემაც ისეთია, რომ განცდა არ ეკარება: დრო... ნება... და თანდათან იხლართება ამ ლაბირინთში... მისი მარტოობისა და განწირულების გამოსახატავად იქმნება გარემო, როგორც მუდმივი და ცვალებადი... ხოლო მამის მდგომარეობა კი მუდმივმყოფი, გარემოს ცვალებადობის მიუხედავად... მამობის მითი... ყოფიერთა ყოფიერი სიმარტოვე... ამ მარტოობას უსვამს ხაზს ძაღლი... სახლი... თვითონ... და დრო... ოთხის ნახევარია უკვე. განთიადის ვარსკვლავიც ჩნდება, რომ წარუძღვეს წინ აღმოსავლეთიდან ამომავალს... მოგვნი აღმოსავლეთისანი... ეს არის ის დრო, როდესაც ქალი კვდება (ვინაა იგი? დედა?!)... მამაში რაღაც შიში და წინათგრძნობა... რას ნიშნავს ეს რაღაც... თავისუფლებაზეც რომ ფიქრობს და სიყვარულზეც... აქ გამოარკვევს, რომ სიყვარული უნდა, შვილი კი არა... ბორკილია მისთვის... ყოფიერების დაშლა... განწილვა... ცხადყოფს სურვილს: მოიცილოს და განთავისუფლდეს მისგან (ოჯახისაგან?.. ახლა ხომ ოჯახი შეიქმნა და აქვე გადადის სიკვდილის რაობის გარკვევაზე... ნების შეცნობაზე... ისევ იხლართება... ან კი აქვს სიკვდილს რაობა? ახსენდება კამათი თავის მეგობრებთან... და აქვე შემოდის სახლი... შენობა... რომელიც მოგვური ძალით იზიდავს თავისკენ, შენობა... ასე გადის ქალაქში ვერგამძლე ამ მიზიდულობის ძალისა და დაბორიალებს... რომ ააცილოს თავიდან? მაგრამ რა? ისევ გამოდიან მის შესახვედრად ის ორნი... უკვე ორნი არიან... არა სამნი... შენობიდან ორნი გამოდიან და მერე უკვე სამნი არიან და ესაა სწორედ, რომ ურევს ყოველივეს... მათი საერთო ბორიალი შეხვედრამდე და მერე... ერთად

დადიან სამნი... სამის დიალოგი? თუ მონოლოგია... წაიყვანენ მამას შენობაში, მაგრამ გზაში დუმან... ესაა მთავარი... დუმილი... ისინი დუმან... ათვალიერებს მათ ჩუმად მამა და თან ფიქრობს, რომ თვითონ უკვე თავისუფალია, რადგან სამნი არიან და მას აღარ ეშინია... რადგან სიკვდილი არ არსებობს, სამი რომ შეიკვრება, შეერთდება; უარყო სიკვდილი და ამიტომაც ასე თამამად... თა-მამა-დ... რას უზამენ... მოკვლით ველარ მოკლავენ, რადგან სიკვდილი აღარ არსებობს და ვაი მათი ბრალი, თუ რამე განიძრახეს... თვითონვე განამდებიან... მომენტად, წამად იქცევიან და გაჰქრა...

სამივენი შედიან შენობაში.

მამა რჩება მარტო... ისევ?.. დერეფნები... დარბაზები... ნელა, მძიმედ, მუდმივად... დროში... ვერ იცილებს დროს... ქურდულად, შეპარვით იწყებს თვალიერებას... გობელენები კედლებზე... ნახატია? ნაქარგი თუ ცოცხალი სურათები? მაგრამ ხომ არის... რეალობა... გაუნძრეველია და ელოდება, როდის მოვა ვინმე და მისცემს უფლებას სვლისა... ამ სვლაშია რაღაც ჩამალული... ისევ ეს რაღაც... მაგრამ არავინ ჩანს... ბოლოს შედის... სამსჯავრო... დერეფანში გამოდის... ისევ შედის... სამსჯავრო აქაც... რამდენია? ისევ დერეფანი... ისევ სამსჯავრო... გვირაბებით შეკრული სამსჯავროთა დარბაზები მამის სულში... როგორ მიაღწიოს უკანასკნელ დარბაზამდე? აი, ისიც, დიდი ეგონა და რა პატარა აღმოჩნდა... ხალხით გაჭედილი... რამდენნი არიან... ხმაურით აღვსილი ვეება დარბაზი არც კი მოხედავს და როდესაც იგი ერთადერთ ცარიელ სკამზე დაჯდება იქ, საცა ბრალდებული უნდა მჯდარიყო, ყველა დაჯდა. ესაა მისი ადგილი, – გაიფიქრებს მამა და სამსჯავროც იწყება... მაგრამ მხოლოდ მაშინ დარწმუნდება ამაში, როდესაც მოსამართლემ საქმე გადახსნა და მისი სახელი წარმოსთქვა... აქამდე ყოველივე ნათელია, – გაიფიქრა გიორგიმ, – მაგრამ ვინ უნდა მონაწილეობდეს მამის განსჯაში, ან ეს მოსამართლენი ვინ უნდა იყვნენ? ან ის ორნი სად არიან, შენობაში რომ მოაცილეს მამა და იქ დააგდეს? მარტო... და ან რა უნდა მიუსაჯონ მამას მამობის მეტი? აკი მიესაჯა კიდეც მამობა, მიესაჯა და სასამართლოც დაიხურა, მორჩა და

გათავდა. მოუბრუნებელია ეს. იგი აღარაა ამიერიდან თვითონ, არამედ სხვაცაა, მასში მყოფი შვილი, საზრდელი მისი... მაგრამ როგორ გაზარდოს? ყველა სიტყვა უკვე ნათქვამია, ყველა ბაგე მეტყველი, სივრცე შევსებული, ალაგი შევსებული, ყოფიერება დასრულებული... თუ არა, ყოფიერება დაუსრულებელია და აქ უნდა მონახოს გასასვლელი მან, მამამ, რომელმაც შვილი შვა... ხოლო მოსამართლემ დაუნდობლად თქვა: თუ მან ვერ აღზარდა თავისი შვილი, იგი განაჩენსაც ვერ შეასრულებს და ამიტომ აქვე გაითვალისწინა სასჯელის უმაღლესი ზომა... რა, ხომ არ დახვრეტს? – ჩაეცინა გიორგის და მეორე გვერდს გადახედა, იქნებ იქ იყოსო რაიმე... რომლის გაგება არავის ძალუძს, გარდა თვით განაჩენგამოტანილისა. მაშინ, როდესაც განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი, – საზეიმოდ წარმოსთქვამდა მოსამართლე და თანდათან უჩინარდებოდა ჩამოწოლილ სიბნელეში, რომელმაც მოიცვა ეს ვეება დარბაზი და მასში მსხდომნი, რათა საშუალება მისცემოდა მამას, გარეთ გასულიყო... მე თავისუფალი ვარ, – გაიფიქრა მან.

იგი შენობის შესასვლელთან იდგა... ქალაქი... ქუჩა... სახლი, რომელიც თანდათან უჩინარდებოდა თოვლის სქელი საფარის ქვეშ... თვალები დახუჭა...

მან დაინახა, რომ ოთახში ვილაც შემოვიდა, სასწრაფოდ სიგარეტი ჩააქრო და უკან შებრუნდა. არავინ არის, შენობაში შესულს ისევ ეს ენობრივი აბლაბუდა შემოადგა გარს... სრულყოფილი, რომელშიც ყველა სიტყვა უკვე არსებული იყო, სივრცე შევსებული... ბაბილონში, გაიფიქრა მან, ყველა სიტყვა წარმოითქვა უკვე და ყველამ თავისთვის წაილო ამ სიტყვის მარაგი შემდეგ, როდესაც დაიშალნენ, განაწილდნენ და დაერივნენ ურთიერთს, მაგრამ ტექსტი, ტექსტი აღარ შეესაბამებოდა იმას, რასაც ისინი იგებდნენ და წარმოსთქვამდნენ... მომავალი თავისუფლება, თუ იგი ამ სიტყვებს არ დააღწევს თავს, როგორღა უნდა განხორციელდეს, თუ უკვე ყველა სიტყვა წარმოთქმულა და ყველა ენა ამეტყველებულა... აბსურდია ფარული, – გაიფიქრა გიორგიმ და ფურცელი გადაშალა, – აქ თვალი ხტის. გარემო ხან ვიწროვდება, ხან

კი უსაზღვროდ ფართოვდება, რადგან ის, რაც იხატება და რასაც წარმოვთქვამთ, ერთმანეთს ეწინააღმდეგება... ეს წინააღმდეგობა კი თავისთავად უნდა აღძრავდეს იმ რაღაცას მკითხველში, რომელსაც ტექსტის კითხვა იწვევს მასში და აიძულებს, იფიქროს... ახალი განცდა... მეოთხე რეალობა... რომელშიც ის რაღაცას ავსებდა თავისით... სივრცეს, მაგრამ სივრცე ხომ ყოველთვის შევსებულია, რადგან ყველა სიტყვა წარმოითქვა ყოფიერების დაუსაბამო არსებაში და ეს არის ჩემი შიშის წყაროც, ეს გრძნობა შეუვსებლობის, რომ ვარ ქვიშის ნაკანრი, დატოვებული ჭიანჭველას მიერ არსებობის საშოში, რომელსაც შენ ვერასოდეს მოიცავ... ვერასოდეს შეავსებ ზღვათა სიღრმეში ნაფოტივით მოფარფატე შეშინებული ნასხლეტი დროის... აქ იწყებოდა რაღაც და კიდეც წყდებოდა. ეს მალავდა იმ პირვანდელ შიშს, რომლითაც იგი მოარღვევდა საზღვარს, რათა დაბადებულიყო... აქაა ერთი ძირი დედაშვილობის ურთიერთობისა... ამ ამავსებლობაში... ზეწრით დაფარული... ბოლოს იგი მიაღწევს იმ განცდას, რომელიც მიახვედრებს, რომ მხოლოდ სიკვდილს შეუძლია, გააზავოს იგი და მისი შიში... გიორგი... სიზმარი... სიკვდილი... და, აი, შენ მიაღწიე ზეციურ ზღუდეს, რათა შეიგნო მომავალი ცხოვრება და პირობები შენი აწმყოსი, – თქვა მან, – შენ უნდა გაიარო სიკვდილის სამეფოში, რათა დასძლიო ამ სინათლის წყვდიადი და დატკბე წყვდიადის სინათლით. არ იფიქრო მასზე, და ან რა საჭიროა ფუჭი კითხვების დასმა? ნუ ცდილობ, გაიგო იმაზე მეტი, რაც გეძლევა, რადგან საშიში კითხვები ღუპავენ არა მარტო ადამიანებს, არამედ ღმერთებსაც. – წარმოსთქვა მთვარეულ სკამზე მჯდომმა და თვალები მილულა... – არაფერი გარედან, ყოველივე შიგნიდან, რადგან გარეთ მხოლოდ ისააა, რაც შიგნით... გაელიმა მას და განაგრძო, მაგრამ მაინც იფიქრე და მიხვდი, რომ არაფერი შიგნიდან, რადგან ყველაფერი გარედან... ეს იყო შენი განაჩენის საიდუმლო, მამაო... მაგრამ აქ სხვა ხაზიც შემოდის, რადგან პილატეს კითხვამ: „მესია ხომ არ ხარ?", გააღვიძა იესოში კიდევ მეტი ძალა და სწორედ აქედან ჩაესახა მას მისწრაფება, გაერღვია საზღვარი... მეუღლის და მეფის ყოფიერებას ჯვარი დაესახა... „ესკა-

ტო ბებელოი" ეწერა შენობას და როდესაც შიგ შეხვალ, გზა უკვე მთავრდება. აი, შენ მიაღწიე მიწისქვეშა ზღუდეს, რომ გაიგო შენი მომავალი ცხოვრება და პირობები შენი აწმყოსი... და უნდა გაიარო სიკვდილის სამეფოში, და დასძლიო წყვდიადი, რათა დატკბე სინათლით. – მოიცა, მოიცა, – გაიფიქრა გიორგიმ, აკი ზეციურ ზღუდეზე იყო ლაპარაკი... – არა, შენ ვერ გაიგე, გიორგი, ის, რაც ზევითაა, იგივეა ქვევით და რაც გარეთაა, შიგნითაც ისაა, ხოლო პილატე კი მარადიულ მტირალად ქცეული მწარედ მოსთქვამდა მისი ჯვარცმის გამო, ხელდაბანილი, და გოდებდა დიადი რომის დაცემას. იროდი კი, დიდი იროდი, რომელსაც კეისარი ავგუსტი ესოდენ დიდ მფარველობას უწევდა, აგონიას შეეპყრო იერიქონში, სადაც მისი სისხლიანი მეფობა მთავრდებოდა, იუდეის სასახლეებისა და ადამიანთა ჰეკატომბების გარემოცვაში. ყველასაგან შეძულებულს, საშინელი ავადმყოფობა შეჰყროდა... არა, არა, აქ რაღაც სხვაზე გადავედი, აქ სულ სხვა რამ უნდა იყოს, – უკვე თვალმილულულმა გაიფიქრა გიორგიმ და ხელნაწერი გადადო. აღარ იცოდა, წიგნს კითხულობდა თუ სიზმარს ხედავდა და თავისი ფიქრებით ავსებდა ამ ხელშეუვლებ ამბავს, რომელშიც კიდეც ცნობდა თავის თავს და კიდეც ეუცხოებოდა, იმდენად, რომ მზად იყო, კამათი დაეწყო ამ თავგადასავლის სიმართლესა თუ სიცრუეზე... – თუმცა, რა აზრი აქვს ახლა ამას, როდესაც იგი აღარ არის... – ამ სიტყვებით გაახილა დილით თვალი გიორგიმ და ფანჯარაში შემომზირალ მზის სხივს რომ მოჰკრა თვალი, უეცრად გამოფხიზლდა. დამაგვიანდა, – ისე ხმამაღლა წარმოსთქვა მან, რომ მის წინ სავარძლებში მთვლემარე უცნაური შესახედაობის ორმა კაცმა, რომლებსაც თავზე მოხდენილი ცილინდრები ეხურათ, წამოხტომა დააპირეს ისე სასაცილოდ, რომ გიორგის გაკვირვებამდე გაეცინა, და მხოლოდ შემდეგ შეაშტერდა მათ გაოცებული. ორმა მდაბლად თავი დაუკრა გიორგის და სიცილით წარმოსთქვეს: „განაგრძეთ, ჩვენ დაგელოდებით, რადგან უკვე ადრეა ჯერაც, ხოლო დასასრული კი უცნობია ჯერაც უკვე!" – და ისევ თავიანთ ადგილას დასხდნენ.

გიორგიმ დასტად შეკრულ ქაღალდებს დაავლო ხელი და თვალებთან მიიტანა. ესეც ამ გაუთავებელი წიგნის ნაწილი უნდა იყოს, ალბათ, მძიმედ გაიფიქრა მან და ახლაღა იგრძნო, რომ განთიადი თავს წამოსდგომოდა, მაგრამ დაღლილობის ნაცვლად უცნაურ სიმსუბუქეს გრძნობდა ტანში და გონებაც საოცრად დაწმენდილი ჰქონდა. აღარც გამუდმებული ხმაური ედგა ყურებში. ვის უნდა გაოცებოდა მისი ასეთი მდგომარეობა, როდესაც ხელის მისაწვდენზედაც კი აღარავინ უახლოვდებოდა ერთმანეთს, თუმცა, ხვევნა-კოცნას რომ უყურებდა უცხო თვალი, ფიქრობდა „აგერ ა, ხალხი, მხიარული, კეთილი, მშრომელი და უშურველი... პურმარილიანი და ხელგაშლილი, გახარებული და გამხარებელი..." რაღაცა სხვა ჩანს. ხოლო როდესაც თვალი ისევ მიაპყრო ოთახის კუთხიდან გამომზირალ ორ ცილინდროსანს, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ძილისაგან თავი გამოხსნილი ჰქონდა და სინამდვილე მთელი თავისი დაუმალაობით ედგა თვალწინ. სიტყვებმა, რომლებიც მათ წარმოსთქვეს, იმდენად მისი შეშფოთება კი არა, გაკვირვება გამოიწვია, რადგან აქამდე არასოდეს გაეგონა, რომ ვინმეს დროის ამგვარი აღრევა მოეხდინოს ერთ წინადადებაში და აზრის პირდაპირ გამოთქმის ნაცვლად ისევე დაებურდოთ გასაგები სიტყვების წყობა, რომ ამოსაცნობად საჭირო იყო, ასო-ასო გაგეხილა ისინი იმ მაიმუნივით, თავის ახლობელს რომ თმებიდან რწყილებს უხილავს და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს როგორც მეგობრის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ასევე საკუთარ ჯანმრთელობასაც. მხიარულ გუნებაზე დამდგარი გიორგი კიდევ აპირებდა, მოზღვავებული ნაკადისათვის მიეცა თავი, მაგრამ ამ დროს, კუთხეში წამომართულმა მაღალმა, შავცილინდრიანმა და თეთრხელთათმანებიანმა კაცმა მისკენ ორი ნაბიჯი წადგა, შემდეგ ერთიით უკან დაიხია და საზეიმოდ წარმოსთქვა: დარბაზი შეკრებილია და მხოლოდ თქვენ გელოდებიან!

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც გიორგი თავისი ცხოვრების აღმართს შეუდგა, მას აღარ ჰქონია შესაძლებლობა, ასეთი სიადვილით გაეარა იმ ზღვარზე, რომელიც ღვიძილსა და ძილს შორის აქვს გავლებული ცნობიერებას. სიზმრად მისვ-

ლის ეს საიდუმლო ზღვარი სავსე იყო თითქმის ხელშეუხები და მოუხელთებელი, მაგრამ ცხადზე უცხადესი და სინამდვილით აღსავსე კონკრეტული შეგრძნებებით, რომლებიც, თუ მათი მოქმედების სიამოვნებისმომგვრელ ფეთქვას აჰყვები, ისეთის სიადვილით გადაგიყვანს ნებისმიერ საზღვარზე, როგორც ფრთასუსტი პეპელა გადაფრინდება ხოლმე ერთი ყვავილიდან მეორეზე, ვიდრე მისი გულის ფეთქვა არ შეაშრება მის ირგვლივ შემოტმასნული დროის სივრცედ შექვავებულ ჰაერს და როგორც მოგონებათა ფერადოვანი ციალით შევსებული გრძნობების ფაქიზი რხევა არ ჩაეშვება დროთა დაუსაბამო ჰაეროვნებაში, რომლიდანაც თანდათან იკვეთება ცხადი გრძნობა, რომ ეს-ეს არის, ვილაც დაიხარა და შუბლზე გაკოცა და ამ საოცარი და ნაზი შეხებიდან ტანში აჟღერებულ სიმთა რხევას განუმეორებელი სუნამოს მსუბუქი ათინათები შეეხმიანა. ეს განცდა ყოველთვის ეუფლებოდა ძილის კარიბჭესთან მიხოხებულ გიორგის და ვიდრე ზღურბლს გადააბიჯებდა, მოუთმენლად გატრუნული და თვალდახუჭული ელოდა, როდის მოხდებოდა ეს ჯადოსნური რხევა მისი სხეულის მგრძნობიარე სიმებისა და უკვე ძილში დაინახავდა მის მიმზიდველ ხატებას. რადგან ძილში სინათლეს სიმკვეთრე აკლდა და ისე შეუმჩნეველს ხდიდა შუქჩრდილთა თამაშს, რომ ალივლივებული და გამჭვირვალე სხეულის ფორმა მხოლოდ სუნით შეიგრძნობოდა და აცისკროვნებული, ზღვის სიღრმეთა სილურჯით დანამული ორი თვალი თბილი შეხებით უმშვიდებდა აფორიაქებულ სულს.

## სარჩევი

შენობა
(სივრცის შედედება) ..............................................................3
შესაქმე
(დროის შედედება) ..............................................................221